

114
1943



მნათობი

3

თბილისი
1943

ИЗДАНИЕ



მნათობი



სრულიად-საქართველოს სამხითა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საბუნებრივ-სამთლიცო
ჟურნალი

წელიწადი მისცე

396
73464

3

საკრედიტო კოლეგია

ალიო მუხაშვილი (პ.მ.გ. რედაქტორი)
სერგო ღონაძე
ირაკლი აბაშიძე
კონსტ. გამსახურდია
ილო მოსაშვილი
დემნა შენგელაია
კარლო კალაძე

ნელმოწერილია დასაბეჭდათ 26/IV—43 წ. შტკ. № 576. შშ 1916. ტირაჟი 4000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ფორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ფორესის ქ. № 5; სახელგამი. ტელეფონი 3-04-64.

ირაკლი აბაშიძე

ქართული ბაღადა

სამი მზეერავი შემომხვდა —
მტრის ცოფიანი კატები,
მხრებზე ეკიდათ ჯალათებს
შავ-შავი ავტომატები.

წელზე ეკიდათ ჯალათებს
შავ-შავი ხელყუმბარები,
ეხურათ მუზარადები
შავი ფოლადის ფარები;
არც მე დავუხვდი შიშველი,
არც მე ვიყავი ღარიბი.

გორაზე შევხტი უჩემრად
ბუჩქნარიანზე, ტყიანზე,
შენიშნე, მათაც შემნიშნეს,
საქმე წავიდა ტყვიანზე.

სამი მზეერავი შემება —
მტრის ცოფიანი კატები,
ჩვენებაა ჰგავდნენ საშინელს,
მიშაგნეს, აღმომაჩინეს,
შოიხსნეს, აქაბქაბეს
შავ-შავი ავტომატები.

ან სეტყვას ჰგავდა გრიალი,
ან ტყეში ცეცხლის გაჩენას...
წავეუწიე, გამოვეუმიხნე,
შიგ შუბლში დავკარ მარჯვენას.

დაეცა, უბმოდ დაღვარა
ძარს სისხლი შავი ფერისა;
ანლა ის ორი გახელდა,
ტყვია ბადეში მახვევდა,
მაგრამ მე ისევ გავმართე
შაშხანა სნაიპერისა.

მკერდში დავარკე მეორეს,
გათავებდებულს, დაგეშის,
შაშხანის ლულას ვაკოცე —
შეკვარებულის ბაგეში.



ის მარცხინი მარცხენა
არ მეშვებოდა მარცხნიდან,
მეავდრებოდა, მაწვიშდა,
ტყვია ბალახებს ვარცხნიდა,
მესროდა გამძაფრებული
ლოდებში დასაფრებული.

გამოვუმიზნე, ვესროლე,
არ გამიმართლდა მიზანი,
ლოდს მოეფარა პირშავი,
ისევ ცოცხალი ვიცანა.

მესროლა უკანასკნელად,
თვალი ამევსო ბნელითა,
ბეჭში ვიგრძენი ჩხრიალი,
თოფი გამეარდა ხელიდან,
შერე წამოხტა პირშავი,
მოჰქუხლა ბრძოლის ველიდან.

აბლა ხშირ-ხშირი წამალი
მჭირდებდა, თქვენი კენესამე,
ლოგინში როგორ გაეჩერდე,
მხეცი გამეჭეცა მესამე.

ან ანაპასთან იქნება,
ან ტაგანროვთან იქნება,
ან პოლტავესთან იქნება,
ან ლენინგრადთან იქნება,

გამიშვით, შევხვდე ხელობლა
ცაში, ზღვაში თუ ყამირში,
ან შე, ან იგი მესამე, —
წამომოყენეთ, გამიშვით.

1943 წ.

რუსთავის პირველი

ბე დიდრონი, თვალუწვდენი,
მალა კლდედის ანაყრდენი.
რუსთველი

რუსთავში, მტკვრისპირ, დგას ერთი ვერხვი
ძირქველი, წვერით კლდეს მიბჯენილი.
ერთ მეომარი, მოხუცი ვეფხვი,
ბრძოლებში სიკვდილს გადაჩინილი.
ისევ აყვავდა რუსთავის მიწა,
ისევ მაისმა გაასურნელა,
მზემ და მიწის რძემ ვერხვს ღონე მისცა,
წვიმის პოხი ჰყავს ერთგულ მსრუნველად.
აღმასა დილით გაზაფხულისა,
როცა ემცვრება ცვარი ციური,
ვერხვს შეატოკებს ფიჭვი გულისა,
თითქოს გადაჰკრავს ფრთა არწიული.
მოაგონდება ვინმე ჭაბუკი,
პირანთებული, ენამზიანი.
გული მას ჰქონდა, თითქოს ჭარბუჭი,
მლელვარე ზღვასთან შენახიარი.
უყვარდა ჩანგი, ირმების დევნა,
გაგიჟებული ცხენის ჭენება, —
მოჯნურისათვის ღამეთა თევზა,
თამარის ჩრდილის გამოჩვენება.
ვერხვს ახსოვს მისი წყნარი ღიმილი
და ღია შუბლის შეკეცილობა...
და როს დაჰლლიდა ხალხის ელივილი,
სეფედარბაზში სიტყვის ცილობა,
ვერხვს მიჰმართავდა გულის სიალით,
ამას თვით მტკვარიც დაემოწმება,
უყვარდა ვერხვის ფოთლის შრიალი,
ვერხვის მოხვევნა, ვერხვთან ოცნება.

შევრჯერ გაუესო კვირტები რძემა,
ბევრჯერ ფურცელი გამოიცვალა,
ბევრჯერ შეჰყინა ჭარიშხლის ცემამ
ვერხვის ფესვებში სიცოცხლის ძალა, —

მაგრამ, სად ვაპქრა პირმზე ჭაბუკი?
 ვერხვს მისი ნახვა ველარ ელირსა...
 და, როცა ჰვერცხლავს მთვარის ნაბუკი,
 თრთის მოლოდინში ტოტი ვერხვისა.
 ელის, კვლავ მოჰხვევს იგი ხელებსა,
 ტკბილმეგობრულად, როგორც ყოფილა,
 მან კი ჩაჰკიდა ხელი ხმელეთსა,
 იგი მსოფლიოს დაეძმობილა...



მზისპირის ნაბანი მინდა!

მზისპირის ნაბანი მინდა
 შვიდი მაისის წვიმისა!
 ვეპასუხები გაზაფხულს,
 როგორც ძვირფასის ღიმილსა.
 მესმის, მზის ოქროს დუღუკზე,
 რასაც იმღერის ეთერი,
 წვიმის ნაბრწყენი წვეთების
 ტაკტაჰი შეუწყვეტილი.
 მესმის ამ პირველ ყვავილჭებს
 რასაც დასძახის ფუტყარი,
 რასაც ეღერს ოქროზმიანი
 ვაშლის რტო გამომბუტყვარი,
 თავზე დამნათის ოცნება:
 ეთ ამ ხეს — თეთრი ყვავილი,
 მზის თვალით ვუმზერ ქვეყანას
 მზის სიხარულით დავიფილი,
 რადგანაც სული საცხეა
 ათასი ნაკონარეშით
 და გული აყვავებული,
 დიდი მინდორის ნაირი...

ძველი წიგნის მწერალი

მოყვარს ოცნებით დახვეული ძველი გრაგნილი,
 მთაწმინდელების ეტრატები დაუჭკნობელი,
 თაფლით ნასიტყვი, ვარდის ენით ვადათარგმნილი...
 საღლაც შენდობას იხვეწება წიგნის მკობელი:
 — მე საწყალობელს, მე ხელუღირსს, ცოდვა მერიც,
 საგალობელი მრავალთავე დავიღიღინო.
 „უცალო ვიყავ, უფრო ღამით დამიწერი“,
 შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო,
 ვინც მომაშველა ნასუფრალი პურის ნაწილი...
 „ხელი დაღებებს, ხალო მწერლის რჩება ნაწერი“.
 მე ეამთა ზღვაში წიგნი ჩავდგი, როგორც ფაცერი;
 ზედ მარგალიტით გავიშუქე ხსოვნის მანძილი.



დაეწერე წიგნი და ვადიდე ჩემი უფალი,
 შესაფრთხინავი, მშვენიერი და სატურფალი,
 დაეწერე წიგნი და ზედ გულმა შექი ათოვა,
 დაეწერე წიგნი, წიგნმა თავი გაიმნათობა...
 და მსურს, თქვენს გულშიც კვლავ მღეროდეს ჩემი ბუღბუღი,
 ჩემი ოცნება სიყვარულში გადაღობული.
 დღითიდღეური თქვენში ცოცხლივ სუნთქვა მწყურია
 და ჩემი სიტყვაც მხოლოდ ამის შეხვეწურია...

დე, ჩემს ეტრატში ნუ ჩასდებენ დამკნარ ნარვისებს,
 თუ ჩემს ოცნებას, სადღაც, ვინმე შეივარვისებს;
 მომიფონებენ მეგანძურად არა მეფენი,
 არამედ, ჩემებრ მიკარგული მეოცნებენი...

დილა ნარბიზნარევი

დილა ნარბიზნარევი,
 დილის ოჭრო ნაწური
 ვენახი ნივზნარევი,
 მთები გამონაძეული
 და მზისცვარის მწოარი
 მზიარული მინდვრები —
 ჩემი სამშობლო არი,
 ჩემი ნამეგვიდრები,
 ჩემი გულის მეგზური
 და ოცნების მანძილი...
 ჩემი სიტყვა ლექსური
 არი მისი ნაწილი...
 სიტყვას რო შეუქს ვადენდი, —
 მისი შარავანდედის
 არი გამონაძვირი...

ჩემი სოფელი

დღეს ჩვენი სახლი ფიქრმა დაღალა
და სიზმარიან ძილით იძინებს.
ღამემ ქალები შეაქალარა,
ღელე მთვარის ლანდს მიაციმცინებდა

ტანს იმსუბუქებს ეზო, ბაღები,
ცერებზე დგება ჭადარი ყველა,
და ჰაეროვან ბაირაღებით
გემცივით მიდის სოფელი ნელა.

მიდის წინ, თითქოს ზღვა არის დიდი.
ცაზე ანთეს დიდი ლამპარი.
უხმოდ იშლება ნიაფი მშვიდი
და შუქი სცვივა, როგორც ზღაპარი.

აგერ ნაპირიც. მსუბუქი რხევით
გემი მიაღვა უცხო ქვეყანას.
იელვა. შორით განათლა ხევი,
და კორდებს ცეცხლი გადმოეყარა.

გამოჩნდა ვაჟი ხმალშემართული;
მოდის დაჭრილი ქარში წვალებით.
ზარივით რეკავს მისი ქართული,
ცეცხლივით იწვის მისი თვალები.

იცნო სოფელმა. შეჰკვივლა დედამ,
მაგრამ აქ გაჰქრა ზმანება ტკბილი.
მზემ რტო აყარა, გადმოიხედა,
კვლავ ახმაურდა ცხოვრება დილის.

ასე ყოველთვის გვიან, სოფელი,
ყველა სახლი და ჭადარი ყველა,
ტანს იმსუბუქებს შუქით მოღონილს
და ხომალდივით ირხევა ნელა.

ვინ საღ დაეძებს. ვის სიყვარული
ფრთამოხმაურე გრიგალში გარეცხ.

ყველა წუხილი, გულში ფარული,
ილტვის უნაზეს სიზმრების მხარეს.

ჰა, ჩქარა მიჰქრის ქალი მხედარი,
რომ ძმას აშოროს მახვილი მაჯით.
ამის სატრფო კი მტერთან ტყვედ არი
და უნდა კბილით გაკენიტოს ჯაჭვი.

დღიური ფიქრი არ დაკარგულა,
ლამემ უნაზეს სახედ შეყარა,
ოცნების შუქით გადაქარგულა
სიზმრის ქვეყანა, დიდი ქვეყანა.

და თავს გვაყვარებს გმირი რამდენი
(მათ ჩვენი ფიქრი სცნობსა და ელის),
კოშკივით მტკიცე სტალინგრადელი,
თუ უშიშარი როსტოვის მცველი.

ერთად შევხარით საყვარელ მნათობს,
ერთი გვაქვს გული განუყოფელი,
მთების ბუდეში ჩამჯდარი მარტოდ
მათზე ოცნებობს ჩემი სოფელი.



მხედარი

ღამის აწეწილ ბინდებში ცა თოვლის ფანტელბად იცრიცება.

დაყურსულ დღემილშია ჩაფლული სივრცე.

გადათოვლილ გორაკებიდან ცივი წივილით მოზუზუნებს ტყვიები.

დროდადრო ცა თითქოს ჩამოინგრაო, საშინელი გუგუნეი ცის ქუხილივით შეზანზარებს სივრცეს, მიწა წუთით აკანკალდება და ცეცხლის ალად დალი-
თონის ნამსხვრევებად იქცევა მიდამო.

მხედარი კი ამას ყურადღებას არ აქცევს.

ის მიჰქრის პირდაპირ, გზას არ ეძებს. ცხენი ხან თხრილებს გადაახტება, ხან ნაბუქარში, ხან თოვლით ჩაგვიფულ ორბობებში ჩაეფლობა, მაგრამ გასა-
ოცარი სისწრაფით ამოაქვს ტანი და კვლავ ტყვიასავით მიჰქრის, ფაფარს კი ისევ შეზუზუნებს თოვლივით ცივი ქარი.

მხედარი მხოლოდ დროდადრო ყურებთან ხელს მიუთათუნებს საყვარელ მეგობარს და ჩუმად ჩასჩურჩულებს:

— მიდი, გენაცვა, გაფრინდი! ფრთები შეისხი, ჩემო მეგობარო, ნურაფერს დაერიდები, ოღონდ გაფრინდი, დაყოვნება სიკვდილია. გასწი, გასწი, გენაც-
ვალე!

თეთრონი გრძნობს მხედარის გულისწადილს და თავგანწირვით მიჰქრის.

ღარჩა უკან რკინიგზის სადგური მინებჩალეწილი, კედლებჩანგრეული და აბოლებული, აფეთქებული ლიანდაგები, დამსხვრეული ისრები;

ღარჩა უკან გადაბრუნებული, გადამწვარი და ფერდებშენგრეული ვაგო-
ნები, ცეცხლის ალში ვახვეული შენობები, მშობლიური სოფელი, აოხრებუ-
ლი, ვაპარტახებული, სისხლით მორწყული.

ტარასი მტრის მოძალებულ ნაწილებს გამოეჭვა და თავისი საყვარელი ცხენით მიჰქრის მეზობელ სოფლის პარტიზანელთა ჯგუფისკენ.

გზა გრძელია და საშიში. თანაც პირქარი სახეზე აყრის თოვლს.

ხშირად სივრცეს თვალს ვერ უსწორებს.

მხედარი მაინც მიჰქრის. გზას არ ეძებს.

მართლაც და ცხენი ხან გზას მისდევს კვალდაკვალ; ხან კიდევ, თოვლით
გაგვიფულ თეთრ ველებსკენ გაიჭრება;

ხან მდინარის ნაპირ-ნაპირ გაიჭროლებს;

ხან კიდევ ჩახვეებულ ადგილებში ჩაინავირდება. მხედარის გულს შავი
ფიქრები ამძიმებს.

თითქოს გულში ჭრილობა გაეხსნა, ჩხვლეტავს, ტეხავს.

— არა, არ მინდა გულში ფიქრალაც გავაგლო, რომ შენ, ჩემო ლნგიზ, სიკვდილმა დაგჯაბნა, თვალი დაგახუჭვინა. არ მინდა, რომ ეს ერთი წუთითაც
გავიფიქრო, მაგრამ სადა ხარ, სად? ამ ველებში მტერია ჩასაფრებული და

ტყვიები საშინელი ზუზუნით, სიკვდილივით დაძრწის, შენ არ ჩანხარო ლანგიზ, ჩემო მეგობარო, რა გიჭირს, რით შემიძლია დაგეხმარო? ეხლა ჩე მხოლოდ ფიქრით ვარ შენთან, მე მხოლოდ გრძნობებით ვარ შენთან. მე მინდა შენ ცოცხალი იყო და სიკვდილს, ბნელსა და საშინელ სიკვდილს ჩემთან ერთად იყო შენც, აი, ეხლა, ჩემო მეგობარო, ჩემო ლანგიზ!

გულს ტკივილად ჩაჰყვა ლანგიზის უკანასკნელი სიტყვები:

— ეჰ, რა უდროოდ დამცა ტყვიამ! მიმუხთლა ზედმა!

აი იქ, დადბრუნებულ ცისტერნების, დამწვარ ორთქლმავალის ჩონჩხის გვერდით წარმოებულ უკანასკნელ შეტაკების დროს აღმოხდა ლანგიზს ეს სიტყვები.

გულს რაღაც მწარედ, საშინელ ტკივილად გაატანა ლანგიზის მწარე ამოკენესამ და ტარასი ერთბაშად გაშმაგებამ აიტაცა, აელვებულ წმლით ჰკეპავდა გამომივხნულ ორთქლმავალში თავშეფარებულ გერმანელებს და რეპინელებს, მაგრამ...

მტრის ჭარბ ძალებს ვერ გაუძლო.

და თავისი ერთგული ცხენით მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. იქიდან, ტყიდან, გულმოსაკლავად შეჰყურებდა ცეცხლში გახვეულ სოფელს.

სოფლიდან მოისმოდა ყვირილი, წივილი.

დროდადრო ყოველივე ამას ფარავდა აეტომატების ჰახჰახი.

ტყვიების ზუზუნი, საშინელი განწირულების შემავფოთებელ წივილთან ერთად, თანდათან ნელდებოდა და კვლავ დგებოდა სიჩუმე.

ეს სიჩუმე სავსე იყო კენესით, წყველით და კრულვით.

დაბინდებამდე ის, ტყეში მოხერხებულ ადგილას თავშეფარებული, გრძნობათა საშინელ ჭიდილში სიბრაზისაგან თრთოდა.

ირგვლივ არავინ იყო.

ნატრობდა ახლოს ვინმე ყოფილიყო, რათა აზრი გაეზიარებინა, გულში ჩაგუბებული ბოლომად გადმოეხთხია.

გონებააფორიაქებულმა და შურისძიების მოლოდინში ალელვებულმა, საყვარელ ცხენს კისერზე შემოხვია ხელი.

ტარასის ამქამად ის ყავდა ერთადერთ მეგობრად.

რამდენიმე წელია, რაც მას ყოველდღიურად თვალის ჩინივით უყლის.

ერთი წუთითაც არ შორდებოდა.

მისი ვერცხლისფერი ტანი მუდამ გაკრიალებული, სუფთა და მიმზიდველი იყო.

კობტად, ლამაზად მოწყდებოდა ადგილიდან. გეგონებოდა, მიწას ფლოქვებს არ აკარებსო, მიჰქროდა ისე.

მტრის ღრუბლებში დროდადრო ფლოქვებიდან ნაპერწკლები ალივით აინთებოდა და ქრებოდა ისევ, ხოლო ფაფარაშლილი თეთრონი თავგანწირულად მიარღვედა სივრცეს.

თეთრონსაც უყვარდა მხედარი.

და მაინც: კაცმა რომ სთქვას, გასაოცარი ქცევისა იყო იგი.

ტარასი რომ რამდენიმე დღე არ ყოფილიყო მასთან და მერე ენახა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ჭიხინით აუცილებლად გამოეჩანებოდა, თუ კი შესძლებდა, აღვირებს დაგლეჯდა, თოკს გასწყვეტდა, ხრამს გადაახტებოდა და ტარასთან ფაფარაყრილი გაჩნდებოდა უთუოდ, მერე ერთხანს ტორავდა მიწას და ცას შესჭიხინებდა.

და ესლა, ღამის ბინდები რომ აიწეწა და პირქარი ცის უბუეზიდან ბერტყავს თოვლის ფანტელებს, მიპქრის მხედარი:

— გასწი გაფრინდი, გენაცვალე! გასწი, სიკვდილი მოგჩხავეს! გასწი გააქროლე ვულადი ტარასი, რომლის სახეზე შიშის ნატამალიც არაა. გასწი, გააქროლე ამ თეთრად გადააქნტილ სივრცეში, ღამის სიშავე სიკვდილის აჩრდილივით რომ შემოლანდულა.

უცებ ტარასიმ თეთრონი ხილზე შეაგდო.

ქარი ისევ ღრიალებს, უფრო მძაფრად, უფრო სასტიკად.

— ხალტ! — მოესმა ტარასის გუნაგის ხმა.

— ხალტ! — წამოიზარდა ეს ხმა გაყინულ, ჩათოვლილ, ჩაგვიფულ ხეებთან.

ამ ხილზე გუშავი არც გუშინ, არც გუშინწინ, არც ორი კვირის წინ არ ყოფილა და რა იცოდა ტარასიმ, თუ დღეს მტერი აქაც იყო ჩასაფრებული.

იგრძნო, რომ ხილზე შეიტყუეს, მაგრამ გვიან იყო. უკვე გაფიქრების დროც არ იყო. უცებ მოწყდა თავის ერთგულ თეთრონს და წყალში გადაეშვა.

ტარასის ესმოდა თეთრონის ჭიხვინი. თითქოს თეთრონმა იგრძნო, რომ მხედარი ილუპებოდა, თითქოს იგი განწირული იყო.

ხილზე ფაფარაყრილმა რამდენიმეჯერ გადირბინა, კვლავ დაიჭიხვინა, მერე მდინარეს გადახედა, მაგრამ საბრალო თეთრონმა რა იცოდა თუ ტარასი უზარმაზარი ტალღების ქვეშ წვალეებით მიიწევდა წინ.

ცხენმა კვლავ გადირბინა ხილი.

რამდენჯერმე კვლავ დაიჭიხვინა.

თითქოს ეძახდა ტარასის.

თითქოს უხმობდა მას ჭიხვინით.

კვლავ ხიდის თავისკენ შეტრიალდა და შემდეგ პატრონის დაკარგვისაგან შეშფოთებული, თოვლით გაგვიფულ შორ კელეებში ფაფარაყრილი გაიჭრა.



ძლივს ამოვიდა მდინარიდან. გაწეწულ ტანისამოსში, ის მთელი ტანით დაგდაგებდა.

გამყინავი ქარი ძვალს ატანდა.

სახეზე ჭვისფერი გადაკროდა და შორს ჩამძვრალი თვალები ოღნავ კრთოდნენ. ფეხზე ძლივს დგებოდა.

ყინულის ნამსხვრევებთან და ტალღებთან ბრძოლაში დაილოლა.

ძლივს სუნთქავდა და თანაც გაწეწული ტანისამოსი თხელ ყინულივით უფროდაუფრო ეკვროდა ტანს.

შედრკა ტარასი.

ეს მხოლოდ ერთი წუთით.

მდინარის ნაპირს მოსინჯვა უნდა.

— ხომ შეიძლება აქ ზიფათს გადაეყაროს!

დაყურსულ მიდამოდან თითქოს კვლავ ესმის მას საყვარელი ცხენის გაჭრებული ჭიხვინი.

როგორ ნატრობს, რომ აი, ესლა, როდესაც ის სიცივისაგან ტანატანილი კანკალეებს, სახე გაცრეცია, მუდამ ერთგული თეთრონი აქ ყავდეს, მაგრამ ტა-

რასიმ რა იცის საბრალო ცხენი, ფაფაყარილი, როგორ დარბოდა სიღზე, მდინარის ნაპირებზე და გულმოსაკლავი ჭიხვინით დაიძებდა მას.

ტარასი ფრთხილად, ყოველი ბუნქის გულდასმით დათვალეფრებდას. შემდეგ ძლივძლივობით მიფორთხავდა ყინულით, თოვლით მოფენილ ფენაფენებზე. ეხლა თეთრონი რომ ყოლოდა, ფერდობს ტყევისასვით ააქროლებდა საყვარელ მხედარს და იხსნიდა მას ხიფათისაგან.

ტარასი ვრძნობდა ეს ადგილი საშიში იყო და მიტომ მეტად ფრთხილად მიიწედა წინ.

ეხლა ყველაზე უფრო ივრძნო, რომ სხეულზე ეყინებოდა ხალათი, პერანგი და საშინლად თრთოდა, კანკალებდა ისევ.

მას უკვე შორს წასვლა არ შეეძლო.

აუხვია მარჯვნივ და სახლისკენ გაემართა, რომელიც ბეკობზე იდგა.

სახლს მარცხენა მხარე ყუმბარისაგან ჩამომსხვრეული ჭქონდა და ირგვლივ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანდა.

— ეხლა სიფრთხილე უფრო საჭიროა! დიახ! ვინ იცის რა მოხდება, მოულოდნელობა რას მოიტანს!

ტარასი მისაზრებული კაცია.

ის ნაჩქარევად, გაუაზრებლად არცერთ ნაბიჯს არ გადასდგამს.

შეჩერდა.

დაეკრა მიწას.

უცებ კარები გაიღო.

კარებში ადამიანის მაღალი ფიგურა გამოჩნდა.

ის ღია კარებთან გაჩერდა.

ოთახიდან გამონაშუქ სინათლეზე ის მხრებიდან მტვერს იბერტყავს, რამდენიმე წუთს იყო ასე, და მერე კვლავ სახლში შევიდა, კარები მიიხურა.

— შეუმჩნევლად მიფუახლოვდები, ვნახავ ვინ არის!

ტარასიმ გადასწყვიტა უფრო ახლოს მისულიყო სახლთან და მეტად მოხერხებულად გაჰყვა ნათხრილებს.

არ გასულა დიდი დრო და მოხუცი კვლავ გამოვიდა გარედ, კვლავ ღია კარებში გაჩერდა და ტანისამოსის ბერტყვა კვლავ დაიწყო.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა აქვს ამდენი საბერტყვი — გაიფიქრა ტარასიმ და ამ ამბავმა ისე გააოცა, რომ ერთიანად დაავიწყა სიცივე.

— თუ ღმერთი გაუწყრა, შორჩა, ძირბუღიანად ამოვსახრი — ფიქრობდა ტარასი და მოეშხადა პირისპირ შესახვედრად, მაგრამ...

მოხუცი კვლავ სახლში შევიდა.

ტარასიმ განიზრახა სახლისათვის უკნიდან შემოეცლო.

სივრცე, რამდენათ ეს მას შეეძლო, გულდასმით მოსინჯა და წასვლა რომ დააპირა, მოხუცი სახლიდან კვლავ გამოვიდა.

ეხლა იგი კარებს რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა, გაანათა ორჯერ ნათურით. ჩამონგრეულ კედლებისკენ წავიდა, ცოტახნით მანდ გაჩერდა, კვლავ უკან დაბრუნდა და მერე სწრაფად შევიდა სახლში.

— უსათუოდ აქ რაღაც ამბავია! არა, ეს მოხუცი ტყუილბრალოდ არ დანდის გარედ! დიახ, აქ უსათუოდ რაღაც ამბავია! — გაიფიქრა ტარასიმ.

ყუმბარა მარჯვედ დაიჭირა ხელში.

ტარასის მტკიცედ ჭქონდა გადაწყვეტილი, თუ საჭირო იქნებოდა ყუმბარით სახლსაც ააფეთქებდა.

ფრთხილად მიუახლოვდა კარებს.

ის იყო უნდა მიეკაცუნებინა, რომ კარები კვლავ გაიღო. ოთახიდან გამონაშუქ სინათლეზე, როგორც კი გამოჩნდა ტარასის ფიგურა, იქიდან ოდნავ განათებულ ოთახში მყოფმა კაცმა ხელით ანიშნა მის შესუ-



ლოყო.

ტარასი უმალ შევიდა სახლში. მის წინ იდგა ტანმალალი უცნობი მოხუცი, რომელიც მას ერთი წუთითაც არ ამორებდა თვალს.

ტარასისათვის ყველაზე უფრო საშინელი წუთები იყო ეხლა.

არ იცოდა ვისთან იყო, ან სახლში ამ მოხუცის გარდა თუ იყო ვინმე. მოხუციც არ იცნობდა ტარასის და სიცივისაგან გაცრეცილ სახეს ჯიუტად აკვირდებოდა.

ორივე სდუმდა.

ეს დუმილი გაურკვეველ მოლოდინის საშინელ აზრებს ბადებდა. მაგრამ თუ კი ტარასიმ უცნობ ადამიანთან მისვლა არ ითავილა, ეს მისა გამბედაობის, უშიშროებისა და ნების სიმტკიცის შედეგი იყო.

ერთმანეთს რომ პირისპირ შეხედეს, თითქოს ენა ჩაუვარდათ, სიტყვაც არ ამოუღიათ.

თვალებით ერთმანეთი მოსინჯეს.

— იქნებ ერთმანეთს არც ელოდებოდნენ!

— იქნებ სრულიად სხვადასხვა ბანაკიდან არიან!

გარეთ კი:

ცა კვლავ თოვლის ფანტელზედ ეფინება დედამიწას. სიჩუმეა ირგვლივ. სიჩუმეა სახლშიაც.

ორივენი დგანან ჩუმად, უსიტყვოდ.

არ გასულა დიდი დრო და სახლის მარცხნივ, არც ისე მოშორებით, გაქ-

ლანკილ გზაზე თქართაურით გაიბრინეს ცხენოსნებმა.

ჩუმ სივრცეში ცხენის ჭიხინი გაისმა.

ჭიხინი მიღეულ ტალღებივით დაიშალა სივრცეში.

ტარასის სისხლი თავში აუვარდაო, სუნთქვა შეეკრა.

კარებს ეცა.

უნდოდა კარები გაეღო, მაგრამ ერთბაშად შეჩერდა.

ჭიხინი კვლავ გაისმა.

ეხლა კი ტარასიმ ვერ მოითმინა და ძალაუნებურად წამოიძახა:

— ყიორსუნდი! ყიორსუნდი!

ამ სიტყვაზე მოხუცმა უკან დაიწია.

ცოტა ხანს იდგა გაოცებული, თითქოს გაურკვეველობისაგან რეტლასხმუ-

ლი, შებოჭილი. მერე, თითქოს სიბრაზე მოერიაო, შუბლი შეიკმუნხა, ნელნელა ჯიბისკენ წაიღო ხელი და ტარასის შეუმჩნეველად რევოლვერს თანდათან საიშვლოდ მოჰკიდა ხელი.

ეხლა მოხუცი, გარკვევით, სროლისათვის ემზადებოდა, თანაც ტარასის ოდნავ შერხევასაც ჯიუტად აკვირდებოდა.

მზად იყო დრო ეხელთა, რათა ტარასი უხმაუროდ მოეხრჩო, ან ტყვიით სწრაფად გაეგმირა.

ეს აზრი მას ჯიუტად აეკვიტა.

წუთით ათასგვარი აზრები აეშალა, რა არ ვაიფიქრა, რა არ მოსმინა და ბოლოს სცადა ერთხელ კიდევ დალაპარაკებოდა ტარასის.

— რა სიტყვით?!... ეს სიტყვა რას ნიშნავს?! — თავშეკავებულად ჰკითხა მოხუცმა.

— ყოორსუნდ, ჩემი ცხენის სახელია! — მიუგო ტარასიმ.
მოხუცი აენტო და რევილვერი ჯიბიდან ამოსწია.
ესლა მისთვის ერთი რამ ცხადი იყო: ვისაც ელოდა, ის არ გამოდგა, მაშა-სადამე, იგი ვალდებულია მოიშოროს თავიდან.

ოთახის სიღრმიდან კენესა და თავშეკავებული გმინვა გაისმა.
ტარასიმ შენიშნა, ამ ხმაზე თუ როგორ შეშფოთდა მოხუცი და თითქოს მოხერხებულად ცალი ფეხი გაჰკრა სკამს, რათა სკამის დაეარდნის ხმას დაეფარა კენესისა და თავშეკავებული გმინვის საეჭვო ხმები.

ტარასის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოხუცმა, როგორც კი შეატყო იგი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, თითქოს შეშფოთდა, არასასიამოვნო გრძნობებმა საშინლად ააღლევა, მაგრამ გასაოცარი სიღრმით შეიკავა თავი და უშალვე მოხერხებულად სცადა ბოლო მოეღო ამ მდგომარეობისათვის.

— გატყობთ, ძალიან ცუდად ხართ! — აუღლეველად მიმართა ტარასის.
— ბოლმა მახჩრობს, ბაბუა, ბოლმა მაშფოთებს!
— მაინც რისთვის? რა დავემართა? რა შეგემთხვა?!
— მე, ეს არის ხაილიდან გადავბტი, გერმანელთა გუშაგებს გამოვექეცი. ჩემი ცხენი, როგორც ჩანს, მათ დაუჭერიათ. ის ჩემი ცხენი იყო, რომ ჭიხვი-ნებდა! — დაიწყო ტარასიმ და თანდათან ყველაფერი უამბო.
მოხუცმა რევილვერი კვლავ ჯიბეში ჩაიდვა.



მოხუცმა ტარასის საჩქაროდ გაახდევინა სველი ტანისამოსი.
კუთხის ოთახში, იატაკ ქვეშ შენახულ ტანსაცმელებიდან მზრუნველობით აარჩია დაბამბული შარვალი, ტოლომა და ჩააცვა.

— ტოლომა გაგათბობს, შეილო! ეს ძვირფასი ტოლომაა, ჩაიცვი. ჩაიცვი და დამლოცაე! — დიმილით, ალერსიანად ეუბნებოდა მოხუცი.
საიღიანაც კვლავ გაისმა ჩუმი კენესა.

ტარასიმ ყური დაუგდო, მხოლოდ ესლა უფრო გულდასმით.
კენესა, მიღებული კენესა, კვლავ გრძელდებოდა და გულს ატანდა, სულს აშფოთებდა.

— ეს რა ხმა ისმის, ბაბუა! — ცნობისმოყვარეობით იკითხა ტარასიმ.
— ჩაიცვი მორჩი! — მიუგო მოხუცმა.
— კი, მაგრამ, ბაბუა, მაინც ვინ არის, რომ კენესის?
— დაცა, დაცა შეტეი აჩქარება რას გარგებს. შენი აჩქარება და ალღე-ვება აქ უადგილოა, გესმის? ჩაიცვი, მორჩი და მე თვითონ წავიყვან, ყველა-ფერს გაჩვენებ.

მოხუცმა გარედან კიბე შემოათრია და სხვენზე ასვლა აწყო.
აყვა ტარასიც.

ბნელოდა.
მოხუცი არც კი ცდილა ასანთი გაეკრა.
კენესა უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

ამ ამბით გაოცებული ტარასი ერთბაშად გაშეშდა, როდესაც მხედრულმა დაჭრილი წითელარმიელები დაინახა.

ახლოს, სულ ახლოს, ფიცრის დაბალ ყუთიდან წამოდგა ქვეყნის ფეხურა — გთხოვთ, ხმამაღლა არ დაილაპარაკოთ! სძინავთ! — ფეხურა მის მართა მან ტარასის და მოხუცს.

კუთხეში ლურსმანზე ეკიდა ფანარი, რომლის მინები ნარევი საღებავებით იყო შენიღბული.

ფანარიდან ოდნავ გამოკრთოდა მღვრიე სინათლე.

ფერლულ სინათლეზე ტარასიმ მაინც გაარკვია ახალგაზრდა გოგონას სახე, ხოლო გვერდით კი გაშლილ ფარაჯებზე დაწოლილი დაჭრილები.

ტარასი გრძნობდა, როგორი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა მას გოგონას თვალები.

— დაბრძანდით, მოისვენეთ! — დაბალი ხმით მიმართა გოგონამ ტარასის და ფრთხილად მიაწოდა ყუთი, რომელზედაც რამდენიმე წუთის წინ თვითონ იჯდა.

— ექიმში ხარ, გოგონავ? — აღერსიანად ჰკითხა ტარასიმ.

— არა!

— აბა?

— მოწყალეების და!

— ყოჩაღ, ყოჩაღ შენა!

— ჩემი შეილიშვილია! — ჩაერთა ლაპარაკში მოხუცი, მაგრამ დაბალი ხმით წარმოსთქვა. — გამოდგა, იმედი გაამართლა. ეს უველის დაჭრილებს, ერთი წუთითაც არ შორდება, თავს დასტრიალებს.

ტარასიმ აღერსიანად ჩახედა გოგონას სახეში და ტკბილად, გულთბილად სთქვა:

— აი, ასეთ გოგონას ჰქვია გმირი! უყურეთ ერთი, ლაზარეთი არ მოუწყვია? ყოჩაღ, ყოჩაღ შენა ჩანს, შენ უკვე მოგენდობა ადამიანის სიცოცხლე. გოგონამ თვალები გაუსწორა ტარასის ვაჟკაცურ სახეს და უბასუხა:

— ვფიქრობ, არ ცდებით! იმედი გქონდეთ, სამშობლოს დამცველის სიცოცხლეს საკუთარ სიცოცხლით დავიცავ.

ტარასის უნდოდა ამ სიტყვების მოწონება და გოგონასაგან გამოწვეული აღტაცება გამოეთქვა, რომ ამ დროს სიბნელიდან ჩახლეჩილი ხმით დაილაპარაკა დაჭრილმა:

— ბაბუა! ვის ელაპარაკები? ლანგიზი დაბრუნდა თუ?

— იყურე! იყურე! ლანგიზი ჯერ არ დაბრუნებულა! იყურე, დაისვენე! — მიუგო მას მოხუცმა და მერე ტარასის მოუბრუნდა ისევ:

— ხომ ხედავ, როგორ მიჯერებენ! აი, იყურე მეთქი, ვუთხარი და გაჩუმდა, მაგრამ ის ერთია თავნება, აი ეხლა რომ იკითხეს, ლანგიზი. მართალი გითხრა, ძალიან შემიყვარდა ის ბიჭი. ხშირად მომენატრება მისი ნახვა, მასთან საუბარი. ის ქართველია, ნამდვილი ქართველი, — გულადი, უშიშარი მებრძოლი და მოსიყვარულე. ისიც აი, ჩემმა გოგონამ თითქმის მოარჩინა. დაჭრილი მოაყვანეს, აქ დავმალე და ამან, ამ ცუდგარემულამ მართლაც კარგად მოუარა. ეჰ, მართლაც რომ სასახელო ბიჭია ლანგიზი. დღეს რომ ვუბამე, გერმანელთა შტაბი სკოლის შენობაში მოთავსდა მეთქი, კრილობის მიუხედავად, ამ ცოტა ხნის წინ ზეღუპმბარებით იქითკენ გასწია, მხოლოდ მე კი ტყეში მყოფ პარტიზანელებისათვის ნიშნის მიცემა დამავალა და მიტომ გა-

მოვლილი გარეთ, კარებს-ლიად ვსტოვებდი და სინათლის შუქზე ვიბერტყებ-
ბოდი. ეს მოქმედება პარტიზანელთა ენაზე ნიშნავდა მტრის სოფლიდან გა-
ბერტყვის დაწყებას — ამ უკანასკნელ სიტყვებზე მოხუცმა ნელა ჩაიციხა და
თან დაუმატა: — იცოცხლე, მართლაც ისე მივბერტყავთ, რამდენჯერმე და
დარჩესთ მათ!

რამდენჯერმე და
დარჩესთ მათ!

ამ სიტყვებზე ტარასი აღტაცებაში მოვიდა.

აღტაცებაში მოვიდა იმის გამოც, რომ ლანგიზის კვალს მიაგნო.

— მაშ, ლანგიზი ცოცხალია მაშ, ლანგიზი კვლავ საბრძოლველად წავიდა?

— დიახ, წავიდა!

ბრძოლის ცეცხლით ანთებული ტარასი ერთი წუთითაც არ დაფიქრებუ-
ლა, ერთი წუთითაც არ შეეყოყმანებულა.

— შეც, შეც იქ მივდივარ! ჩვენ ერთად ვიყავით ბრძოლაში და ეხლაც ერ-
თად უნდა ვიყვეთ!

ეხლა ტარასი ერთი ფიქრით იყო გატაცებული, რაც შეეძლო მალე წასუ-
ლიყო სკოლის შენობისკენ, სადაც გერმანელები იყვნენ დაბანაკებულნი და
სადაც ეგულებოდა ბრძოლის მეგობარი ლანგიზი. გოგონა ამ მოულოდნელი
ამბებით გაოცებული განცვიფრებული შეჰყურებდა ტარასის.

ფიქრი

უხაროდა, რომ ტარასი ასე თავდადებით და დაყინებით აპირებდა წასვლას
ლანგიზთან, იმ ლანგიზთან, რომელსაც სიყვარულით უვლიდა, სიყვარულით
უყურებდა ტკივილს.

და აი: ტბილ ფიქრებში და შეუცნობელ გრძნობებში ისე გაეხვია იგი,
რომ ძლივს გამოერკვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ტარასიმ გამოსამშვიდო-
ბებლად ხელი გაუწოდა.

— გამარჯვებული დაბრუნებულხარ ლანგიზთან ერთად! — ნელა წაიჩურ-
ჩულა გოგონამ, როდესაც ტარასი წასასვლელად შეტრიალდა.

• •

მოხუცმა ტარასი კვლავ ძირს ჩაიყვანა.

იმავე წუთს გარედ გავიდნენ, ნანგრევები გადაიარეს და მოშორებით, სადაც
გადამწვარი სახლის საკვამური იყო დარჩენილი, ქვემოდან უწესრიგოდ მიყ-
რილ აგურებიდან, მოხუცმა ხელყუმბარების ყუთი გამოათრია.

ფიქრის დრო არ იყო.

ტარასიმ რამდენიმე ყუმბარა აიღო და წასასვლელად გაემზადა თუ არა,
მოხუცმა შეაჩერა.

— დაიცა! უჩემოდ ვერსად წახვალ, გესმის? მე მომყე, გზა მე ვიცი! აი,
აქეთ, წისქვილისაკენ გზა უხიფათოა! მეც მოვდივარ, მეც მოგეშველები. წვე-
რებს ნუ უყურებ, გული ახალგაზრდული მაქვს და, ესეც რომ არ იყვეს, თვა-
ლები მაინც მიჭრის, არაფერი გამომეპარება, დაგეხმარები.


თოვს განუწყვეტლივ.

ღამის სიშავეში ხან თხრილებით, ხან ნანგრევებს შორის, ხან მოყინულ
ფერდობებზე მიფორთხავენ წინ.

სიბნელეში ფორიატებს ქარი.

ქარი ცივია და გამყინავი.

რაც დრო გადის, ქარი ციდან უფროდაუფრო ეხვეტება დრებლების ნაგ-



ლუკებს, დედამიწას უფროდაუფრო ეფინება გაფითრებული მთვარის ცივი შუქი და თოვლის სითეთრე.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მიფორთხავენ უსიტყვოდ.

თითქმის ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმით.

უცებ მოხუცმა ტარასის მიმართა:

— ხედავ, ხედავ წისქვილის უკან ვილაც როგორ მოძვრება! დააკვირდი, კარგად დააკვირდი და თანაც მოეზადე!

მწელი გასარჩევი იყო, ვინ მოფორთხავდა.

— შეიძლება ის არის! — ბუტბუტებს თავისთვის მოხუცი.

თითქოს ქვესკნელიდან ამოძვროს, შავი აჩრდილივით ჯერ წაიხარა, მერე ერთბაშად წამოიზარდა და პირდაპირ გამოეჭანა.

— ქვემძრომები! საზიზღრები! — იმეორებდა მოხუცი ისევ.

ტარასიმ აღგილი შეარჩია და ჩასაფრდა.

— არა, ცოცხალს აქედან არ გავეშვები მე ვიცი, მე ვიცი! — ფიქრობდა ტარასი და ელოდა მსხვერპლს.

მოხუცი კი ოდნავ წინ და მარჯვნივ წაფორთხდა, ამოძირკვეულ მითოვლილ ხეს ამოეფარა და გულისძვერით მოელოდა მსხვერპლის მოახლოვებას.

და კიდევაც:

თი ახლოს, სულ ახლოს, თითქმის სულ რამდენიმე ნაბიჯზე, მობურღაობდა მუხლებამდე დაყრილ თოვლში. თანაც ხშირხშირად შეჩერდებოდა, ზეერავდა სივრცეს, მიდამოს გულდასმით სინჯავდა და ისე მოიწევედა წინ.

— არა, სროლა არ ევარგებს, გაიგებენ, მოეშველებიან! — ფიქრობს მოხუცი. — უმჯობესია ზიშტი, ან ხანჯალი ჩასცე, მორჩა, ვერ დაიყვირებს! დიახ, ასე აჯობებს!

ეხლა ოდნავ წინ წამოიწია და დასაძვრებლად მოემზადა, მაგრამ ერთბაშად უკან დაიხია.

მან გარკვევით ნახა, რომ უცნობს ტოლომა ეცვა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, თვალი მატყუებს თუ რა უბედურებაა! ნუ თუ ეს ჩემი ტოლომაა?! ნაშასადამე, ის არის, დიახ ის!

მოხუცი უფრო წამოიწია.

დააკვირდა.

ეჭვი არ იყო, ტოლომა მოხუცის იყო და ამაში რომ დარწმუნდა, ყოველ შემთხვევისათვის თოფი მაინც მოიმარჯვა და ჩუმად, მაგრამ გარკვევით მიაცა:

— ლანგიზ! ეს შენა ხარ??

ის უცებ შედრკა.

— შენა ხარ, ლანგიზ?! — გაიმეორა მოხუცმა.

— მე ვარ, რომელი ხარ? — იყო პასუხი.

მაშინ მოხუცი საჩქაროდ მოიჭრა ლანგიზთან და მოუთმენლად მოჰყვა:

— სად დადიხარ მარტო?! აი, მე შენი მეგობარი ტარასი მოგიყვანე.

— როგორ? რანაირად? საიდან სად? — გაკვირვებით ამბობდა ლანგიზი და ეხვეოდა ბრძოლებში დამძობილებულ ტარასის.

ვინ იცის ორთავეს, ლანგიზს და ტარასის, რამდენი ტანჯვა-წვალება გამოუვლიათ.

ვინ იცის ორთავეს რამდენჯერ ჰქონიათ შემთხვევა თავიანთი საყვარელი ცხენით მიმინოსავით შეჭრილიყვნენ მტრის ჯარისკაცობში და ბრძოლის ბუ-

რანში გახვეულებს რამდენი აუჩეხიათ, გამოუშინეთ, რამდენისათვის მხრებში ჩამოუთლიათ, თივი ზებზე გადაუძვრიათ.

შეხვედრის ეს შოულოდნელი წუთები რალაც უჩვეულო აღმადრენის მომგერელი იყო.

ვინ იცის ეს მეტად ტყბილი და სასიყვარულო წუთები სწავლად როგორ გახვითარდებოდა, მაგრამ ეხლა მოზღვავებულ სიხარულთან ერთად, სიკვდილთან, შავ და ბნელ შემადრწუნებელ ბოროტებასთან ბრძოლის წუთებმა, ეს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მშვენიერი, განუმეორებელი წუთები მეტად შეზღუდა.

როდესაც შორს, თოვლის შუქით შენისლულ სივრცეში, სროლა გაისმა, ლანგიზმა კმაყოფილებით წამოიძახა:

— პარტიზანებმა დაიწყეს! დაიწყო ბრძოლა სოფლის განთავისუფლებისათვის! აბა, ჩვენ აქედან შტაბს დავარტყათ, აბა, მომყეთ, მეგობრებო!

სწრაფად წაიწიეს წინ.

ამ დროს საიდლანაც ცხენის ჭიხვინი გაისმა.

ტარასიმ ყურები ცქვიტა.

იცნო თეთრონის ხმა და გული საშინლად აუძგერდა.

უნდა ითქვას, რომ ის ასე ათრთოლებული, სიხარულისაგან ასე აღელვებული, არასოდეს არ ყოფილა, როგორც აი ეხლა, როდესაც კვლავ გაისმა საყვარელი თეთრონის ხმა, რომელმაც მტრის ცეცხლს თავი დააღწეინა.

არა, ტარასი ეხლაც არაფერს დაერიდება და მათ, ვისაც ეხლა ჰყავს მისი საყვარელი თეთრონი, მზად არის პირისპირ ეკვეთოს.

დიახ, ის უშიშარია, ის გამბედავია.

ეხლა მით უფრო, ლანგიზი გვერდით ყავს. ლანგიზი, რომლის იმედი მას ყოველთვის ჰქონდა და რომლისათვის თავსაც არ ზოგავდა ისევე, როგორც ლანგიზი მისთვის.

ახლოს, წისქვილის დასავლეთით, ცხენოსნების ჯგუფებმა თქარათქურით გაიბზინეს.

ლანგიზი და ტარასი სწრაფად გაემართნენ ცხენოსანთა შესახვედრად.

— შეჩერდით! — მიიძახა ტარასიმ.

— ხალტი! — შესძახა მოხუცმა და ლანგიზს მხრებში ამოუდგა.

ცხენოსანთა რიგები რატომღაც ერთბაშად დაიძრა.

— შეჩერდით! — რაც შეეძლო მაღალი ხმით შესძახა ტარასიმ.

ტარასის ხმაზე ყიორსუნდომ დაიჭიხვინა.

— დაგვენდით, არამზადებო! — კვლავ დაიქექა ტარასიმ და ტყვიებმაც გაიზუზუნეს.

ცხენმა იცნო პატრონის ხმა.

დიახ, იგრძნო, რომ ეს მისი მოსიყვარულე ტარასი იყო, ნამდვილად ის იყო.

ბასუხად კვლავ გაგრძელებით დაიჭიხვინა.

მოულოდნელად ადგა ჯალყზე, მხედარი მოწყდა ცხენიდან და თოვლზე გაიშხვართა.

შემდეგ ყიორსუნდომ უკანა ფეხები შეათამაშა, მიტრა თოვლზე გაშხვართული, თითქოს ბრაზი გულიდან ამოიყარა და ტარასისაკენ ჭიხვინით გაიქცა. ტყვიების ზუზუნმა კვლავ გააყრუა სივრცე.

ისინი დაიბნენ და გაიქცნენ გაღმა ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ ხიდი უკვე პარტიზანელებს ჰქონდათ დაკავებული, აი ის ხიდი, საიდანაც გადახტა ტარასი, სადაც გამწვარებით დასკიხვინებდა თეთრონი წყალში გადახტარ პატრონს.

იქიდან ხიდის ყურესთან ჩასაფრებულმა პარტიზანელებმა მტერს ტყვეები მიიყარეს.

ტარასი უმალ მოახტა თავის საყვარელ თეთრონს.

თეთრონი კვლავ ესმოდა მხედრის სიყვარულით საცხე სიტყვები:

— გასწი, ყიორსუნდი გასწი, გენაცვალე!

როგორც გრივალის, როგორც რისხვა, პირდაპირ ხმალდახმალ შეიჭრა მტრის რიგებში.

ვერაფერი ვერ აჩერებდა ტარასის: ვერც ხმლების ჩახტენი, ვერც ტყვეების გაწივლება, ვერც აფეთქებების გამაყრუებელი ხმები.

უკან, თითქოს ქვესკნელიდან ზღაპრული, შემავსოფოთელი საზარელი ხმით, ცას შეეტყორცნა სკოლის საწყობი ფიცრის ნატეხებად, მიწის ნაგლეჯებად. თითქოს მიწა აკანკალდა.

გაყინულ თოვლიან სივრცეში ყუმბარების ნამსხვრევების გრიალი ნგრევისა და საშინელების შემაძრწუნებელ ხმაურად შეიჭრა.

ეს ლანგიზისა და მოხუცის ნასროლი ყუმბარების შედეგი იყო.

ახლოს, სულ ახლოს, კვლავ შეზანზარდა სივრცე და ცეცხლის ხახიდან სივრცეს ნაპერწკლები შეეფარქვა.

შენობები, გორხანები და ხეები, წუთით თითქოს ერთმანეთში აირივნენ, ბინდებში თვალწინ გასცურეს გაურკვეველ საგნების სილუეტებად, შემდეგ ერთბაშად, თვალთან ჩამობნელდა, ყურში თეთრონის უკანასკნელი ჭიხვინი გაისმა.

და:

ტარასის სხვა არაფერი აბსოვს.

თვალი რომ გაახილა, ის მოხუცის სახლში იწვა.

საწოლთან იჯდა მოწყალეების და, აი ის გოგონა, რომელიც დაჭრილ წითელარმიელებს უვლიდა.

თითქოს ტკბილად უღიმოდა ტარასის და ეს ღიმილი, ეს სიციცხლით საცხე სახე, ალერსიანი შემოხედვა გულს სასიამოვნოდ ატოვებდა და შეუცნობელ გრძნობებში ხვევდა.

გარეთ კი:

კვლავ იბარდნება სივრცე.

ნანგრევებთან აბია თეთრონი, ტორავს მიწას.

ღროდაღრო კისერმოღერილი მიაჩერდება სახლის კარებს, თითქოს მოვლის, — საცაა ტარასი გამოვა და ჩვეულებრივ ფაფარზე ხელის მითათუნებთ, ველად გაჭრილს ჩაუჩურჩულებს:

— გასწი, გასწი, ყიორსუნდი გენაცვალე!

გუჯარეთი

ჩამომძახეთ, ნაპრალებო,
რა არწიენი ისხდნენ მანდა?
რა ფრთა ესხათ, ან რა მუხლი,
თქვენამდი რომ აიყვანდა?
ფრთათეთრი და ფრთათფარფატი
ტრედი საზრდოს უზიდავდა,
თორისწყალი¹⁾, მოჩუხჩუხე,
ჩქაფა-ჩქუფით ხელპირს კბანდა.

შემოვცქერი შავ ციცაბოს
და მდუმარედ დიდხანს ვდგავარ...
მანდედან რომ გადმოშხედონ,
კიანქველას, ალბად, ვგავარ!
ფიჭრებსა და მოგონებას
შორს წარსულში გადავყავარ...
ვიხედები გარეშემო:
რა ვიყავი, ანუ რა ვარ?!

იმ მღევ-გმირი ვაყვაცების
თქვენ აკვანი გირწვევიათ,
მათი გული დაგინალმავთ,
პიტალო კლდედ გიქცევიათ!
მათთვის ხოტბა, მათთვის ნანა
და გამდლობა გიწვევიათ,
რჩეულთა და ერთგულთ შორის
მათი ბუდე გიძევიათ.

ერის გულს და თქვენს ქვაბულებს
შეუნახავთ მათზე თქმული,
ნაპრაღსა და ნაპრაღს შუა
სათუთობით დაკრძალული,
კლდის ყვავილად გადამლილი,
ზოგან ხავსით დაფარული,
ფიჭვ-ნაძვნარის უბეებში
ნაზარდი და ნასულდგმული.

¹⁾ ეახლშტით, დღეს გუჯარეთის ხევი.

მაგ ამბებმა შემაყვარეს,
 ნაპრალებო, თქვენი თავი,
 ჩემი ქვეყნის წარსულ ჯაბჭთან
 ჩაკირული, ჩანართავი;
 ჯათ დაიპყრეს ჩემი გული,
 ჩემი თვალთა სანახავი,
 შევარდნების ბუდეები,
 მატიანედ საკითხავი.



თუ წარსულში ესეოდენ
 ქვეყნისათვის იხელმარჯვეთ,
 შეგვინახეთ, გვიანდერძეთ
 საჯიხვე და სადურაჯე,
 ვალი მშართებს სამაგიეროდ —
 მეც მცირედ რამ გავისარჯე:
 ვით გუშაგი სამშობლოს,
 თქვენს თხემებზე მადარაჯეთ...

რომ ქვეყნის მტერს, მოღალატეს
 დაემართებდე ცხროს და ზაბანს,
 გადჯღაბდე, გადვივლიდე
 უვალსა და კლდეთა კაპანს,
 ბებერ ძარღვში იფეთქებდეს,
 გმირთა სისხლი იქმდეს ჩქაფანს
 და შით ოდნავ დავეწაფო
 იმ გმირების ფერხთა ნაბანს!

ჩამომძახეთ, ჩამომძახეთ,
 რა არწიენი ისხდნენ მანდა?
 რა ფრთა ესტათ, ან რა მუხლი,
 თქვენამდი რომ იბყვანდა?!
 ტრედი საზრდოს უზიდავდა,
 თორისწყალი ხელ-პირს ჰბანდა...
 მათი სახე შოხუც გულში
 უკედავებად დასავენდა..

ტიმოთესუბანი, 28. 7 — 1940 წ.

ჩემ შვილ ნინოს¹⁾

არ გესმის ჩემი სულისკვეთება,
როდი მასვენებს გული ვერანც;
ნეტავი იყო ბარათაშვილის
მოუღალავი, ცელქი მერანო.

გააპო სიერცე დაუღვეველი,
ზღვასა და ხმელეთს არ დაეკარო,
მიხვდევ ალთქმის სურვილებამდის,
შენც ეზიარო, მეც მახიარო.

იქნება, შვილო, მთლად გაქუვდებოდე,
რაც შენში არის; არა მჯეროდეს
და შენი გული ჩემს გულზე უფრო
მომავლისათვის უკეთ მღეროდეს.

დეე, აღსრულდეს მამის გულისთქმა,
მე წარმავალი — შენ მომავალი,
სადაც წახვიდე, იყავი მედგრად,
თან გახლდეს მუდამ სიმართლის ხმალი.

და თუ მიადწევ შენს წმინდა სურვილს,
და რასაც ნატრობს დღეს მხოლოდ ზალხი,
მაშინ მამაშენს ვერ შეაშინებს
ვერც შავი მიწა და ველარც თალხი.

¹⁾ იბეჭდება პირველად.

გამქრალი ნათადი

უთენია მალემსრბოლი შიიჭრა კიკანათბერის ციხეში: მეფე ბაქარმა ტფილისი დაადო და ქრციხნვალს მიემართებო მამასთან. ესა სთქვა მალემსრბოლმა ისე უმალ, თითქოს კვესზე ნაპერწყლებმა გაიეღვესო, მერმე აქსქასებული კედელს მიეყრდნო და წყალი ითხოვა.

ციხისთავმა ჩინომ, ცალხელა დევმა, უტოლოდ შერჩენილი ცაცია ხელი წვერზე ჩამოსივა და მსახურს თვალი ჩაუკრა.

ძველი ატენურით სავსე სველ-სველი ხელადა მოარბენინა მსახურმა, ხის ჯამი გაალიპლიმა და მიართვა მალემსრბოლს. ჩაიღიმა მალემსრბოლმა, ერისთავი, ციხისთავი, მეციხოვნენი დალოცა და ჯამი სულმოუთქმელად გამოსცალა. ჯამი მეორედ აუვსეს. მეფე ბაქარი აღდგარძელა მალემსრბოლმა, ჯამი გამოსცალა და ხელზე დაიბერტყა — ასე დაიცალოსო ჯანისაგან მეფისა და მამულის მტერი.

იძალა ატენურმა, თვალები აუციენდნენ მალემსრბოლს.

ეს სადაური წყალი დამალევიენტო, წაიკრიტინა, უკვდავების წყარო თუაო.

ჩინომ თავულებლად ჩაიდუდუნა, ტანას ხეობაში უკვდავების წყარონი დიანო.

თითქმის შეუღმნევლად მიუახლოვდა მალემსრბოლს, ხელი მოხვია და ჩაეკითხა: რად დაადო მეფე ბაქარმა ტფილისი, სულთანს ხომ არ წაეკიდაო, იესე თუ ახლავსო თან?

მალემსრბოლი წელში გასწორდა, თაყვანი სცა პატივცემულ ციხისთავს და აუწყა, მეჩქარებაო.

იცოდა ჩინომ, ანაგებლად ვერ დააძრობდა მალემსრბოლს საიდუმლოს. კიდევ მოატანინა ატენური, ორი ჯამი კიდევ დაალევიინა ასე უზმოზე, ხემსიცი არ შესთავაზა, და როცა კარიბჭესკენ მიაცილებდა, რამდენიმე კითხვა კიდევ შეაპარა. მალემსრბოლმა მხარი აუქცია: აზრუმის ფაშამ არაბული უძღვნაო იესეს, ნამდვილი მერანია, კაცის თვალს იმის მსგავსი ჯერ არაფერი არ უნახავსო.

საბჭესთანოც მიართვეს მალემსრბოლს. აკოტავა ატენურმა, და ეს წამოსცდა კიდევ: დომენტი კათალიკოსი შეიბურეს და ტენედოსის კუნძულზე ჰყვესო ბყრობილად.

ჩინომ საწადელს მიაკვლია. თუ აზრუმის ფაშამ მერანი უძღვნა იესეს, სჩანს სულთანს მოწყალე თვალნი მისკენ მიუბყრია... ბაქარი გაუნაპირებია, როგორც ქართლის მოწყალე და მოჭირნახულე... დომენტი კათალიკოსიც ამ ბოლო დროს კეთილს იღვწოდა... ტფილისის ტაბტს იესეს მისთარჯავდა სულთანნი. ბაქარი ამადაც ილტვოდა ტფილისიდან. ეგებ იესე უკანაც მოს-

დღეს და მძათა შორის სისხლის ღვარია... რა დღეს მოესწრო განაწამები ეახტანგი!

ასე გაიფიქრა ჩინომ.

ახლა რა იღონოს ჩინომ? ერისთავი აქ მაინც იყვეს, მაღრი ჩინო მხოლოდ მრჩეველი და მეომარი იქნება. ახლა? მას აბარია ციხის ბედი, ერისთავის ოჯახისა და დოვლათის ბედი, ხიზანთა ბედი... რა ჰქნას ჩინომ? თუ განუდგა იესეს და ბაქარს მიეკედლა, როდემდის დაიფარავს ბაქარი? ის გზად გაივლის და იესე, ოსმალთაგან ძალმოცემული, ცხვირში მძარს წაადენს. განუდგავს ბაქარს? კარზეა მომდგარი მორკმული მეომარი, გადაათქელავს დაფხავებულ მეციხოვნეებს.

ჯერ პირველი მალემსროლი თალბ ბინდში არ გაუჩინარებულებიო, რომ მეორე მიიჭრა.

მეფე ბაქარი გიბრძანებსო: შეჭრა წედისისა და ვერის ხეობები, წედისისა, ვერისა და ატენის ციხეები ერთმანეთს მოსწყვიტო. გამძვინვარებული ბაქარ მეფე იქ დაბანაკებულ ოსმალთა შემუსვრას ლამობსო.

ჩინომ თავის ცაცია ხელი ხმლის ვადაზე დაიღო და დანახვისის მთას გაუშტერა თვალები. გარდასწყდა, რაც უნდა სთქვას ერისთავმა, ჩინო ბაქარის მხარეს მიდგება, ოსმალთაგან გასწმენდს ატენის ხეობას და ორიოდ დღით მაინც თავისუფლად ამოისუნთქავს. მკვიდრი აიყარნენ და გარდაიხვეწნენ. ოსმალნი თარეშობდნენ ატენის ხეობაში. საბუღრებში წიწილ-კრუხი გააწყვეს, გაგარეულებულ გოჭს ვერ დაეჭყვირა იმათი შიშით... რამდენი რჩეული ვაჟკაცი შეიწირეს, ჩინოს სათვალავი აერია. მისი მარჯვენაც, ამგდარი მარჯვენაც მათთან ბრძოლაში დაეცა. ჩინოს კიდევ შერჩა მარცხენაი, კვალად ოსტატურად გაიხსნით გულის იარას. გარნა ჯარი აღარა ჰყავს ჩინოს, რამდენიმე დაფხავებული მეციხოვნე-ლა შერჩა.

„ჰეპეი, ბიჭებო!“

დაიძაბა ჩინომ და გულიდან ხმა კი არა, ზარის გუგუნი ამოვიდა. ჩინოს წინ ჩამჭკრიდნენ მეციხოვნენი.

მცირე რაზმის შემყურე ციხისთავს გული დაეწინწლა, მაგრამ ჩაითქვა: ფიქრი არაა, ერთი ათთან მოვალთო. მალემსროლს კი ეს უთხრა:

— აი სულ ესენი ვართ, ოსმალთა გზის შეეკრას კი მოვაბერებთ, მაგრამ თუ ბაქარი რაზმს მოგვაშველებს, უფრო მეტ სამსახურს გავუწევთო.

მალემსროლმა ცხენი გაქუსლა.

ველზე გაჭრილს კოშკიდან გადაჰყიოდა ჩინო: მეფე ბაქარი რაზმს თუ მოგვაშველებს, უფრო მეტ სამსახურს გავუწევთო.

საზრიანად მოიქცა გამოცდილი სარდალი. უჩქამოდ შემოაწყო ლაშქარი ციხეთა მისადგომებს: გათენებამდე სუნთქვაშეკრულნი ბურქებში იწვნენ. მეომრები საულვაშეებს იცვენტდნენ და ხელი ვადას ეტანებოდა უნებურ... განთიადისას ციხის ბჭენი შეხსნეს ოსმალებმა, მოთარეშე რაზმები გამოუშვეს გუნდგუნდად.

ბუკს ჩაჰბერა მებუკემ.

ისკუბეს ვეფხვებმა...

ბაქარის ბიჭებმ გუნდებად შეიკრნენ წედისისა და ვერის ციხეებში. დიდხანს ვერ გასძლო წედისის ციხემ. ვერისა და ატენის ციხეებში კი მრავლისგან მრავალი სისხლი დაინთქა.

გარეთ გამოსული რაზმები ჩინომ გაინაპირა.

ტანის ხევი დაქრილ-დაზოცილთა გვამებით აღივსო.

გამძვინვარებულმა ბაქარმა მოსრა ოსმალნი...

ჩინო ნადიმის გამართვას ეწადა გამარჯვების შემდეგ, ვარსაპაჩისმტობა ნადიმი ბაქარმა. ლაშქარი ზეზეურ დააბურა ფრიად მცირედ, თავათ ხემსიც არ აუღია: ჭრცხინვალისკენ ისწრაფვოდა ბაქარი.

გამომშვიდობებისას ჩინოს დაუბარა: ვახიზნულეები ჩამოიყვანე, დაქცეული მიღამო აღაშენო კვალად.

ჩინომ თავყანი სცა შეფე ბაქარს, მის თანადასწრებით ბიჭები დაგზავნა დახიზნულეთან. ბაქარი რომ თვალს მიეფარა, სხვები დაადევნა იმათ უკან: არამც და არამც არ დაბრუნდნენ ხიზნები, კიდევ უფრო ჩაიკუნწნონო.

იციოდა ჩინომ, რომ სულთანი ბაქარს თავხედობას არ აპატიებდა. და შერე, ბაქარს საით მისწვდებოდა? ამბობდნენ, ვახტანგი რუსეთს გადასვლას ეპირება და ბაქარიც ამიტომ ისწრაფვისო. ჰო-და, სულთანი გულის ბუხარს ატენის ხეობაზე დაიბერტყდა... წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებინანო.

ჩინომ ატენის ციხეზე ხუროები დააყენა. უბრძანა დაქცეულ მისადგომებისა და საცივების აღდგენა.

ხუთიოდ შეციხოვნეც გაგზავნა ციხის გასამაგრებლად.

თავათ ერისთავის ოჯახიანად ისეუ კიკანათბერის ციხეში ჩაიკეტა. ის უფრო ნაგულდაგულო იყო, კლდით გარემოზღუდული.

მწუხრისას მცირედი ნადიმი გამართა ჩინომ.

რად არ იხარებდა?

• თანაც დღეს რამდენიმე ხნის უნახავ თავის უფროს ვაჟს არხიბს მოჰკრა თვალი: არხიბმა ბრძოლის დროს წაუსამხრისულა და როცა ჩინომ მოპირდაპირე ოსმალი გააგორა, შეჰკიჭინა:

— კვლავაც იხარებდეს ჩინოს მარცხენაი: კიდევ ბევრ მარჯვენას დამიწეებს!

შერე ბრძოლაში გადაერია არხიბი.

მაშას შეტი რაღა უნდა: მისი შევარდენი ცოცხალია და მტერზე ნადირობს.

ერისთავის ქალწულმა, მშვენიერმა გულნაზმა განმარტოებით მოახელა და ჰკითხა მკრთომარემ:

— დღეს ბრძოლაში არხიბი უნახავთ, ბაქარს ხლებია, ზომ არ შემოივლის ციხეში?

— არა ვიცი-რა, პატარა ქალბატონო! ოდენ შორით მოეკარი თვალი. სალაპარაკოდ არ შემხვედრია. არც თუ დანაბარები ვადმოუცია ვინმეს.

წამწამთა ტევრი დახარა გულნაზმა. ჩიქილა ნერვიულად მოსრისა ხელის გულებში და მხრების ქნევით წაცახცახდა.

გაცრეცილი ღამე იდგა ციხეში, ორიოდ საერკმელში ვარსკვლავნი ჰიატებდნენ... რამდენიმე ჰრაქი ხრჩოლაგდა.

ხანდახან ფეხის ჩქამი ასხლტებოდა საღმე საფეხურიდან ან ღამურები გაიწრიბინებდნენ.

უყვარდა ჩინოს ღამურები. მთელ ღამეს იფხიზლებდა, საღმე ჰონგურზე დაეყრდნობოდა და მარტოოდენ უდარაჯებდა ციხეს, ოდონდ ღამურებს განუწყვეტლივ ეფანთახლნათ მის გარშემო.

ორი გალია ორ-ორად ღამურით თავის სენაკში ეკიდა ჩინოს. გულნახსაც ღრი გალია ეკიდა თავის სენაკში, იქ ღამურები კი არა, იადონები ძსხდნენ.

გულნახში რამდენჯერმე შესთავაზა ჩინოს იადონები, უღონოდ ღამურები მოეშორებინა, მაგრამ ამაოდ. უკვირდა გულნახს, რატომ რჩებოდა ჩინო ღამურებს. ეგებ იადონებზე ტყბილი ხმა აქვთ, ეგებ მითვე ღამურები არიან? ჩინომ უთხრა, ღამურები არიანო ღამურები.

განიერი ნაბიჯებით დადიოდა ჩინო და ყურმახვილი ღამურების უქამო წრიბინს, უნიათო ფრთების ფართხუნს დაეძებდა.

იღუმალ კარებს რაღაც მოაწყდა. ყურები სტკვიტა ჩინომ, ხმალი ამოზიდა და კარებს მიადგა.

კენ არისო, იგრავინა ჩინომ.

პასუხზე თავისი პირში იცნო. გული გაუნათლდა ვაჟკაცს... დაბეჯითებისათვის ნიშანი მოსთხოვა და მერმეღა აუგდო კარებს ურდული. კარი ოდნავ გამოიღო და შუა ხმალი გახიდა. კარს მომდგარმა კისერა შემოჰყო და ხმლის პირთან შეაჩერა. თვალები უციმციმებდნენ არხივს, მოციავი შეჰყურებდა მამას, მაგრამ მამამ ღიმი არ შესტეხა სახეზე. ხმალი დაუშვა და გზა მისცა შვილს. მერმედ ამოსავალი გვირაბი მოსინჯა. გულს საგულეს იგულა, ურდული გაუგდო კარებს და ბოლოს-ღა ვაშალა ეთადერთი მკლავი შვილის შესაგებებლად.

შვილი მამას მოექცო.

— სადა ხარ, ბიჭო, აქამდის?

— ბაქარ მეფეს ვახლდი.

— ბაქარს რა დამართნია?

— სულთანს შემოსწყრა, იესეს დაუტევა ქართლის ტახტი, ამიტომაც უგო სულთანს შური ბაქარმა ატენის ხეობაში.

ჩინომ ჩაიღიმა, შვილს დაუდასტურა, თუ რაოდენ სწორედ მიიტანა გუმანი დილას, მალემსრბოლის გადაკრული სიტყვების შემდეგ.

გარსა შუბლი შექმენა უცებ.

ბაქარი ქრცხივალსაა, მამასთან ერთად რუსეთს ებირებაო გადასვლას, ამბობდა არხიბი. იესეს წააქეზებს სულთანს ატენის ხეობაზე სისხლის ააღებდ... რაღა დაიფარავს საბრალო ხეობას? ადრე სწორედ ესე განსკვრიტა გონმანვილმა ჩინომ, მაგრამ შურისგებით ატაცებულმა საშინელების მთელ სიცხადეს თვალები მოუხუჭა. ახლა?

შვილს გაანდო შიში.

არხიბმა გაუქარწყლა.

— ატენისა და კიკანათბერის ციხეები მტერს გაუშლენ. მცხოვრებლები დახიზნულები არიან. აქამდის ვერ მისწვდნენ და ვერც ოდეს მისწვდებიან ანაბლთა რაზმები. ხეობაში გასანადგურებელი რაღაა? რაც იყო მოსრეს, უფროს ველარას დაგმართებენ!

შეგულს ბჭობა მოეწონა ჩინოს. მამასავით საზრიანი დადგებაო, გაივლო გულში. შვილს კი ეს უთხრა:

— შავნი დღენი და ღამენი გვაწვიანან, არხიბ. მეფენიცა და ერისთავნიც წამსუმალ წაჯექ-უჯექიობას გადი-გამოდიან... დიდი სიბრთხილე გვმართებს, არხიბ ჩემო!

შვილი ქარავმს მიუხვდა.

მდუმარენი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მამა შვილის ნაღვლით მოსილ მომავალზე ფიქრობდა, შვილი — მამის სახელოვან წარსულზე, არხიზს უნებლიედ დაამთქნარა. უშაღ ცალ მუხლზე წაიჩოქა და მამას უბრუნებდა: „მესობოვა.“

გინგა... მამა...

ხელი მოჰხვია ჩინომ, წამოაყენა.

— რამდენი ღამეა, რაც არა გძინებია?

— ხუთი.

— მოისვენე!

არხიზმა იარაღი აიხსნა და ციხისთავს ჩააბარა.

— ღამე მშვიდობისა, მამაჩემო!

— მშვიდობის ღამე მოგცეს ზეციერმა მამამ, შვილო!

შვილი მამას მხარზე ემთხვია და წარემართა.

მამამ თავის სენაქის კარამდის მიაცილა შვილი და გუშაგთა დასახედოდ გაბრუნდა.

არხიზმა სპარსულად მოიკეცა ხალიჩაზე. გერმის ბალიშებს გადაესვენა. გულში იწვა არხიზი. აალებულ თაფლის სანთლებს შეჰყურებდა თვალმიშტერებით, ხანაც თვალს გალიებში მოფანთხალე ღამურებს ადევნებდა და მამის ახირება ღმისა ჰგვრიდა. ეს ისე, მოლოდინის წუთები რომ როგორმე ჩაეკლა... ყური მახვილად ეჭირა და ციხეში მცირედი ჩქამის მიწყნარებას ინატროდა.

ღამურები წამუწყვეტლად ფანთხალებდნენ, წრიპინებდნენ, ვნისებდნენ. ნეტავ იყურებდნენ ტიალნი!

ანაზღად გულნაზის სიმღერის ხმა მისწვდა არხიზს. მღეროდა ქალწული... ჰოა, რაოდენ ტკბილი, რაოდენ მომაჯადოებელი იყო მისი სიმღერა! იადონებმა თუ მიუძღვნეს ასეთი ტკბილი ხმა თავიანთ მშვენიერ ქალბატონს... იმღერდა გულნაზი. მთვარისგან გადადღადებულ ღრუბლებს შემღეროდა. მზეჭაბუკს მოუწოდებდა: დანაპირი თუ შეასრულეო.

წამოიჭრა არხიზი. მგერდი ისე წამოეგზნო, რომ ახალუხის დილ-კილოები კინალამ დასწყვიტა. კარებს ეძგერა, გამოალო თუ არა, ისევე მიგმანა: სიმღერის ხმა მისწყვდა, გამზღელი წიწმაცობდა, დიდი ქალბატონი გიბრძანებს, დაიძინეო.

მეტი ხმა აღარ სმენია არხიზს, თუმცა-ღა ყური კარებზე ჰქონდა მიდებული და სტდილობდა სადღაც ყრუ სარკმელში შეჭრილი სიოს სისინიც არ გამოჰპარებოდა.

სდუმდა კიკანათბერის ციხე.

ერთი-ორჯერ გუშაგმა უყივლა რაღაცას. ჩინოს ღამურები ისევე ვნისებდნენ, სხვაფრივ მშვიდობა იყო.

გულნაზი განგებ მოკმუნხული შუბლით შეჰყურებდა ფერხით მოკეცილ არხიზს, ასპიროზივით აკანთებული თვალეები ამფლავნებდნენ შეტბორებულ სიხარულს.

— დათქმულ დროზე დაბრუნდი, არხიზ.

— დიად, ჩემო ქალბატონო.

— პირობადებულები თუ ასევე სწორედ აღასრულე?

— ასევე სწორედ, გულნაზ.

— აბა, რას შეტყვი?

— კარგს ვერაფერს, გულნაზ...

თითქოს გველებმა გაისრიალეს გულნაზის თვალებში. ველარ დამკლავ შინაგანი კრთომა. არხიზს ეჭვმა გაუკრთო მილა, მაგრამ ისე უნიათო იყო ეს ეჭვი, რომ კვალიც არ დასტოვა. პატარა ქალბატონმა მსუბუქად ამოიხუნტოქა. ხელი ხელზე დაადო და ძვირფას ბეჭდისანი არათითი აათამაშა. ეს ისე ეამა არხიზს, რომ კინაღამ თვალები მილულა, ზმანება გახანგრძლივებოდა და საოცნებო ნეტარი წამი წამად კი არა, საუკუნედ გარდაქცევოდა.

— მომიტხრე, არხიზ... ვარაზი თუ ნახე?

— ვერა ვნახე ვარაზი.

— როგორ?

— ტყვედ ბყრობილია ვარაზი...

— რას ამბობ, არხიზ? მე ვარაზი ვეკითხე, ვარაზი!

— დიად, ჩემო ქალბატონო, ვარაზი...

თვალნი გაუმტერდნენ გულნაზს, ბროლის მძივები დაეკიდნენ წამწამებზე.

— ვარაზი და ტყვე? არა, არ ძალმძის ამის წარმოდგენა!

— ვაჟკაცს ფათერაკი თანა სდევს, გულნაზ.

— ვაჟკაცს ხმალი არტყია, არხიზ, ხმლით უნდა აიცილოს ფათერაკი.

— დიად, თუ ფათერაკს პირისპირ შეხვდა, მაგრამ მუხანათია კაცი...

გულნაზს ცრემლნი შეაშრნენ. ხელი შეახო არხიზს მხარზე.

— მომიტხრე, მალე მომიტხრე, არხიზ!

წამოიწყო არხიზმა:

— ვარაზს ძმა ჰყავს უფროსი. თვალტანად კავკასიონსა ჰგავს, ბუმბერაზს, შიამიტსა და წარმტაცს.

— ამწინებზე გარდაიკვალა მათი მამაი. საერისთავო და საგვარეულო ციხე ვარაზისთვის დაუტოვებია.

— ახვავებულა უფროსი შვილი. რამდენიმე თავზეხელაღებული მისქრია ვარაზს. ვარაზს დაუმარცხებია, გაუძევია თავის მამულიდან. გულკეთილს ძმური სიყვარული გულიდან ვერ ამოუღია. ძმა შეჭრივებია. ბოლოს, მინდობია ვარაზი, გულბოროტი შხამს ლესაფდა თურქე ვარაზისათვის. იღუმალ კავშირი გაუბამს თურქებთან. ღამით ციხის კარი გაუღია მათთვის. ვარაზის კაცები გაუქვრტიათ. საგვარეულო ციხე უფროსი ძმისთვის გადაუციათ... ვარაზი ბყრობილად ჰყავთ ცხვილოსის ციხეში. ვარაზს წერილი უახლებია შენთვის. შიკრიკი ძმას დაუქვრია და უწამებია. ცხვილოს ციხეს ბევრი ვუარე, მაგრამ მიუვალა ერთი კაცისათვის... ერთ თურქს ხმალი ვარუქე. მან მითხრა: ჯანსაღად არისო ვარაზი, აღარც ისე მკაცრად ებყრობიანო. ხელი მოვეუთათუნე მხარზე და ესეც წამოსცდა: ამბობენო, ამას იქით სულ აღარაფერი გაუჭირდება, ციხისთავის ცოლი ესარჩლებო.

გულნაზს თვალები გაუფართოვდა. თითები ტუჩებთან მიიტანა და დააორთქლა: თითქოს ყინულის ლოლუებად ჰქცევოდნენ მშვენიერი თითები.

— მერმედ, ბაქარ მეფეს ვეახლე, ვცდილობდი შემეჯერებინა, ეგებ ცხვილოსის ციხისკენ წარემართნა ლაშქრობის გეზი. მაგრამ თავათ აქეთ ირჩია, კვალად ველარაფერი შევკადრე.

არხიზი წამოდგა, მკლავები მკერდზე გადაჯვარედინა და თაყვანი სცა გულნაზს. ამით ანიშნა: ესაა სულ, მე შევასრულეო შენი დავალება.

გულნაზმა დაჯდომა ანიშნა.

დიდხანს მდუმარება გულნაზი. ცისკრთან სახეზე ლურჯი ზღვები უკრთოდნენ. გრძობათბ არხებს გარე გამოქჷონდათ იდუმალი ჩორღვა. ყვეთელი აჩრდილები დაფარფატებდნენ სენაკში. ხან თაღებს გაეფროდნენ, ხან წაიმუხლაფდნენ და თაყვანს სცემდნენ იდუმალ მაცდურს: შენჯერს დარდილული კუთხეები საშინელი თვალით შეჷყურებდნენ, თითქოს უფორედ იქიდან ამოდიოდნენ გულნაზის აღმაშუთი ყვეთელი აჩრდილები... ვარაზზე ჰფიქრობდა გულნაზი. უნდოდა კარგი ეფიქრნა ფრიად, მაგრამ ყვეთელი აჩრდილები წარმტაც საქვრეტს ეფარებოდნენ და საშინლად იმანჭებოდნენ.

ვარაზი ტყვედქმნილია...

თანაც ეს რა სთქვა არხიპმა, ციხისთავის ცოლი ესარჩლებაჲ... არხიპ, თუ ციხერობ, გულნაზის გულის დაკოლვა თუ განგიზრახავს? და აქ შავი თვალით გადახედა ქალწულმა ჰაბუკს. მაგრამ არხიპი ისე წრფელი ღიმილთ შეჷყურებდა, რომ ცოდო იყო მასზე აუფი ფიქრი. ჰაბუკი ნაღვერდალად გადაქეულოყო და გულნაზის სიცივის გამოისად ფიფქი ეყრებოდა. შეპლიმა გულნაზმა. მის ტუჩებსაც ისე წრფელი ღიმი გაეკრა, როგორც არხიპისას, და ნაღვერდალმა წანაცრული მხრები შეიბერტყა.

ქალწულმა გრუზა თმაში ხელი ჩაავლო ჰაბუკს და ქორორი გაუწიწა. თითქოს ისევ ძველებურ გიემამ გოგონად გადაიქცა გულნაზი, თავი გადაუწია არხიპს, უმზირა ღიმმორეულმა და წარსთქვა კდემით:

— რა კარგი ხარ, არხიპ!

აქ არხიპმა თავის ძირს დახრა დააბირა, მაგრამ თვალები დახარა მარტოოდენ, რადგან გულნაზი თმებს ხელს არ უშვებდა.

დაიხარა გულნაზი და შუბლზე ეამბორა. მერე რაო? აღრეც უკოცნია გულნაზს. ტოლად შეიზარდნენ ისინი. მაგრამ აღრინდელ კოცნას ასეთთ ცეცხლი არ შემოთგზვნია არხიპისათვის. თავათაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა: ხელები შემოსალტა ქალწულს და მისი თოთო მკერდი კინალამ რეალის გულმკერდზე მიისრისა. შეჷკივლა გულნაზმა და ხელი ჰკრა არხიპს...

ბედად შეკივლება არავის გაუგონია.

ჰაბუკმა ხელი გაუშვა ქალწულს და ნამთვრალევი სენაკიდან გაეარდა. ატაცებულმა დერეფნები შემოირბინა. მერე სულ მაღალ ქონგურზე გაიქრა, ხელები გულზე მიიქდო და ვარსკვლავებს შემღერა გულის სიხარული. გულლიად უღიმოდნენ ვარსკვლავები ჰაბუკს. მაღლიანი კალთა გაეხსნათ და თავიანთკენ ეწეოდნენ. ილტვოდა არხიპი მათკენ. ფრთაშესხმული მარადის ნათელს ეტანებოდა. სურდა ციდან ჩამოეკრიფა მოციანგენი.

ჩინო ლანდად ასდევნებოდა შვილს და მოლიმარი შეჷყურებდა აღტაცებულს.

მღეროდა არხიპი. ქართლის ველებზე მიჷქონდა ნიავს ქართული თმახი და გაცივებულ კერაზე წანაცრულ ნაღვერდალს აღვივებდა. სადღაც ზარანაშო ჰყოლოდა და ჩინო კრულვას უგზავნიდა ღამის მავივარს.

ღილით გულნაზს ეახლა დარცხვენილი არხიპი, მუხლთ მოიყარა და ეს მოახსენა:

— ერთს ვცდილობ ყოველთვის: ისეთი არაფერი ჩავიდინო, რომ ბოღის მის მოხდა დამჷირდეს, მაგრამ ცდა უნაყოფოა, ფათქმის ყოველ ნაბიჯზე მჷირდება მიტეების თხოვნა... მომიტევე, ჩემო ქალბატონო, მუხანდელი შეცოდებანი ჩემნი...

თვალები უფუფუნებდნენ გულნაზს, სჩანდა, მუხანდელ წყენას გაევილო.

კედელს მიღმიდან ქალთა ეივავი მოისმა. ფეხზე წამოიჭრა არხიბი, გულნაზს გაეცალა.

წყაროსთან მოდი, საქმე მაქვსო, დაადევნა გულნაზმა.

არხიბი წყაროსკენ გაემართა.

შუაგულ ციხეში ამოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო. მექ-წინულს წინააღმდეგ ქვის სავანე ჰქონდა წყაროს. აღმოსავლეთიდან თალი ჰქონდა გადაყვანილი. თეთრ ფირფიტაზე ორი აყალყული ლომი იყო გამოსახული. წინა ტორები ძირს დაგდებულ ბურთზე შეეწყობოთ და ცალი ყბით უღრენდნენ, ცალი ყბით მაცდური ღიმიით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბურთის ქვეშ ციხის აგების თარიღი იყო მიწერილი და აღმშენებლის ქართლოს ერისთავის სახელი.

არხიბი აუზს გადაეყუდა და წყაროს დაეწაფა. ორი ყლუბის დაღვევა ვერ მოასწრო, რომ ჩრდილი წამოადგა და ანკარა წყაროში გულნაზის მშვენიერი ხატი ჩაესვენა. არხიბმა გაიღიმა. გულნაზის ტუჩების ჩრდილი მოზომა წყაროს სარკეზე და ტუჩები სწორედ იქ დააწაფა. გაიკისკისა გულნაზმა და აღვილი მოინაცვლა.

არხიბი წელში რომ გასწორდა, გულნაზმა იკითხა:

- - ნეტავ არხიბმა კიდევ ხომ არაფერი ჩაიღინა მისატყეველები?

მხრები აიჩენა არხიბმა: ეგებისო, წარსატყვა მოღინარმა.

ისინი ქვებზე ჩამოსხდნენ ერთმანეთის პირისპირ.

გულნაზი აღარ კეკლუცობდა, აღარც მოგონილი სერიოზულობა ეტყობოდა, ეგრერიგად რომ მანუაედა და აუშროვებდა მის სახეს. გულის ტყვილი ბუნებრივი სისადავით კრთოდა თვალებში. ბინდი შეჰპაროდა ლაყვარდს. რაღაც აწუხებდა, თქმა უჭირდა ქალწულს. ელოდა, ეგებ არხიბს ეთქვა რაიმე გასამხნევებელი. მაგრამ მდუმარი შეჰყურებდა ის, ქალის შინაგანი ბრძოლა რაღაც სიამოვნებას ჰგვრიდა.

ჩქროლვა დასძლია გულნაზმა.

— არხიბ, მე მინდა ერთი დავალება კიდევ მოგცე...

— შზად ვარ, ჩემო ქალბატონო, შენი მორჩილი. შენი ხმალი, ჩემი კისერი!

ცალ მუხლზე წაიჩოჭა და ისე წარსატყვა არხიბმა.

— ჯერ ამა გკითხავ, — ამბობს გულნაზი: — ბატის თუ სცემენ ვარაზს თავის მამულში?

— დიდ ბატის, გულნაზ. მით უფრო... მისმა უფროსმა ძმამ თავი ისე მოაბეზრა ხალხს, რომ ვარაზი მხსნელად დაუსახავთ.

— მაშ იმედია, ვარაზი რომ ტყვეობიდან განთავისუფლდეს, თავის მამულს დაიბრუნებს და გაქირავებულ ერისათვის სისხლსაც გაიღებს?

— ვარაზი უებრო ქაბუკია, გულნაზ. ანგრე იქნება.

გულნაზმა მუდარის თვალი მიაბყრო არხიბს, მერე სარტყელს მოფარებულ ბატარა პარკი გამოაჩინა და არხიბს გაუწოდა.

— ამა, არხიბ, თუ შენმა უებრო ხმალი ვეღარ ვასკრას, ეგებ ოქროს ცბიერმა ნაიღმა გაგინათოს გზაც...

არხიბმა ხელი კი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ ისე აუცახცახდა, რომ პარკს თითები ვერ შემოაგლო. რად იღწვის ვარაზისათვის გულნაზი ასე?

რად სწირავს არხიბს ვარაზისათვის? მამულს არხიბიც გამოადგება. ვარაზი ტყვედქმნილ მამულშვილის დახსნა იგივე მამულის სამსახურია...

არხიბმა პარკი ჩამოართვა გულნაზს და სარტყელს დაუკონა.

— კვლავაც შენს მსახურად მიგვლე, ჩემო ქალბატონო!

ციხისთავს ეახლა არხიბი და იარალი სთხოვა. წასვლის მიზეზი ეკითხა ჩიონომ. ბაქარს უნდა ვეახლო გამოსამშვიდობებლადო, მიუგო, შენს ციხისთავი შეემუდარა, მალე დაბრუნებულიყო არხიბი, რადგან დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი და რამდენიმე დაფხავებული მეციხოვნე ვერ დაიცავდა კიკნათბერისა და ატენის ციხეებს. თუმცა არხიბის პაპა, ოთხმოცდაათი წლის მოხუცი, ტყეში ყრმებს ავარჯიშებდა, რომლებიც მალე ციხეს ბურჯებად შეუდგებოდნენ, მაგრამ არხიბი მაინც დიდი იმედი იყო.

სთხოვა თანაც: გავლისას ნახეო პაპაშენი და მის მიერ გაწვრთნილი შევარდნები. ერისთავიც, რომელიც ვახტანგს ახლავს, მონახე და გადაეცი: ინახულოსო თავისი ციხე და ოჯახი.

არხიბი დაჰპირდა ყოველი დანაბარების შესრულებას და დაემშვიდობა ციხისთავს.

გაკეცამდე ყორანა ჩინომ ჩაუყვანა შვილს. გზა დაულოცა პირმშოს, წმიდა გიორგის მახვილი უწინამძღვრა მზაკვარ ბედისა და მუხანათი მტრის წინააღმდეგ.

ყორანას დეზი ჰკრა ქაბუკმა და ქართლის ქარებს დაედევნა.

მდინარის პირს საურმე გზა გასდევდა. დიდი ხანი იყო აღარავის ევლო ამ გზაზე. მოლი შეპრეგოდა ურმის გოგორების ნაკვალევს. გზაზე წყაროები გადმოსულიყვნენ. ზოგ-ზოგან გაუვალი ქონწყო იდგა.

ყორანა ხშირ წყალსა და ლაფში მიტოპავდა. ნება-ნება მიჰყავდა არხიბს ცხენი. ხანდახან გზიდან აუქცევდა, ტყეში ნაკვალევს დაეძებდა. დათვისნატორავს შეხვდა მხოლოდ, კაცის ქაჭანება არ იყო. გული უწყულდებოდა არხიბს: რა ტილად იყო მიგდებული ქვეყანა... ვისაც მარჯვენა უჭრიდა, სატევარზე ეკიდა ხელი. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ხმალში ვერ ვარგობდნენ, ხოლო მიწის დამუშავებას შეიძლებდნენ როგორმე, მაგრამ მტრის მოთარეშე რაზმების შიშით ჯალაბებთან და ბავშვებთან ერთად გახიზნულიყვნენ.

აწიოკებულ სოფლებში ბერი ძაღლები ყმუოდნენ.

პე-პეი, როდის უნდა მოისვენოს პატარა ქვეყანამ?

ანაზღად, ნაძვებში რაღაც აჩრდილმა გაიეღვა. თქარუნი მოისმა და ის იყო არხიბმა თავი აიღო, რომ მის წინ ლურჯაზე მჯდომი ჩაფხუტ-აფარებული მხედარი გაჩნდა.

— ხმალი, ქაბუკო! — დაიძახა მან და თავათაც ხმალი იშიშვლა. ხრინწიანი ხმა ჰქონდა მხედარს, გაბზარული.

— ფიცხლად, მხედარო! — უყვილა არხიბმაც და ყუით შემოსცხო მის ხმლის პირს ხმალი. უჯამოდ გაიზრიალა ფოლადმა და ედაში გადატყდა. ლურჯამაც და მისმა მხედარმაც თავები ჩაჰკიდეს.

არხიბმა ხმაზევე იცნო თავისი ძმა. ახლა ჩაფხუტი გადუწია ყრმას, შუბლზე აკოცა და ეს უთხრა:

— შენ არა სტყუიხარ, ძმაო: ხმალმა გიღალატა. სად ვიშოენია ასე უხეირო ნახელავი?

— თურქის ნაქონია ტიალი. ამასწინათ მოთარეშე რაზმს ვუყვლეთ, გაველიტეთ და იარალი ავეყრეთ. წილში ეგ მერგო. პაპამ გასინჯა და მითხრა, არ გამოდგებაო, და აი, გამართლდა...

ყრმამ ხელში, შერჩენილი ხმლის ტარი შორს გასტყორცნა და ბრძობის ხმალს შურის თვალი დაადგა.

— შენ ხომ ბევრი ბრძოლა შეგხვედრია, არხიპ, ერთი ხმალი რთვორ ვერ მიშოვნე?

გ. კონიძის
გ. კონიძის

გ. კონიძის

გ. კონიძის

გ. კონიძის

— მე ჯერ ისევე პატარა მეგონე, ძამიკო...

— შავიტომ გიყუელ... მეგრძნობინებინა მაჯის ძალი, მაგრამ... — სახე აელანდა ყრმას.

არხიპი კიდევ მიეაღერსა:

— შარჯვე კაბუცი დადგები, ძამიკო. ჩემგან დამარცხებინა ხომ არ გერცხვინება?

— შენგან უებრო კაბუკები დამარცხებულან, არხიპ, მე საით შეგიძლებდი?

— მაშ, არა გწყინს ჩემგან დამარცხება?

— არა...

არხიპმა კიდევ აკოცა ძმის და სთხოვა პაპისკენ წასძლოლოდა.

ტვერი განვლეს. მერე ბილიკი ხრამს ჩაუყვია, რომელიც თითქოს განგებისად ძეძვის თაღით ეგრე იყო გადაგმანილი, რომ ჭიატი ვერ ატანდა. ეს თაღიანი ხრამი ფართო ველზე გადადიოდა. მხარმარცხნივ ფრიალო ედო ამ ველსა, მხარმარჯვნივ მთა იყო აყუღებული, ფთონანარ-წიწვანარით ტანადესილი. თხემი შუა ჰქონდა მთას გაყოფილი. ამას დევის ნამუხლს უწოდებდნენ.

ველი დაგაღეს და დევის ნამუხლარს შეუყვნენ. აქ ბილიკი აღარსად იყო, არც თუ ნაკვალევი ეტყობოდა სადმე. ძმა გზას ნირიანად იკვლევდა იარეს... თითქოს შეუმჩნეველად ნიადგნენ კარავს.

კარვის წინ ყრმანი კენწლავობდნენ. ცოტა იქით, ორიოდ დაბორკილი ცხენი ბალახს წიწკნიდა.

ჯოხზე დაყრდნობილი თერწვერა მოხუცი ბიჭებს რაღაცის უწყებოდა. რაცა ნათელ-მისუსტებული თვალეები არხიპს ჰკიდა, მისკენ წაფრატუნდა.

— ხომ მშვიდობითა ხარ, შვილო?

— გვარიანად, პაპაჩემო. თავათ ხომ ჯანზე ხარ?

არხიპი მხარზე ეამბორა მოხუცს.

— დუშმანი იყვეს ჩემს ჯანზე, შვილო არხიპ!

ნაღვლიანად წარმოსთქვა მოხუცმა და იქვე კუნძზე ჩაიკეცა.

— ცოტას კიდევ ვვარგობ, ჩემო არხიპ, ამ ბიჭებს ხმლის ხმარებას ვასწავლი. მეომრებად ივარგებენ, მაგრამ იარაღი არა გვაქვს, ბიჭო! მამაშენს რამდენჯერმე შეეუთვალე, მაგრამ ჩხირის სათლედი დანაც არ მალირსა... ან კი რა ჰქნას?!

აქ უმცროსი შვილიშვილის ხმლის ცარიელ ქარქაშს დაადგა თვალი.

— ხმალი რა უყავი, ბიჭო?

არხიპმა უპასუხა ძმის მაგიერად — ჩემთან გამოსცადა და დაეფშვნაო.

ყრმამ ხმლის ქარქაშში აივლიჯა, გადაამტკრია და შორს გასტყორცნა. ნამტკრევეებს თვალი გაადევნა მოხუცმა, მერე სახე-დაღარულ უმრწმეს შვილიშვილს შეხედა და ნაღვლიანად წაიღუღუნა:

— მეფე ჩვენსკენ აღარაა და ერისთავი თუ არ გვიწინამძღვრებენ, იარაღი მაინც გვიშოვნონ, რომ ჩვენი კერა, ჩვენი ნამუსი და წინაპართა ძელები

დავიცვათ... ჰეი, ჰეი, წასულია ბედის ანაბრად მიგდებული ერის (აქვე) ეს ღინტლები დაიფარავენ?

ყრმანი ვარს შემოაშვეოდნენ მოხუცს და მის გულისწუხილს ცხვირებდნენ.
— გულს ნუ გაიტეხ, პაპაჩემო! — ომახიანად დასჭექა არხიპის მხრებზე.
ბედს ესენი შეიდგამენ მხრებზე.

— ნეტავი ანგრე, გიჟა თიკანა კვიცი მოივოს...

შეკუყრება არხიპი პაპას. ველარა სცნობდა რიხიან ვაჟიანს. უებრო რაინდს სხეული ზომ გასტეხოდა, სულიც ნაკუწებად ჰქცეოდა. წარიღეს ჟამთა ძალა და ომახი. ყვიათელი ფერეცა დააწვენენ მთა-ველებს, ყვითელი ლანდები დაპჭროდნენ ქუფრ ღამეებში... ყვითელი ფიჭრნი დაეუფლნენ კაცთა გონებას.

არხიპს მახლობელ მონასტერში იარაღი ეგულებოდა. იმის ექვიც ჰქონდა, რომ იქ ფოლადის მკვეთელ სატევრებს ამზადებდნენ. პაპას იმედი მისცა, ეგებ მონასტრის ბერები დავიყოლიოთ, და ძმა წაიმძღვანა.

ბერებმა ხელები გაასავსავეს: რის იარაღი, რა იარაღი.

ისეთი დრო იყო, რომ ძმა-ძმას არ ენდობოდა, უცხო ჭაბუკს როგორ გაანდობდნენ იღუმალს?

ბედმა გაუღიმა არხიპს. მონასტრის წინამძღვარი ვარაზის ბიძა გამოდგა. ბიძამ აზაფერი არ იცოდა ძმისწულის შესახებ, არც ძმთა სამკედრო შეჯახებას მიეღწია მის ყურამდე. არხიპმა წვრილად მოახსენა ყოველივე და მოწინებით ისიც აუწყა, რომ ვარაზის გამოსახსნელად მიემართებოდა.

წინამძღვარმა აკურთხა არხიპი, გზა დაულოცა და თანაც ფოლადისმკვეთელი პატარა ხანჯალი მიუძღვნა. დაპირდა, პაპაშენს და მის ვაწვრთნილ ღრებებს მე თვით ვინახულებ და საჭირო იარაღსაც გარდაეცემა. ერთსაც ეწუებოდა წინამძღვარი: ვარაზს თუ ისინი, აქ ამოდიოთ. ლაშქარს აქვე მოუკრებთ, საკმაო იარაღი გვაქვს, კიდევ მეტს დავამზადებთ და მამულს საჭიროებისამებრ გამოვადგებითო.

ნაღვლობდა წინამძღვარი — ჩვენს მონასტერში მხოლოდ ცივი იარაღის დამზადებას ვახერხებთ, ტყვია-წამლის ვაკეთებაც შეგძელით, მაგრამ ცეცხლ-მსროლელი ვერა-რა გავაქეთეთო.

გამომშვიდობებისას პარჯვარი გამოსახა არხიპს. მაცხოვრის ჯვარსაც ამბოვია ჭაბუკი.

მალღ მთაზე იღვა ცხვილოს ციხე. ციხის ქონგურები თაღბ ღრუბლებში დაკარგულიყვნენ. მდინარეს რკალი შემოერთება მთისათვის, ტალღები ტოტავდებოდნენ ტინზე. მთვარის ციხე ნათელზე გულცივი ციხე ჟამისფრად გამოიყურებოდა.

არხიპმა ფონის მოუძებნავად შეავადო ყორანა მდინარეში. უხიფათოდ განელო აქაფებული წყალი. ერთგული ყორანა ჭაღებში მიიტოვებ, ჩოხის კალთები შემოიკეცა და ნაცნობი ბილიკებით ციხისკენ შეუყვია.

ბრთხილად მიდიოდა არხიპი. კენჭების ჩხრიალი, ფოფოლთა ცახცახი კაცის ფეხისაგან გაღებულ ჩქამად არ ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც კრთოდა ოდნავ. ვინ იცის, სად ამოქვრიალიყო რომელიმე ოსმალი. წვრილ, მწვანე თვალებს შენათებდა და მახვილზე დააგებინებდა შეკრდსა.

ერთი სურვილი ჰქონდა არხიპს, მალე ციხესთან გაჩენილიყო. მერე, რას იღონებდა, ამის შესახებ ჯერ არ ეფიჭრნა. რამდენჯერაც დააპირა ამაზე

ფიქრი, იმდენჯერ შეაძრწუნა თავისმა უძლურებამ ცხვილსა და ცხვილსა (ანუ) შედარებით. ერთადერთი ხელოვნება, რაც დიღობა-ტურად იცოდა არხი-მა, ეს იყო მტერთან ხმალდახმალ მისვლა. მაგრამ ახლა ერთი ცხვილი-შეჯახება ციხეში გამაგრებულ ოსმალთა ჯართან უგუნურება იყო...
 მამ რა ელონა არხიპს?

— აი ციხემდის ორიოდე ლოდი და ამდენივე გაწიროკებული ბურჭი-ლაა, მერე შეუვალ ნაგებობას მიადგება და უსასოდ დაუშვებს მარჯვენას. ვაგლახ ციხეო, მტრისგან საფარად ავაშენეს და მტრის დარანად გარდაიქმეს!

დაბალმა და ღიწრო კარმა გააქრიალა. ვილაცამ ფორთხვით გამოათრია წელი. ერთი ვაი: ორა, ღრმად ამოისუნთქა და მერე გარემო მოხილა.

არხიპმა ბუჩქს მოფარება მოასწრო.

თითებს იკენეტდა გამწარებული კაბუკი. ერთ რამედ ღირდა ახლა ამ გუ-შაგის აქუწვა და საიდუმლო კარებით ციხეში შეტრა. მაგრამ რას გახდები ტლუ კაცი! აჰაუ, ბედო მაცდურო, ძალა მო-ლე, არხიპს ათიოდე ვაქკაი მხარში ამოუყენეს! ჰეი, ღვთისმშობელო, შენი წილხედობილია ქართული კალთა, მოხედე არხიპს!

რას არ გასწირავდა არხიპი: მზად იყო სატანისთვის მიეყიდნა სული, ოღონდ ახლა პატარა რაზმი გასჩენოდა.

ოსმალთა მთვარეს შესცინოდა. არხიპს გული უსივდებოდა ბოლმისაგან, ეკონა — მე შედრიჯება და დამცინისო.

ოსმალთა უკან შებრუნება დააბირა. არხიპი უმაღლეს მისთან გაჩნდა და მხარზე ხელი წაატანა.

— წყნარად, სამტროდ არ მოესულეარ... — წასჩურჩულა.

ხელი ხმალზე იტაცა შემერთალმა ოსმალმა.

— წყნარად-მეთქი, სიყმეს ვფიცავ, მტრობა არა მწადის. — არხიპმა იარაღი აიყარა და მას გაუწოდა. — სიტყვას თუ არ ენდობი, აჰა, თავმდებად ესენი იქონიე. — თან უბეში დამალული ბერის სახსოვარი მოახელავა. — მხოლოდ პატარა სათხოვარი მაქვს...

იარაღი ჩამოართვა და გულგამაგრებულმა შეპლიმა არხიპს.

— აა, გიცანი, ვურჯო!

არხიპმაც იცნო, ეს სწორედ ის ოსმალთა იყო, ვარაზის ამბავი რომ შეატკობინა.

— აი შენი ნაჩუქარი ხმალი! — უთხრა ოსმალთა და ხმალი უჩვენა. — საღ გეშოვნია?

— რალა დავიმალო, ვილაც შენი თანამემამულე შემომაკედა, იმას ავართვი.

ოსმალთა ხმალს ქარქაში გააძრო, მთვარის ნათელზე გააჩერა და წინაწერზე თითი დაუდო.

— შენ ჩვენებურის კითხვას ახერხებ... აჰა, ნახე!

არხიპმა წინაწერი კი ამოიკითხა; მაგრამ რის თქმა სურდა ოსმალთა, ვერ შეხვდა.

— ხმალი ჩემი ძმის ნაქონია... შენ ჩემი მოსისხლე ხარ!

არხიპმა ზიზლით შეკხედა და გესლიანად ჩაისისინა:

— ჰო, ბედი გქონია... შენი ციხის კართან იარაღაყრილი ვდგევარ, ძალ-გის შემბიჯრო და ციხისათვით წარმადგინო. შენ ჯილდოს მიიღებ ერთ-

გულებსათვის. ჯოჯოხეთის წამებას მომაცენებენ და შენ დასტკბები ჩემი მაწამებრივი სიკვდილით...

— ო, არა, გურჯო, მაგას რად იტყვი?... შენ უკვლოდ დასტკბული ძმის ხმალი მიფეშქაშე და მე სამსახური მშართებს, შენ ძმა მრჩველი და სისხლი გმართებს. სამსახურად ახლავე მზად ვარ... სისხლი კი სადმე შეგვხვდება და ვავსწორდებით...

მამულის მტერში ყოველთვის აუგს ჰხედავდა არხიმი. მტერი ლაჩარცი იყო, მტარვალცი იყო. მტერს გონება არ გააჩნდა. მტერი ბრმა იყო, ცოფიანი ძილი, გააფთრებული მხეცი, სისხლით მთვრალი, სისხლის მწყურვალი. მტერმა გრძობისა არა იცოდა. და იგი ახლა ოსმალს ნათქვამი ჯერ გაუკვირდა არხიას, მერე გული ისე აუჩუყდა, რომ ლამის დიაცივით აცრემლდა.

ჩქროლვა რომ დაიოკა, უბიდან გულნახის მიერ მიცემული პატარა პარკი ამოიღო და ოსმალს გაუწოდა:

— გამომართვი!

— რა არის? — იკითხა ოსმალმა და პარკი ჩამოართვა. წკარუნზე შეიციო. პარკი ხელიდან გაუვარდა.

— განმაშორე ეშმაკის მახე!

— ქალწული ვიძღვის, ქართველი ქალწული...

— რა ნებას ქართველ ქალწულს ჩემგან?

— ვარაზთან პირისპირ შემახვედრო.

— ძნელ სამსახურს თხოულობ, გურჯო!

— მხოლოდ ორ სიტყვას გადაცემ, მის დანაბარებს.

არხიამა პარკი აიღო და უბეში ჩაუკუნწა მოსაუბრეს.

ვარაზის საბყრობილის კარი რომ შეაღო გუშაგმა, არხიას წასჩურჩულა, ბევრს ნუ დააყოვნებ, თორემ მალე შემცვლიანო. ამიტომ ბნელაში ხშით იცნო თუ არა არხიამა ვარაზი, უმაღლ საქმეს შეუდგა. ნელნელა ბნელს თვალი შეაჩვია არხიამა. ერთადერთ სარკმელში გარეული ნათელიც ჩამოიღვენთა. ორთავენი ტანად ბრგეები იყვნენ. ოდნავ ნათელში უცხო თვალისათვის გარჩევა გაჭირდებოდა. მხოლოდ ეს იყო, ვარაზს თეთრი ჩოხა ემოსა, არხიას შავი. ამას იოლად მოეველებოდა... არხიამა ჩოხა გაიძრო და ვარაზს გაუწოდა.

— რა გსურს, არხიამ? — იკითხა გაკვირვებულმა ვარაზმა.

— აქედან ჩემი გასვლა შეიძლება... შენ ვახვალ, მე აქ დავრჩები... გუშავს სრულებით არ გამოელაპარაკო, სახეც აარიდე რაც შეიძლო, არ გიცნოს...

— ჰქუაზე თუ ხარ, არხიამ?

— სრულ ჰქუაზე!

— მაშ, რად არ გესმის, რას სჩადიხარ?

— ყველაფერი კარგად მესმის, ვარაზ.

— რა აზრია, მე გავიდე, შენ აქ დარჩე, კაცი კაცში გავცვალოთ? თუ გული გერჩის, ბრძოლით გავიდე!

— ეგ შეუძლებელია!

— მაშ შენ წახვალ!

— არა, მე პირობა უნდა შევასრულო, სხვანაირად არ ეწყობა!

— პირობა ვის ნიცი?

— გულნაზს.

სარკმლიდან შემოსული მკრთალი ნათელი დაეცა ვარაზს და იმით გულნათელა სახე, არხიბს კი ეგონა გულნაზის სახელის ხსენებამ გააბრწყინაო, და გული დაეღარა.

— გამიფონე, არხიბ: მე მზადა ვარ შენი წინადადებით ვისარგებლო, თუმცა ვიცი, რომ უფაეკაცობას ჩავდივარ... გარეთ გასული შურისგებისა და შენი გამოხსნისათვის ვიზრუნებ, მაგრამ პირობას ვერ მოგცემ, რომ ნამდვილად გიხსნი... ვინ იცის, გარემოება როგორ მოეწყოს. ჰო-და, რატომ უნდა დაიტანჯო ჩემთვის? დიაცი ბოროტია, არხიბ, გრძნობისათვის, სურვილისათვის არას დაგიდევს. შენ რატომღა დაჰყოლიხარ ნებას...

არხიბმა გააწყვეტინა:

— კმარა, ვარაზ! წადი, გამშორდი! კარზე მდგომი თურქი ჩემს იარაღს მოგცემს. ჭალაში ჩემი ყორანაა, ალალი იყვეს! არ დაგაევიწყდეს, პირველად ბიძაშენი ინახულე.

— არხიბ, ვიმეორებ, რომ მზადა ვარ ჩემს ბედში ჩაგაგდო, ოღონდ ერთხელ კიდევ გავინავარდო ქართლის ველებზე, ოღონდ ერთხელ კიდევ ვეამბოროო ჩემს ნააქენარს, ველირსო კიდევ მის ნახვას...

— ვის ნახვას, ვარაზ?

ვარაზს გაბრწყინებული თვალები ჩაუქრა, სახე საშინლად დაეღრია და დაიგმინა.

— გუებნები, წადი შეთქი, არხიბ! ისეთ საქმეს სჩადიხარ, რომ ბოლოს ინანებ... გვიანდა იქნება თითზე კენანი.

— ვარაზ, მე ვსთქვი... მგონი მიცნობ?

— კი ვიცნობ, არხიბ.

ვარაზმა არხიბის ჩოხა გადაიცივა უმაღლესი, ქუდი თვალებზე ჩამოიფხტა და გასვლის წინ, როცა მშურად გადაეხვია, ეს უთხრა: იცოდე გიხსნი, მაგრამ მაინც ინანებო.

კარები მიიგმანა. გაწყდა კავშირი სიცოცხლესთან. დუმისის, სიბნელისა და დამშული ჰაერის ანაბარა დარჩა არხიბი. ვიწრო სარკმელს ნათლის ქობა ევლო და ოდნავი ციაგი ინაკვეთებოდა სენაკის ბნელში. სარკმლის ძირას ვიწრო საწოლი იდგა, უსაგებო და უსასთუმლო. საწოლის ბოლოს დათვის დაგლეჯილი ტყავი ეგდო. კარებთან პირმოტეხილი სურა გორავდა. იქვე პირგასუფთავებულ კუნძზე პურის გამხმარი ნატეხები ეყარა. სენაკი ვიწრო და გრძელი იყო. შუაში სვეტი ჰქონდა აყვანილი. სვეტი აქეთ-იქით თაღებს იმაგრებდა. კედლებს ძველ ბათქაში ასცივინოდა, გამიშვლებული ჭვები ატირებულებიყვნენ.

აი რაში გაუცვალა ვარაზმა გაშლილი მობიბინე ველები. კიდევ კარგი, ხუნდებიც არა ჰქონდა ვარაზს, რომ ისინიც სართად მიედღვნა არხიბისათვის.

ვარაზი უებრო ვაყვაცია, მიმდობი და მეგობრის გამტანი. ღირს მისთვის თავის განწირვა. მაგრამ დედის ძუძუსავით ტკბილი მთა-ველის, ფათერაკიანი ტყეების, თვითტომ-მეგობართა დათმობა და ამ სენაკში ჩაქეტვა, ეახმე, რომ დასანანიია! რა მალე ინანა არხიბმა...

ორა, არ ინანებს!

არხიბი ვაყვაცია, გრძნობაჰარბი, გარნა ძალუმს გრძნობათა დათოყვა, ნებისადმი დამორჩილება. გულნაზისათვის ყველაფერს აიტანს. მისი პირობის

განადღება ჯილდოა უდიდესი, მისი ღიმილის დამსახურება ტკობაა ვნეტარესი. არხიპს მეტი რაღა უნდა, გულნაზი იხარებდეს... გულნაზის შატი, გულსა შიგან დაქანებული, ავიწყებდა არხიპს ყოველივეს. გულნაზის ნათელი სახე ჭირს უქარწყლებდა და შავ ბედსაც კი გულლიად შეაძინებდა შესცანებდა ჭაბუკი. მაგრამ აქ ვარაზი გაიეღვებდა თეთრი რაშით, თეთრი ნაბდით, თეთრ ჩოხაში და ყვითელ ჩრდილს მიაყენებდა არხიპს. რად ჰქონდა ყვითელი ჩრდილი თეთროსს? გული დაეღარებოდა ჭაბუკს, მაგრამ ტკობის ნათელი, ზეციური და უხილავი მკურნალი, განაქარებდა მკმუნვარებას ყოველს.

რა სიშინელი მყუდროება იყო ირგვლივ. იჯექი გაუჩხველად და უყურე შემამარწყუნებელ ღუმელს. არხიპი ქარების შვილია, მთასტუმნაწოვი აიტანს განა ამ მღუწარებას?

საწოლზე შედგა არხიპი. ვიწრო სარკმელში გაიჭვრიტა. თითქოს ქართლის ცაც გაეძარცვათ. ორად-ორი ვარსკვლავი კიაფობდა მთვარის ნახლობლად. წვერობეგამახვილებული, წელში მორკალული მთვარე ამ ორ ვარსკვლავსაც ჩასაყლაპად ეტანებოდა: რა ბოროტად და გესლიანად იღრიჯებოდა! ერთი მოგწვდებოდეს არხიპი, მიწაზე ჩამოგიტანს, შოთივით გადაგამიტვრევს და ძაღლებს გადაუყრის ნამტვრევებს.

არხიპს მთვარის ყურება მოსწყინდა. ახლა საწოლზე დაემხო და სცადა ოცნებათა ფერიებს აპყლოდა, რომ ეგებ შემაზრზენი აწმყო წუთით მიინც განშორებოდა გონებას. წარმტაცი ლანდების მაგიერ კოშმარი ჩაპყურებდა თვალებში და ისედაც აწეწილ სულს უფორიაქებდა.

გულადმა შებრუნდა ჭაბუკი, ქუსლები დაატყაბუნა საწოლზე და მთელი ძალით იყვირა. თაღებმა ბანი გამოსცეს. გაიხარა არხიპმა, ხმის გამცემი რომ აღმოაჩინა ამ ყრუ ადგილას. იყვირა კიდევ... აზრიალდნენ, აზრიალდნენ თაღები. დაწყნარებას თუ შესთხოვდნენ არხიპს.

ესეც მოსწყინდა...

ნეტავ ვარაზი როგორა სძლებდა? როგორ აიტანა ამდენი ხმის ტყვეობა? ნეტავ სელ ასეთია ბყრობილის ბედი თუ გამოჩნდება ხოლმე წამი, როცა ბედი მოუბლიტავს თვალებს?

ჩინოს დამურები აქ მიინც იყვენ, იწრიბინებენ, იგნისებენ, გაართობენ ჭაბუკს...

ახლა ჩინო, ალბათ, კქანათბერის ციხეში დააბოტებს და ცაცია ხელით ოსმალებს მუქარას უთვლის. თან თვალი გზისაკენ უჭირავს — აი საცაა არხიპი ყორანას შემოაგეღვებს და მარჯვენა მხარს შემოდგამსო.

კარი გაიღო, ვიდაც ჩადროსანმა თავი შემოაპყო...

— ქალბატონი კითხულობს: რა გაწუხებთო?

— რა მაწუხებს? დამურებს ვინატრი, დაიკო. უბრძანეთ, ორიოდ დამურა დაიჭირონ და შემომიგზავნონ. ქალბატონს კი თავყანი ეცი და ძილი ნებისა უსურვე.

ჩადროსანი უშნოდ დაიღმიჭა და იქიდან გაილალა.

არხიპმა გაიკვირვა: ასე გვიანობამდის რატომ ჰღვიძავთო ციხეში. მან არ იცოდა, რომ კარს უკან ციხისთავის ცოლი იდგა და ვარაზის სურვილით სულაშლილი კბილებს აკაწკაწებდა.

და აი შეხედნენ ისინი ერთმანეთს...

ლიაც სენაკში ისევ ვარაზი ეგულებოდა. რხევით შევადა, შემტრკვია მუსკ-ამბრის სუნნელი.

მოახლემ ვეფხის ტყავი შეიტანა, ძირს დააგდო და კარს უკან დაიხაჯდა მიღვა.

არხიბი არ შერხეულა, არც კრინტი დაუძრავს. ოღნავ შემტრკვიალიმეჭე-რებდა ამ ამბავს. არ იცოდა არხიბმა, თუ რა დამოკიდებულება იყო ვარაზ-სა და ამ ქალბატონს შორის, რანაირად უნდა მოჰქცევოდა, რომ თავისი თავი არ გაეცა...

ქალმა ხმა გაიღო:—

— შიშველ ახირებულ ზნესთან ერთად ეს რაღამ მოგაგონა: დამურები დამიჭირეთ?

არხიბს ხმა კიდევ არ გაუღია, მხოლოდ ესაა — წამოდგა და სვეტს იყუდა.

— კვლავ ცივი ხარ და უკარები ლიბების ტალღასავით!

ქალმა ვეფხის ტყავზე ჩამოხსლა, ხელები განიწორდა არხისაკენ.

— შე ისევ გემუდარებ, ვარაზ: მიძღვენი შენი გრძნობა, შენი გული, შენი სიყვარული... შე შენ ვისხნი, მე მდიდარი ვარ... გავიდეთ ქვეყნის კიდე-განზე და დავტყბეთ ამა სოფლის ნეტარებით. ჩემი გრძნობა წმინდაა, უმწიკლო ისე, როგორც სხივისაგან ამღვრელი წყარო... თუმცა ბოროტია ის ჩემი ქმრისა და ოჯახის მიმართ, მაგრამ, ვარაზ, შენთვის...

აი თურმე რა მღვთმარებაში ყოფილა ვარაზი!

არხიბი კვლავ შეუჩხველად იდგა და უცდიდა, თუ რით დასრულდებოდა ეს აღსარება.

დუმითმა დიდხანს ვასტანა. ქალი ისევ ჩოქისთავეზე იდგა, არხიბისკენ ხელებგაწვდილი. სიბნელის გამო ვერ არჩევდა არხიბი, თუ რა იხატებოდა მის სახეზე. ასე ერთმანეთის ლანდებს შეჰყურებდნენ და ციხის დუმითს უერთდებოდნენ. რამდენადაც წიდან საშინელ შფოთში იყო არხიბი, იმდენად ახლა დამშფოთდა და დედაკაცის სულის ჩქროლვას დაუთმო ადგილი.

ანაზღად წამოიჭრა ქალი, მშვიდი არსება რისხვად გადაიქცა:

— იცოდე, ვარაზ, სასტიკია დედაკაცის შურისგება! შენ გულნაზი გიყვარს და მიტომ უარყოფ ჩემს სიყვარულს...

თითქოს თავში რაღაც მოხვდა არხიბს... თვალთ აუჭრელდა, სვეტს შემოხვია ორივე ხელი, თორემ ძირს დაეცემოდა.

ულმობელი დედაკაცი არა სცხრებოდა.

— ორსამ დღენი გულნაზის მოჭრილ თუხს ძღვნად მივიღებ და შენ გიფეშქაშებ, მისმა სახეებამ გაგინათოს საკანი ბნელი!

საიდან გაჩნდა ულმობელი, ბოროტი სული, ამ საშინელებათა მაუწყებელი? გულნაზს ვარაზი უყვარს... გულნაზს თავს მოსჭრიან და აქ, ამ სენაკში, შემოიტანენ. შემოიტანენ ვარაზის გულის მოსაკლავად და მოჰკლავენ არხიბს.

კბილები აახტრიალა არხიბმა, მხარში ჩაავლო ხელი ღიაცს.

— რაო, რა სთქვი?

— გულნაზის თავს გიძღვნი-მეთქი: მკვლეულა გავგზავნე კიკანათბერის ციხეში!

კიკანათბერის ციხეში ბოროტი სული ვერ იხერხებოდა, ვაიელო გულში არხიბმა, ციხისთავის შორისმჭკრეტელი და მახვილი თვალი გულნაზს განრისხებული ღიაცის ბრჭყალებს ააშორებდა. მაცდური ვერ დაუძვრება ჩინოს მა-

ხვილ აზრს, ცაცია ხელით თავს გააგდებინებს და თვით გაჰხვევს რაგვის დაგებულ მახეში. ასე გაიფიქრა არხიბმა და კარგ ხასიათზე დაიღა.

— ვარაზს გულნაზის მოკრილ თავს უძღვნი? მერე მაგით ფიქრობ მის დამორჩილებას? ვარაზმა თავი იხსნა ამ ჯოჯოხეთიდან, ის მშობელ მშენს გადახვევა და ძალამოკარბებული რისხვის მახვილს აღმართავს, თქვენს თავზე! ხმა ეუცხოვა დიაცს.

— შენ ვინა ხარ?

— აბა, აქეთ მოიწი, სარკმლისაკენ, ოდნავი ნათელია აქ. კარგად დამაკვირდი, ვარაზი ვარ?

შეშფოთებულმა ქალმა საფეთქლებზე იტაცა ხელი.

— ვარაზი რა იქნა?

რალაც ველური ყიფინა აღმოხდა არხიბს, მერე ხარხარი მორთო და სვეტს ირგვლივ შემოუბრინა... ხარხარებდა არხიბი, უიმედოდ შეყვარებულ დედაკაცს დაჰხარხარებდა, დასცინოდა თავის თავს, დასცინოდა მთელს ქვეყანას და თაღები ბანს აძლევენენ.

ქალი სენაკიდან გავარდა.

არხიბმა სული მოითქვა და უკან დაადევნა:

— არ გამცე, თორემ მეც წვრილად მოვახსენებ შენს ბატონს ყოველივეს! მერე საწოლზე დაემხო და დიდხანს ქვითინებდა.

რაღა დარჩა არხიბს? შორეულ მწვერვალს ეტანებოდა, ილტვოდა მისკენ, ნათელის გვირგვინს თვალს უსწორებდა, ეპოტინებოდა. თითქოს შეფორთხდა მწვერვალის კალთებზე, მაგრამ რა იქნა მწვერვალი? შავმა უფსკრულმა დააღო ხახა, დაუღრინა. შავით დასრულდა ბედითი გზაი.

ნათელი დაუკარგა ბრწყინვალე ნათელმა. მზემ ამოსთუთქა არხიბს თვალები.

ან როგორ გაბედო მზისათვის თვალის გასწორება, — იტყოდა არხიბი, — არ იცოდი, რომ გაგიკრთობდა მაღალ ზედვას? მხოლოდ ერთადერთი სულდგმულია მიწაზე, რომელიც ბედავს მზისადმი თვალის გასწორებას — ხელიკია იგი. ოდენ ხელიკი არ ეპოება მზის დამაბრმავებელ ნათელს. უნახავს არხიბს სალზე ხავსივით გატყაპული ხელიკი, კისერი ოდნავ რომ შეეღერებინა და მზეს პირდაპირ გულში არქობდა მზერას.

ნეტავ ხელიკისგან ეთხოვნა არხიბს თვალები, მზე ველარ გაუკრთობდა მაღალ ზედვას.

გულნაზ, მზისსწორი ქალწულო, კიდევ იტყვი, რომ უცოდველი ხარ? როგორ შესცოდე: არხიბს გულში ია რატომ გაუფურჩქნე, ვარაზს თუ უწინადი ტრფობის გვირგვინს? არხიბს ეკლნარში ვარდს რატომ აკრებინებ, ვარაზს თუ უკონავ სუნნელ თაიგულს?

ვარაზ, სწორუბოვარო ჭაბუკო, არხიბი ნანობს, თვალნი დაეთუთქნენ, გული დაეკაწრა...

განთიადის ქამს რალაც გნიასი ბყდა ცხვილოსის ციხეში. უჩვეულო იყო ოსმალთა ციხეში ასეთი აფორიაქება. ოსმალნი მეციხოვნენი ქართველ მეციხოვნეებს არა ჰგავდნენ, რომელნიც განსაცდელისა თუ განუცდებლობის ქამს მარად ფორიაქობდნენ და ყაყანებდნენ.

უჩვეულობამ აღაზნო არხიბი. ბუღასავით ეძგერა კარებს, მაგრამ ტიალი მაგრა მოგმანილი დახვდა. მამინ საწოლზე შეხტა და სარკმელს შეეტოტი-

ნა. ტიალი სარკმელი, ოხერი, მისა ასე უარშიოდ დამყოლებელი ოდენ ლაქ-
ვარდს გასკვრეტდა სარკმელი. ძალუმ უყვარდა ლაქვარდი არხიშ, მაგრამ
ამხანად მიწის დანახვა სწყუროდა. უნდოდა გავეგო, რა ხდებოდა იქ, დამლა,
მთის კალთებზე და ციხის კედლებთან.

არხიში ისევ კარებს ეცა. მუხლის თავებით და მუშტებზე მარჯვენად:
განერვიულდება რომელიმე აბჯროსანი, კარებს გამოაღებს და... არხიშმა
უბიდან ბერის ნაჩუქარი ფოლადისმკვეთელი ხანჯალი ამოიღო და დაე-
ლოდა.

კარებს უბრახუნებდა არხიში, უბრახუნებდა და ელოდა... დერეფანში
ვილა-ვილა-ცივები მირბი-მორბოდნენ, მაგრამ არხიშს არაინ მიუხედა.

— ჰეი, მულრეგნო! — იყვირა არხიშმა და მხრებით მიაწყდა კარებს.

გარეთ ვილაცა აღრინდა, ურდული აუგდო კარებს და კბილთა ხრჭილით
შემოიძახა:

— რა გასურს, ღორიშვილო?

მეტის თქმა აღარ დასცალდა. წამსუშალ ეძგერა არხიში, წელში ჩაბლუჯა
და ჰერში აიტაცა. მერე ცალმუხლზე წაიჩოქა, მეორე მუხლზე კისერი გა-
დაიგდო ოსმალოსა და ხანჯალი გამოუსვა. ღორივით ახრიალდა ოსმალო.
ღორებს ასე უსწორდებიანო ქართველნი, — გესლიანად წაისისინა არხიშმა,
ოსმალოს ხმალი აართვა და სისხლით დამთვრალმა გასაელის ძებნა დაიწყო.

მხარმარცხნივ ვიწრო დერეფანი დაქანა. აქეთ დაუხვია არხიშმა და კარს
მიადგა. კართან ხმალშემართული გუშავი იდგა. არხიშმა იცნო თავისი მტერ-
მოყვარე.

— გზა მიტეი, თათარო! — შეუქანა არხიშმა.

— ეს შენა ხარ? აქ რა გინდა?

— სხვა არც რაი, ქართლის დიდებაი ოდენ! ციხეში რა მოხდა?

— გურჯან დაგვესხნენ!

— გზა, გზა მეოქი, თათარო!.. კარი უნდა გავულო მამულიშვილებს!

მცველმა ფოლადი შეაგება არხიშს. ფოლადზე ფოლადმა გაილაწუნა.

— ახლა გავსწორდებით! — იღრინებოდა თურქი.

— შენც შემომაკედები, უბედურო! — აბრთხილებდა არხიში.

ხმლები ჯახუნებდნენ. ნაბერწკლები სხლტებოდნენ ფოლადთა პირებზე
და თავებზე ეფრქვეოდნენ მებრძოლებს. დერეფანი ვიწრო იყო, ძნელი იყო
ხმლის ვაჟკაცური მოქნევა, მაგრამ გამოცდილი ღმალონები აქაც იჩენდნენ
თავიანთ ხელოვნებას.

მხარში დაიჭრა ოსმალო.

— მეხსენი, გზა მიტეი! მეგობრად დავრჩეთ...

— უშალ ჩემს გვამზე გადაივლი!

— მკლავიც შეხმობა არხიშს, თუ არ გადავიაროს!

იქუბა არხიშმა, მოქნეულ ხმალს ხმლის ყუა შეაგება და უშალ ცაცია ზე-
ლით ბერის ნაჩუქარი ხანჯალი ყანყარატოში ჩასცა. ოსმალომ მოასწრო ამო-
ეძახა, ციხეში დალატით და არხიშის ფეხებთან უგრძობლად გაიშოტა.

არხიში კარს ეკვეთა. აყარა ურდულეები. შემდეგ ჯაჭვების ბადე და-
სწყვიტა და ყოვლის შემძლე ხანჯალიც გადატყდა. დაენანა არხიშს ამაღლა-
რი იარაღი, მადლიანი ყუა დაუკოცნა და უბეში შეინახა. მერმედ შვებით
ამოისუნთქა და კარი გამოაღო. ეგონა, კარს გააღებდა თუ არა, ვარაზის
ლაშქარი ყიფინით შეიჭრებოდა ციხეში, თვით არხიშსაც გადათქრავდა,

მაგრამ ჩქამი არ იძვროდა ირგვლივ. ყვიინისა და ჯახანის ხმა წინა ბუკვები-
დან მოდიოდა. გარეთ უნდა ვასულიყო არხიბი და მამულიშვილებისათვის, ღია
კარის გზა ესწავლებინა, მაგრამ ღერეფანში ერთი მეორეზე სამი ოსმალური
ჩრდილი გადმოწვა. არხიბს საით წავსვლებოდა, ღია კარი უნდა დამეცვა.
ბედად ღერეფანი ისე ვიწრო და დაბალი იყო, რომ ორისგანაც გვეს გაი-
მართებოდა. ვერც თავს დაუვლიდნენ. ოსმალნი თითო-თითოდ უნდა შებრ-
ძოლებოდნენ არხიბს.

პირველი მომტევი უმაღ დააწვინა. მეორე კლდის ანათალი შეხვდა. ან-
ეგებ მოიქანცა უებრო ჭაბუკი. მაშ რა არის, რომ რამდენიც მოუქნია, იმ-
დენი დააცილა, ან ხმალი უთავგამოდ გააჩაწუნა ჯაპვის პერანგზე.

დაიპრა არხიბი. ვარაზის თეთრ ახალუხზე სისხლის წვეთები ჩამომწკრივ-
დნენ.

სადა ხარო, ვარაზ, რად შესცდი, უებრო სარდალო, რატომ ამ კარებს
არ მოაყენე ნაწილი შენი მხედრებისა?

მესამე ოსმალ ამხანაგს გვერდში ამოუდგა, წელში მოიხარა, კიაყელა-
სავით დაგრძელდა და ხმლამინდელი მთვარის მსგავსი ხმალი ფერდში ამე-
რა არხიბს.

აჰუ, ვარაზ, არხიბი ეცემა, კარს მოგმანავენ და შეუვალი დარჩება
ცხვილოს ციხეი!

ხმალს კიდევ იქნევდა არხიბი, მაგრამ უნეროდ... მუხლთ ეპრებოდა.
თვალთა წინ რაღაც ყვითელი ლანდები ათამაშდნენ.

არხიბი დაეცა.

ოსმალეებმა კარის ჩაყეტვა მაინც ვერ მოასწრეს, არხიბის პაპის გაწვრთ-
ნილმა ყრმებმა შელეწეს კარი და ისინი ზღურბლზე აჰყადეს.

არხიბთან მისმა ძმამ დაიჩოქა, ხელი მოახვია და გულზე ყური დაადო.
ოდნავ ფეთქავდა არხიბი, თვალნიც გააღო. იცნო ძმაი, გაუღიმა, ხელიც ას-
წია, რომ მოეხვია და გულზე მიეხუტებინა, მაგრამ ვერ შესძლო, ეს კი
სთქვა:

— ვარაზი სად არის?

— ვარაზმა წინა ბუკნი შელეწა.

...გაუღიტეს ცხვილოს ციხის მკველები. ღვარად დიოდა უცხო სისხლი
ქართულ მიწაზე.

ციხისთავის ცოლი თოკზე ჩამოკიდებული ნახეს. უსტარი უპოვეს უბეში:
„ვარაზ, უჯიშო შეილო, ზიზი და შეჩვენება შენ! წამება იყვეს მარად შენი
წილადი, რამეთუ მიზეზითა შენითა მაცდური მეუფლა მე“.

კიანათბერის ციხეში დაასვენეს არხიბი.

სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ იმაზე ეტყობოდა, რომ ოდნავ ეორთქ-
ლებოდნენ ცხვირის ნესტოები. სხვაფრივ არაფერი წუთისოფელთან.

ჩინომ მუხლთ მოიყარა პირშოს წინაშე და მშობლიური კურცხალი და-
ადინა მის გადაფითრებულ შუბლს. მერმედ თავი აიღო და თავის გვერდზე
გულნაზი პპოვა. შერცხვა ქალწულთან ციემლის ფრტვევისა, ცაცია ხელი
თვალეებზე აიფარა და იჭიდან გაილაღბ.

გულნაზი შუბლზე ეამბორა არხიბს. მერმე დიღხანს თვალმიშტერებით
უყურა. უცებ შეჰყვირა. გულადმა გადაიქცეოდა, ვარაზს რომ არ შემო-
ესალტნა მკლავები.

იმდღერებოდა გულნაზი.

რა ატირებდა ქალწულს?

არბიპი რომ ენანებოდა, ეს ნამდვილია, მაგრამ უფრო ის უთუთქავდა გულს: ვარაზი რომ მენახაო ამ ყოფაში.



სულთნის მიერ წაქეზებულმა იესემ ატენის ხეობაში გაელეტილ ოსმალთა შური იძია. დააქცია ატენის, წედისისა და კიკანათბერის ციხეები. ერთხანს ცხვილოს ციხეს ვერ შეუვიდა, მერმედ ლალატით გასტეხა ივიცა.

ჩინო მიუვალ მთებში გადაიხვეწა დაჭრილ არხიბთან ერთად. შეიღს გამოცდილი დოსტაქარი დააყენა და რამდენიმე ხანში გამოამჯობინა.

ერთ დღეს კაცი ეახლა არხიბს. მოახსენა: ვარაზმა თავისი მამული შემოიპყვიდრა, გულნაზზე ჯვარს იწერს და გულით ეწადისო ქორწილში შენს წვევას.

არხიბს არაფერი უთქვამს, ცრემლი მოიწმინდა თვალიდან, ხელი ჩაიქნია, შერმე გულა გადაიგდო მხარზე და ბერად აღიკვეცა.

სიზოცხდისათვის *)

ჩემო მეგობარო მირზა, თავი დაეანებოთ ყველაფერ ამას. შენც მოილაღე-გაკვირეთ გეტყვი ზოგ რამეს ამ დიდი ცხოვრებიდან, რომელიც უნივერსიტეტში გავატარეთ.

მეორე წელი იყო, რაც უნივერსიტეტში ვსწავლობდით, მაგრამ მეორე დღედ გვეჩვენებოდა; ისე შეუმჩნევლად გარბოდა დრო მეცადინეობაში.

ყველაფერს თავისებური ინტერესი, ხალისი ახლდა.

ჩვენ ცალკე ბინაზე ვცხოვრობდით, ერთ ოთახში ოთხი სტუდენტი.

... საღამო იყო. ცივლილი ვისხედით.

ცხელოდა.

ღია ფანჯრიდან ქალაქის ხმაური შემოდისოდა.

სიძონი გამოცდაზე იყო წასული.

ოთახში თენგიზი, სარდიონი და მე ვიყავით.

ის იყო „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უკანასკნელი გვერდები გადავიკითხეთ.

მეორე დღეს, საღამოს, გამოცდაზე უნდა გავსულიყავით.

სასწავლო წელში ეს უკანასკნელი ჩასაბარებელი საგანი იყო.

შემდეგ სოფლისაკენ გავსწევედით ყველანი.

გვიბაროდა.

საგნებს ერთად ვამზადებდით სამნი. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

მე და თენგიზის მეტოქეობას კვლავ სოფლიდან შორსმდებელი დარეჯანისა და ქეთევანის სხივები აღვივებდნენ, ასულდგმულუბდნენ. ამიტომაც მხარდა-მხარ მივდიოდით, არც ერთი ჩვენგანს უკან არ რჩებოდა.

ასევე იყო სოფლადაც.

ჩვენი ქალიშვილებიც ურთიერთშორის ვანაგრობდნენ შეეჯიბრებას.

მაგრამ ბოლო დროს ვერაფრით ვერ ამეხსნა, თუ დარეჯანმა რატომ ერთი ბარათით მანაც არ გამცა პასუხი ჩემს ბარათებზე.

ეს მაფიქრებდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ალბათ დარეჯანის მიზეზით არა ხდებდა.

ვიჯექით პერანგისამარა და ვსაუბრობდით.

— გვეყოფა ახლა, წავიდეთ კინოში! — დაიძახა თენგიზმა.

— წავიდეთ! — დაეთანხმა სარდიონიც და წამოვდგა.

მე უარი განვუცხადე მეგობრებს. „ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ერთი თავი კიდევ მინდოდა გადაამეკითხა.

— მაშ ჩვენ წავიდეთ, — სთქვა თენგიზმა და სარდიონს გაჰყვა.

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ №№ 1, 2.

— თენგიზ, დახურე კარი, მეცნიერება გარეთ არ გამეძეოს! — მიუძღვნე და მაგიდას მიუღუჯე.

რაღაც ფიქრებში ვიყავ გართული, რომ უცებ ფეხის ხმა და სიცილიური მომესმა კართან.

დააკვირნენს. გავაღე თუ არა, ოთხი ქეთევანისა და თინას სიცილით აივსო.

— თინა, ქეთევან! — წამოვიძახე და მივეგებე.

— ის საღ არის? — იკითხა ქეთევანმა და შოიწყინა.

გასაგები იყოს, ვის დაეძებდა ქეთევანი. — ისეთი კილოთი წარმოსთქვა „ის“, რომ ვივრძენ ჯავრობდა, თენგიზი რომ შინ არ დახვდა.

— ის კინოშია და მალე მოვა! — მიუღუგე და სკამი დავედღა.

მაგრამ ახლა მსგავსი სიო მეც შემეხო. ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე:

— მარტონი მოხვედით?

— შენც მოგხვდა, გეტყობა! — მომიგო თინამ, — შენც საკუთარ „ის“ დაეძებ, არა?

მე არაფერი ვუბასუხე. თანხმობის ნიშნად მხოლოდ შევხედე.

— დაგსაჯი დარეჯანმა! — სთქვა თინამ და უბიდან ბარათი ამოაძვრინა. — აი, წაიკითხე ყველაფერს ვაიგებ. ჩვენ განცხადების შესატანად წამოვედით, ის კი დარჩა.

— რად დარჩა დარეჯანი განა უმაღლესში ხწავლა არა სურს? — გულისფანტკალით ვკითხე თინას.

— ეგ წაიკითხე და ყველაფერს ვაიგებ.

ბარათი გამოვართვი და წაიკითხე:

„ვახტანგ! დავრწმუნდი რაღაც მოხდა. შენგან ერთ წერილსაც ვეღარ ვეღირსე. ხუთი მოგწერე, ერთიც ვერ მივიღე. რადგან ასეა, არ შეგაწუხებ. ამის მეტს წერილს არ მოგწერ... დარეჯანი“.

„რა არის ეს?“ — ბარათი მაგიდაზე დაეარდა.

— ქეთევან, შენ მაინც არ მეტყვი, რა მოხდა? — ვკითხე და ორთოლვა დავიწყე.

— დარეჯანი ალბათ შენ გეკითხება და მე რაღა ვითხრა? შენ უკეთ გეცოდინება, წერილს არ უგზავნი.

— ათი მაინც გამოგზავნა, მისგან ერთიც კი ვერ მივიღე.

— თავს იკატუნებ! ვახტანგ, შენი დასჯის დღეები დადგა! — ჩაურთო თინამ. ვერაფრით ვერ დავარწმუნე ქალიშვილები, რომ წერილი ბევრი გავგზავნე და სამაგიერო ერთიც ვერ მივიღე.

— მეც აღარ მოვეუცდი თენგიზს, დასჯის ღირსია! — სთქვა ქეთევანმა. — წავედეთ, თინა, მისამართსაც აღარ დაგტოვებ... გვეძებონ!

— მოიცა, ქეთევან! — შექძახა თინამ, მაგრამ ქეთევანმა ძალით ვაიგუნა და კიბებზე ჩაარბენინა.

— ვახტანგ, არ გამაცოლებ? მე მაინც მოვალ! თქვენი დასჯის დღეები დადგა, მე მაინც მოვალ! ხვალ, ხვალ! — იძახოდა თინა, მაგრამ ქეთევანმა ის გაიტაცა.

ქუჩიდან რაღაცას კიდევ მეძახდა თინა, მაგრამ სიტყვები აღარ მესმოდა.

გაჩაღებულ ქალაქს გადავყურებდი. არა მჯეროდა თუ დარეჯანი ასეთ უფულო ბარათს მომწერდა. მაინც ვერაფერი გამეგო, რა მოხდა, ნუთუ მართლა ჩემგან ბარათს ვერ ღებულობდა? ნუ თუ მეც მოგზავნიდა დარეჯანი და ვერ ვღებულობდი? „რაღაც კი არის, მაგრამ რა? ნეტავი ჩუპრა მოვრჩე ყველა“

ფერს და ვაგეშზავრო“ — გაჯივლე ვულში. ქალაქი სხვანაირად მჩვენა. თითქოს ყოველი ელნათურა მე დამცინოდა...

ახალგაზრდებს სიცილი მოისმა ქუჩიდან, მეგონა ისინიც მე დამცინოდნენ... ქუჩაში ხეების შრიალმა მომაგონა სოფელი.

შემატრეოლა. თაკარა სიციხეში შემცოვდა თითქოს.

„ხომ შეიძლება თავი მივანებო ყველაფერს, ისევ მეცადინეობას მოვკიდო ხელი, მოვითავო და ჩქარა წავიდე?“ — შევეკითხე ჩემს თავს.

წოგნი ავიღე: წიგნის ყოველ გვერდზე დარეჯანს ვხედავ იცინის, ნუ რა მე დამცინის? „მოიცა, დარეჯან, მადროვე ცოტა“, — ვეუბნები და კითხვას განვაგრძობ. მაგრამ არა, თავში არაფერი არ შედის, პირიქით, რაც იყო, გააქრა. ისევ წამოვდები.

მინდოდა მომენახა დარეჯანის სურათი, უწინდებურად დავმტკბარიყავი მისი ცქერით. მაგრამ მივხვდი, საჭირო არ იყო ეს.

დარეჯანს ისედაც ცოცხლად ვხედავდი, თითქოს ხმაც მესმოდა მისი.

ტახტზე წამოვწევი. ხელი თვალებზე დავიფარე და გავიტრუნე. ხელი თითქოს ეკრანად იქცა: მთელი სოფელი გამოჩნდა შიგ თავისი ავ-კარგით, თუმცა უფრო სამწუხარო სურათებს ვხედავდი...

ერთი წელი იყო გასული, რაც ჯერ ბებია, ხოლო ერთი თვის შემდეგ ბაბუა მივაბარეთ სამარეს. ამ სამწუხარო სურათებს ვხედავდი.

ყველანი ნაღვლიანი ხმაგაქმნიდნენ დამხედნენ სოფელში, თუმცა არა სტიროდნენი. ალბათ იმიტომ, რომ ბებია ბოლომდის მიიყვანა ცხოვრება, შემდეგ ვულზე ხელების დაკრეფით ყველაფერს ჯვარი დაუსვა, თითქოს ჩასთვლიმა. მაგრამ შეილი მაინც სხვა იყო:

ოთახში, სადაც ბებია ესვენა, ყარამანი ლოგინზე პირალმა გაწოლილიყო და ფიჭის მისცემოდა.

ვინ იცის, რას განიცდიდა ყარამანი იმ წუთში.

ბებიას გამხდარი ხელები მომელანდა, ლოგინზე პირქვე რომ ვეგდე დაცხარედ ვსტიროდი. ბებია მუბლზე შეუმჩნეველად შემახო ხელი... „ნეტავი ის ხელი ახლაც შემეხოს, თუ ისეთივე სითბოს მომიტანს...“

მეორე დღეს გაიტანეს ბებია. ასე მეგონა იმ უფსკრულში ეშვებოდა, რომელსაც რამდენიმე წლის წინად დასჩერებოდა.

შემდეგ ისევ დარეჯანი წარმომესახა და თავზე თითქოს ჩაუჭრობელ, თანაც მიუწვდომელ შუქად დამაღვა.

როდის მოასწრო ასე შორს წასულიყო დარეჯანი და ჩემს წინაშე მიუწვდომლობის შარავანდელით წარმომდგარიყო?

იყოს დარეჯან შარავანდელი, თუმცა ჩემთვის მიუწვდომელი, მხოლოდ მინათოს. მუდამ იღვეს ასე ჩემ თვალწინ!

ოთახის კარი ხმაურით გაიღო, შიგ ჩემი მეგობრები შემოცვივდნენ და ზეზე ამავდეს.

— გათენდა, ადექი, ვახტანგ! — დაიძახა თენგიშმა.

— მეტნიერებაში უნდა შეესტოპოთ, ამბობში და ძილში შესტოპე? — დაუმატა სარდიონმა.

სახეს ვისრესდი, ვერაფერს ვამბობდი...

— მე არსად არ შემიტოპავს, — დაგვიანდით ვავეცი პასუხი, — თავი დაეხარე.

თენგიშმა მოწყენა შემატყო და მომაჩერდა.



— რა მოვივიდა? ძილმა ხომ არ გაწყინა, ვახტანგ?
 — არა, თენგიზ, მოვიდნენ, გამახარეს და გამამწარეს.
 — ვინ? — გაკვირვებით მკითხა თენგიზმა და სარდიონს შეხედა, — ბოლ-
 ვას აგრძელებს.

— სიმართლეს გეუბნები, თქვენ ყველაფერი ბოლდა გვითხით! — მიუგა
 მე. — თინა და ქეთევანი იყვნენ აქ. მეც ვამაგიყეს და თვითონაც გიყვებივით
 გაგარდნენ ქუჩაში.

— როგორ, საიდან?
 ყველაფერი ვემაზე.
 თენგიზს არა სჯეროდა, რომ ქეთევანმა არ მოუცადა, მისამართიც კი არ
 დაუტოვა.

— ვახტანგ, ვგებ დაგესიზმრა?
 — ახლავე ვაიგებ, — მიუგე და დარეჯანის ბარათი გადაგუკითხე.

— ალბად ყველანი გაგიყდნენ! — წამოიძახა თენგიზმა და ქუღბი აიღო. —
 სარდიონ, გავიქცეთ, ჩქარა, ჩქარა!

— მოიცა, თქვენ მეც ვამაგებივით! — სთქვა სარდიონმა, მაგრამ თენგიზმა
 გააგდო კარებში და კიბეზე ჩაარბენინა.

მომავლიდან წიგნში ტასიას მიერ გამოგზავნილი ბარათი იღო. ამოვიღე ეს
 ბარათი და წავიკითხე:
 „ძვირფასო ვახტანგ! ალბათ, შენ ვაგიკვირდებო: როგორ მოგნახე. მაგრამ
 რა ვქნა... ჩემმა გულმა მოგნახა, ვახტანგ. შენ ამ გულს არ იცნობ, მაგრამ
 შენ გიცნობს ის და შენთვის ფეთქავს... უბედურ ჩემზედაც იფიქრე და მომი-
 გონე. ერთი წერილი მაინც მაღირსე. თუ მე მუდამ შენზე ვფიქრობ, შენ ერთი
 წუთით მაინც შემხედე. ვინ იცის, იქნებ სხვანაირი გამოვიჩნდე, ვიდრე შენ
 დღემდის მხედავდი“...

მიკვირდა, რა საბაბი მივეცი ტასიას, ასეთი ბარათი რომ გამოგზავნა, ან რა
 მოეწონა ჩემში ისეთი, რაც სხვაში მან ვერ იპოვა. ბავშვობიდან შეზრდილი
 დარეჯანი გამიბრბის. ტასიასთან ორი სიტყვაც არ მითქვამს და ის ჩემსკენ
 მოიწევს. — ვაგიფიქრე და ჩემი თავი ძლიერ პატარად მომეჩვენა, ისე პატარად,
 რომ სათქმელადაც კი არა ღირდა.

ფიქრობდი: ტასია ცდება. არ იცის ვინა ვარ. საყმარისია ოდნავ გამიცნოს
 და მყისვე ხასიათი გამოეცვლება, პირს იბრუნებს ასეთ ბარათების წერაზედაც
 ხელს აიღებს.

სხვე დარეჯანისგან მიღებულ ბარათს კითხვა დავუწვეე.
 ყოველი სიტყვა მახვილივით მხედებოდა გულში, მაგრამ ის მახვილიც ჩემ-
 თვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ტასიას სატრფიალო სიტყვები.

ვიკოდი მახვილი დარეჯანის ხელით იყო მოქმედი და ამ ხელით სივე-
 დილსაც არ ვავემცაოდი.

თითქოს ახლა აღმოვაჩინე: საქმე არც ისე უიმედოა, რომ დარეჯანი მხო-
 ლდ გაჯავრდა ჩემზე. თუ სიმართლეს ვაეაგებინებ, ის ძველებურად ჩემი
 იქნება.

„იმედიც კარგია, ვახტანგ“, — ვუთხარი ჩემ თავს.
 დავწვიძი.

თენგიზი და სარდიონიც დაბრუნდნენ. ისინი ქმნით შემოვიდნენ ოთახში.
 თითქოს მეძინა, ვაეიტრუნე. შეძებრები კიდეც კარგა ხანს ჩურჩულებდნენ,
 იშვინდნენ ოფლს, ჯღებოდნენ, დგებოდნენ. ჩაწვინენ.

უშალ მათი ხერხევა მომქსმა.

თენგიზი ასეთ შემთხვევაში მჯობნიდა მე, — ნაკლებად დღეობდა...



21.

მეორე დღეს ტოლებთან საუბარსაც ვერიდებოდი.

მთლი დღე ოთახში გავატარე. საღამოთი სამივენი უნივერსიტეტში წავე-

დით, გამოცდებზე ჯერ თენგიზი და სარდიონი გავუშეი.

ბურანში ვიყავი თითქოს. საგანზე სულ არ ვფიქრობდი.

როცა შევედი, შუა ტანის, ხანშიშესული პროფესორი ქრელი თვალებით მომაჩერდა, — ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ კითხვები მომცა.

რატაც ვუთხარი, თუმცა ახლაც არ ვიცი, რა ვსთქვი მაშინ.

გაილინა, კიდევ რამდენიმე შეკითხვა მომცა. ჩემი პასუხის შემდეგ ღიმილი პროფესორის სახეზე გაკვირებამ შესცვალა, გამომართვა მატრიკული და შიგ ჩახედა.

— თქვენ სულ ფრიადები გყოლიათ... ამიტომ ვერ გამიგია, რაშაა საქმე. იცით თუ არა, რა კითხვა მოგეცით და რა მიპასუხეთ? რა დაგიწეროთ? საშუალოც რომ დაგიწეროთ, ფრიადების გვერდით შერცხვება... სჯობს შემდეგისთვის... დიახ, წაბრძანდით.

გამოვართვი მატრიკული და ბორძიკით მივატოვე ოთახი. გარეთ რომ გამოვედი, ამზანაგები შემომესივინენ და კითხვა დამიწყეს.

პასუხის მავიერ ჩემი მატრიკული მივეცი მათ.

— რას ნიშნავს ეს?

— რა მოგდის, ვახტანგ? — მეკითხებოდნენ.

მე პასუხი აღარ გავეცი.

მატრიკული ჯიბეში ჩავიდელი და შინ წავედი.

— სად მიხვალ, მოიცა, ვახტანგ! — დიძახა თენგიზმა.

ყურადღება არ მივაქციე, ფეხს ავუჩქარე.

თენგიზი და სარდიონი წამომეწივნენ. რა მოგდისო, მეკითხებოდნენ, მაგრამ პასუხს აღარ ვაძლევდი.

მოვედით შინ.

სიმონი დაგვხვდა იქ; თინა და ქეთევანი იყვნენ აქო, გვითხრა.

თენგიზი აწრიალდა, სთხოვა სიმონს და ერთად წავიდნენ.

მე არ გავყვი.

ძვე მარტო ვიყავი ოთახში.

მეცადინეობაზედაც აღარ ვფიქრობდი.

ჯიბეებში ხელეები ჩავიწყვე. ბოლთასა ვცემდი.

მერე დაეწეკი, თვალი დავხუჭე და ჩამეძინა.

ბრახუნი ჩამქსმა ძილში. წამოვიქერი, კარი გავაღე, ვიღაც ყმაწვილი შემომეფეთა.

— ვინ ვინდით? — ვკითხე.

— თქვენ მინდობართ. აი ბარათი! — მოთხრა ყმაწვილმა, ბარათი მომცა, შესდგა, შემდეგ წავიდა.

ყმაწვილის პასუხს ჩავუფიქრდი: „მე თქვენ მინდობართო“. მაშ იგი მიცნობს, მაგრამ ყურადღება ვერ მივაქციე. დიახ, ის ყმაწვილი მინახავს. სოფლიდან არის, მეზობელია.

ბარათის კითხვა დაეწყო:

„ძვირფასო ვახტანგ“!

მაგრამ არა, დახედო, ვინ არის. ბარათის ავტორი იგივე „ტასო“ აღმოჩნდა. მინდოდა დამეხია ბარათი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძღვრდა და უკანხვანვე განვაგრძე. ბიჭო! — წამოვიძახე, — ერთი ადგილი ხმაძალა გაქვინა!

„დაასრულეს საშუალო და ახლა ქალაქში მოდიან ყველანი. ალბათ, შეგედებით და ერთმანეთს ყველაფერს გაუშვლით. ბევრი ვეცადე, შენგან ერთ სიტყვასაც ვეღარ ვეღირხე. ყველაფერი დაღუპულია, ისევ სჯობს სიმართლე გითხრა: ჩემი პატარა ძმა სოფლის ფოსტაში მსახურებდა. მეც ზომ სამკითხველოს ვამგე ვარ თემში და ახლოს ვიყავი. შენსა და დარეჯანის წერილებს ვაგროვებდი, ვკითხულობდი და შემდეგ ვხევიდი. განსაკუთრებულ სიამოვნებას დარეჯანის წერილების დახვეა მგერიდა. შენი კი მენახებოდა. მაგრამ რა შექნა? ის დარეჯანისადმი იყო მიმართული, მას უაღერსებდა, მე კი მტანჯავდა... ახლა დავრწმუნდი, სისკულეღ ჩავიღინე და ამიტომ გამოვიტყედი. იყავით ბუნდებიერი“...

ამ ბარათმა შემცვალა თითქოს. რაღაც სიმძიმე ჩამოვიშორე, მაგრამ დარეჯანის სიტყვები: „ამერიდან აღარ შეგაწუხებო“, ისევ ტკივილად მჩრებოდა გულში.

ჯიბებში ჩავიღე ხელები და სეირნობა განვაგრძე.

დაღამდა.

ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ილეოდნენ სხივები, როგორ ეშვებოდა სიბნელე. შემდეგ ამ სიბნელის შესამუსრადად, როგორ ენთებოდნენ აქა-იქ ქლნათურები.

არ იცის ტასიამ, რომ დარეჯანი სოფელში დარჩა, რომ სცოდნოდა, ასეთ ბარათს აღარ მომწერდა.

გარეთ გავედი.

მტკვრის პირას ბაღს გავყევი ქვევით, გრილი ნიავი სახეზე მცემდა და შევბას ვგრძნობდი.

ბოლოს ბაღის მეორე თავში აღმოვჩნდი და უცბათ შეეჩერდი.

იმეჯ გზით დაებრუნდი უკან. მტკვრის ჩხრიალს ნაბიჯები შევეუწყე. ეს სიამოვნებას მაგრძნობინებდა, და მამშვილებდა.

ისევ მოუსვენრობა ეიგრძენი ერთბაშად.

შინ წავედი.

გზაზე ქუჩის საათს შევავლე თვალი და გამოვიკვირდა:

„დრო შირბის, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ“, — გავიფიქრე.

საათმა ათჯერ დარეკა.

ჩენა ოთახიდან სცილი მომესმა. შევადე თუ არა ქუჩიდან შესასული კარი, ქეთევანი სცილით შემომეგება.

— პა, მოხვედი, ვახტანგ, შენ დავეძებლით. აი, — მომაძახა, რაღაც ბარათი ამოიღო ჯიბიდან, დამანახვა და ისევ გამშორდა, — შე წაველ და მოფტრინდები! — სთქვა და მოუსტა.

ზევით ავედი.

ჩენაი ოთახის კარი გამოღუპული დამიხვდა. ოთახი ახალგაზრდებით იყო გაქედილი. ზოგი ფანჯრის რაფაზე იჯდა, ზოგი სკამზე და ტახტზე, ზოგიც შეკრულ წიგნებზე და ზოგი ფეხზე იდგა. ხელებს იქნეიდნენ, ლამაზაკობდნენ, იცინოდნენ.

შეველი.

— ვახტანგ, ვახტანგ! — გაისმოდა ოთახში.

იღუმალი ღიმილით შემომხვდა თენგიზი. მიზეზს ვერ მივხვდებოდი.

— მაშ, წაივდით, მეგობრებო! ვახტანგსაც ვთხოვით, რადგან უკვე დასრულდა, უნდა შესრულდეს! — დაიძახა ერთ-ერთმა, შალალმა, მოსულმა სტუდენტმა, რომელსაც სახელად მირზას ეძახდნენ. — ეგ შენ იყავი!

მე უარი განაცხადე სადმე წასვლაზე. ბევრი მთხოვეს და ბევრს მიხევეყნენ. გარეთ არ გავედი.

— ქეთევანს შეევირდი, აქ მოგიციდი მეტეჟი, მაგრამ, ვახტანგ, თუ აქ დარჩები, ერთად წამოხვალთ, — მითხრა თენგიზმა.

თანხმობა მივეცი და თენგიზი გავიდა.

მაგიდასთან შეეჩერდი. შევათვალეო, — ტასის ბარათი იქ აღარ იყო.

— აჰ, შე ეშმაკო, სად ვააქროლე? — წამოვიძახე ქეთევანის მისამართით. გადმოვეყარე წიგნები, გამოვალე მაგიდის უჯრები, მაგრამ ბარათი ვერსად ვიპოვე. მაგიდას მიფუჯეჟი, თავზე ხელები შემოვიდე და გადაშლილ წიგნს დაეაჩრდი.

ჩავსცქეროდი, — ასოებსაც ვეღარ ვხედავდი.

რალაც ტრიალი იდგა ჩემს თავში.

აღმათ ძალიან დიდხანს ვიყავი ასე.

რალაც ვიფრქენი და მივიბედე.

ჩემს საწოლთან წინაღამის მოჩვენებასავით იდგა დარეჯანი, ხოლო კართან — ასევე გაუნძრევლად — ქეთევანი.

— ვახტანგ! — თითქოს ერთსა და იმავე დროს შემომძახეს.

წამოვიჭერი.

— ნუ თუ შენ ხარ?! — მიუძახე დარეჯანს და გავეშურე მისკენ.

დარეჯანიც ჩემსკენ გამოქანდა.

— დარეჯან, შენა ხარ? — გავიმეორე. მისი მზიური სახე სულ ახლოს იყო.

დარეჯანი არ იმტრეოდა, მიეუახლოვდი, თითქოს მისი ტუჩების ჯადოქრული სითბო ვიგრძენი. თავებრუ მესხმოდა და აზრზე რომ მოვედი, დარეჯანის სიტყვები მომესმა:

— ვახტანგ, გვეყოფა... უსამართლოდ დავსაჯე, ვერ მოვითმინე... ამით ვათვლება. დრო მოვა... მაშინ! — სიტყვა და სკამზე დავშვა.

— დარეჯან, სტორი?

— არა, ეს სიცილის ცრემლებია, ჩემო ვახტანგ, ცრემლები უფრო მახარებენ... მაპატიე! — მითხრა და ცრემლებით საფე თვალები მომაპყრო.

მეც დარეჯანის პირდაპირ სკამზე დავეშვი. ღუმბილი ჩამოვარდა. ცოტახნის შემდეგ ქეთევანმა დაარღვია სიჩუმე.

— გვეყოფათ ახლა, გველოდებიან. გზაში შემოგვხვდნენ და პირობა დავდეთ! — სიტყვა ქეთევანმა.

წამოვიშალეთ და ერთად წავედით.

მიქროდი.

სოფელმა სხვა სიხალისე ჩამოიტანა.

თითქოს ქალაქში დღეს პირველად გამოვდიოდი.

მეორე დღესვე გამოცდაზე გავედი. იმავე პროფესორმა ღიმილით გადმომხედა. მას აოცებდა ჩემი ასეთი აჩქარება. რა შეიძლებოდა შეესწავლა ერთი ღამის განმავლობაში. — ფიქრობდა იგი. შეიძლება გულაც მოსდიოდა. მაგრამ

როცა კითხვებზე ჩემი დალაგებული პასუხი მოისმინა, მის სახეზე გვერდებ-
და და სიხარული აღიბეჭდა.

კითხვები ამოიწურა.

პროფესორი წამოდგა, ჯიბეებში ხელები ჩაიღო და გამოიღებინა
— გასაოცარი, პირდაპირ ვერ გცნობთ დღეს... მაშ გუშინ რა დაგემართათ,
ჭაბუკო?

გუშინ ყმაწვილი ვიყავი, დღეს კი ჭაბუკად გადავიქციე — მინდოდა მე-
თქვა, მაგრამ თავი შევიკავე და მოკრძალებით ვუბასუხე პროფესორს:

— გუშინ შეუძლოდ ვიყავი, პროფესორო, დღეს უკეთა ვარ.

— კარგი, კარგი... მაშ, ჩემო კარგო, გამოცდაზე ყოველთვის ჯანმრთელი
უნდა გახვიდეთ. მაღლობელი ვარ! — სიამოვნებით წარმოსთქვა პროფესორ-
მა, მატრიკულში რაღაც ჩასწერა და ხელში მომცა.

მადლობა გადავუხადე და გარეთ გავვიღე.

შეგობრები შემომესივნენ. დარეჯანი, თ... და ქეთევანი მიცდიდნენ. მატ-
რიკული თინამ გამომტაცა ხელიდან, ჩახედა, ხელები ასწია და დაიძახა:

— ფრიადი! ფრიადი!

ქეთევანი მოვიდა ახლოს და ყურში მითხრა:

— ყმაწვილო, დარეჯანმა გამოგაღვიძა?

22.

... იმ წელს ვამთავრებდით უმაღლესს.

გულის ძვრით ველოდით დასასრულს.

სოფელში გასამგზავრებლად ვემზადებოდით.

მარტო ვიყავი. გუშინდელი საღამოს სურათი თვალწინ მედგა.

ვეებერთელა მაგიდის გარშემო ვისხედით. მაგიდის თავში მოხუცი აკადემი-
კოსი იჯდა. ცალი ხელი ყურთან მიეღო, ვიღაცას უსმენდა გვერდზე გადახ-
რილი. აქეთ-იქით აკადემიკოსები და პროფესორები შემოსხდომოდნენ. მაგრამ
იმ აკადემიკოსის ჭაღარა თავი მყინვარწვერივით გამოირჩეოდა.

მაგიდის ქვემო გაყოლებაზე ისხდნენ სხვა ჩვენი მასწავლებლები და ლექ-
ტორები.

შემდეგ ჩვენი ფაქულტეტის კურსდამთავრებულთა ვებერთელა წრე იწყე-
ბოდა.

პირველი სიტყვა და ჭიქაც იმ მოხუცმა აკადემიკოსმა აიღო.

მისი სიტყვები ძლივ-ძლივობით ისმოდა სიჩუმეშიც.

ვუსმენდი და ასე ვფიქრობდი: რამდენადაც სუსტია მოხუცის ხმა, იმდენად
ძლიერია მისი შინაარსი. დაწმენდილია, სუფთაა იმ სიტყვის აზრი...

დაასრულა. ფრთხილად დაეშვა.

წამოდგნენ სხვებიც.

შემდეგ კურსდამთავრებულებმა წარმოსთქვეს მგზნებარე სიტყვები.

მაგიდა სავეს იყო ნაირი საქმელებით, სამსელებით და ყვავილებით.

მოშორებით უკრავდა მუსიკა.

დაუღეწყარი საღამო იყო.

ვიცოდით ეს პირველად ხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში და იგი არასოდეს არ
განმეორდებოდა...

ამიერიდან ჩვენც უნდა შევდგომოდით კულტურის ქედვას:

მე და თენგიზს უნივერსიტეტში გვეტოვებდნენ მეცნიერულ მუშაკებად. მაგ-

რამ ჩვენი ქვეყნის ძლიერება წითელ არმიასი სავალდებულო სამხედრო სამსახურს მოითხოვდა.

დამთავრდა სალაშო. საბლში დაებრუნდით. აქ ყველა მეგობარმა თავი მოეცარეთ და ერთად გავედით ქალაქში, მამადავითის მთისაკენ. როგორც ყოველთვის, წყვილ-წყვილად მივდიოდით: მე დარეჯანთან, ხოლო თენგიზი — ქეთევანთან.

ვინაიდან თინა და სარდიონი კენტებად რჩებოდნენ, ძალაუხებურად მათაც ერთად განაგრძეს გზა.

სალაშო იყო. ჩვენ მთის გასწვრივ, ახლად გაშენებულ ბაღში ავედით.

იმ ადგილს მივეუახლოვეთ, სადაც ბელადის ქანდაკება დგას. თინა და სარდიონი ჩამოგვჩნნენ და სკამზე დასდნენ. ჩვენ გზა განვაგრძეთ. სულ მალე ავედით. ახალგაზრდა ნაძენარო შრიალებდა, იშმუშნებოდა.

თენგიზი და ქეთევანი მკრთალ სიბნელეში ნაძების ბუჩქთან შეჩერდნენ. ჩვენ აბო ლანდებივით ვხედავდით ბნელაში. ჩვენ გზა განვაგრძეთ. სულ ახლოს იყოს ბედნიერება. მე თვალბში ჩაჭერებოდი დარეჯანს, ჩემი ცხოვრების ვარსკვლავს. ამ ვარსკვლავს სიტბოც ჰქონდა, სინათლაც, ბედნიერებაც. ის ჩემი სულის ზღვა იყო. ან ზღვას დასასრული აღარ უჩანდა. თავს ვიკავებდი. სულ ერთი იყო, კოცნით იმ ზღვას ვერ ამოვცდიდი. აჩქარებული სუნთქვით ვგრძნობდი იმ ზღვის საამურ რბევას და დღევას... ვიდრეკით ხელიბელ გადაჭლობილნი და იმ ახალგაზრდა ნაძენარივით ჩვენც ვირბოდით.

გვიან გამოებრუნდით. მთის კოშკთან შეეჩერდით და გაჩაღებულ თბილისს გადმოვხედით ზემოდან:

ახალი ქუჩები, სახლები, ქარხნები, სადაც წინათ პატარა სახლები იყო, იქ ახლა დიდი სახლები მოსჩანდნენ. ვიწრო ქუჩების ალაგას ფართო ქუჩებს გავშლათ მხრები. პატარა სახელოსნოების მაგიერ დიდი ქარხნები აღმართულნიყვნენ.

— სხვა რაღა ვითხრა, ჩემო მირზა! ისედაც გამიგრძელდა ამბავი. ჩვენ ხომ ერთად დავასრულეთ სამხედრო სასწავლებელი და შემდეგ არმიასიკ ერთად გავგზავნენ. ვერ კიდევ სამხედრო სასწავლებელში ვიყავით, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. და ამ დროს ის ჩვენი საერთო ცხოვრება შენთვისაც ნაცნობია.

მე და თენგიზი უკველო შეებულებაში წავედით ჯარიდან. ის ზაფხული სოფლად უნდა გავგეტარებინა ორივეს.

ჩვენ „მშეთუნახაიებთან“ დაქორწინება სოფელშივე უნდა მოგვეწყო, ხოლო შემოღობიდან მეცნიერული მუშაობის განსაგრძობად უნივერსიტეტს უნდა დაებრუნებოდით.

ჭალიშვილებიდან თინამ უნივერსიტეტი დაამთავრა და მასწავლებლად წავიდა სოფელში, ხოლო დარეჯანი და ქეთევანი ორი-სამი თვის შემდეგ ექიმებად უნდა გამოსულიყვნენ. მოუხედავად ამისა, შეებულება აიღეს და ისინიც ჩვენთან ერთად სოფელში წამოვიდნენ.

სადგურზე რომ გადმოვდიოდით, ყველაფერი გამოცვლილი გვიჩვენა:

სადგურის უკან მოასფალტებულ მოედანზე ვეებერთელა ავტობუსი გვეხუნებდა.

შოფერი გაკიოდა:

— ვიმ არის მსურველი, ავტობუსი ხუთ წუთში წავაი იჩქარეთ! იმ ავტობუსით გავემგზავრეთ შინასკენ.

მიქროდა ავტობუსი და გზის ორივე მხარიდან ხალხის განუწყვეტელი შემოქრობა მთელი ისმოდა. ცხოვრებით კმაყოფილი ხალხი მზიარულ შრომის ეშვებდა, ყველაფერი გამოცვლილიყო. არც ეზოები ჰგვანდნენ ძველ ეზოებს, არც ბაღები, არც სახლები, არც გზები და არც თვით ხალხი.

თითქოს ქალაქის იერი გადაპყვროდა სოფლებს, მაგრამ ისე არ ხანდა იყო, თითქოს უფრო მიმზიდველი სჩანდა, ვიდრე ქალაქი.

ჩენს თემში მივედით. მხოლოდ ორი წელი იყო გასული, რაც აქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ამ მცირე დროის მანძილზეც მას დიდი ცვლილება დასტყობოდა. მეზობლები შემოგვეცინენ.

ათწლედის შენობიდან თმაშექადარავებული. დედაჩემი გამოვარდა, — ჩენსკენ გამოეშურა.

მივევებე დედაჩემს.

— გათენდა, შეილო! — შემომძახა დედამ და ბავშვივით გულში ჩამიკრა. შემდეგ მიესალმა ყველა ჩემს შეგობარს, მაგრამ რატომღაც გამსაკუთრებით დარუჯანს მიუალურსა.

ალბათ, დედაჩემიც თანაუგრძნობდა ჩემი და დარუჯანის ურთიერთ გრძნობას. ახლა უფრო გარკვევით ეხედავდი ამას. სჩანდა, დარუჯანიც მიპზვდა:

საკუთარ დედასავით ეხვეოდა დედაჩემს. ეს მახარებდა.

მალე არჩილი და კაპიტონა გამოჩნდნენ. საიდანღაც სიმონი მოვიდა, იგი უკვე აგრონომად მუშაობდა ამ სოფელში.

ყველანი გრძნობით გვესალმებოდნენ.

არჩილმა დიდის, ხალისით ვვიანსო უკრაინელ კოლმეურნეებთან შეჯიბრების ამბავი:

— რამოდენიმე მანქანა მოგრაილდა სოფელში. განუწყვეტლივ ისმოდა ვაშა. მთელ გზაზე ჩენი თემის ბავშვები ორ წყებად იყვნენ გამწყრივებულნი და თაიფულებს ესროდნენ სტუმრებს. ჩენი ციტრუსების ოქრომ გაანათა მათი გული. ფიცა შეეკარით აგრეთვე უკრაინაში და ჩენი გულები ვაერთიანდნენ. — დაასრულა ამბავი არჩილმა, მაგრამ თვალეებში იმ ბედნიერი დღეების შუქი არა ჰქრებოდა. კაპიტონა სადღაც გაიქცა. ხუთ წუთში მსუბუქი მანქანა მოაგრაილა.

— ბიქოს, ეს სად იყო? — შეეძახე არჩილს.

არჩილმა ლიმილით სთქვა:

— უფრო დიდ რამეებს ნახავთ ჩენს სოფელში.

დედაჩემი, დარუჯანი და ქეთევანი გავუშვით წინ.

ახლა ჩვენ ჩავსხედით. ის იყო მანქანა დაიძრა, რომ სამკითხველოს ფანჯარასთან შეჩერებულ ტასიას მოგკარი თვალი.

მას შერცხვა, ალბათ, და მყისვე გაბრუნდა.

უსიამოვნება მომაყენა ტასიამ, მაგრამ მასზე გული მაინც არა მტკიოდა. შესაძლოა ჩემდამი მას ჰქონდა გრძნობა, თუმცა ამ გრძნობის გამოსათქმველად მისი საქციელი შეუფერებლად მიმაჩნდა.

ჩემი ამხანაგები თავ-თავიანთ სახლებთან დაეტოვეთ, მანქანა გორაკს შეუღვა, — თანაც სუნთქვა ვააძლიერა. ავეარდით ზევით.

ციტრუსების სიმწვანე ერთ ვეებერთელა მოსასხამივით მხრებზე შემოხვეოდა იმ გორაკს, ხოლო თავზე ყარამანის ახალი სახლი დაეხურა ქუდივით.

შინ უკვე იცოდნენ და ჰიშვართან დაგვხვდნენ. მხოლოდ ბებია და ბაბუა

არ იყვნენ იქ. სულ ბოლოს უკვე მთლად გაქაღარავებულმა ყარამანმა მაგრად აღამოცნა, ხელზე ხელი მომიჭირა.



ჩენის წაბაძვით თინამ და სარდიონმა იმდენი იარეს ერთად, რომ დაგვესწრეს და საჭმე დაჭარწინებით დააგვირგვინეს. ახლა დროც აღარა ჰქონდათ, სახლიდანაც იშვიათად გამოდიოდნენ და თუ ესთხოვდით, გამოსვლის მაგიერ დაგვეცნოდნენ კიდევაც.

— გამოდი, სარდიონ, არა გრცხვენია — ვარცხვენდი მე.

— გამოდი, ცაე, შე უნამუსოვ! — უმატებდა დარეჯანი.

მაგრამ თინა და სარდიონი განაგრძობდნენ დაცინვას:

— იარეთ მასე ხახავამშრალნი და ეშხით დამწვარნი, სანამდის ვასძლებთ, მაგასაც ვნახავთ! — ამბობდა სარდიონი.

— მეგობრებო, ბოდიში, მაგრამ თქვენთვის არ გეცალაია! — ამბობდა თინა. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ისინიც ახერხებდნენ ერთ ოჯახად ქცეულ მეგობრების წრეში დროს გატარებას.

თითქოს ბავშვობის დღეები ვაცოცხლდნენ ჩვენთვის.

... იმ დილით მაღალზე წამოდგმული ოთხთვალაიანი სახლის აივანზე ვიყავით გამოსულნი და ჩაის ვესვამდით.

ჩემი მეგობრებიდან იქ მხოლოდ დარეჯანი, ქეთევანი და თენგიზი იყვნენ. შინაურებიდან დედაჩემი და სოფიო იყო.

ყარამანი და სიმონი სამუშაოდ იყვნენ წასულნი.

ხაჭაპურებს შევექცეოდით.

სოფიო ახალ-ახალი ხაჭაპურების მოტანას ძლავს ასწრებდა.

რალაც ჩოჩქოლი გაიძმა.

ვიღაცამ კოლექტივის ბალი არაჩვეულებრივი სისწრაფით გადაიბრინა და ზევით ჩაის ფაბრიკის კარებში შევარდა.

სოფიო და დედაჩემი ქვევით ჩავიდნენ და სოფლის ხმაურს ყური დაუგდეს. კოლექტივის იმავე ბაილიდან შინისაკენ სწრაფად მომავალი ყარამანი შევნიშნეთ. დაერწმუნდით რალაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

არაფერი არ გვითქვამს, მაგრამ თითქოს ყველას გულმა ერთნაირად გვიახრა და წამოვდექით.

აივანზე ხმის ამოუღებლად მიმოვიღოდი. მე და თენგიზი დაეკვებით შეეცქეროდით ერთმანეთს. დარეჯანი და ქეთევანი ჩვენ მოგვჭერებოდნენ და ელოდნენ ჩვენ რას ვიტყოდით.

თენგიზმა დიდმნიშვნელოვნად წარმოსთქვა:

— დედამიწამ ზარი დარეკა და რალაც გვამტრო.

— ქორწილი ისევ გადაიდგება, — მივუბე მე და დარეჯანის შიშისაგან გაფართოებულ თვალებს წაეაწყდი.

— რას ამბობ, ეახტანგ? — მომამახა მან.

— ხომ არ გავივდილი!? — დაიძაბა ქეთევანმა და თენგიზს მკლავში ხელი სტაცა.

— ჩვენ კი არა, ჩენი მტრები გაგივდნენ, ქეთევან, — მივუბე მე.

ყარამანი ეზოში შემოვიდა.

არასოდეს ყარამანის სახეზე ასეთი აღშფოთება მე არ მინახავს. ის აჩქარებული ნაბიჯით მიეგება დედას და სოფიოს.

— ომი დაიწყო, გერმანელები თავს დაგვესხნენ. მთავრობის მოწოდება.

— ყარამან, რა სიტყვი! — შესძახა დედაჩემმა.

მხოლოდ ახლა გადავხედე დარეჯანს, მის სახეზე დამრგვალებული ყველები მოსჩანდნენ.

— ვახტანგ! — წამოიძახა და მომაჩერდა.

ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. გრძნობა და მოვალეობა გულში ერთმანეთს ეკიდებოდნენ, მაგრამ გრძნობის საკითხი უკვე გადაწყვეტილად მიმაჩნდა, თუმცა გული თავისთავად მაინც იბრძოდა, სიტყვას მართმევდა.

— რაც იყო, ყველაფერი გულში უნდა ჩაეკეტოთ, დარეჯან, — ვუთხარი და მისი გამოწვედილი ხელი მკერდში ჩავიკარ.

— ეს რა სიტყვეს, თენგიზ! — შესძახა ქეთევანმა და თენგიზს მივარდა.

— არაფერიც არ უთქვამთ, ქეთევან, ჩვენ წავალთ, მაგრამ... — ამ „მაგრამზე“ სიტყვა გაუწყდა თენგიზს. მერე განაგრძო:

→ მოვალთ, ქეთევან. გამარჯვებაც ჩვენი მოსულა იქნება.

ებლა მე და თენგიზი მივაჩერდი ურთიერთს.

— თენგიზ, ჩვენ დღესვე წავალთ! — შევძახე მე.

მომხეცია თენგიზი და მტკიცედ მითხრა:

— თითქოს ბავშვები ვიყავით, ვახტანგ, ვაჯაკობა ახლა იწყება!

— დაიწყე კიდევ! — მივუხე და ახლა შევნიშნე, რომ დედა, სოფიო და ყარამანი აივანზე ამოსულიყვნენ.

დედა მრავალშეტყველად მომჩერებოდა. მეც ვგრძნობდი, რას ამბობდნენ მისი თვალები. ისინი თითქოს მეუბნებოდნენ: „შენ ერთადერთი ხარ, შვილო... ყველა მზე და ყველა მთვარე შენზე ამოდის, შენით იწყება ჩემი სიცოცხლე, შენით თავდება. ყოველი შეჭი სიბნელეს მომიტანს, შენ რომ არ მყავდე... მაგრამ რა გაეწყობა, ჩემო პატარავ, დიად, პატარავ: ქართველ დედას სხვა სიტყვები არ გააჩნია და არ გააჩნია“... და გაგრძელება ამ ფიქრისა დედამ სიტყვებით სიტყვა:

— შენც წახვალ, შვილო! — მომეხარდა, ჩამიკრა, აქეთიხნდა.

— დედი, ნუ სტირი! შენ მართალი ხარ! — შევძახე და არა ბავშვის, არამედ უკვე ვაჯაკობის ხელებით გულში ჩავეკარ...

დიდხანს იესებოდა ჩემი გული იმ სიტყვებით, რაც დედის გულიდან გამოდიოდა და ის გულიც ჩემს გულთან ერთად ფეთქავდა.

— მამიშენის გზით მიდიხარ, შვილო, მაგრამ სხვა გზით უნდა მოხვიდე! — მითხრა დედამ და ახლა თენგიზს გადაეხვია. ჩემთან ძმასავით შეზრდილს დედური გული გადაუშალა: — შენც ჩემი შვილი ხარ, ძმებზე უფრო მეტნი ხართ... ერთად მიდიოდით, ერთად დაბრუნდით!

ყარამანმა ჩაახველა და მოაჯირის დაეცრდნო:

— რაც ვაშენეთ, თუ ვავიღვივინეთ, ყველაფერი ახლა გვეპირდება. ერთად დავარტყათ მტერს, თქვენ თოფით, ჩვენ კი თოხით და ნაკატებით. თუ გაქირდება, თოხიც თოფად გადაიქცევა. — ეს ბოლო სიტყვები ხმის ოღნავი დაშვებით, მაგრამ ამაყად წარმოსთქვა ყარამანმა და თავის ვეებერთელა ხელს დააცქერდა.

უწყურებდი ყარამანს და მიხაროდა.

უბრალო ადამიანსაც აქვს თავისი სიამაყის მიზეზი.

თავისებურად განსაკუთრებული ადამიანი იყო ყარამანი. მისი სიმტკიცე ჩვენც გვაძტკიცებდა.

... აი ჩვენ მივდივართ, მირზა, და ახლაც ვხედავ თვალწინ მიღვას ჩვენი თბილისიდან გამომგზავრების ბოლო წუთები. შესაძლოა ეს შენც შენიშნე, მაგრამ ზშირად ხდება ხოლმე, აღამიანები ერთად არიან და ურთიერთგანცხადებების შეათასედ ნაწილსაც არ იცნობენ:

დეღაჩეში ბაქანზე იღვა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ყველაფერს შერიგებიაო.

აქეთ-იქიდან თინა და ქეთევანი ამოსდგომოდნენ, ხოლო დარუჯიანი ერთხანს დაძრულ მატარებელს მოსდევდა, მერე უეცრად გაბრუნდა, უკან ვაიქცა და დეღაჩემს მკერდზე მიეკრა.

ჩვენი სამმა მეგობარმა, ერთმანეთს შევხედეთ. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ შევძახეთ:

— ძმებო, ჩვენში ცოცხლობს რაღაც, რაც ჩვენს სიცოცხლეზე უფრო დიდია. ეს ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულია!

— მისი სიცოცხლისათვის ვიბრძობებთ, ვახტანგ! — სთქვა სარდიონმა.

— ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისათვის! — დაუმატა თენგიზმა.

შემდეგ შენც მოხვედი და ყველამ ურთიერთს დიადი მეგობრულის დიმილით ჩავხედეთ თვალებში.

ამით ყველაფერი ვუთხარი ერთმანეთს, რისი თქმაც გვინდოდა.

სხე დასასრულა ვახტანგმა ამბავი. წამოდგა, მკერდზე მაგრა ხელი დაიკრა და ამით სთქვა:

„ყველაფრისათვის მზადა ვართ და ძალაც შეგვეწევს“!

— ვახტანგ, ვახტანგ! — მიამბა მირზამ მეგობარს, — ათასჯერ უფრო შეგიყვარე, ვიდრე მიყვარდი!

გაიღო კარი და კუბეში გაისმა თენგიზის ხმა:

— გაიღვიძეთ, ბაჭებო!

— რაც იყო, ძმებო, სიზმარივით წარმოვიდგინოთ, რაც არის — სინამდვილე! — დაუმატა სარდიონმა და შიგ შემოვიდა.

... ისინი რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში იყვნენ. ვახტანგის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, ახალ მოსკოვს რომ უცქეროდა.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ფრონტზე იყვნენ. შიგრიალდა მანქანა მინსკის მიღაშობებში, ისინი ძირს ჩამოვიდნენ.

ზარბაზნების გრიალი მოესმათ.

ვახტანგს ის დრო მოაგონდა, როცა უნივერსიტეტში შედიოდა პირველად და კარების გაღებისას გაივლო გულში:

„ფრთხილად, აქედან იწყება მეცნიერება“.

ახლაც მან გულში გაივლო:

„მტკიცედ, აქედან იწყება ცეცხლი“.

ისინი შტაბში შევიდნენ.

(პირველი წიგნის დასასრული)

მისარგყელა*)

ამ დროს სოფლის გადაღმა, შორიდან მოვლით, ღრმა თოვლში გაბაღებით გზას მიიკვლევდნენ ყმაწვილები, რომლებსაც პური გაატანეს გზაზე დასაყრელად. ქოხებსა და ფარდულებთან კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ღია მინდორზე თოვლი ძალზე ღრმა აღმოჩნდა.

ოსკა ჩეხორი ჩქარა კისრაბდე ჩაეფლო თოვლში.

— საშკა! საშკა!

— ნუ ჰყვირი, თორემ გერმანელები გაივონებენ და აქ განდებიან. შენ ჯერ პატარა ხარ, შინ დაბრუნდი.

— არ შემიძლია...

— იფორთხე როგორც შეგიძლია... ნელა იარე... აბა, ყმაწვილებო, იჩქარეთ, იჩქარეთ!

აქ მიწა ოდრო-ჩოდრო იყო, თხრილებიანი, ორმოებიანი. მაღლიდან თოვლი იყო მიყრილი, ქარბუქს პირთამდე ამოევსო ისინი. ეს თხრილები ნამდვილ ხაფანგს წარმოადგენდნენ. ზემოდან თითქოს სწორ ადგილებში — ფეხები მოულოდნელად ეფლობოდათ. მოყინულ თოვლზე მხოლოდ წუთით შეიძლებოდა თავის შემავრება, აჩქარდებოდნენ თუ არა, თოვლი მაშინვე ჩაიფშენებოდა, ისე როგორც ყინული მდინარეზე. თოვლის მოყინული ფენა ბრამუნითა და ხმაურით იმსხერეოდა, ყმაწვილები ყელამდე ეფლობოდნენ ნამქერში. ხელების გაქნევა და მოშველიება არ შეეძლოთ, რადგან პური და კარტოფილი ეჭირათ. თოვლის ნატეხები შუშის ნამსხვრევებისებრ სჭრიდა. ყმაწვილები კარგა მანძილზე ჩამორჩნენ ერთმანეთს. საშკა და საეკა ლოკუტი მაინც ეყეკუტრად მიიწვედნენ წინ. იმისთვის, რომ მისულიყვნენ ღანიშნულ ადგილას, სადაც გზა განიერ წრეზე უხვევდა, საჭირო იყო გაეცლოთ სოფელი და საკმაოდ ფართო მანდორი.

— ჩქარა! ჩქარა! — აქებებდა საშკა, თუმცა თავათაც ძალზე დაღლილი იყო, ხვითქი გადასდიოდა სახეზე. გრძნობდა ოფლი წურწურით ჩაედოდა საყელოში და წერილ ხაზად ჩასდევდა ზურგის გაყოლებაზე. ოფლი უხვებდა თვალებს, გვერდი ისე სტკიოდა, რომ სულს ღერ ითქვამდა, ფეხები ვსე ეფლობოდა თოვლში, როგორც ზაფხულში მდინარის ნალექიან ფსკერზე, როგორც ქაობში, ტბორსა და ჭყანტობში. რამდენიმეჯერ დაეცა ისევ წამოდგა, თითები შეიჭრა გაყინულ თოვლის ნამსხვრევებზე. სისხლი სდიოდა, ეწვეთებოდა თოვლზე, რის გამო აქა-იქ აჩნდა ვარდისფერი ლაქა. საბედნიეროდ, სხვებსავე პური ხელით კი არ წამოიღო — ტილოს ჩანთას წამოაგელო ხელი, რომლითაც ჯერ კიდევ სოფელში გერმანელების მოსვლამდე სახელმძღვანელოებს დაატარებდა სკოლაში. ახლა გამოადგა ეს ჩანთა. პური

*) დასაწყისი იხ. „მნათობი“-ს 1942 წ. №16 10, 11 — 12 და 1943 წ. №16 1, 2.

მასში ჩააწყო, ხელები კი თავისუფალი ჰქონდა, შეეხლო დაყრდნობდა, მათი დახმარებით ადვილად ამოსულიყო ნამქერიდან.

საკვაც ისე დაღლილიყო, რომ ენა გამოეყო, ცდილობდა წამოეწყო მათ. უკვე დატყენილ თოვლში ადვილი იყო სიარული, ასე რომ მისი დახმარებით, საკვაც ჩამორჩებოდა, იგი უფრო პატარა იყო და სუსტი. თოვლით დაფარული დაბლობი უსაზღვროდ ეჩვენებოდა. გაზაფხულზე კი აქ სძოვდა ნახორი, ეს ველი ასე ვრცლად არ ეჩვენებოდა მშინ, სულ ჩქარა შეიძლებოდა მისი ერთიდან მეორე ბოლომდე გადაარბენა, რბილ ბალახზე. ბავშვებს კარგად ახსოვდათ ეს საძოვარი, რადგან ისინი აქ თამაშობდნენ და წყესადნენ ნახორს ფეხის ადგმის პირველ დღიდანვე. მაგრამ ეს ველი ასლა ეჩვენებოდათ უსაზღვრო უდაბნოდ, ის უცხო, უცნობი გამხდარიყო მათთვის. საკვირველია, სადღა დაიკარგნენ მადლობები, რომლებზედაც ასჯერ გადაურბენიათ შიშველი ფეხებით, სადღა დაიკარგნენ თხრილები, რომლებზედაც ხტოდნენ ხოლმე ისინი?

თოვლის ქვეშ ჩნდებოდნენ უზარმაზარი ბორცვები, მოულოდნელად ჩნდებოდნენ საშინელი ნაპრალები. ამოდ ეძებდნენ თოვლის ქვეშ სწორ ადგილს, თხრილს, ხევს. თოვლი სდუმდა, თოვლი არ ამქვანებდა საიდუმლოს. ბავშვები მიიღებოდნენ და ეფლობოდნენ. თოვლი წელამდე ჰყლავდა ბავშვებს, თოვლი იდლიამდე ფარავდა ბავშვებს... ისინი ხელებს იკაწრავდნენ მოყინული თხრილების ნაპრალებზე და ამ მტანჯველ გზას დასასრული არ უჩანდა.

— ჩქარა, — ჩახლეჩილი ხმით იძახოდა საშა, თან პირით იჭერდა პიერს, ეფლობოდა თოვლში, ვარდებოდა თხრილში, ისევ ფორთხვით ამოდიოდა, აფურთხებდა პირში ჩაცვნილ თოვლს.

მხარზე გადაკიდებული ჩანთა დასველდა, უფრო დამძიმდა, მაგრამ ეს უმნიშვნელო ამბავი იყო, ტყვე წითელარმიელები სველ პურსაც სიამოვნებით შესჭამდნენ... ფეხები დაუსველდა, შარვალიც და როდესაც იგი გაყინულ თოვლზე რამდენიმე ხნით მოახერხებდა თავის შემავარებას და მცირე მანძილზე გაელას, ეს შარვალი იყინებოდა. საშინლად სციოდა, ყინვის შეუბრალებელი ბრტყალები ძვლებამდე აღწევდნენ. საშა უკვე გერაფერს ხედავდა, თვლებში ებლანდებოდა შავი და წითელი რგოლები, სისხლი საფეთქლებზე უკაგუნებდა, ეგონა, საცაა ეს სისხლი გახეთქვას ძარღვებს და წითელ შადრევანად გადმოინთხევას.

— ჩქარა, ჩქარა! — იძახოდა იგი ჩახლეჩილი ხმით. ეს შეძახილი აქებებდა, წინ მიერეკებოდა საკვას, როგორც შოლტის დარტყმა, თუმცა მას არც კი ახსოვდა, მოჰყვებოდა თუ არა ვინმე უკან. საშა ახლა თავის თავს აქებებდა, ამხნევებდა, რადგან გრძნობდა საცაა დავეცემი და ველარ წამოვდგები.

საკვაც შორს დარჩა, უკან. საშამ იცოდა, რომ აუცილებლად უნდა მიეღწია გზის მოსახვევამდე, აუცილებლად, რადგან რაღაც უნდა დაეღრმონდა, პური უნდა დაეყარა იქ. ეს იყო უკანასკნელი საშუალება იმისთვის, რომ თუნდაც მცირედით საჭმელი მაინც დაეტოვებინა მცველებით გარშემორტყმულ ტყვეებისათვის. თუ მან ვერ მოასწრო, ტყვეებს ვარცხავდნენ შორს — ვადამწვარ ლევენივებაზე ვაელით — რუდამი, საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც, როგორც ჩახლეჩილთ ამბობდნენ, ეკლიანი მავთულით შემორავჯულ ფართობზე მოკვდილნი ტყვეები ასობით იხოცებიან, იხოცებიან ულუკმაუ-

როდ, ისე, რომ ერთი კოვზი ცხელი საკმელიც კი არა აქვთ. რუტა ბანაკ-სა და ტყვე წითელარმიელებს შორის ახლა ერთადერთი საშუალება ამიტომ ყმაწვილს ეჩვენებოდა, რომ ნაღვერდალში გამომცხვარ პურს შეეძლო ტყვე წითელარმიელების ხსნა შიმშილით სიკვდილისაგან. უკვე მისივე ტყვე-ნებოდა, რომ ამ პურით შეეძლო მათი გადაარჩენა...

კიდეც ერთი მომცრო ბორცვი დარჩენილიყო. ამით თავდებოდა ყველაფერი... ჩქარა, ჩქარა! — აქეზებდა თავის თავს საშუა, რადგან ძლივს აძრობდა თოვლში ჩაფლულ ფეხებს, რადგან ძლივს მოძრაობდა და მიიწევდა წინ. სტკიოდა გვერდი, თავი ხმურობდა, პირში სისხლის მწკლარტე და არასასიამოვნო გემოს გრძნობდა. ჩქარა, ჩქარა! — ფიქრობდა იგი და ამ ფიქრში გართული პირტყე დავარდა თოვლში, ძლივს აითრია წელი, წამოფოფნდა, ხელ-ფეხს იქნევდა წყალში დასახრჩობად განწირულივით. უკანასკნელი ბორცვის გადასარბენზე თითქმის ოთხზე მიფორთხავდა, მისი აზრით აქ უნდა ყოფილიყო გზა.

დიდო, დიად, აქ იყო გზა. ის სულ ახლოს გადიოდა, იქვე, გვერდზე. ამ გზაზე მიჰყავდათ გერმანელებს ტყვე წითელარმიელები, საშუას სიზმარივით მოეჩვენა ეს. მას არ უნდოდა დაეჯერებინა, მაგრამ ეს ასე იყო, ეს ცხადი იყო. საშუა ვერ წამოდგა, თოვლზე იწვა, ნიდაყვებზე დაეყრდნო ის, როგორც ბორცვზე ახოების დროს... ისინი, ტყვე წითელარმიელები, მიიმართებოდნენ სულ ახლოს. დაკრილები მთვრალეებივით ბორძიკობდნენ, გერმანელები ჰყვიროდნენ, უკანა რიგებში ეილაცა ჩაიკეცა, წამოდგომა ვეღარ შესძლო, კონდახების დარტყმით, ლანძღვა-გინებით ცდილობდნენ მის წამოყენებას გერმანელები. საშუა შესტყეროდა ამ საშინელ სურათს. ისინი კი განაგრძობდნენ თავიანთ გზას. საშუას დააგვიანდა. ორი-სამი წუთით დაიგვიანა, ვეღარ მოუსწრო. წითელარმიელების წინ გადაშლილიყო ცარიელი თეთრი გზა. მასზე თოვლი იდო, თეთრი თოვლი იდო სქელ ფენად, სხვა არაფერი. პური კი, სველი და მძიმე პური კი ჩანთაში დარჩა. პური იდო რილოს ჩანთაში, აქვე, ასე ახლოს, ტყვეებიდან სულ ათიოდე ნაბიჯის მანძილზე... ტყვე წითელარმიელები ვერ მიიღებდნენ ამ პურს მხოლოდ იმის გამო, რომ საშუამ დაიგვიანა ორი-სამი წუთით, იმას გამო, რომ იგი არასაკმაო სისწრაფით მორბოდა, იმის გამო, რომ თოვლზე დაცემის შემდეგ გვიან დგებოდა, იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო, ვერ მოახერხა გავეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო, რაც აუცილებელი იყო. მას ახლა მოაგონდა მიშუა... დიად, დიად, მიშუა მოასწრებდა, მიშუა იზამდა, რომ ყოფილიყო აქ, იგი მოიბრუნდა... ახლა კი გვიანაა... ტყვეებს რუდაზე გარეკავენ, ეკლიან მავთულებით შემორაგეულ ბანაკში დაამწყვდევენ... ამოწყდებიან იქ შიმშილითა და წყურვილით ამ საშინელ ყინვაში... და ყველაფერი ეს მოხდება მხოლოდ იმის გამო, რომ მან ვერ მოასწრო...

აი უკანასკნელი რიგი მიემართება. ვაიარეს. თვალთ მიეფარნენ... გაჰქრნენ... უკვე შთანთქმენ გზის სითეთრეში. დაბლობმა, ვრცელმა, განუხანდერელმა, უკიდვანო დაბლობმა შთანთქა ტყვეები... საშუამ ნაღვლიანად ერთი კიდეც გახედა, თავი ისევ თოვლში ჩარგო და ცხარე ცრემლით ატირდა, აქვითინდა გულამოსკვნით... ცრემლი, ცხარე ცრემლი იღვრებოდა თოვლზე, ნესტობებიდან ეღვრებოდა წყალსავით თეთრი სითხე, ის ჩამოუღიოდა წურწურით, მთელი სახე სველი და შესერილი ჰქონდა. ყინვამ, გულსწამლებმა-სიცივემ ბრჩხილები წააძრო, გვერდებში ნემსებივით ჩხვლეტდა, ადგომა არ

შეძლო, განძრევას ვეღარ ახერხებდა... იმათ კი უკვე გაიარეს, ვერც მოუსწრო, ორი-სამი წუთით დაიგვიანა... ორი-სამი წუთით...

ოპ, რარიგად ცივა, რა საშინლად ცივა! საშკა მისტროდა იმათ, წასულბებს, ამ საშინელ თოვლსა და ყინვაში მიმავალ წითელარმიელებს, მისტროდა დაკრილებს, მშვიერ-მწყურვალთ... საშკა სტიროდა მიშკაზე, დერეფნის კარბან დამარხულ მიშკაზე... იგი ახლა სტიროდა ყველაზე, ყველა იმათზე, რომლებიც წასული იყვნენ პარტიზანებთან... საშკა უწინარეს ყოვლისა სტიროდა თავის თავზე, რადგან მან ვერ შესძლო, ვერ მოახერხა, ვერაფერი ვერ გააკეთა ტყვე წითელარმიელებისათვის...

— საშკა, ადექი, ადექი!..

მთელი სხეულით შერთო, შეაერთო, მერე ისევ თოვლში ჩარგო თავი.

— რა მოგივიდა, შვილო?! ადექი, ასეთ ყინვაში როგორ იქნება... ტირილით რას გახდები, ტირილი რა საქიროა!..

ქალი ახლოს მიუჯდა საშკას, აღერსიანად მოუსვა ხელი მხრებზე.

— მთლად სველი ხარ, შვილო... ადექი, შინ წავიდეთ. მეც მცივა, გავიყინე, მთელი კაბა სველი მაქვს. ვიდრე აქამდე მოვალწევდი, სულ დავსველდი... აბა, ადექი, ადექი...

ქალმა ძალის-ძალად მალა ასწია საშკას თავი და შეხედა ყმაწვილს ცრემლით სავსე, გასიებულ თვალებში...

— რა გაეწყობა, ვეღარ მოგვიხერხდა, — ნალვლიანად წარმოსთქვა ქალმა.

— დავიგვიანე! — ჩაილულულა საშკამ. ქვითინმა ყელში გაუწყვიტა აკანკალებული ხმა.

— რა ვუყოთ მერე, შვილო! რა გაეწყობა, თუ ვერ მოგვიხერხდა? ისე მოვიქნაცე ამ ყინვაში, რომ შენამდე ძლივს მოვალწი... ადე, შვილო, შინ წავიდეთ, ადე... — ქალმა ხელები ჩასქიდა გაყინულ ყმაწვილს, საშკა ძლივს წააოდა.

— ამჯერად არ მოხერხდა, მეორედ მოხერხდება... უცბად ვერ მოგიფიქრეთ მოვახერხებდით თუ არა... თუ მეორეჯერ კიდევ წაიყვანებენ ჩვენებს — ცდა არ უნდა, შორს სირბილი საქირო არ არის, ყველამ ჭოხებს უნდა მიაშუროს, ხოლო ყველაფერი, რაც საქიროა, გზაზე დაეუყაროთ. თორემ რასა ჰგავს, დღეს ყოველისმხრიდან გამორბოდნენ, ასტეხეს ყვირილი, ყაყანი და აი ხომ ხედავ, არაფერი არ გამოვიდა... ვინ მოიფიქრებდა ამას?... საეკამ მოიბრინა, ადამიანის ფერი არ აღეგს სახეზე, მოქანცულია, გათოშინილი... შენზე ვკითხე — სად არის შენქი, მიბასუხა — თოვლში წვიტა... ყველაფერს თავი მივანებე, მაშინვე აქეთ გამოვეშურე... ნუ სტირი, ნუ... რა გაეწყობა — ნათქვამბა, თავზე მალა ვერ გადახტებო... შეხედე რა თხრილებია... დიდი ხანია ასეთი ზამთარი არ ყოფილა, დიდი ხანია...

ქალს თავათაც უძძიმდა სიარული, მაგრამ მაინც ცდილობდა ესაუბრნა, რომ ამით გაეადვილებინა სიარული შვილისათვის...

— მე მომყევი, ასე უფრო ადვილი იქნება, ფეხდაფეხ მომყევი...

საშკას ეგონა, ბღივს მიეყევიო, რომელიც თავდაპირველად მან გასტკეპნა სავკასთან ერთად და რომლითაც მერე დაბრუნდა სავკა, შემდეგ კი დედა გამოჰყვა მას... ახლა კი ეს გზა სულ არა ჰგავდა წინანდელს, როცა იგი სავკასთან ერთად პირველად მოდიოდა აქეთ... დედა კი იმახობდა — ძნელია, ცუდი სასიარულოაო. თუმცა ბილიკი გატკეპნილი იყო, მაგრამ საშკას მაინც ეძნელებოდა სიარული, ფეხებს ძლივს ითრევდა. ჩექმები ასე კილოს

სიმძიმედ ეჩვენებოდა, თავი და ხელებიც თუჯის ზოდებივით დაუქრებდა, ძელები ასტკივდა, იგი ახლა ყოველ ძვალს გრძნობდა ფეხებში, ხელებში, ხერხემალზე, ყოველი ძვალი ცალ-ცალკე სტკიოდა — საშინლად, მითუთმენ-
ლად...

როცა გზაზე გამოვიდნენ, საშუა წამორძიკდა, კინაღამ ისევ ჩაიხრეტა თიქვ-
ში. დედის ხელებმა შეაკაფა იგი, თავი შეიმაფრა.

— რა მოგივიდა, შვილო?

— არაფერი, — ჩაილულულა მან. ეს ისე უთხრა დედას, დასამშვილებ-
ლად, თორემ მთელი ქვეყანა ირყეოდა ირგვლივ, თვალი უზნელდებოდა,
თაბერუ ესხმოდა.

დედამ ხელზე აიყვანა.

— რას შერები, დედა?

თითქოს წინააღმდეგობას უწევდა თავის აზრით, მაგრამ იგრძნო თუ არა
თავქვეშ დედის ხელები, უმაღლე ჩაეძინა. მალიუჩიხა ღმობლით დასცქერო-
და შვილის პთელემარე სახეს.

— რა არის ეს, რა ამბავია ჩვენს თავზე, ვეთაყვა? ხომ არაფერი მომხდა-
რა? — შეწრაილდა გზაზე მიმავალი ნამტირალები ტერპილისა, რომელსაც
მხარზე გაედო მთელი შეკვრა ფიჩხი და მძიმედ მიაბოტებდა.

— არა, არაფერი... დაიღალა ყმაწვილი... თოვლით სავსე ორმოებსა და
თხრილებში გზის პირამდე ირბინა...

— მოაწრო კი?...

— ვერა, გაგონილა.. აქ მოზრდილი ვერ გაატანს, ყმაწვილი რას გახდებ-
ბოდა?

მალიუჩიხა დაიღალა, სუნთქვას ძლივს იბრუნებდა, ნაბაჯებს უკლო.

— გიმძიმთ სიარულში?

— რა თქმა უნდა.. უკვე მეცხრე წელშია.. ბავშვი ხომ არ არის?.. — მი-
უგო მან და უფრო მაგრა მიიკრა მკერდზე ყმაწვილი. — ხედავ, როგორ ჩა-
ეძინა, თითქოს საწოლში წვესო... გორბინა, მომეშველე, თუ ღმერთი გწამს,
თორემ ქონის კარს ვერ შევადებ...

გორბინამ ურდული გამოაღო.

ქონიდან სითხო გამოეარდა.

— დედა! — წამოიყვირა ზინამ ატირებული ხმით, — საშუას რა დაემართა?

— არაფერი, შვილო, არაფერი. სძინავს. ნუ პყვირი, არ გაიღვიძოს.

— სძინავს? — გაუკვირდათ ბავშვებს. ირგვლივ შემოვსივნენ, გაოცებით
შესცქეროდნენ, როცა დედა აწვედა საშუას, ხლიდა ჩექმებს, სველ შარ-
ვალს, როცა ტილის ნაჭრით უმშრალებდა ფეხებს.

— დედა, მთელი კაბა სველი ვიქვს, — უთხრა მას სონიამ, — სად იყავი?

— არა უშავს რა, არა უშავს, ახლავე ყველაფერი გაშრება. საშუას ჩექმე-
ბი ღუმელზე უნდა დაეაწყოთ, გამოშრება.

ზინამ ღუმელისაკენ წაათრია ჩექმები.

— ჩანთაში რა არის?

— ამოიღე, პერ...

— როგორი სველია!

— არა უშავს რა, არ გაწყენთ!

— მამ, შეიძლება? — იკითხა ზინამ, თან გახედა ჩანთიდან ამოღებულ
პერს.

— რატომ უნდა, შეიძლება. ეს არის თქვენი სადილი. საშუალოდ დაუტოვეთ, რომ გამოიღვიძებს, საკმელი მოუნდება.

ზინა მიუახლოვდა მას, ხელში კი სველი პურის მცირედი ნაჭერი ეჭირა.

— ეს შენ, დედა...

— არ მინდა, ჩემო გოგონა, მე არა მშია...

ჭალი შესცქეროდა ბავშვებს, რომლებიც გამალებით ილუქმებოდნენ და ერთიმეორეს არ აცლიდნენ სკამზე დაეარდნით ნამცეცების აღებას. ეს იყო იმ პურის ნამცეცები, რომლებმაც ვერ მიაღწიეს ტყვე წითელარმიელებამდე, იმ ადამიანებამდე, რომლებსაც გერმანელები სასიკვდილოდ მიერეკებოდნენ. მალიუჩისას ნერწყვი გაუშრა. ბავშვებს გადახედა. ქერა და წაბლისფერთმიანი ბავშვები შემოსხდომოდნენ სკამს, ისევ გამალებით იდებდნენ ნამცეცებს...—ვერ მოასწრო საშუამ, ვერ მოასწრო...—ნაღვლიანად ფიქრობდა გუნებაში მალიუჩისა.

საშუა ლოგინში იწვია, მშვიდად და წყნარად სუნთქავდა. ლოყები ვარდისფრად აელუარებოდა. — მიშკა კი აღარ არის, — საშინელი გულისტკივილით გაუელვა ფიქრმა.

ანაზღად იგრძნო, რომ მერე, შვილის სიკვდილის შემდეგ, მოხდა რაღაც კიდევ უფრო უარესი, კიდევ უფრო საშინელი. მის თვალწინ ისევ გამოჩნდა ხალხი, რომელსაც მიერეკებოდნენ შეუბრალებლად კონდახების ცემით, საშინლად გამხდარნი იყვნენ, ციებ-ცხელებით შეაყრობილივით აწითლებოდათ თვალები, დაწყლულებული, დასისხლიანებული ფეხებით მიდიოდნენ, გამხდარი თითები ბრჭყალებივით მოედრიცათ, ამ გამხდარსა და გაძვალტყავებულ თითებს იშვერდნენ პურისაკენ, რომელიც ასე ახლოს იყო, მაგრამ ვეღარ მისწვდნენ... მალიუჩისას მოაგონდა ის სურათი, მოაგონდა ის ორი წითელარმიელი, რომლებიც ვზახე მოკლეს გერმანელებმა... მაგიდაზე მდებარე, ტყვიით მკერდგახვრეტილი მიშკას სახის მოგონება უფერულად და უმნიშვნელოდ მოსჩანდა ამ მეორე სურათის მოგონებასთან შედარებით. მალიუჩისამ თვალებზე ხელი აიფარა. საწოლზე ყმაწვილს სძინავს, ბავშვები პურს სჭამენ, ჩეჩოროხას ბავშვები მონდომებით იღებენ ნამცეცებს სკამიდან. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა იქნება შემდეგ, ვინ იცის კიდევ რამდენი რამე შეიძლება მოხდეს, როცა ყოველ დღეს თან მოსდევს სულ უფრო და უფრო საშინელი სურათები?! სად არის ახლა პლატონი? ნახავს თუ არა მას ოდესმე, ნახავს თუ არა მას თავის სიცოცხლეში? მიშკა კი მიწაში წვეს, აივნის კართან! ვინ იცის სად არის პლატონი, ვინ იცის რა დაემართა მას? იქნებ მოსწამლეს, როგორც ძალი, იქნებ უკვე მკვდარია, იქნებ თოვლის ქვეშ აგდია უბატრონოდ! ოღენა, ახალგაზრდა ლევონჩუი და სხვები საბრძოლველზე არიან ჩამოკიდებულნი, საბრძოლველზე, ყველანი ერთ დღეში არიან... როგორღა დაიჯეროს, რომ მხოლოდ ერთი თვეა გასული, რომ მხოლოდ ერთი თვე იცხოვრა ამ საშინელ პირობებში? როგორ დაიჯეროს ეს, როცა ჰგონია თითქოს მთელი სიცოცხლე გასულიყოს, როცა ჰგონია თითქოს წლებს გაეგბინოს მას შემდეგ, უმძიმეს წლებს, რომლებმაც მოიტანეს ესოდენი ტანჯვა, ესოდენი უბედურება!.. ნამდვილად კი გერმანელების შემოსვლის შემდეგ ერთი თვე გავიდა, მხოლოდ ერთი თვე!.. გაუკვირდა მალიუჩისას. იყო ხოლმე თვეები—თესვის, თიბვის, მოსავლის აღების, კარტოფილის ამოდების თვეები, მაგრამ ასე არ ყოფილა... ყველა ეს თვეები მისდევდნენ ერთიმეორეს, მისდევდნენ შეუმჩნეველად, ერთდებო-

დნენ წელიწადებად და თითქოს ასევე შეუმჩნეველ მიჰქროდნენ მის ახლოს, მის მიღმა... ახლა კი სულ ერთი თვე იყო გასული, და ეს ერთი თვე გაცილებით მეტს მოიცავდა, ვიდრე მთელი მისი ვანვლილი ცხოვრება. ეს ერთი საშინელი თვე უმძიმეს ტვირთად დააწვა, დაუტოვა ისეთი, უმძიმესი ვესეთი ნაჩხები, რომლებიც არასრდეს არ ამოიშლებიან მესხიერებიდან, არასოდეს არ მოშუშდებიან, რომლებიც ყოველთვის მოურჩენლად ეტკიება, საუკუნოდ, სამარადისოდ...

საშვაც უცბათ გამოეღვიძა. გაუკვირდა, მაგრამ უმაღვე დარწმუნდა, რომ შინ იწვა. საიდან მოვიდა აქ, როგორ გაჩნდა აქ? ვეღარ მოიგონა, თუ როგორ აიყვანა ხელზე დედამ, ვერც ის მოიგონა, თუ როგორ ჩაეძინა მის მკლავებში. წუთით მიაჩერდა ჭერს, დააკვირდა. ეს იყო მისი ჭოხის ჭერი. ღუმელთან მიმჯდარი ზინა წვრილი ხმით რაღაცას ეღურტუნებდა. თვალები მოაბრუნა თუ არა, უმაღვე შეინშნა სკამზე მოკეზულად მჯდომი დედა. იგი გაუნძრევლად, დაეინებით მისიერებოდა ერთ წერტილს. საშვაც ფეხები გასკიმა ლოგინში, იამა სითბო, თითები სტკიოდა და ფეთქავდნენ, მთელს სხეულში გრძნობდა საამო დაღლილობას, საამოვნებით გრძნობდა ქვეშ გაგებულ თბილ დოშაკს და თავქვეშ ამოდებულ რბილ ბალიშს.

- ასე რამ ჩავაფიქრა, დედა?
- მალიუჩიხა შეკრთა, უმაღვე შემობრუნდა.
- არ გძინავს, შვილო?
- არა, უკვე აღარ მინდა ძილი!
- დაწევი, შვილო, გათბი, როგორც საქიროა... გაიყინე, დასველდი...
- მალიუჩიხამ შეუსწორა ჩამოცურებული დოშაკი და თითქოს ახლა გაიგონაო მისი შეკითხვა, განაგრძო:
- იმ დღეზე ვფიქრობდი, შვილო, როცა ჩვენები მოვლენ...
- საშვაც მიაჩერდა მას ფართოდ გახეული თვალებით...
- აქ, ჩვენთან, სოველში?
- ჰო, აქ, მამ!
- რუდაშიაც მოვლენ?— ისე ჩურჩულით შეეკითხა, თითქოს რაღაც საიდუმლო ამბავი უნდა გაეგო.
- რუდაშიაც, მამ როგორ? რუდაშიაც მოვლენ, შვილო!.. ყველგან, ყველგან, თვით დნებრამდე, დნებრის იქითაც... ყველა სოფლებსა და ქალაქებში, საზღვრამდე. იმის იქით— ყველგან, სადაც კი ჩვენი აღამიანები იხოცებიან, გმინავენ... ყველგან, შვილო, ყველა მხარესა და კუთხეში.
- მამაც მოვა შინ?
- მოვა, შვილო... ტყიდან გამოვლენ პარტიზანები, დაუბრუნდებიან თავიანთ სახლებს.
- ყველაფერი ისე იქნება, როგორც წინათ იყო?
- ყველაფერი ისე, როგორც წინათ, — გაიმეორა მალიუჩიხამ, — ჰო, შვილო... კიდევ უკეთესად იქნება, ვიდრე წინათ იყო...
- მალიუჩიხა გაჩუმდა, ჩაფიქრდა: — შეიძლება თუ არა ოდესმე იყოს ისე, როგორც წინათ იყო? ჭოხის გარშემო ისევ ამოვა და გაიზარებს მზისუშუბირა, ბაღში ისევ აყვავდებიან ყვავილები, ის მსხვილი და ვარდისფერი, რომლის თესლი ლიღამ ჩამოიტანა ქალაქიდან, ბავშვები მხიარული ყვილით ივლიან სკოლაში, ზინა კი ზაფხულში წავა საბავშვო ბაღში და ეს ცეროდენა ისევ მხიარულ ფერხულში ჩაებმება? ჭოხშიაც ბევრი პური გვექნება,

რძეც ბევრი გვექნება თიხის ქოთნებსა და ქილებში, სალამოობით ყველანი თავს მოიყრიან კლბებში, გახეთს წაიკითხავენ?

მე იქნება, ასე! ყველაფრის მიუხედავად, რაც კი მოხდა, სოფელზე მიყვანებულ ყველა ქრილობათა მიუხედავად... მხოლოდ მიწაზე წაქეცილი სკოლაში, მინდვრად ვერ დაიმღერებს მითი ლეონიშვილი, მხოლოდ დაჯდება ტრაქტორზე, ვოფონები თვალს ვერ ჩაუყარავენ ვასია კრავჩუკს, მაგრამ აყვავებული და ძლიერი ცხოვრება თავისი გზით წარიმართება. ყოველწლიურად სულ უფრო მაღალი იქნება პური, უფრო დიდი გაიზრდება თავთავი, ახალგაზრდა ხეხილის ბადები სულ უფრო მეტ ნაყოფს განიოსხამენ, კოლმეურნეობათა ძროხები სულ უფრო მეტად, უხვად აავსებენ ვედროებს რძით, უფრო ბევრი ახალგაზრდა წავა ქალაქებში სასწავლებლად. მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო — უნდა გავუმაგროდეთ, მოვითმინოთ, არ დაენებდეთ, არაფრის გულსათვის, რაღაც უნდა დაჯდეს არ დაეხიოთ, არ დაენებდეთ...

ქოხში ვარდისფერი მოაფინა.

მზე ჩადიოდა და ცის კიდეს ათასგვარად აფერადებდა. მინებზე ყინლის ფანტასტიურმა ფურცლებმა ვარდები გამოიხსეს, ოქროსფრად აკიაფდნენ. ცა ჩქარა იღუპებოდა. ჩრდილები მუქდებოდნენ, თუმცა ჰორიზონტზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი ნაირი ფერების ციმციმი, როცა მთვარე უკვე ამოვიდა, მთვარე ცივი, როგორც ყინული და გაუდგა ის თავის შორეულ, მარადიულ გზას. დაისის შუქი მთვარის შუქს შეერწყო... დაისის შუქი მთვარის შუქში ჩაიღვარა და ცას მიეხვეწა მოელოა, მოციმციმე, გაყინული, უძრავი სვეტები. ამის მიუხედავად იმ სალამოს თითქოს უკუნი ჩამოწვა ყველას გულში... ჩამოწვა უკუნი კიდევ უფრო მძიმე, მოუთმენელი, აუტანელი, ვიდრე ყველაფერი ის, რაც აქამდე გამოვლილი და განცდილი იყო. გზებზე არ წყდებოდა მიმავალთა ფეხის ხმა. სოფელზე გავლით ისევ მიიშართებოდნენ ტყვეები, ისევ გრძელდებოდა მოქვეყნებათა უცნაური სვლა, ისევ შლანხით მიდიოდნენ გამზადარი, განაწამები, გაშავებული, ციებ-ციხელებით შეპყრობილი დასაცხლები და შიმშილით გათანჯული ადამიანები. თოვლზე რჩებოდა მათი დაწყლულებული ფეხების სისხლიანი ნაკვალავები. წყნელის ღობეებში ისევ მოისმოლბ მათი მუდარით სავსე ხმები: „პური! პური!“ — და ეს ხმები ძილს უფრთხობდა ყველას. სოფლის გზაზე, ქოხების წინ თავმოყრილ ხალხს ისევ შესცქეროდნენ შიმშილისა და ტკივილების გამო ღრმად ჩაცვივნილი მათი თვალები. ქოხებთან თავმოყრილი ხალხის გულს მაგრად ხედებოდა, ხალხის გულს შოლტივით ხედებოდა გერმანულ ჯარისკაცების ყვირილი და გნიახი... მიერეკებოდნენ ტყვე წითლარმიელებს...

... მზე, ატორდნენ ყოილი ბიჭები

ოსმალთა ტყვეობაში, საბატაროს დილეგში...

როდის იყო ეს? როგორ იყო ეს? არა, არა — ყველაფერი ეს არ ჰგავდა იმას: ოსმალთა ტყვეობას და ოსმალთა საბატაროსების დილეგებს შორეულ წლებების გადმა, არც თუ მათ შორეულ ხმალს ჰგავდა ეს, თავზე სასიკვდილოდ რომ იყო აღმართული. არა, ეს არც სარკები იყო ნეფინიდან კიევამდე დასობილი, რომლებზედაც გლეხებს აცვამდა პანი ბოტოცკი. არა, ეს არ იყო შორეულ წარსულში მომზადარი და უკვე დავიწყებული ოსმალთა შემოტევა უკრაინაში. უკრაინის მიწაზე უფრო მეტია სისხლი, მეტია ცეცხლი, უკრაინა-

ნის მიწაზე უფრო მეტია ტანჯვა და მწუხარება, ვიდრე ყველა იმ ტრავმაში, რომელთა შესახებ მღეროუნენ ხალხურ სიმღერებს, რომელთა შესახებ ხალხის მეხსიერებაში დარჩენა შავი მოგონებანი...

რომელ სიმღერას შეუძლია მოიტოს, გამოსთქვას ის, რაც დღეს ხდება დეპრესიის აქეთა, ან იქითა სხარეში, რაც ხდება უკრაინის მთელს მიწა-წყალზე? რომელ სიმღერას შეუძლია გადმოსცეს ის საშინელი, შავი დღეები, რომლებიც თავს დაატყდა ამ მიწა-წყალს, როგორც შავი ჭირი, როგორც წარღვნა, როგორც უპროტესი ქარიშხალი, რამაც მოსრნა და მიწასთან გაასწორა ადამიანთა კერები? რომელ სიმღერას შეუძლია შეიწოვოს იმდენი წითელი სისხლი, სახარობელების კრიალი, ბავშვების კვნესა-ვაება, ათასების სიკვდილი და განადგურება, ხანძრების შავი ბოლი სოფლებზე, აურაცხელი საფლავები და ის კაბუტები, რომლებიც იღუპებიან რუდაში, ან ასობით სხვა ადგილებში, ეკლიან მავთულებით შემორავულ ბანაკებში? ან ვინ და როდის მოისურვებს იმღეროს ასეთი სიმღერა, საშინელების, ერთანტელის მომგვრელი სიმღერა?

— „ო, არა, არასოდეს, — ფიქრობდნენ ქალები, თან ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ გზაზე მიმავალი ტყვეების ტანჯული სახეები. — არ იქნება ასეთი სიმღერა! უნდა დაეკაპიწოთ მკლავები და ხელახლა გაშენოთ სახლები და ქოხები, მიწაზე ისევ უნდა დაეთესოთ პური, რომ ნიაქარში ისევ აშრიადღეს ზღვასავით მღელვარე უსაზღვრო ველ-მინდორი. სისხლით გაპოხილი მიწა ისევ უნდა დაიფაროს პურის ყანებით, ოქროს ჯეჯილით, მწესავით ჩახჩახა მზისუშვირათი, თეთრი ყვავილებით, მომღიმარე ბალებით, ცისფერი სელით, მოთეთრო-ვარდისფერი ალუბლით, კანაფის ტყით, რომ არსად, არსად — შორეულ შავი ზღვისაკენ მიმავალ მდინარეთა ნაპირებზე არ დარჩეს გერმანელთა ნაკვალევი“...

სოფელს ეუფლებოდა ძილი, მძიმე, მტანჯველი, ძილი, რომელიც არ ასვენებს თვალს, არ ასვენებს გულს, რომელიც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. მალიუჩიხა ყოველ წუთს დგებოდა, მიდიოდა ბავშვებთან, დახედავდა მათ. საშვა ჰბორგავდა ძილში, რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახოდა.

— შეილო, შეილო...

— რა იყო? — უმაღვე შეეკითხებოდა დედას შეშინებული ყმაწვილი.

— გამოიღვიძე, შეილო, გეტყობა საშინელი სიზმარი გაწუხებს...

იგი შესცქეროდა დედას, მაგრამ არაფერი არ გაგებოდა. მერე მეორე გვერდზე შებრუნდებოდა და წამსვე ჩაეძინებოდა. ისევ საშინელი, კომპარტული სიზმრები აწუხებდა, აწევბოდა გულზე მომაბზრებელი მტანჯველი სიზმრები.

მალიუჩიხა კვნესოდა, ტრიალებდა ლოგინში. მთელი სხეული ეწვოდა, ეთუთქებოდა, უბეუოდა მუცელი. მაგრამ ძილს უფრთხოებდა არა ეს. არა, ძილს უფრთხოებდა წითელარმიელის გამხდარი, მოუპარსავი პირი და ასისხლანანებული, ჩვრებშემოხვეული აწითლებული სახე.

... მძევლებისაგან გროხაჩის გარდა სხვას არავის არ ეძინა. მალაშა კი ისევ ართავდა თავის საშინელსა და მტანჯველი ფიქრების დაუსრულებლად გრძელ ძაფს, სულ ართავდა, სულ ამოდ, ტყუილტუბრალოდ... მაგრამ ართავდა დაეინებით, ჟინიანდ... კიდევ ერთი დღე გავიდა, კიდევ ერთი დღეც შეიმატა გადასულ დღეებს, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა. გამშრალი ტუჩები დაუსკდა წყურვილისაგან. ისევ თვალწინ ედგა ის დღე, ის შუარე,

ნაღვლით საესე დღე... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, აგრე იყო, იქ, სოფელში, რალაც ხდებოდა, იქ ცხოვრობდნენ, იქ კედებოდნენ ადამიანები — დღისით ქუჩებში ისმოდა სროლა, ტყუილუბრალოდ როდი ისროდნენ გერმანელები — იქ კედებოდნენ ადამიანები, მალაშა კი — ცეცხლით ცეცხლდებოდა და ზის აქ, სქელი ძელებსაგან აშენებულ კედლებში, ზრდის თავის არსებაში, თავის სხეულში გერმანელის ნაშიერს.

ვედოკივე ხენეშოდა და ტრიალებდა კუთხეში.

— რა იყო, ველარ იძინებ? — შეეკითხა მას ჩეჩორიხა.

— როგორ არა... ბევრს კი დაიძინებ აქ... თქვენც ველარ იძინებთ?!

— მე კი სულ ვფიქრობ და ვფიქრობ, ვის ესროლეს ნეტა? სადღაც სულ ახლოს კი ისროდნენ.

— ვერაფერს გაიგებ, ვინ იცის ახლოს იყო თუ შორს... კედლიდან რას მიხედები, სხვაგვარიდ გეჩვენება კაცს... ჩემის აზრით ეკლესიისთან იყო, უფრო ახლოს არ უნდა ყოფილიყო...

— ვინ იცის...

— როცა გამოვალთ, გაეიგებთ, — ნელა წარმოსთქვა ოლგა პალანჩუკმა.

— სწორია, სწორი, — დაუდასტურა ჩეჩორიხამ.

ეტყობოდა გოგონას ძალიან უნდოდა გაეგონა დასტური იმისა, რომ ისინი მართლაც გამოვლენ, რომ მათ გამოიყვანენ აქედან არა შოვლიანზე, არა გერმანელთა მწყობრის წინაშე დასახერხებლად, არამედ გაანთავისუფლებენ, დააბრუნებენ სოფელში, სადაც შესაძლებელი იქნება საუბარი ადამიანებთან ისე, როგორც თავისუფალი ადამიანები ესაუბრებიან ზოლმე თავისუფალ ადამიანებს... მან ამოიხენეშა.

— ბაბუა, რაკი არ გეძინებათ, უმჯობესია ვეამბეთ რამე, დრო ჩქარა გაივლის.

— აბა, რა უნდა ვეამბოთ! — ჩაფიქრდა იგი, — საუბარიც აღარ მინდა.

— მაშ იმღერეთ, — სთქვა ოლგამ.

— რას ამბობ, რას? აქ ვიმღერო?!

— მერე რა არის, ნელა დაიღლინე, ისინი ვერ გაიგონებენ!

ვედოკიშმა სიბნელეში გააქნია ჭაღარა თავი.

— რა ვაეწყობა, რაკი გულით ვინდათ, ვიმღერებ... უძველესი სიმღერაა, ბაბაჩემი მღეროდა ამას... იმასაც თავისი პაპისგან ჰქონდა გაგონილი... უძველესი სიმღერაა, უძველესი, ისეთი, როგორიც თქვით უკრაინაა...

მონტუმა აკანკალებული ხმით დაიღლინა:

ოი, არ არის ამ ქვეყნად სიმართლე,
 ყველგან სიფალბე, ცდუნება არი...
 ვისაც სურს ყოფნა ლაღი და მშვიდი,
 შეაღოს ბრძოლით სიმართლის კარი...

— აბა, რა ჩემი სასიმღეროა ეს? ამას ბანდურზე დამკვრელები მღეროდნენ ძველად, სულ ძველად...

— თქვენ კი უბანდუროდ იმღერეთ... ისე ნაღვლიანი მაინც არ იქნება...

ოი, შენ მიეცი, ღმერთო, წარმატება იმას,
 ვინც კი იბრძვის სიმართლისთვის...

— ოი, შენ მიეცი, ღმერთო, წარმატება იმას, ვინც კი იბრძვის სიმაართლისათვის, — ჩურჩულით გაიმეორა ჩუჩორიხამ.

მოხუცი მითათოდვარე ხმით ღიღინებდა ამ უძველეს ქვეყანაში მძიმე უღლის ქვეშ მოჭყეული ხალხის სიმღერას, სიმღერას, რომელიც უწყვეტად მრისხანე დღეების სიბნელეში, ღამეების წყველიაღში, ცრემლით საესე ღამეების წყველიაღში, მონობისა და წამების დროს. მოხუცი ღიღინებდა ამ სიმღერას, რომელიც მიიჭქალა, დაეწყებას მიეცა, სიმღერას, რომელიც წავიდა, მიყუნდა იმ ნეტარ დღეებში, როცა შვისუშვირათი აყვავდა მთელი უკრაინა და ახალმა ცხოვრებამ დაიმღერა ახალი, ძლევაშოსილი სიმღერა.

მაგრამ ახლა, ამ ვიწრო ოთახშია სიბნელეში, იმ სოფელში, სადაც სახარხოზელაზე ქანაზობდა თერთმეტი წლის ყმაწვილის ცხედარი, სადაც ხეში ეყარნენ დახოცილები, სადაც წყალს ყინულის ქვეშ მიჰქონდა ქალის ასისხლიანებული სხეული, სადაც სიკვდილს თავისი აბლაბუდა გაეშალა ქობებზე, ეს უძველესი სიმღერა ისეთივე მწუხარე ჰანგებით ეღერდა, ისეთივე წუხილით იყო საესე, როგორც ძველად, ასეული წლების წინათ...

ოი, შენ მიეცი, ღმერთო, წარმატება იმას,
ვინც კი იბრძვის სიმაართლისათვის...

მოხუცის ხმა მისწყდა. მძველებს თვლენა ერეოდათ, დაღლილი თავები მკერდზე ჩამოჰკიდებოდათ... ძილი იპყრობდა ყველას...

თავი მერვა

ფეოდოსია კრავჩუკს თითქოს ვილაცამ ხელი ჰკრაო, უეცრად გამოეღვიძა და საწოლზე წამოჯდა. ისე გამალებით უცემდა გული, თითქოს მკერდიდან უნდა ამოვარდესო. ღრმად ისუნთქავდა ჰაერს და სულგანაბული სმენად გადაჰყეულიყო.

რამ გამოაღვიძა იგი? ან როდის დაიძინა? ეჩვენებოდა: ვერ დაეძინებ, ვერასგზით ვერ დაეძინებო... ძილს ვერ შეესძლებო, თურმე ნუ იტყვიოთ— მაგრა ჩასძინებოდა და ახლა რაღაც გამოთრკეველმა მიზეზმა გამოგლოჯა იგი ღრმა ძილს. რა იყოს ეს? ეს არ იყო კაკუნი, არც ხმაურობა. ყველგან დაურღვეველი მყუდროება სუფევდა, თვით გერმანელის ბროტინიც კი არ არღვევდა ღამის მყუდროებას. ეტყობოდა, გვიან დამეძღვე მჯღარაიყო საკომენდანტოში, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე და ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული. სულერთია, ამის მიუხედავად თავისით არ გამოღვიძებოდა ფეოდოსიას. რაღაც სხვა რამემ გამოაღვიძა იგი, რაღაც სხვა რამემ უეცრად, მოულოდნელად შესწყვიტა მისი სიზმარი. ამიტომ იყო, რომ აგრე უძგერდა შეშინებული გული.

ფეოდოსია არ დაწვა, დაძაბულად ყურს უგდებდა, სმენად გადაჰყეულიყო. ქოხში, გარეთაც — სრული სიჩუმე სუფევდა. ქარიც კი, რომელიც სილამოს ჩადგა, ჯერაც არ ამოვარდნილიყო. ღამე ისევ ნათელი და კაშკაშა იყო. ცაზე მისცურავდა მთვარე, რომელსაც ვარს ერტყა ცისარტყელას მოვლვარე წრე. ოთახში შემოქრილი შუქის გამო იატაკზე მკაფიოდ იყო გამოსახული ფანჯრის ჩარჩოების მოყვანილობა. ფანჯრის რაფაზე ჩამოდგმულ ქოთანში ჩარტული გერანის ფოთლები უფრო შავად მოსჩანდნენ ყინვით შეჭირბლული მინების თეთრ ფონზე.

ანაზღად ფანჯრის იქით რაღაც ჩქამი გაისმა. თითქოს ეს იყო შეწყვეტილი გმინვა, ან ხროტინი. ფეოდოსია უმაღლესად გადმოხტა საწოლიდან და ტეხშიშველი, ცერებით გავიდა აივანზე. აკანკალებული ხელებით ეცემა კედელს, მაგრამ ის არ იყო გაყრილი. მართლაც, გერნერი ჯერჯერობა მარტონი იყო. მას არასოდეს არ ავიწყებებოდა კარია მაგრა ჩვეულება.

ფეოდოსიამ კარი გააღო. შვემა ლანდებმა გაიღვეს.

— ვინ არის მანდ?

მას ჰკითხულობდა არა ფეოდოსია, არა... მან იცოდა, პირველ წუთიდანვე, როგორც კი გამოედევდა, იცოდა თუ რაში იყო საქმე.

— ეს მე ვარ, დისახლისი, — ჩურჩულით მიუგო ფეოდოსიამ, — ნელა, ყმაწვილებო, იგი ჯერ კიდევ არ არის...

ისინი უკვე დერეფანში შემოვიდნენ. ფეოდოსიამ იცნო პატარა მზვერავი.

— ჯერ არ მოსულა, ალბათ საკომენდანტოში ზის.

— მაშ რისთვის შემოვიდეთ საკომენდანტოსკენ, ყმაწვილებო!

— მოიცათ, — ძლივს აკავებდა მათ აკანკალებული ფეოდოსია, — სამაგიეროდ ის ქალი ზომ აქ არის!

— ვინ ქალია? ვინ არის? — ჩქარობდა მეთაური.

— გერმანელის საყვარელი.

— ეჰ, სადა გვცალია აქ ქალებთან დროის დასაკარგავად. დილით მოვიფიქრებთ, თუ რა უნდა ვუყოთ იმ გერმანელ ქალს.

— გერმანელი კი არა, ჩვენებურია, — მრისხანე ხმით წარმოსთქვა ფეოდოსიამ.

— ოჰო! მაშინ სხვა საქმეა! აბა, სად არის?

— ოთახში სძინავს!

ლეიტენანტი რაღაც უკმაყოფილოდ შეიშმუნა.

— რა გაეწყობა, ვნახოთ... შუქს ვერ აანთებთ?

— დარაჯი შეგენიშნავს.

— დარაჯი უკვე აღარ არის.

— მაშ კარგი, მით უკეთესი. მაშინ ლამპას ავანთებ.

ქალი აკანკალებული ხელებით ეძებდა ასანთს.

მოვიდნენ, მოვიდნენ, ეღირსა მათი ნახვა!

პატარა მზვერავმა ასანთი მიაწოდა. ქალმა ლამპა აანთო, შუქს აღწია.

— საკომენდანტოში ჩვენები სხედან, ექვსნი, მძევლებად ჰყავთ...

— ფიქრი ნუ გაქვს, დედი... ჩვენები უკვე იქ არიან, ახლოს... იმათ გამოუშვებენ. ჩვენ გვინდოდა ჩემად მოგვესპო კაპიტანი...

— რა გაეწყობა, დღეს არ მოვიდა. ალბათ საჩქარო სამუშაო აქვთ.

ფეოდოსია ფრთხილად აღებდა კარს, ცდილობდა არ დაეჭრიალა. წითელარმიელებიც ფრთხილად იყვნენ, ცდალობდნენ არ ებაკუნებინათ ფეხები, ამიტომ ცერებით მიპყვებოდნენ ქალს. ფეოდოსიამ მალლა ასწია ლამპა და საწოლი გაანათა.

ბუხისა გამოედევდა, კურტი შემოვიდაო ეგონა და რაღაც ჩაილაპარაკა მთვლემარემ. მაგრამ პასუხი არავინ გასცა, მაშინ იგი შემობრუნდა და გადმოშლილი თმა უკან გადაიყარა.

ლეიტენანტმა მოულოდნელად ხელიდან გამოსტაცა ლამპა ფეოდოსიის და საწოლთან მიიჭრა.

— ეს ვინ არის? — იკითხა მან რაღაც ველური ხმით.

— კომენდანტის საყვარელი გახლავთ, ჩვენებურია, დაბადან, — თქმსნა გაკვირებულმა ფეოდოსიამ.

პუსია რგვალსა და შიშით დაფეთებულ თვალებს არ აშორებდა ლამაზიან კაცს. საღამური ცისფერი პერანგი ჩამოუვარდა მხრიდან, შიშველი პატარა მკერდი გამოუჩნდა... ფეხები ქვეშ ამოიკრიფა; ოდნავ შესამჩნევი ქვეცნობიერი მოძრაობით უკან იხევდა, საწოლის კუთხისაკენ, თითქოს უნდა დამალულიყო, უნდა გამძვრალიყო კედლის ჭურჭრუტანაში. ლეიტენანტს შეაკანკალა. ლამპის შუქზე გაიკრიალეს წითლად შეღებილმა ფრჩხილებმა, უმაღვე ქალის ოდნავ გახელილ ტუჩებში გაიღვეს სამკუთხედმა კბილებმა.

— სერიოზია!!

ეს ჩურჩული ფოთლებში ნიავეს გაქროლებზე უფრო ნელი იყო, მაგრამ სერგეიმ გაიგონა ის, უფრო სწორად — ქალის ტუჩების მოძრაობის მიხედვით გაიგონა თავისი სახელი. სერგეი მთელი სხეულით შეტოკდა. თითქოს თავს იცავსო, პუსიამ წინ გაიშვირა თავისი პატარა, უსუსური, წითელ ფრჩხილებიანი, თითქოს სისხლში შესვრილი თითები. მის შეშინებულ რგვალ თვალებში საშინელება გამოისახა. საწოლი დიდად მოეჩვენა, ძალზე დიდად, თავათ კი იმალებოდა მის ერთ-ერთ კუთხეში, როგორც აბრეშუმის გრძელ საღამურ პერანგის ქობაში გამოხვეული, მკერდგადაღედილი პატარა თოჯინა.

საღლაც სროლის ხმამ დაიკეჭა.

— საკომენდანტოშია, — წარმოსთქვა ფეოდოსიამ. იმავე წუთში მეორე და მესამე მხრიდანაც გაისმა სროლა. ამას მოჰყვა ხშირი ზაოქი.

სერგეიმ მალლა ასწია რევოლვერი. წარბებზე კი არ შეუხრია, ისე ჩაეჭერდა ქალის ნაცნობ თვალებს. რევოლვერმა დაიკეჭა. პუსია შეტოკდა. ტუჩები ნახევრად გაეხსნა. ისევ გაიკრიალეს სამკუთხედმა, მიჯრილმა კბილებმა. პუსიას ისედაც რგვალი თვალები კიდევ უფრო გაფართოვდნენ, მინათვით გაიკრიალეს და გაიყინენ.

— საკომენდანტოსაკენ — ვასცა განკარგულება სერგეიმ. ისინი აცვილირან დაიძრნენ. აჩქარების გამო ფეხებით მოედნენ ვეღროებს, კარის ზღურპულს და ასე ბორძიკით გავიდნენ გარეთ, მთვარის შუქისაგან ვერცხლისფრად გაკაშკაშებულ ქუჩაზე.

სოფელში გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. პირველი გასროლა, რომელიც მათ გაიგონეს ქობში, ეს იყო რაგითი არმიის — ზავიასის მიერ გასროლილი ტყვიის ხმა. ზავიასი იყო სწორედ იმ კედელში, რომელსაც თანახმად ბრძანებისა უნდა დაეკავებინა პატარია.

სწორედ იმ დროს, როცა სერგეი ეპარებოდა ფეოდოსიას ქობს, რათა ძილშივე მიესწრო კაპიტნისათვის, ისინი მომცრო ბორცვზე წარმოდგმულ ეკლესიისაკენ ხოხვით გადადიოდნენ თოვლში. სრულიად შეუმჩნეველნი იყვნენ თეთრ ხალათებში. ფორთხვით მიდიოდნენ თოვლში, ეფარებოდნენ ქობების ჩრდილს, თხრილებითა და ორმოებით მიიპარებოდნენ. ყველაზე წინ დაძაბული ყურებით მიემართებოდა სერგანტი სერდიუკი. პატარიამდე უფნებლად მივიდნენ. ქვემეხების ლულები შავად ახაზულიყვნენ თოვლისა და ცის თეთრ ფონზე. ქვემეხებს საკვირველი, მღუშარე პირი დაეღოთ მალა, თოვლზე ფორთხვით მიმავალთა ზემოთ. სამი ჯარისკაცი იჯდა ქვემე-

ხებთან, ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ. ბატარის გასწვრივ წინ და უკან დადიოდა დარაჯი. თოვლი მონოტონურად ხრამუნებდა მის ფეხებზე.

სერდიუკი სულგანბული იცდიდა. დარაჯი ზედ თხრილუფანს შეეპყრონ და სერჯანტმა მკაფიოდ დაინახა მისი ვიწრო მხრები და ფეხები. მათ აღმოაჩინა მათი ამაოთელი ხიშტი. სერდიუკი უხმოდ ამოვარდა თხრილიდან, თავზე მოახტა გერმანელს, ძირს დასცა იგი. ორივენი თოვლზე დაგორდნენ. ვიდრე გერმანელი მოასწრებდა დაევირებდას, სერჯანტმა ყელზე წაუჭირა ხელები. მაგრამ ქვემეხის გუნდმა შენიშნა, რომ ამხანაგი მოულოდნელად გაქრა.

— ჰანს, აქეთ! — შეჭირვებული ხმით მოუხმო მას ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, სწორედ ამ დროს რომელიღაც წითელარმიელმა გამხმარი ტოტი მიამტვრია. ტოტმა გამეკმულურად გაიტაცუნა. ქვემეხის გუნდმა უმაღლეს შაშხანები მოიმარჯვა. ზაფხისმა ველარ მოითმინა და გვერდზე პირველ რიგში მდგომს ესროლა. გერმანელი თავდაღმა ჩაიკეცა. შემდგომი ამბავი ისე სწრაფად მოხდა, რომ გერმანელებს თავი და ბოლო აერიათ, ისინი სახტად დარჩნენ: გამოირკვა, რომ ქვემეხებთან სხვა არავინ იყო, ბატარია თავდამსხმელთა ხელში აღმოჩნდა. ხშირი სროლა მოისმოდა გზიდანაც, იქ, სადაც გემის თანახმად იყო გერმანელთა საკომენდანტო.

— სირბილით, ყმაწვილებო! — გასცა ბრძანება სერდიუკმა, მაგრამ უმაღლეს მის წინ აღიშართნენ შავი ლანდები. ეტყობოდა, გერმანელებმა გაიგეს, რომ თავდამსხმელები ცოტანი იყვნენ, ამიტომ ისინი გაბედულად გამორბოდნენ, თავსაც კი არ ღუნავდნენ, არც მოიბარებოდნენ, პირდაპირ მოემართებოდნენ. ისევ დაიგრიალეს შაშხანებმა, სერდიუკი მუხლზე დაეშვა, მარჯვენა ფეხზე უმცარი ტყვილი იკრძნო.

— რა მოხდა?

— არაფერი, არაფერი, ყმაწვილებო! აბა, დასცხეთ, დასცხეთ! ერთ-ერთი გაქცეული თოვლში ჩაიკეცა, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა დანარჩენები, ავტომატი ყველას ჰქონდა და განუწყვეტლივ სროლა გამაყრუებელ გრიალში გადაიზარდა.

— მიწაზე გაწეით, ყმაწვილებო, მიწაზე და ისე ესროლეთ!

ისინი ქვემეხებს მიუწვნიან, მიზანში ამოიღეს თოვლის თეთრ ფონზე მკაფიოდ გამოსახული მოშავო ფიგურები. სერდიუკი გულმოდგინედ უმიზნებდა. ცდილობდა ტყვილებრალოდ არ დაეხარჯა ვაზნა. ანაზად საშინელი სიცივე იკრძნო სახეზე და გაიფიქრა, რომ ალბათ ავტომატური შაშხანის კონდაზიდან არისო. უცივდებოდა შუბლი, ცხვირი, უშეშდებოდა ლოყები.

მისცა თუ არა შაშხანის ლულაში ვაზნა, ძირს დაიხედა და თოვლზე შენიშნა დიდი, შავი ტბორი.

— დასცხეთ, ყმაწვილებო, პირდაპირ დასცხეთ!

რა ტბორი იყო ეს, რომელშიაც იგი მუხლით ჩაიკეცა? მუხლის თავზე შარვალი სულ დაუსველდა. უცნაურად მოეჩვენა ეს ამ ყინვაში. თითქოს წყალი დაუსხამთო.

გერმანელები ჩაწოლილიყვნენ მოედნის მეორე მხარეზე, თხრილში, და სისტემატურად, ერთნაირად განუწყვეტლივ ისროდნენ, სერდიუკმა ოდნავ წამოსწია თავი ნამჭერის ზემოდ, რომელიც იცავდა მის სახეს. დააკვირდა გარემოს, უმაღლეს აღლო აიღო და სწორედ შეაფასა შექმნილი მდგომარეობა. ასეთი სროლა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო დაუსრულებლივ. სროლის ხმა კი გრიალებდა ნათელს სოფელზე, მან კი არ იცოდა, თუ სად როგორი

მდგომარეობა იყო შექმნილი. მისი მცირე გუნდი და თვითონ შერძობა მეტად საჭირო და გამოსადეგი ყოფილიყო იქ.

— ყმაწვილებო, დიდხანს დაგვაბანდებენ ისინი ასე დიდ ჭარხუჭუჭუნდებით! ვაშა წინ სტალინისათვის, სამშობლოსათვის!

მთელი გუნდი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოიჭრა. სირბილით თავიანთი ჯიშრები ავტომატური თოფების ჭარხუჭუჭუნდებურ გრილში, ტყვიამფრქვევების კაჯანში. მომარჯვებული ხიშტები ქვეწარმავლის შხამიან ენასავით წინ გაეშვირათ. რამდენიმე ნახტომით თხრილამდე მივიდნენ, თავზე ვადმოახტნენ გერმანელებს, რომლებიც ისე დაიბნენ, რომ ვერც კი გაიგეს, რაში იყო საქმე. თხრილი ჩაჩუმდა, ის ახლა ისე სდუმდა, თითქოს მგელს ყელში წაუტირეს და ღმუილი შეაწყვეტინესო. გერმანელთა გვაშები ეყარნენ აქა-იქ, თოვლში.

— ახლა საით? — იკითხა გულამოკიდარმა ზევიასმა. სერდიუკი პასუხს არ იძლეოდა. მეტროლოგმა გაკვირვებით მიმოავლეს ირგვლივ თვალი.

— ჰეი, ამხანაგო სერდიუკ, სადა ხარ?

— რა მოხდა? — უნდობლად იკითხა ცისფერთვალებიანმა ალექსეიმ, სერდიუკის ტახლოესმა მეგობარმა.

— მორბოდა თუ არა ჩვენთან ერთად?

— ხომ არ ვაგიყდი, რათქმა უნდა მორბოდა.

— მამ სადღა წავიდა?

— აქ წეცა, აქ! — აჯანყლებული ხმით წამოიყვირა ყველაზე უმცროსმა — ვანიამ.

ალექსეი მისკენ გაექანა. სერდიუკი ეგდო გზაზე — ქვეშეხებსა და თხრილებს შუა.

— რა მოხდა? — ყრუ ჩურჩულთ ჰკითხულობდა ვანია.

ალექსეიმ გადაჰხედა მას.

მთვარის შუქზე მკაფიოდ მოსჩანდა სისხლის ლაქა, სისხლის ტბორი იდგა ქვეშეხიდან იმ ადგილამდე, სადაც მოკლული ეგდო.

— სად მოხვედრია?...

ალექსეიმ უსიტყვოდ მიუთითა. მუხლი და თავის ნაწილი თითქმის სწორ კუთხისებურად ეგდო ფეხის დანარჩენი ნაწილების პირდაპირ.

— ფეხზე მოურტყამთ, თითქოს დანით გადაუჭრიათ...

— შეჰხედეთ, თურმე რით გამორბოდა!

— ნახვის დრო არ არის. საკომენდანტოსაკენ, ყმაწვილებო! იქ ცხარე ამბავი ტრიალებს, ჩქარა!

ჩქარა მიჰყვნენ ალექსეის, ყინვა დანასავით სჭრიდა სახეს, სუნთქვას ჰკრავდა.

როცა პირველი გასროლა გაისმა, კაპიტან ვერნერს საღამუშრო საწოლზე ეძინა საკომენდანტოში. ვერნერი შტაბიდან დარეკვას ელოდებოდა და ამიტომ შინ არ წასულა. მოპირდაპირე კელელთან მაგრა ეძინა ფელდფებელსაც. მეზობელ ოთახში კი როგორც ყოველთვის, ახლაც იატაკზე ეყარნენ ჯარისკაცები. კაპიტანი დიდხანს ელოდებოდა, მაგრამ ტელეფონი სდუმდა. ვერნერს აბრაშებდა ზერინვა, რომელიც მოისმოდა მეორე ოთახიდან, აბრაშებდა ფელდფებელის ხროტინიც, საწოლი. იყო მაგარი და მოუხერხებელი. ერთხანს ეწვალა. მერე, როგორც იყო, მასაც ჩაეძინა. იგი მხოლოდ გასროლამ გამთვალევია.

— ვიღაცა ისევ დაეხეტება სოფელში. — ნერვიულად გაიფიქრა მან. მას აბრაზებდა გერმანელთა ბრძანებების უსუსურობის ეს ახალ საბჭოთაო თითქმის იმავე წუთში დაიგრილა მეორე გასროლამ, მესამემ ვერნერი საწოლიდან წამოიჭრა.

— ჰაუზე, ადგილი!

ფელდფებელი უკვე ფეხზე იდგა. ფანჯრის იქით ფეხების ბაკუნი მოისმა, ოთახში შემოვარდნენ ჯარისკაცები.

— სოფელში ბოლშევიკები არიან!

— დაჰკეტეთ კარები! ჩააქრეთ შუქი! — გაცა ბრძანება ვერნერმა, ჯარისკაცები მივარდნენ ურდულეებს, რომ მძიმე ძელებით მაგრა ჩაეკეტათ კარები.

ის ოთახი, რომელშიაც ტელეფონი ეკიდა, ყველაზე უფრო განიერი იყო, ამავე დროს ის ყველაზე უფრო გამოდგებოდა თავდაცვისთვისაც. თუმცა ვერნერი სრულიად არ ფიქრობდა, რომ აქ მოუხდებოდა თავდაცვის წარმოება, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მაინც ყველაფერი მზად ჰქონდა. სქელი ფიცრის კარი მაგარი და გამძლე იყო. ამის მიუხედავად ვერნერმა ბრძანება გაცა კიდევ უფრო გაემაგრებინათ ის, შეეკეტათ თუნუქით, მაგარი ურდულეები დაედოთ. ოთახის კედლები სქელი ძელებისაგან იყო ნაგები, ფანჯრებზე მაგარი ღარებები ეკიდა. სახლი აშენებული იყო ძელებისაგან და ალბათ დიდი ხნის წინათ მიჩნეული იყო საწყობად, ან ბეღელად. სახლის ის ნაწილი, სადაც აწვნენ ჯარისკაცები და მძევლები იყვნენ მოთავსებულნი, მიშენებული იყო უფრო გვიან, როცა აქ მოთავსდა სასოფლო საბჭო, წითელი კუთხე და ბიბლიოთეკა. იქ კედლები უფრო თხელი იყო და კარი უბრალოდ, გასაღებით იკეტებოდა. მაგრამ მაინც სიმაგრეს ჰგავდა.

— გააღეთ ამბრაზურები!

ჯარისკაცებმა უმაღლეს გამოაგორეს კედლის გასწვრივ დაწყობილი ძელები. აქ რიგზე ეწყო ქვიშით სავსე ტომრები, ხოლო ზედ იატაკთან გამოჭრილი იყო ვიწრო ჭურჭრები. ჯარისკაცები მიწაზე გაწვნენ. ჭურჭრებიდან ოთახში გამყინავი სიცივე შემოვიდა. დაიჰქექეს შაშხანებმა.

მეზობელ ოთახში ფეხების აჩქარებული ბაკუნი გაისმა. სულ ახლოს კიდევ გაისროლეს.

— შტაბში დარეკე, ჩქარა დარეკე! პარტიზანები არიან? — შეეკითხა ვერნერი აქოშინებულ, გულამოგდარ დარაჯს, რომელიც ლენტს სდებდა ტყვიამფრქვევში.

— არა! ჯარია!

— ბევრნი არიან?

— არ ვიცი, ყველგან სროლაა, ეტყობა ყოველის მხრიდან გვიტყვენ. ვერნერმა შეიგინა.

— დარეკე, დარეკე!

— ბატონო კაპიტანო, ტელეფონი არ მუშაობს!..

ვერნერი ერთი ნახტომით მივარდა მაგიდასთან, მაგრამ ამაოდ ჩასძახოდა მილში და ამაოდ ურტყამდა მუშტს ტელეფონის დამუნჯებულ ყუთს. სამარცხებური სიჩუმე იყო...

— გადასჭრეს ნაძირალებმა!

ბრანზორევიტ დაარტყა მუშტი. ტელეფონი გრუხუნით დავარდა იატაკზე. ვერნერმა ფეხი ჰკრა და კუთხეში მიახეთქა ის.

— თვითონაც გაეწვედებით, ყურადღება!

ქუჩიდან ხშირი სროლა მოისმა. მკაფიოდ მოისმოდა აგრეთვე, თუ ^{საქონლის} რაქუნობდნენ ტყვიები სქელი ძელისგან ნაგებ კედლებზე. მესობელ ოთახის კარებზე კინდახებეს უბაგუნებდნენ, მაგრამ მხოლოდ ხმაურს ^{მისმოდიან} ^{გონიერების} კარი კი არ ირყევდა.

— დაარტყი, — მძულვარებით და ნიშნისმოგებით წარმოსთქვა ვერნერმა, რადგან სრულიად დარწმუნებული იყო კარის სიმაგრეში.



საკომენდანტოზე თავდასხმას ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი შალოვი. ველარც კი მოასწრო პირველი კარის ჩამონგრევა და შიგ შეჭრა, რომ სირბილთ მოვიდა გუნდი, რომელმაც დაიკავა ბატარია.

— სად არის სერდიუკი?

— სერდიუკი დაიღუბა, ბატარია დაკავებულია.

პირველ ოთახში იპოვეს ჯარისკაცების საწოლები, მიყრილ-მოყრილი ნივთები. ოთახში არც ერთი ადამიანი არ იყო.

— შეჰხედეთ რა უქნიათ იმ ნაძირალებს, გამოუოვიძიათ და იმ ოთახში ჩაკეტილან.

— იქიდან გამოვყრიოთ...

— გარეთ გავიდეთ! იქიდან ავიდოთ!

გაიშალნენ, სახლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ უმაღვე დარწმუნდნენ, რომ ეს სახლი ერთგვარ სიმაგრეს წარმოადგენდა. სქელ და მაგარ ძელებში ვერ ატანდა ტყვია. ძირს ვარდებოდა ნატყვიაირიდან მოგლეჯილი ნაფოტები, ძელი კი ისევ მთელი რჩებოდა. მკვეთრად კაჟანებდნენ ტყვიაფრქვევები. ამბრაზურებში ყოველ წამში ელავდა მტრედის ფერი და წითელი ალი. სახლი სიკვდილს აფრქვევდა.

— ვაზნები არ ენანებათ, — ჩილაპარაკა შალოვი.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ეტყობა თავდაცვისათვის კარგად მომზადებულან...

მთელს სოფელში გრიალებდა სროლის ხმა. ეტყობოდა, ცალკეული გუნდები გარს შემორტყმოდნენ გერმანელებს თავიანთ სადარაჯოებზე. ყველაფერს აყრუებდა ხმაურობა, რომელიც მოისმოდა გამაგრებულ ქოხიდან.

— ყმაწვილებო, უნდა მოვრჩეთ გათენებამდე, უნდა დავიმორჩილოთ, აქ დაბანდება უადგილოა. დილით რომელიმე მათ ნაწილს შეუძლია შემთხვევით გამოიაროს და ყველაფერი ჩაფუშოს...

ბორცვის გადაღმა ჩასადრდნენ, იღრო-იღრო ადგილებში და ცდილობდნენ პირდაპირი მორტყმით დაემტვრიათ ამბრაზურებში გამოშვებული შაშხანები. ცეცხლი მაინც წუთითაც არ ნელდებოდა.

ლევონიუებისას გერმანელებს მოულოდნელად თავს დაესხნენ. გერმანელებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა სახლში შეიჭრნენ მებრძოლები. შეშინებული ჯარისკაცები წამოხტებოდნენ თუ არა, საწოლებთან იყუდებულ შაშხანებს დაავლებდნენ ხელს, ფეხებში წარამარა ედებოდათ იატაკზე დაყრილი ჩექმები, ტომრები.

— გაწეით მიწაზე! — შესძახა მინჩუკმა შეშინებულ ლევონიუკის ქალს. იგი მორჩილებით ძირს დაეცა, თან ცდილობდა საწოლის ქვეშ დაემალა პა-

ტარა გოგონა — ვანკა. მაგრამ ვიდრე ვინს მოვიდოდა, ვიდრე გამოჩნდებოდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, ქოხში ისევ ყველაფერი მიწუნარდი. მებრძოლები გაქრნენ, იატაკზე საცვლების ამარა ეყარნენ დახრილი გერმანელები.

— აბა, ვასკა, მომეშველე, ქოხიდან უნდა გავყაროთ ეს აშშორებული მძორი! — აკანკალებული ხმით უთხრა ქალმა შვილს, ორივენი უმაღლეს დარჩალებს და იწყეს გვამების გარეთ გათრევა. დახოცილ გერმანელებს ფეხებში ჩააფლეს ხელები და ისე ეზიდებოდნენ გარეთ, რომ ძლივს სუნთქავდნენ, რადგან ვასკა სულ თორმეტი წლისა იყო, თავით ქალი კი ფეხშიძე.

— ნელა, ნელა, რა გეჩქარება? — უყვიროდა ქალი შვილს, მაგრამ ვასკამ იცოდა, თუ რატომაც ეჩქარებოდა. ვერ მოახერხა დროზე გაქრნა, ვერ მოახერხა სოფლიდან გასვლა წითელარმიელებთან ერთად, ვერ მოახერხა გაქვოლოდა მათ. ახლა კი დედა აბანდებდა მას აქ, ამ სულელური მუშაობით. იქ კი მთელს სოფელს აყრუებს სროლა, მოისმის ყვირილი. ვასკა კი ნაცვლად იმისა, რომ გაიქცეს და თავისი თვალით ნახოს ყველაფერი, რაც იქ ხდება, იძულებულია გარეთ ათრიოს დახოცილი გერმანელები. ვინ იცის, რომ წასულიყო, იქნებ შაშხანაც კი მიეცათ მისთვის... ვინ იცის, იქნებ მიეცათ?

საბუე, რომლის დროსაც დაიწყო სოფელზე თავდასხმა, უკვე დიდი ხნის წინათ იყო დარღვეული. ახლა უკვე არავინ არ მოიპარებოდა, არავინ არ მოხზავდა ღობის გაღებამ. აღამიანებს აღარ ეშინოდათ იმისა, რომ გზაზე დაეკმული ლანდი გასცემდა მათ...

— გახსოვდეთ, ყმაწვილებო, ცოცხალი არავინ არ უნდა გაქრეს აქედან, არავინ! — უთხრა წითელარმიელებს ლეიტენანტმა, როცა ისინი ჯერ კიდევ ჯგუფ-ჯგუფად ეწყობოდნენ სოფელთან მოახლოების დროს.

მებრძოლებმაც კარგად იცოდნენ, რომ სწორეთ ამაზე იყო დამოკიდებული საქმის წარმატება.

გერმანელები სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვაგვარად იქცოდნენ. ზოგან არჩევს ქოხებში ჩასაფრებულაყენენ და იქიდან ეწარმოებინათ თავდაცვა, ზოგან არე-დარევის დროს, გარეთ გამოვლიდნენ საცვლების ამარა, მაგრამ შაშხანები და ვახანების საკმაო რაოდენობა კი ყოველთვის თან მიჰქონდათ. გერმანელები ნახევრად შიშველნი გამოვლიდნენ მსუსხავ ყინვას, ეფარებოდნენ ფარდულის კუთხეებს, ღობეებს, შეუპოვრად ისროდნენ.

— ფეხებში ნუ გვედებით, ფეხებში! — უყვიროდა სერგეი ქალებს, რომლებიც ისე ჩქარა გაჩნდნენ, თათქოს მიწიდან ამოქრნენო და რომლებიც უმაღლეს მოჰყენენ სროლის ჯვარედინ ცეცხლში.

— ამხანაგებო, ჩემს ქოხში ექვსი გერმანელია, ექვსი გერმანელი ჩქარა! — პელჩარჩხა ფარაჯის კალთაში ჩააფრინდა წითელარმიელს და შინისაკენ ეწიწებოდა.

— რომელ ქოხში?

— შენ ოღონდ წამოდი, გიჩვენებ, ქოხი აქვია, სულ ახლოს.

მუდარებოდა, თათქოს კარგი ბინით ახარბებსო მებრძოლს. წითელარმიელები სირბილით მიჰყენენ ქალს, მაგრამ უმაღლეს დარწმუნდნენ, რომ საქმე არც თუ ისე იყო, როგორც ეგონათ. გერმანელები ქარიშხლისებური სროლით დაუხვდნენ წითელარმიელებს. აქ გამოჭრილი იყო კედლები, ვიწრო ამბრაზურებიდან სიკვდილი გამოდიოდა.

პელჩარხის მებრძოლებთან ერთად მიწაზე გაწვა. რამდენიმე წუთში ქალის გვერდით მწოლმა მებრძოლმა მკერდზე იტაცა ხელი, დაიკინა და უღონოდ დაუშვა თავი შაშხანის ლულაზე.

— რასა ჰგავს ეს, ყმაწვილებო! — წამოიყვირა პელჩარხის მებრძოლებს ერთ-ერთად ამოგზოცავენ, თვითონ კი ქოხში იქნებიან! ცეცხლი წაუკიდეთ ქოხს!

— ეს შენი ქოხია?

— ჩემია, მაშ, ვისი? ცეცხლი წაუკიდეთ, ცეცხლი! — პელჩარხამ მუშტები მოკუმწა.

— ქოხში არავინ არ არის?

— ბავშვია... უფროსები გარეთ გამოვარდნენ, მოასწრეს... აკნისა კი დარჩა...

— მაშ როგორ-ღა უნდა წაუკიდოთ? ხომ არ შეიშალე, ქალო?

ქალომ ხელი ჩაავლო წითელარმიელს.

— რა უნდა ექნა, შეიშო, რა ერთი ბავშვისთვის ხომ არ ამოწყდებით? მე დედა ვარ და გეუბნებით — ცეცხლი წაუკიდეთ ქოხს, ცეცხლი!

— გონს ნოდი, ქალო! დედა ხარ! გესმის, რასაც ამბობ?

— წაუკიდეთ ქოხს! შორჩა და გათავდა!

მეორე წითელარმიელი ჩქარა იხვევდა კრილობას ცხვირსახოცი, რომლიდან წურწურით გამოდიოდა სისხლი.

მებრძოლები ყურს არ უგდებდნენ პელჩარხის, მაგრამ იგი პაინც ცდილობდა დაეყოლებინა წითელარმიელები, თან ხეწწნა-მულარით ებლაუტებოდა ფარაჯის კალთებზე.

— ნუ დაბორილობ აქ, გესმის თუ არა. მოგკლავენ! ვერა ჰხედავ, როგორ ისვრიან?

— ვის რათ უნდა, რომ მოხუც ქალს ესროლოს?

ერთ-ერთ ამბრაზურაში შაშხანის სროლა შეწყდა.

— ხომ ხედავთ! თუ კარგად ისვრი, თურმე ყველაფერი რიგზე ექნება.

— პეი, ყმაწვილებო, რა იქნება სახურავიდან რომ დავსცხოთ? მეორე მხარეზე, სახურავიდან!

— ეს კი სულ სხვა საქმეა! თორემ რასა ჰგავს, ბავშვი ქოხში გყავთ, სულ წაუკიდეთ და წაუკიდეთო იძახით! აბა, საით უნდა წავიდეთ, გაგვიძებ წინ!

რამდენიმე კაცი ადგილზე დარჩა. ისინი გაორკეცებული ენერგიით ისროდნენ. დანარჩენები სირბილით მიჰყვნენ პელჩარხისას. წუთში ქოხში ერთი ალიაქოთი ატყდა.

— არ ისროლოთ! — წამოიყვირა პელჩარხამ, თან განიერად გააღო კარები. — არ ისროლოთ!

მებრძოლები წამოხტნენ: ქოხში დახოცილი გერმანელები ეყარნენ, ერთნი პირით ტყვიამფრქვევებზე დამხობილნი, მეორენი ხიშტებით განგმირულნი.

— სერიოჟა, შეჰხედე, პირდაპირ შებლში აქვს მორტყმული...

მსროლელმა ამაყად დახედა თავის ნამუშევარს. დიალ, გერმანელი იქვე ეგდო. პელჩარხა აკვანთან მივარდა.

— მოუკლავთ! — წარმოსთქვა მან მიმკვდარებული, ყრუ ხმით.

წითელარმიელებმა შეჰხედეს. ბავშვის პატარა უსულო სხეული ხელში ეჭირა ქალს. ბავშვს თავი გამობილი ჰქონდა. აკვანი სისხლით სავსე იყო.

— ალბათ იტირა აკვანში და იმ ნაძირალებმა კონდახით გაუპეს თავი...

გონება დაკარგული პელჩარისა იდგა ერთ ადგილზე, ხელში მკვდარი ბავშვი ეჭირა და უხაროდ აქანავებდა მის ბაწია სხიულს.

— ხომ ჰხედავთ!.. თქვენ კი არ გინდოდათ ცეცხლი წაგეკიდებინათ... მკვდარი ბავშვი დაგენანათ... ამ ბავშვის გამო არის ის თქვენ... მკვდარი დაქრილი...

— დამშვიდდი, დედი, დამშვიდდი!..

— მე ხომ არ ვტირი, ჩემო კარგო... არ ვტირი... თოფს კი რომ მომცემდეთ...

სოფელში ნელნელა წყნარდებოდა სროლა. შეტაკება გრძელდებოდა მხოლოდ საკომენდანტოს ახლოს. ცა მუქდებოდა, ცისარტყელასებური არშით გარშემორტყმული ნთვარე კი დნებოდა უსახლვრო სივრცეში. დნებოდნენ ცისარტყელას სვეტები, რომლებიც სატრიუმფო თაღის სვეტებივით ამართულიყვნენ მის ორივე მხარეზე. პერი უერთდებოდა უსახლვრო სითეთრეს, მთელი სამყარო თითქოს ყინულით საესე მინის უზარმაზარ ბუქტის წარმოადგენდა. ამ ვერცხლისფერსა და სითეთრეში იჭრებოდა მხოლოდ ცეცხლის ალი, რომელიც ელავდა საკომენდანტოსთან განუწყვეტელი სროლის გამო.

— ასე ვერას გაგვხდებით, ყმაწვილებო... ხელყუმბარები გადავყართ ფანჯარაში, იქ ფანჯრის დარაბები არ უნდა იყოს ისეთი მაგარი, როგორც კედლებია.

— როგორ-ღა მიხვალ ახლოს? გიეებივით ისვრიან...

მართლაც ამბრაზურებიდან ცეცხლის ნიაღვარი გამოდიოდა.

განუწყვეტელი გრიალი გაისმოდა, თოვლი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას ღრუბელივით დგებოდა.

— თენდება! — რალაც შემფოთებული ხმით წარმოსთქვა შალოვა. თან შუქით შევერცხლილ ცის კიდეც გაჰხედა. შორს, ცის კაზადონზე მოსჩანდა ვარდისფერი ზოლი. ბრძოლამ უფრო მეტ ხანს გასტანა, ვიდრე შალოვი ფიქრობდა. ვათენდება, ვხაზე შეიძლება გამოჩნდნენ გერმანელთა რაზმები, შეიძლება მოულოდნელმა დამხმარე ძალებმაც მოგვისწრონო, — ფიქრობდა იგი. ყველაფერი ის, რაც ხდებოდა ღამის სიბნელეში, შეიძლებოდა შეუმწინველად დარჩენილიყო. დღის სინათლეზე არ ეშინოდათ გერმანელებს მოულოდნელი ამბებისა, დღის სინათლე გამოსვლისა და მოძრაობის საშუალებას აძლევდა მათ. თუ კი სადმე დაინტერესებულნი არიან ამ რაზმით, — და რომ დაინტერესებულნი არიან, ეს ექვს გარეშეა, — მაშინ ყურადღებას მიექცევენ სატელეფონო კავშირის შეწყვეტას, გამოგზავნიან ხალხს, ძებნას დაიწყებენ...

დღის სინათლე ხელს უწყობდა გერმანელებს.

— აბა, ყმაწვილებო...

— არაფერი არ გამოდის, ამზანავო ლეიტენანტო!.. აქ შეიძლება ვიჯდეთ მთელი წლის განმავლობაში... ხელყუმბარებს რომ გადავყრიდეთ, სულ სხვა საქმე იქნება...

— მოდი, ესცადოთ, — წამოიძახა სერგეიმ.

— რას ამბობ, აბა როგორ უნდა სცადო?

— არა უშავს რა, მე ვცდი...

შორიდან მოუარა, განზე გადახიზდა, ეპარებოდა კუთხიდან, ვადალმა მხრიდან, საიდანაც კედელზე ამბრაზურები არ იყო გამოჭრილი. მებრძოლებმა სროლა შესწყვეტეს, ეშინოდათ მისთვის არ მოერტყათ ტყვია.

— შეჰხედე, ეს რა გამოიგონა? — ღელავდა შალოვი. მაგრამ სერგეი გაბედულად მიხიხავდა. საგანთიადო შუქით შევერცხლილ სიბნელეში მკაცრიოდ მოსჩანდა, თუ როგორ ტრიალებდა ბნელ ამბრაზურაში შემხანის ღელა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, თუ როგორ ეძებდა ის კედელზე მდებარე ადგილს, როგორ ისროდა ზუსტად, აუცდენლად, როგორ სთესდა სიკვდილსა და განადგურებას.

ანაზღად წამოღდა სერგეი. ვიდრე მებრძოლებმა გაიგეს რაშია იყო საქმე, სერგეი მთელი სიმაღლით ფეხზე წამოღდა მათსა და სიკვდილის ქარიშხლის მფრქვევე ამბრაზურებს შუა, წელში გასწორდა და ხელის ელვისებური გაქნევით ფანჯარაში გადაისროლა ხელყუმბარების კონა. ცეცხლის სვეტი აიშარათა. ფანჯრის წინ თითქოს ჰაერზე დაეკიდა კაცი. მერე შეირხა, შეპქანდა და მიწაზე დაეშვა.

— წინ! — გასცა ბრძანება შალოვმა.

მებრძოლები სახლისაკენ გაეშურნენ. ამბრაზურასთან მოდგმული ტყვიამფრქვევი უკვე სდუმდა. სასხლის ღვარში მკურავი ტყვიამფრქვევებიც სდუმდნენ. ხელყუმბარებმა ჩინებულად შეასრულეს თავიანთი საქმე.

— წინ, ყმაწვილებო!

სეტყვასავით დააყარეს სახლს ტყვია, მერე შიგ შეიჭრნენ, ხელყუმბარებით გამონგრეულ კედელში. შესვლისას ხელები შეიჭრეს ჩამსხვრეულ მიწებზე. ცეცხლის ალი ედებოდა სქელ კედლებს.

— იქ ხომ ჩვენები არიან, ჩვენები! — შეშხარავად დაიყვირა მალიუჩინამ. ნხოლოდ ახლა მოაგონდათ მძევლები. ისინი კი კედელთან იდგნენ და ზედ მკვლელთ ყური. არ ეძინათ, როცა პირველი სროლა გაისმა, ყველამ ერთსა და იმავე დროს გაიგო ის, როგორც საკუთარი გულის ძგერა. პირველ გასროლას მოჰყვა მეორე. არა, არა, ეს არ ჰგავდა დარაჯას მიერ შემთხვევით გასროლას.

— ჩვენები არიან! — მოწყვეტით, მაგრამ ბოხი ხმით წარმოსთქვა ჩეჩორიხამ.

— ჩვენები არიან! — წაიჩურჩულა ოლგამ. მხოლოდ ერთადერთი შალაშა არ განძრეულა ადგილიდან. იგი ისევ მინისებური, უძრავი თვალებით მისჩერებოდა სიბნელეს.

— ეკლესიასთან ისერიან! — შენიშნა ევლოკიმმა.

— იმათ ბატარეისთან არის სროლა...

სროლა ზედ კედელთან გაისმა.

ოლგამ დაიწრიალა.

— ჩუმაღ! ჩვენები არიან, ჩვენები!

მძევლები თითქოს ხაფანგში ისხდნენ. გარწემო სიბნელე ერთყაით, არაფერი არ ჩანდა. კედლის იქით კი დარბოდნენ, ისროდნენ, გაცხარებული შეტაკება იყო.

მძევლები კი არაფერს ჰხედავდნენ, მათ არაფერი იცოდნენ.

— ვიდრე ჩვენები მოგვისწრებდნენ, გერმანელები ამოგველეტენ. — გაიღვირა გროხაჩმა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი არა სთქვა, რომ ქალები არ შეეშინებინა. იგი მღელვარებით ყურს უგდებდა იმ ამბავს, რაც ახლა ხდებოდა კარის იქით. მაგრამ წუთის შემდეგ მკაფიოდ შემოესმათ კარებზე კონდახების დარტყმა, ჩამოვარდნილა კარის ძირს დაცემის ხმაური, მუზო-

ბელ ოთახიდან შემოესმათ აჩქარებული ფეხის ხმა, ბაკუნი, გროხაჩმა მუშტები დაარტყა კარს.

— ყმაწვილებო, გარეთ გამოგვიშვით, გარეთ! გრძელდება
კედლის იქიდან ისევე სააურობდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, მისხმაცხარბილი არავის ესმოდა.

— აბა, ქალებო, დამეხმარეთ, თორემ არავის ესმის. როდემდის უნდა ვიჯდეთ აქ?

ოლგა წამოხტა და დატინებით დაიწყო კედელზე მუშტების რტყმევა. მას მიჰყვა ჩეჩორიხა. ორივენი უბაგუნებდნენ მუშტებს.

— ყმაწვილებო, გამოგვიშვით!
კედლის იქით გრძელდებოდა ხმაურობა, სირბილი, სროლა. არავინ არ იძლეოდა პასუხს; არავინ არ აქცევდა ყურადღებას პატიმართა სასოწარკვეთილ ყვირილს.

— უფრო მაგრად, უფრო მაგრად, ქალებო, ბოლოს და ბოლოს ხომ გაიგებენ...

— რასა ჰგავს ეს!.. ნუ თუ სოფელში არავინ არ უთხრა მათ, რომ აქ ვზივართ?.. დავავიწყდით თუ რაშია საქმე?

ისევე დაიწყეს მუშტების რტყმევა, იმავე დროს გარედანაც მოისმა ფეხების ბაკუნი. ეტყობოდა, მეზობლები სახლიდან გამორბოდნენ. წუთით სინემე ჩამოვარდა. ტყვეებს ისე მოეჩვენათ, თითქო მათ წინ უფსკრული გაღახსნილიყოს. ხსნის იმედი დაეკარგათ.

— რას ნიშნავს ეს? — ყრუდ იკითხა ევდოკიმა, — ხომ არ მიდიან ჩვენები?

— ოჰ! — აქვითინდა ოლგა.
— ჩემად, სულელო! კიდევ ამას აპყოლიხართ, ბებერი ხართ, ჰკუა კი არა გაქვით! მეორე მხრიდან ცდილობენ, არ გესმით?

შქველები გაჩუმდნენ. ხმაურობა და სროლა გაორკვეებული სიძლიერით მოისმთა მეორე მხრიდან.

— ქუჩიდან უნდათ აიღონ!..
— ვისია ეს ტყვიამფრქვევი, რომ კაკანებს?

— გერმანელებისაა. ყური უგდე — ეს კი ჩვენია...
კედელთან შეჯგუფდნენ, კანკალით უსმენდნენ. მხოლოდ მალაშა იჯდა თავისთვის, ჩუმად, გაუნძრევლად, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ისე გამოიყურებოდა. მასზე არაფერი არ მოქმედებდა.

— ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო მოწყალეო! — ხენეშოდა ევდოკიმა. გროხაჩმა გადახედა მას.
— შენ რა — სალოცავად ემზადები ოუ?

— ილოცოს თუ უნდა, — დაეკომაგა მოხუცს. — ხელს ვიშლის, თუ? ევდოკიმა მუხლზე დაეშვა, კართან და მოხუცის ანკალბული ხმით დაიწყო.

— მაშო ჩენო რომელი ხარ ცათა შინა — გვიხსენ ჩვენ ბოროტისა, ავისა, ქვეწარმავლისა და მტრის შემოსევისაგან...

გროხაჩმა მხრები აიჩეჩა. კედლის იქით ისევე ვრიალებდა სროლა, თან საშინელი ხმაურობა მოისმა. ყველაფერი შეიარყა, თითქოს სახლი ქვესკენელში გადაეშვა.

— ააახ! — ოლგამ გულისწამდებლად დაიწრიალა.

გაისმა ხმები. ხმაურობა კიდევ უფრო გაძლიერდა. საღვთო ანთქალის გაისმა ქალის სასოწარკვეთილი კივილი. თითქმის ერთსა და იმავე დროს აბაკუნდნენ ფეხები, დაიგრიალეს კონდახებმა.

— კარს მოშორდით, — შესძახა გროხაჩმა.

მძევლებმა უკან დაიხიეს. კარი ჩამოვარდა.

პატიმრებს მოეჩვენათ: უკუნ სიბნელიდან კაშკაშა დღე შემოიჭრაო.

მეზობელ ოთახს უკვე ანათებდა განთიადის მონაცრისფერო შუქი, რომელსაც ჰსერავდა ხშირი სროლს ცეცხლის ალი. ოთახში გულამომჯდარი ქოშინით შემოვარდა მალიუჩიხა.

— ჩვენები არიან, ჩვენები, გარეთ გამოდით! — ყვიროდა იგი, თან იციროდა, სტიროდა სიხარულის გამო. ანაზღაღ მივარდა ჩერობიხას და სახელოებში ჩააფრინდა. — ბავშვები ჩემთან არიან, კარგად არიან, ცოცხლები არიან... ჩვენები სოფელში შემოვიდნენ, სოფელში!..

— ცოტა ჩუმიად, ქალებო! — შეჰყვირა მათ გროხაჩმა. — გამოსვლა გვცალკეთ!

მალაშა ერთი ნახტომით წამოიჭრა მიწიდან და უსიტყვოდ გამოვიდა გარეთ. ზღურბლთან იჯდა ახალგაზრდა მებრძოლი და ფეხზე ჭრილობას იხვევდა. მალაშამ თვალი შეასწრო დაჭრილის გვერდით დაგდებულ გერმანულ შაშხანას და ვაეკაცურად უმაღლვე ხელში აიღო ის.

— შენ რაღას აპირობ? — მან ხელი გაუწოდა, მაგრამ მკლავი გაიქნია და მოიშორა ის, თან მრისხანე შავი თვალები რაღაც ზეადამიანური სიძულვილით დააბრიალა.

— ფუ, გიჟი...

— შენ კი დაუთმე მას, — ჩაერია გროხაჩი. — ვანა ცოტა ჰყრია აქ გერმანული შაშხანა?

სახლის იქით ყვირილი გაისმა.

— გერმანელმა უძტრწა! მოჰქუსლა!..

კაპიტანი ვერნერი კინალამ გაიგუდა ბოლში. მაგრამ ჩაკეტილ ქოხში განუწყვეტლივ სროლის გამო სრულიად ბნელდა. ბოლი ახრჩობდა, თვალებს უთუთებდა, შაშხანის გახურებული ლულები ეღვარებდნენ. კედელთან დავარდნილი დაჭრილი ჯარისკაცი მომაბეზრებლად კენესოდა. ვერნერს უნდოდა მობრუნებულიყო და პირდაპირ მოერტყა მისთვის ტყვია, მაგრამ არც ერთი წუთით არ შეეძლო თავი დაენებებინა თავისი ავტომატისათვის. ოთახში ერთიმეორეზე ეყარნენ დაჭრილები. ვერნერი გრძნობდა, რომ ცოცხალი ვერ გააღწევდა. მოულოდნელად მოუსწრეს, ხელში ჩაიგდეს...

კაპიტანს არაფერი გაეგებოდა — ყველა საბუთების მიხედვით ფრონტი შორს იყო, ძალიან შორს, აქ კი სრულიად მოულოდნელად გერმანელთა საკომენდანტოს ალყა შემოარტყეს არა პარტიზანებმა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო საღვთო ღრმა ზურგშიაც კი, არამედ მათ ალყა შემოარტყა რეგულარულმა არმიამ, წითელი არმიის რაზმმა... ეს კი მოულოდნელი ამბავი იყო მისთვის...

დაჭრილი სულ უფრო და უფრო გულშემშარავად კენესოდა. დასწყევლოს ეშმაკმა, ნუ თუ არავინ იცის, რა ხდება აქ? როდემდის შეიძლება გაგრძელდეს ეს? მათულები გადაჭრილია, არავითარი საშუალება არ არსებობს კავშირის აღდგენისათვის. სროლა მიწყნარდა. სულ უფრო და უფრო იმა-

ტა ხმაურმა საკომენდანტოს მოედანზე. ეტყობა, რაზმი უკვე ამოწყვეტილია, ალბათ საკომენდანტო არის ახლა თავდაცვის უკანასკნელი პუნქტი.

უეცრად გამაყრუებელმა აფეთქებამ შეარყია ბოლოსაგან გამაყრუებული ჰაერი. ჰაერის ტალღამ ვერნერი შორს, მეორე კუთხისაკენ გადააწყო. გაისმა ყვირილი. ფანჯრის დარბაზები ჩამოვარდა. ვერნერი მიხვდა, რომ რიახში ხელუფლებების კონა შემოაგდეს. ცეცხლის ალმა იფეთქა. ვერნერმა საშინელი ჩხვლეტა იგრძნო მხარში. იატაკზე ეყარა ხორცის ნაჭრები, ხელებისა და ფეხების ნაგლეჯები. არა, ვერნერს აქ უკვე არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. მეზობელ შენობისაკენ გაექანა, იქ უფრო მეტი სიწყნარე იყო. ბატარა საუკუნაოს მხოლოდ ერთი ამბრაზურა ჰქონდა. ტყვიამფრქვეველი მიმგდარიყო და განუწყვეტლივ ისროდა, თუმცა პასუხს კი არავინ აძლევდა მას. ეტყობოდა ამ მხარეზე მყოფნი უკვე წასულიყვნენ. ვერნერმა ურდულეები გამოაძრო. ფანჯრის დარბაზები ხმაურით გაიღო. კაპიტანი თოვლში გამოვარდა, მას თვალები აუჭრელა დილის თოვლისა და ცის ციმციმმა. უკანა მხრიდან ფეხის ხმა მოისმოდა. ეტყობოდა წითელარმიელები იჭრებოდნენ სახლში. ვერნერმა განიერი ნაბიჯებით სასწრაფოდ მიამურა პირველსავე ნაგებობას, მალიუკოვების ფარდულს.

უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრო, წინ შეეფეთა მალაშა. ქალს ხელში ეჭირა მომარჯვებული შაშხანა. დაინახა თუ არა კაპიტანი, უმალვე მისკენ გაექანა. ვერნერმა სულ ახლოს შენიშნა გოგონას შევგვრემანი სახე, მისი ანძებული თვალები. გაწყვილი თმა გარს ეხვეოდა გოგონას საშინელსა და იმავე დროს შთაგონებულ სახეს. მალაშამ მთელი ძალღონით გაიქნია და ვერნერს თავში ჩაარტყა შაშხანა. ვერნერი წაბორძიკდა. გასროლა და კონდახის ჩარტყმა ერთსა და იმავე დროს მოხდა. ვერნერმა დაკვნესა, მერე თავქვე დაემხო. სისხლმა აუფსო თვალები, სისხლის შადრევანი წამოუფიდა ყელიდან. ვერნერი იხრჩობოდა.

მისგან ორიოდ ნაბიჯის ანძილზე ეგდო მალაშა. მან სროლის ხმა გაიგონა სწორედ იმ დროს, როცა ქლიერი დარტყმით თავის ქალა ჩაუმტვრია ვერნერს და ძვლების მტვრევა გაისმა. მალაშას ისე ეამა ტყვია თავის სწეულში, როგორც ბედნიერების შეგრძნობა. ტყვია მუცელში მოხვდა, მუცელში... ასეც უნდოდა, სწორედ ასე იყო საჭირო... ნეტარების ღიმილი გამოესახა ტუჩებზე. გამომეტყველება, რომელმაც მთელი თვის განმავლობაში უაზრო, ბებრულ ცივ ნიღაბს დაამსგავსა მისი სახე, უკვალოდ გაჰქრა. მალაშა, შევგვრემანი, შეეთვალა მალაშა — ცელზე უფრო ღამაში გოგონა მთელს სოფელში — თოვლზე ეგდო ხელეგამშლართული, პირადმა ეგდო. ჯერ კიდევ ხელს უჭერდა შაშხანის ლულას, მაგრამ ყველაფერი შორს იყო, ყველაფერი შორს, შორს მისცურავდა ცისარტყელასებურ ციმციმში, ყინულოვან საგანთაიდო შუქში, თვალის მოშპრელ თოვლში, რომელსაც განიერად ეფინებოდა ამომავალი მზის ოქროსფერი სხივები.

ამ პირველმა სხივებმა გამოაღვიძეს ცისარტყელა. მისი მიბნედილი, ფერმკრთალი ნახევარი წრე მთელი ღამის განმავლობაში მოსჩანდა ცაზე, მაგრამ მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი თეთრი ზოლის დარად, სადღაც ცის შორეულ კიდეზე. ახლა კი მზემ გაავსო ის თავისი შუქის ციმციმით, სიბოთით, ცისარტყელა ათამაშდა ცაზე, ისე როგორც ყვავილის მტვრიანას ნაზი და სათნო ფერებით დამშვენებული მოციმციმე ზოლი. ის ფერადოვნებდა ყვავილთა ფოთლების დარად, ლურჯდებოდა აღრიანი გაზაფხულის იასამანივით,

კრთოდა იისფერი მაჩიტელას ფერით, ვარდის მეწამული ფერით. ვირტუცელას ოქროსფერი ფოთლების ფერით.

მალაშამ თვალი მიბაყრო მალა, ცის კიდევ მოციმციმე ნახევარ წრეს. მალაშას სხეულიდან სისხლთან ერთად სიცოცხლეც იღვრებოდა. მთელი სხეული, უშეშდებოდა თითები, უცივდებოდა ფეხები, ეყინებოდა მთელი სხეული. ამ ყოფაშიაც კი ბედნიერებით სავსე თვალებით გასცქეროდა ელვარე გზას, ბრწყინვალე გზას — გადაწოლილ ცის ერთიდან მეორე კიდემდე, სასიხარულო გზას, რომელიც სულ უკვე და უფრო ივსებოდა შხის მოკიაფე შუქით. მალაშა — უღამაზესი გოგონა და ყველაზე უკეთ მომუშავე მთელს სოფელში, მიემართებოდა ცისარტყელას ლაყვარდოვანი ბილიკით, მალაშას შესახებ სწერდნენ ვახეთში, ნიათვის ყვავილობდნენ განაბულის ნეტარი სურნელებით გაქვნილი სატრფიალო ღამეები.

უკვე აღარ აყო არც თოვლი, არც ყინვა. თავქვეშ შმაშურობდა თივა, სურნელოვანი, ყვავილებით სავსე თივა, ჩხრიალებდა წყალი. სადღაც სულ ახლოს ჩუხჩუხით ამოდიოდა წყარო, მყუდროებით მოცულ ღამეში სადღაც უკრავდა გარმონი. მალაშას თვალები ცისარტყელას დაეძებდნენ ცის კიდევზე, მაგრამ აბა სად უნდა შეეშინია ის, როცა ირგვლივ გაფენილიყო ზაფხულის კაშკაშა ღამე... მხიარულად იცინის ივანე... აი ზედ მალაშას ლოყებზე მიყრდნობია იგი თავისი ღამანი თვალებით, შავ წამწამების ქვეშ მოელვარე ლურჯი თვალები... ღამის სიბნელე ჰფარავს საყვარელი კაცის სახეს... ცისარტყელა ზომ ახლახან იყო, სულ ახლახან... მალაშას უნდოდა ერთხელ კიდევ დაენახა ის, თვალები გაეძლო მისი ცქერით, მისი ციმციმით.

მალაშამ ღონე მოაკრიბა, ძლივს დაეყრდნო იდაყვზე. მოუთმენელ ტყვილმა აუფორიაქა მთელი სხეული, მთელი შეიგნეულობა, ისევ თოვლზე დაცა. მიხვდა, რომ კვდებოდა. ხელები მალა გაიშვირა, რალაცას წაუპოტინა, უნდოდა დაეშირა ცაზე გადაშლილი ცისარტყელას ფერადი ღუნტა. ცისკენ მიპყრობილი თვალები მიწასავით გაეყინა. ნახევრად ღიად დარჩენილ ტუჩებიდან გამოკრთოდნენ მისი სწორი, თეთრი კბილები, წუთით ვალიმბულს სრულ ტანჯვაში გაეყინა სახე.

სახლების იქით ხმაური და ჩოჩქოლი ძლიერდებოდა — ქალებს შეეპყროთ და მოპყავდათ გერმანელები. ტერბილახან ყახალი აღმოაჩინა თავის თვალში. გერმანელს შამხანა გადაეგდო, ღია კარებში შეეარდნილიყო და თავის შეკერას ამოფარებოდა. იგრ გასცა თოვლზე დარჩენილმა ნაკვალევმა. ტერბილახან შინაშველდებლად არ დაუძახა წითელარმიელებს — თავათ იგი და გროსაჩის ორი გოგო ფიწლებითა და ყოცხებით შეიარაღებულნი ფრთხილად შევიდნენ თვალში.

— შეი, ფრიც; გამოძვირის დაიცა, ფროსკა, ნახე თივაში ზის...

— არ გაინძრეთ, ახლავე ფიწლით მოგჩიჩქნი თივას...

— კელიდან, კელიდან მოუარე, თორემ კიდევ გვესვრის ეს ნაძირალა... ალყა შემორტყმულ მეომარს არ ესმოდა სიტყვები, მაგრამ თივაში შეყოფილი ფიწალი შენიშნა. გერმანელი აჩქარებით გამოძვირა. თივა ჩამობერტყა. დაბეული მუნღირი ეცა, თავზე ქალის ტრიაკო შემოეხვია.

— აი, ესეც თქვენი კავალერი, ერთი შეშხედეთ, გოგონებო... აბა, გაინძერი, გაინძერი...

შეშინებული გერმანელი ჩქარა დაძრა გამოსასვლელ კარებისაკენ, ზღურბლზე წაბორჩიკდა.

— შეხედეთ, როგორ მიფოფხავს... მალლა, მალლა ასწიე თავებზე. ფროსკა, ნახე — თივაში შაშხანა ხომ არ ავლია? გამოგვადგება!...

გოგონამ კუთხე გაჩხრიკა, დაათვალიერა.

— არ არის, ალბათ, ადრე დააგდო სადმე.

— გმირიც ამას ჰქვია ერთი შეშხედეთ, რა ფეხსაცმელები აცვია! ფუი, ფუი! — იძახოდა ტერპილიხა. გერმანელს ჩერები ჰქონდა შემობვეული ფეხზე.

— ეტყობა, ფეხები მოყინული აქვს, ნახე როგორ მიათრევს!

— აქ არავეს დაუბატიენია ეს ნაძირალა, მჯდარიყო შინ, ლუმელთან და ეთბო ცეცხლი, ვიდრე არ მობეზრდებოდა... არა, მაინცდამაინც ჩვენი მიწა მოუნდა...

ქუჩაზე თავს იყრიდა ხალხი.

— საიდან მოიყვანე ეს, ტერპილიხა?

— ჰო, ჰო — შეშხედეთ, შეშხედეთ!..

— რა იყო? ვერა ჰხედავთ, რომ ტყვე მომყავს? უმჯობესია ფარდულებსა და ქოხებში შეიხედოთ, ვიდრე ამას აპყეტავთ თვალებს... ხოჭობივით აქეთ-იქით შეძქრნენ და თავი შეაფარეს, უნდა მოსძებნოთ.

— მართალს ამბობს! — შენიშნა კოკლმა ალექსანდრემ. — აბა, ქალებო, — დავსძებნოთ, ენახოთ სად მიიმალნენ...

ქალებმა უმაღვე ხელი სტაცეს ფიწლებს, ფოცებებს, ჯოხებს, ნიჩბებს და დაიძრნენ.

— ერთად წავიდეთ, ერთად!

— ჯგუფად უფრო მხიარულად წავალთ...

— ოპო, ლენკას ეშინია, სადმე ცოცხალ გერმანელს არ დაადგას ფეხი.

— თუ საჭირო იქნება, ისე დაეადგამ ფეხს, რომ წმასაც ვერ ამოიღებს.

— აბა, აბა, ქალებო, ყაყანი შესწყვიტეთ, — აჩუშებდა მათ ალექსანდრე. ისინი ჯგუფებად დაიძრნენ, დადიოდნენ ქოხებში, ჩხრეკდნენ ფარდულებს, იხედებოდნენ თავლებში, ბავშვები ფეხებში ედებოდნენ ღედებს, მათი ძრიაშული აყრუებდა არემარს.

სწრაფად მოვარდა გულამომჯდარი საშკო.

— ჩვენს თავლაში გერმანელია!

ერთბაშად დაიძრნენ, გზადაგზა ერთიმეორეს ეჯახებოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ თავლიდან ამაყად გამოიყვანეს შიშისაგან აქანკალბული გერმანელი. წითელარმიელები, რომლებიც ჩხრეკდნენ სოფელს, იცინოდნენ ქალებთან შეხვედრისას, მაგრამ აქ ქალებს არაფერი დაემალებოდათ, რადგან სოფლის ყველა კუთხე-კუნძულს იცნობდნენ.

— როგორ არის საქმე, ყმაწვილებო, ვის უფრო მეტი ჰყავს ტყვე?

— თქვენ, რა თქმა უნდა, თქვენ, — სიცილით ამბობდნენ წითელარმიელები.

— სად არის მათი კომენდანტი? — დელავდა შალოვი. — მოსძებნეთ, ყმაწვილებო, ნუ თუ გაგვეპტა?

დაათვალიერეს მოკლული გერმანელები: ფელდფეხელი, ჯარისკაცები...

— კაპიტანი, ეძებეთ კაპიტანი!..

ვერნერი კი ღრმა თოვლში ეგდო, ფარდელის უკან. ერთი თვეც ამოვარდნოდა კონდახის დარტყმისაგან. მეორე კი პირდაპირ განსტეკროდა გაშლილ ცას. აუტანელი ტკივილის გამო თავი უსკდებოდა. ეჩვენებოდა: თითქოს თავის ქალაზე განუწყვეტლივ უროს ურტყამენო. ყურადღებულად უსმენდა ამოდინებას. ვერნერი ჰყლაპავდა ამ სისხლს. ისრაზობოდა. სისხლი კი სულ განუწყვეტლივ სდიოდა, თითქოს უძირო კიდან მოსჩქევსო. ყელის საშინელი ტკივილის გამო მთელი სხეულით თრთოდა და ჰკანკალებდა.

ვერნერს ერთადერთი თვალი შორეულ ლაჭვარდისაკენ მიეპყრო, თითქოს იქ დაეძებოს იმის პასუხს, რაც მის ირგვლივ მოხდა. და აი მან შენიშნა ცისარტყელა: უზარმაზარი ნახევარი წრე, პორიზონტის ერთიდან მეორე მხარემდე გადაჭიმული, მოციმციმე ლენტი, რომელიც ცის აკავშირებდა მიწასთან. ბრწყინავდნენ: რბილი, რაღაც ხავერდოვანი შუქით გაელენთილი ფერები. ვერნერს გონებადახშულ, გაბრუებულ თავში გაუელვა მოგონებამ — სად ნახა მან ასეთი ცისარტყელა? სად? როდის ნახა? ახ, დიად, დიად, სწორედ ამ ქარიშხლისა და ქარბუქის წინ... როგორა სთქვა მაშინ იმ დედაკაცმა? მან სთქვა, ცისარტყელა სიკეთის მომასწავებელიათ...

კაპიტანმა ვერნერმა დაიკვნესა. ცისარტყელა მართლა იყო სიკეთის მომასწავებელი, მაგრამ არა მისთვის, არა ვერნერისათვის. სასიხარულოდ ციმციმებდა უთვალავ ფერებით მოელვარე, ცის უკიდევანო სივრცეზე გადაჭიმული, თვალისმოპყრელი, მომჯადოებელი ცისარტყელა, მაგრამ იგი — წყვილადში, არარაობაში შთანთქმული კაპიტანი გერტ ვერნერი, უკვე ვერ ჰხედავდა მას.

თავი მეცხრა

მათ მარზავდნენ მოედანზე, ეკლესიასთან, ერთად მარზავდნენ იმ ღამით დახოცილებს, და იმათ, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში ეყარნენ თოვლში, ღრმა ზევში.

ფეოდოსია კრაქჩუკი თვითონ ეხმარებოდა შვილის ცხედრის გადატანაში. მას ეჭირა შვილის უძრავი, საოცრად მსუბუქი თავი, თითებში გრძნობდა მის რბილ თმას. ფეოდოსია უსიტყვოდ დასტეკროდა შვილის გაშავებულ, თითქოს ხეზე ამომწვარ სახეს. აი ვასია ეღირსა ბედნიერ დღეს. მშათა ხელებმა ამოსთხარეს იგი თოვლიდან, მშები მარზავენ მას სამო საფლავში. მარზილები ნელა მიიარწიოდნენ ხევის მიხვეულ-მოხვეულ დაქანებაზე. ფეოდოსია გვერდით მისდევდა მარზილს, ხელით აკავებდა შვილის ცხედარს, რომ თოვლზე არ დაცურებულყო. ფრთხილად, დედობრივი მზრუნველობით ჰკიდებდა ხელს და ასწორებდა იმ სხვა უცნობთა ცხედრებსაც, რომლებიც ვასიას გვერდით ეწყო მარზილზე.

— გოგონაც ამითან ერთად დამარხეთ! — გასცა განკარგულება შალოვმა, — იგიც ისე დაიღუპა ამ ბრძოლაში, როგორც ნამდვილი მებრძოლი.

— გოგონა კი არა, ვათხოვილი, ქალია, ქმარი ჯარში ჰყავს! — სთქვა მალიუჩინამ, მაგრამ როცა მალაშას ცხედარი გადმოასვენეს, მალიუჩინამ მოეჩვენა — ვიცრუეო. თოვლზე ესვენა ახალგაზრდა გოგონა, ღამაში გოგონა, ისეთი, როგორსაც იგი იცნობდა ერთი წლის წინათ, მანამდის, ვიდრე დიდი ქორწილი მოეწყობოდა.

— ძალიან ლამაზია! — წარმოსთქვა რომელიღაც წითელარმიელს.
 დიად, დიად — ასეთი იყო იგი — მალაშა, ულამაზესი გოგონა ~~ნიკო~~ სო-
 ფელში. მას დაწვებზე ეფინებოდა გრძელი წამწამების ჩრდილი, თმა რბილ
 ტალღებად შემოჰყვნოდა ირგვლივ სახეზე. შავი წარბები ^{წინა ყურენად} ფრთებგამწალი მერცხალივით დახატულიყო ბრტყელ ^{შებლზე} სახეზე
 შეჰყინვოდა ტანჯვა-წამების დიმილი, დიმილი, რომლიდანაც შეუძლებელი
 იყო თვალს მოშორება.

სახარბიელიდან ფრთხილად ჩამოსწეს ლევონიუჯის ცხედარი. მოხუცი
 ლევონიუჯი სიმწარის გამო ხელახლა განიცდიდა მშობიარობის უძძიმეს
 ტკივილებს, მაგრამ შინ მაინც არ დარჩა. მკლავები გაშალა და ფრთხილად
 ჩაიკრა მკერდში შეილის გაყინული, გაქვავებული შავი ცხედარი, რომელიც
 მთელი თვის განმავლობაში ქაჩაობდა სახარბიელაზე, თოვლა და ქარ-
 ბუქში.

— ნელა, ნელა, — ამბობდა ქალი, თითქოს შეილის შეეძლო კიდევ რამე
 ეგრძნო, თითქოს შეიძლებოდა კიდევ რამე ტკივილი შეეყენებინათ მისთვის.
 გოგონები მიეშველნენ ქალს. თექვსმეტი წლის ყმაწვილი ძალიან მსუბუ-
 ქი აღმოჩნდა, ყოველგვარი სიძიმე და წონა დაჰკარგოდა მის სხეულს. სა-
 ხე ისე დაპატარაებოდა, რომ ბავშვს დამსგავსებოდა.

ამოსთხარეს განიერი საფლავი, შიგ აწყობდნენ მათ, რიგრიგად. ერთად
 აწყობდნენ ყველა იმათ გაქვავებულსა და გაშავებულ ცხედრებს, რომლე-
 ბიც დაიღუბნენ ერთი თვის წინათ, და სერგეი ჩარენკოსა და სერდიუკს,
 რომელსაც თითქოს ეძინა. მათთან ერთად საფლავში აწყობდნენ საკონენ-
 დანტოსთან დაღუბულ ახალგაზრდა მსროლელებსა და შალაშას ცხედარს.
 ამხანაგების სახელით სიტყუას ამბობდა შალოვი. მისი უბრალო და მრისხანე
 სიტყვები შორს იფანტებოდა ჰაერში, მისი სიტყვები მიემართებოდნენ მი-
 ნისებურ, გამჟვირვალე ცაზე გადაჭიმულ ცისარტყელასავე.

მთელა სოფლის მცხოვრებლები — ქალები, მოხუცები, ბავშვები საძმო
 საფლავის გარშემო იდგნენ.

ფერდოსია კრაუჩუკი მშობლიურ მიწას აბარებდა ერთადერთი შეილის
 ცხედარს. ასევე მიწას აბარებდა თავისი ქალის ცხედარს მოხუცი შარბა.
 დანარჩენი დახოცილები უცნობები იყვნენ, მაგრამ ყველას ისე ჰქონდა
 წარმოდგენილი, თითქოს საფლავში იწვნენ მათი შვილები, ძმები, ქმრები.

იმ დღეს არავის არ ჰყავდა უფრო ახლობელი აღამიანები, ვიდრე იყვნენ
 ეს დახოცილები, რომლებიც მკვდარი თვალებით მისჩერებოდნენ ლაყვარ-
 დოვან ცას. ეს აღამიანები იყვნენ მშობლიური არმიის, წითელი არმიის სა-
 ხელოვანი მებრძოლები.

— სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს ამათ, — ომანიაინი ხმით ლამა-
 რაკობდა შალოვი.

დიად, ხალხმა კარგად იცოდა, რომ მართლაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებ-
 და მათ, რომ შეხაერებაში ყოველთვის დარჩებოდა დაღუბულთა სახეები
 და ის დაუვიწყარი დღე, როცა მათ აბარებდნენ მიწას. საერთო საფლავმა
 შეაერთა, შეაკავშირა ისინი, რომლებიც დაიღუბნენ უკან დახვევისას, რომ-
 ლებმაც მტრის ჭარბშლისებური სროლის ქვეშ დასტოვეს სოფელი და ისი-
 ნი, რომლებიც შემდგომ მოვიდნენ მის გასათავისუფლებლად და რომლებ-
 მაც ხელიდან გამოვლიჯეს ის მოსისხლე მტერს.

აღამიანები დამშვიდებული თვალებით იცქირებოდნენ ირგვლივ, თუმცა ყველაფერს აჩნდა ქარიშხლის საშინელო კვალი. დიად, ეს იყო ომი, საშინელი, სისხლისმღერელი ომი. სისხლით, ცეცხლით და რკინით თავზე დაესხა ის სოფელს. მაგრამ აჟ, ახლა მათ წინ იყვნენ ისინი, რომლებიც მსაჯულადდგენდნენ ურყევი ნებისყოფის სიმბოლოს, რომლებიც მსაჯულადდგენენ, ეხმარებოდნენ სოფელს ყველაზე საშინელსა და შავ დღეებში. ეს აღამიანები დაწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი მოვიდოდნენ, რომ ისინი იტყოდნენ უკანასკნელ, გადამწყვეტ სიტყვას. შალოვი ძირს დაიხარა, პეშვით აიღო გაყინული მიწა და საფლავეში მიიყარა. მას მიჰბაძეს სხვებმაც, სათითაოდ ყველანი იღებდნენ და პეშვით აყრიდნენ მიწას, მშობლიურ მიწას, რომ მათ მშვიდად სძინებოდათ საფლავეში, რომ ეგრძნოთ მკვრელზე დაყრილი მშობლიური მიწა, თავისუფალი მშობლიური მიწა. ძმურმა ხელემა ამოსთხარეს მათთვის ეს საფლავე, ძმური ხელები აყრიდნენ მათ მშობლიურ მიწას.

— ნიურკა, მიიყარე, შენც მიიყარე! — მიუბრუნდა დედა ორი წლის გოგონას. ბავშვმა აიღო მიწა და ფრთხილად ჩაჰყარა საფლავეში. დანარჩენი ბავშვებიც თოვლის ქვეშედან პატარა ხელებით იღებდნენ მიწას და საფლავეში ჰყრიდნენ. მეტრძობები კი ნიჩბებით მუშაობდნენ. საფლავეზე ბორცვი დადგა.

— გაზაფხულზე ყვავილებს დაერგავთ, — სიტყვა მალიუჩინამ.

— მწვანე ბალახს დაეთესავთ, — დასძინა ფროსიამ. — ყოველ ეზოდან მოვიტანთ სანერგეებს.

ხალხი ნელნელა იშლებოდა. გამარჯვების გამო — ერთის მხრით საზეიმო განწყობილებაზე იყვნენ, მაგრამ მეორეს მხრით წუხილითა და ნაღველით ჰქონდათ სავსე გული. მაინც ამაყად ექირათ თავი, რადგან დაკრძალულები მშობლიური მიწის დაცვისათვის დაიღუპნენ. ასე იყო ხოლმე წინათაც, თუნდაც თვრამეტ წელსაც, ბევრს ახლაც კარგად ახსოვდა ეს. განა ცოტა ხალხი დაიღუპა მაშინ მათი სოფლიდან? ბევრი, ძალიან ბევრი! მიწას იცავენ იმ აღამიანების სისხლითა და სიცოცხლით, რომლებიც გამოუზრდია ამავე მიწას და რომლებიც ცხრვრობენ ამ მიწაზე. ეს კი ყველასთვის ნათელი და სრულიად მარტივი ამბავი იყო. იშლებოდნენ დუმილით, უსიტყვოდ, სევდით გულმოკლულნი, მაგრამ წუტის შემდეგ სოფელში გაისმა ხმაურობა და ლაპარაკი. ქალები თავიანთ ქონებში ეპატიებოდნენ წითელარმიელებს. ყოველ ქალს უნდოდა რომ მასთან სტუმრად დარჩენილიყო წითელარმიელი.

შალოვთან მხელი დელეგაცია მივიდა.

— ახანაგო მეთაურო, თქვენთან სათხოვარი გვაქვს, — დაიწყო ტერპილინამ. — გვინდა დავბატიყოთ ჩვენები, მაგრამ არაფერი არა გვაქვს...

შალოვს გაცენია.

— მერე შე რაღა შემიძლია?

— ჩვენთან გამოინახება რაც საჭიროა, თქვენ თუ დაგვეხმარებით... ყველაფერი მიწაში გვაქვს დამარხული და გადაძალული. როცა გერმანელები შემოდიდოდნენ, ყველაფერი დავმალეთ. ახლა კი არ ვიცით, როგორ ამოვთხაროთ. არაფერი გვაქვს საიმისო, მიწა კი ქვასავეთაა გაყინული. თქვენ ხელსაწყოები გავქვთ, წითელარმიელებს რომ მოგვეცემდეთ, წამსვე ამოვთხარიან...

— კარგი, აგრე იყოს! პეი, კმაწვილებო, ვის აქვს სურვილი დამეპაროს ამ ქალებს!

მოხალისე ბლომად აღმოჩნდა.

ქალები წარა-მარა ეფლობოდნენ თოვლში, მაგრამ მინდობა მამსკ კავიდნენ.

— აქ არის, ამ ბუჩქთან...

— რას ამბობ, დედა! ამ მხრიდან არის, ამ მხრიდან...

— დიდების საქმეში ნუ ერევი, როცა ჯერ კიდევ პატარა ხარ! შენ რომ არ მიმიტოვო, განა მე კი არ მახსოვს?

— ცხვარი დაკალით, კარგი ცხვარია. ქვებში მოეხარშოთ, საქმელი ბლომად გექნებათ, — ეუბნებოდა თავის სტუმარ მებრძოლებს კოჭლი ალექსანდრე.

— თქვენ ხომ სულ ერთი ცხვარი გყავთ?

— მართალია, ერთია... მეტი იყო, მაგრამ გერმანელებმა დაკლეს... ეს-ლა დარჩა, ერთი...

— უკანასკნელ ცხვარს ხომ არ წაგართმევთ? არა, ეს არ შეიძლება!

ალექსანდრემ მლოცველივით დაიწყო ხელები.

— შეილებო, ნუ მაწყენინებთ! მე სულითა და გულით გაძლევთ! მაშ რაზე უნდა დაგპატიოთ? მხოლოდ ეს ცხვარი დამრჩა... უარს ნუ ამბობთ, ნუ მაწყენინებთ...

ქალები ყველაფერს ეზიდებოდნენ, ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ: სხვენებიდან, ქერქვეშიდან — საიდუმლო ადგილებიდან. მოკონდათ ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაკლული ღორის ქონი, ნივრის კონები, თაფლი, მზისუმზი-რაც კი...

დაჭრილები მოთავსდნენ სასოფლო საბჭოს შენობიდან გადაჩენილ ორ ოთახში. ყველას ჯიბრზე იქ უკვე ტრიალებდა ფროსია, რომელსაც ოდეს-ღაც გაეუღო სასანიტარო კურსები. მას თეთრი ხალათი ეცვა, თმა მაგრა წაეკრა, დადიოდა მეტად სერიოზული სახის გამომეტყველებით, ერთიდან მეორე ოთახში დაფუსფუსებდა. ქალები და გოგონები კარზე შეგკავფულიყვნენ.

— თქვენ რაღა გინდათ? — შეეკითხა მათ ჩქარი ნაბიჯით ოთახში მოსიარულე ახალგაზრდა ექიმი.

— ჩვენ გვინდა დაგეხმაროთ... ლაზარეთში...

— რაში უნდა დაგეხმაროთ? ყველაფერი გაკეთებულია, ორი გოგონა უკვე მივიღე. სანიტრებიც გვეყვანან...

— იატაკს მაინც გამოვრეცხავდით, ქუჭყიანია...

— იატაკს? მართლაც ურიგო არ იქნება თუ გამოვრეცხავთ...

ქალები მოწყდნენ ადგილიდან, ქოხებისაკენ გაეშურნენ. სულ ჩქარა ჯარად დაბრუნდნენ — ევდროებით, ჩოთქებით, ჩვრებით შეიარაღებულნი.

— რა ამბავია, ათმა ქალმა ერთად უნდა რეცხოს იატაკი?

თმისათვის, რომ დაჭრილები არ შეეწუხებინათ, ქალები ჩურჩულით დაობდნენ და ჩხუბობდნენ — არა მე უნდა გავრეცხო, არა მეო... ბოლოს გამკვეს იატაკი და ყოველი მათგანი თავისი ნაწილის გარეცხვას შეუდგა...

— დაჭრილს საბანი უფარდება ძირს, შენ კი კელარ ამჩნევ! — მკვახედ უთხრა ფროსიას პუზიჩიამ.

— თუ უვარდება, შეუსწორე! — გაგულისებით მიუგო გოგონამ, როცა გვერდით ჩაუარა მას ასისხლიანებული წყლით სავსე ტაშტით ხელში. პუნჩიხა მივიდა საწოლთან და ნელა, ფრთხილად გადაადგარა დაჭრილს ფეხზე, საბანი შეუსწორა. ამის შემდეგ არ მოშორებია მის ქაშაქს გვერდით ედგა.

— თქვენ რას აკეთებთ აქ? — შენიშნა მას ექიმმა.

— საბანს ეუსწორებ. ძირს უვარდებათ. — მიუგო, თან ბალიშიც შეუსწორა დაჭრილს.

მან ხელი ჩაიქნია.

— შეუსწორეთ, რაკ აგრე გულით ვინდათ.

ღიად, ღიად, მას ძალიან უნდოდა, ძალიან. მასთან ერთად ყველას უნდოდა ეს... ყველას უნდოდა თუნდაც ოდნავ მაინც შეჩებოდა ხელით, დახმარებოდა რითიმე რომელიმე დაჭრილს. ყველას უნდოდა მიეცა მათთვის ქიჩა წყალი, გამოერეცხა კრუეკა, გაერეცხა ფეხსაფეხები, შუბლიდან თმა გადაეეარცხნა, თვალყური დაეჭირა, რომ ვინმეს ღიად არ დაეტოვებინა კარი და ცივი ჰაერი არ შემოეშვა ოთახში.

ოთახში მოკრძალებით შემოვიდა ლიდა გროხაჩი.

— თქვენც გინდათ დაგვეხმაროთ? — შეეკითხა მას ექიმმა.

გროხაჩმა თავი გაიქნია.

— ჩვენთან ქალი უნდა მოლოგინდეს... ექიმო, ცოტა ხნით ვერ შემოვიღლით?

— ესეც ახალი ამბავი, თუ გინდას მე რომ ქირურგი ვარ?..

— ეს სულ ერთია, ექიმი მაინც ექიმი... ძალიან წუხს... დილით დახოცილ გერმანელებისათვის ფეხებში ჩაევიღო ხელი და ქობიდან გარეთ ათრევედა, და აი ტკივილები დაეწყო...

— რა გაეწყობა, წამოვალ. — გადასწყვიტა ექიმმა. — ახალი მოქალაქე იბადება, უნდა დავეხმარო... დაჭრილებს კი შენ ვიტოვებ, კუზმა! სადა ხარ? შენ გეუბნები... აბა, წავიდეთ, გოგონა...

ლიდიამ ჩქარა წაიყვანა იგი ლევონიუკის სახლში. ექიმი გაყინულ ხელებს ისრესდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქალს.

— ხელთათმანები მაინც წამოგელოთ, ასეთ ყინვაში!

— მქონდა ხელთათმანები და ღამით დაკვარევი... ალბათ სადმე დამივიარდა. უხელთათმანოდ დავრჩი.

ლიდიამ მოკრძალებით შეჩებდა ექიმს, მერე ჩქარა წაიძრო ხელიდან სქელი, მის მიერ მოქსოვილი უხეში ხელთათმანები, რომელსაც გვერდებზე ამოჭარბული მქონდა წითელი და ცისფერი ყვავილები.

— როგორ შეიძლება, როგორ! — არ ართმევედა ექიმი. — თქვენ რაღა გეშველებათ?

— მე სხვა მაქვს, — იცრუა გოგონამ. — კარგად შევინახე, გერმანელებმა ვერ იპოვნეს, თქვენ კი ექიმი ხართ, ხელები ყოველ წუთს ვჭირდებით.

ექიმმა შენიშნა, რომ მას ტუჩები უთრთოდა და გაეცინა:

— რა ვქნა, რაკი ასეთი ყინიანი ყოფილხართ, მოიტათ!

ლევონიუკის ქობის დერეფანზე შეყრილიყვნენ ქალები. ექიმის დანახვაზე ჩქარა მიიწიეს, გზა დაუთმეს.

— ბავშვი უკვე დაბადებულა, — წარმოსთქვა ერთმა ქალმა.

— ასე რომ მე საჭირო აღარ ვარ. — მიუგო ექიმმა.

— არა, არა, თქვენ მაინც ნახეთ ქალი, ნახეთ, დიდ ხანს წვალთქვამ, დასუსტებულია!

— თუ, დეიდა, ექიმი მოგიყვანეთ, — უთხრა მშობიარეს ლედიამ.

— რას ამბობ, ექიმი რათ გინდოდა? ასეთი ახალგაზრდა მამაკაცი ავადმყოფმა. — ექიმო, თქვენ ბავშვი ნახეთ, მე არა მიშავს რა, არაფერი მიჭირს, პირველად არა ვარ მელოგინედ.

ექიმი აკვანზე დაიხარა.

— ბიჭა?

— ბიჭია, ბიჭი. მე მხოლოდ ერთი გოგო მყავს — ნიურა, სხვა სულ ბიჭები მყვანან... ასეთი ჯიშში გვაქვს...

— ყოჩაღ, ყმაწვილო! რას დაარქმევთ, ა?

— ქალებს ვეუბნებოდა აქ... მინდოდა მირტია დამერქმევირა, უფროსი ძმის სახელი, მაგრამ ამბობენ არ ვარგაო...

— ძმას რა დავმართა?

— მისი ძმა, ჩემი უფროსი შვილი, ხომ დღეს დამარხეს, სხვებთან ერთად... ერთი თვის განმავლობაში სახარხოებელაზე ეკიდა ჩემი შვილი და დღეს ჩამოვხსენი, ჩემი ხელებით... — უთხრა ქალმა.

ექიმი შეშფოთდა.

— არ ვიცოდი, თუ თქვენი შვილი იყო...

— ჩემი, ყველაზე უფროსი, როგორ არა... პარტიზანებთან მიდიოდა, მაგრამ ვერ გაასწრო — დაიჭირეს გერმანელებმა... ყველაზე უფროსი, მეჩვიდმეტეში იყო გადამღვარი... ამისათვის მინდოდა მისი სახელი დამერქმევირა — მიტია... ქალებმა კი არ მირჩიეს, არ უნდა, კარგი არ არისო, ახლა კი თვითონაც არ ვიცი, როგორ მოვიქცე...

— ვიქტორი დაარქვით, — ურჩია ექიმმა. — ეს ნიშნავს გამარჯვებულს, სწორეთ დღეს დაიბადა, გამარჯვებულია...

ქალი დაფიქრა.

— კარგი, თუ ეს ნიშნავს გამარჯვებულს, დავარქვათ ვიქტორი, რას იტყვი, ლიდა?

— რაჟი აგრე კირჩევნ...

— დიდი ფიქრი რათ უნდა! მე აღს სოფელში ვიქტორი არავის არ ჰქვია. იყოს, ვიქტორი ერქვას. დაბრძანდით, დაბრძანდით, ექიმო, დაიცადეთ ჩვენთან...

— შედლობელი ვარ, დაქრილები მელოდებიან...

— თქვენ ხომ ყველასათვის შეგიხვევით, ქალებმა სთქვეს... დაჯიქით ცოტა ხანს. ყველას ქოხებში არიან წითელარმიელები, ჩემთან კი არავინ არ არის, ჰხედავთ, რა დროზე მომიხდა მშობიარობა?.. ლიდა, გამოიღე სპირტი, შეაფშია, ბოთლში დგას...

— ნუ დაღვეთ, უმჯობესია, — გაუბედავად წარმოსთქვა ექიმმა.

ქალმა გაიცინა.

— რატომ? თქვენ ნასწავლი ხართ, იცით, თუ როგორ უნდა უმკურნალოთ დაქრილებს, მაგრამ გეტკობათ ქალის ავებულობას ვერ იცნობთ. კიჭა სპირტი უცბათ ფეხზე დაყენებს ავადმყოფს.

ექიმი არ ეწინააღმდეგებოდა. ლიდიამ სპირტი დაასხა სქელსა და მომწვანო ფერის კიჭაში.

— ახლადშობილის სადღეგრძელო იყოს, გაიზარდოს...

— არასოდეს არ ენახოს ქოხში გერმანელები...

— მისი დაბადების ყოველი დღე აღნიშნულიყოს ახალი გამარჯვებით...

— ისეთი გაიზარდოს, როგორც მიტია იყო...

— ბედნიერად მიღწიოს მოზრდილ წლებამდე...

გერმანული

ექიმში საშინლად დაღლილი იყო და ჭიქა სპირტმა უმადლესი უსმინოს. ეჩვენებოდა, თითქოს ომი დარჩენილიყოს სადღაც შორს, შორს... ქოხის კედლები თეთრად იყო შეღებილი, ლამაზი საღებავებით იყო ყვავილები დუმელზე, ასეთივე ლამაზი ყვავილები იყო ამოჭარბული კუთხეებზე ჩამოკიდებულ პირსახოცებზე. ლამაზი ლიდი აუციონდა ექიმს. ყველაფერი ისე იყო, თითქოს რამდენიმე ქოხის იქით არ იყვნენ დაჭრილები, თითქოს არც საფლავს ბორცვი ამართულიყოს მოედანზე ეკლესიასთან, თითქოს არ არსებობდა ის საშინელი გზა, რომელსაც იგი მოჰყვებოდა ომის პირველი დღიდან.

— ლიდია, კუთხეში ხატის უკან არის ამოდებული სურათები, გამოიღე, უჩვენე ექიმს...

ექიმმა აიღო ფერგადასული სურათები. მას ამაყად შესცქეროდა ახალგაზრდა, მაღლა აწეული ქოჩრიაანი, უბრალო, ჩვეულებრივი სოფლის ჭაბუკის სახე.

— ყინვასა და ქარბუქში ისე გამოცვლილიყო, ვეღარ იცნობდით, წინადაკი — ნახეთ როგორი იყო, — აუხსნა ექიმს ჭალმა.

ექიმს მოაგონდა თავისი ღედა. მისი აკანკალებული თეთრი ხელები, როცა იგი ემშვიდობებოდა მას, მოაგონდა მისი მორთილვარე ხმა, მღელვარებისაგან მისი ჩაეარდნილი და ჩაშავებული დიდრონი თვალები. ექიმს მოაგონდა საკუთრივ შიმში, აუტანელ ფიქრებში გატარებული დამეები და ის შიში, რომლის დაძლევა არ შეეძლო მას, შიში დაჭრილთა ყოველი ახალი ტრანსპორტის დანახვის დროს, შიში — სისხლის, ტანჯვისა და სიკვდილის წინაშე. წერვების ბრალიაო, — ამბობდა იგი ყოველი ასეთი შემთხვევის დროს, მაგრამ ეს მაინც არ შეელოდა საქმეს.

ექიმში შიშინდა მელოგინეს. იგი იჭედა ცისფერ უჯრედებთან ბალიშზე. უბრალოდ, ბრტყლად გადაფარცხნილი თმა ლამაზ არშიასავით შემოკლებოდა მის მშვიდ სახეს. მთელი თვის განმავლობაში ეს ქალი უსმენდა ქარიშხლებს, რომელიც წარამარა აქანებდა მისი უფროსი შვილის გვამს სახარობელაზე. მთელი თვის განმავლობაში იგი თავის ბავშვთან ერთად კედებოდა შიშშილითა და შიშით. ორსული იყო და ისე მიჰქონდა სახარობელიდან ჩამოსხნილი თავისი თექვსმეტი წლის ყმაწვილი, შერე კი ბავშვი დაეხადა. და აი ახლა იგი მშვიდად ვსაუბრება ექიმს, პატივობს მას უკანასკნელი წვეთი სპირტით, რომელიც ვინ იცის როგორ მოახერხა გადაერჩინა გერმანელებსაგან.

ქალები აივნიდან ქოხში შემოვიდნენ, მერხებსა და ტაბურეტებზე ჩამოსხდნენ. ექიმში ქურდულად შესცქეროდა მათ. ყველა ისინი ცხოვრობდნენ გერმანელთა ულლას ქვეშ. მათი მათრახების ქვეშ. მათი შვილები დაჭრები შორს არიან. ფრონტზე. არც ერთმა არ იცის ცოცხლები არიან თუ დაიხოცნენ მათი უახლოესი ადამიანები. ყველა ისინი ებრძოდნენ ამ საშინელ ზამთრის ყინვებს, შიშშილს, რომელიც თან ჩამოიტანეს გერმანელებმა, ბევრ მათგანს კონდახის დარტყმისაგან ასისხლიანებული ჰქონდა სხეული. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა სცოდნოდა ექიმს, ისე შეუძლებელი იყო რისი-

მე გამორკვევა მათი ქცევის მიხედვით. მშვიდი, ნათელი და თავისებოთი ღირსების შესაბამისი სახის გამომეტყველება ჰქონდათ გამომდინარე რაღაც იძულებულ წყაროდან, გულის სიღრმეიდან მომდინარეობდა სიღრმეული უჩვეულო ამტანობა.

— „გლეხის ქალები“, — გაიფიქრა ექიმმა.

ამ სიტყვამ რაღაც ახალი, უჩვეულო ელფერი შეიმოსა მის შეგნებაში, რაღაც ახალი დანიშნულება მიიღო.

— მეტი რომ გვქონდეს სპირტი, მიტყას შესანდობარსაც დავლევდით, — ნელა წარმოსთქვა ლევონიუქმა.

— აბა, რას ამბობ, — მკვანხედ მიახლა ტერპილიხამ, — ჩვენ ისედაც გვემახსოვრება იგი, დასალევის ვარეშეც. ხომ მართალია, ქალებო?

— რა თქმა უნდა, რა დავგავიწყებეს!

სპირტის ორთქლი მსუბუქ და სასიამოვნო ბურუსად გარს ეხვევოდა ტენის. ექიმს უნდოდა ამ ქალებისათვის ეთქვა რაღაც კარგი, ტკბილი სიტყვა, ამავე დროს გული ეკუმშებოდა გამოუთქმელი სიბრაღულით სახარობელაზე ჩამოყიდებული ყმაწვილის გამო, მისი დედის სიბრაღულის გამო, რომელმაც თავისი ხელით ჩამოხსნა იგი სახარობელიდან, ექიმს გული ეწვოდა ყველა იქ დამსწრე ქალების სიბრაღულის გამო, რომლებმაც ესოდენი ტანჯვა-წამება გადაიტანეს სოფელში გერმანელების ბატონობის დროს.

— შენ მთვრალი ხარ! — უთხრა ექიმმა თავის თავს უსიტყვოდ, მაგრამ ამან არ უშველა, თვალები აუცრემლდა.

— რა იყო, რა მოგივიდათ? — შეწრიალდა ლილია.

— მებრალება! — ძლივს წაიდუღუნა მან, თან ცდილობდა თავი შეემარებინა.

ლევონიუჩიხა დაკვირვებდით მიაჩერდა მას თავისი კევიანი და წაბლისფერი თვალებით.

— სიბრაღული რა საჭიროა, სიბრაღულის დრო არ არის, — წარმოსთქვა მან ჩუმად. — არ არის მიტია, იქნება ვიქტორი. ჩვენი ხალხი მაგარია, მიწიდან აღმოცენებული, გაზრდილი... მოსკრი თუ არა მსხლის ხეს, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მიწის წიაღიდან ახალი ტოტები ამოიყრის, მზისკენ გაიშვრენ ლორთქი ტოტებს... არ არის მიტია, არც სხვები არიან, მაგრამ მიწა დარჩა, ხალხიც დარჩა... ჩვენ არა ერთხელ ვფიქრობდით, ვიდრე განთავისუფლებას ველირსებოდით, ყველას ამოგვხოცავენენ. მაინც ველირსეთ ნეტარ დღეს. ხალხი ყველაფერს იტანს... არა, ამოდ ცდილობენ გერმანელები, ჩვენს ხალხზე კბილებს მოიმტვრევენ ეს ნაძირალები...

ნისლი თხელდებოდა, იფანტებოდა თვალი. ეს გლეხის ქალი პასუხს იძლეოდა ყველა რთულ, ყველა ბუნდოვან საკითხებზე, რომლებსაც არაერთხელ დაუტანჯია ექიმში, ეს გლეხის ქალი კი იძლეოდა პასუხს უბრალოდ, მშვიდად, გლეხურად.

ექიმმა უხერხულად იგრძნო თავი, შერცხვა.

— დიად, დიად...

— თქვენ კი ახალგაზრდა ხართ, თქვენთვის ძნელია. არა უშავს-რა, ყველაფერი ეს დასრულდება. იცხოვრებთ მშვიდად, უმკურნალებთ ავადმყოფებს, ჩვენ კი ჩვენს საქმეს ვავაკეთებთ...

ექიმში წამოვიარდა, მოაგონდა, რომ დიდხანს იჯდა.

სოფელში ხმა ისმოდა, სადაც, უკანა მხარეზე, ყინვის მოუხედავად მღეროდნენ გოგონები. მათ შეუერთდა მამაკაცის ხმები. სიმღერის მსმენები იშლებოდა გაყინულ ჰაერში, სუფთა ლაქვარდში, რომელსაც ოდნავი მქროლი სიოც კი არ არხევდა. სიმღერა მიიწედა სულ შალა, ~~მდინარის სანაპიროს~~ მდინარის თავეზე. ჰანგი ტოროლას სიმღერას ჰგავდა, თითქოს ეს ~~მეორე~~ ~~სიმღერა~~ მთელი თვის დუმისისა, რომელიც სულარასავით გადაჰყენოდა მთელს სოფელს.

წესს საძლეელი მარჯვენა მკლავზე,
ო, მეშინია გამოვაფხიზლო...

ხმაძალა დიღინებდნენ გოგონები.

მათ ძლიერი ხმით ბანს აძლევენ წითელარმიელები.

იმთავედანვე სიმღერას იყო შეჩვეული სოფელი. სიმღერით ესალმებოდნენ განთიადს, სიმღერით ემშვიდობებოდნენ დღეს, სიმღერით იძინებდნენ. წერიალა მელოდია ესმარებოდა მათ ყანიდან პურის აღებაში, ფიწლებით სურნელოვანი თივის გადაბრუნებაში, სიმღერა ეხმარებოდა ბაეშვებს ძროხების წყყმსვაში, ხოლო მამაკაცებს კი — ლეწვაში. სიმღერით მიჰყვებოდა ქმარს გოგონა, სოფელი სიმღერით ეთხოვებოდა შიცვალბულს, რომელიც მიდიოდა შავ მიწაში.

იყო სიმღერები სიხარულისა და ურვისა, წინანდელი, უფრო ძველი, ადრინდელი, ვიდრე გზის პირას ჩარაზმული ცაცხვის ხეები, იყო უფრო ახალი სიმღერებიც, რომლებიც იბადებოდნენ ვანცილიო წუთებისაგან. ხალხი დაჩვეული იყო სიმღერა შეეგუებინა ცხოვრებისათვის, ცხოვრება კი სიმღერისათვის.

მთელი თვის განმავლობაში სდუმდნენ მათი ბაგენი, მთელი თვის განმავლობაში ერთხელაც არ მოწყვეტილა ტკბილი ჰანგი მათ ტუჩებს, ერთხელაც არ დარბეულა მელოდიაური ჰანგები.

სდუმდნენ ქოხები, სდუმდნენ გზები, სდუმდნენ ბალები.

ახლა ისევ შეიძლებოდა სიმღერა. გოგონებმა სიმღერით აავსეს მთელი სოფელი, თოვლით საცხე დაბლობის ყველა გზა. სიმღერები ზედინედ მისდევდნენ ერთიმეორეს ფლატეზე, გზის პირად, მოედანზე, სასოფლო საბჭოს წინ, სადაც კოკლი ალექსანდრე უკვე ასულიყო კიბეზე და აჭედებდა დიდ აბრას: — „სასოფლო საბჭო“. ბაეშვები ჯგუფად იღვნენ, შალა აეწიათ თავი, შესცქეროდნენ ნაცნობ წარწერას, ნაცნობ ასოებს. შენობის შიგნით ასუფთავედნენ წინაღობის ბრძოლის შედეგებს, გარეთ გამოჰქონდათ მიწით საცხე ტომრები, ფიცრის ნაჭრებს აჭედებდნენ ამბრაზურებზე, რომლებიც გამოეჭრათ გერმანელებს. ქალებს ზიზლისა და სიძულვილისაგან სახე ეღმიჯებოდათ და ისე სწმენდნენ სისხლით დასვრილ იატაკს.

— სალამომდე ამითი კვლიც არ უნდა დარჩეს! — სთქვა ერთმა ქალმა, სხვებმაც მხარი დაუჭირეს.

სწორედ ეს უნდოდა ყველას — რომ პირველსავე დღეს, დაღამებამდე სოფელში ოცდაათი დღის განმავლობაში გერმანელების თარეშის კვალიც კი იღარ დარჩენილიყო. ვიღაცა თავისი ინაიციატივით ანერგვდა სახრობელას მოედანზე, იგი ამაოდ ცდილობდა ამოეთხარა მიწაში ღრმად გაყინული ბოძები...

რაკი ეს ვერ მოხერხდა, ვიღაცამ ხერხი გამოიტანა, რომ მიწის პირის თანაბრად მოეხერხათ ბოძები. ქალები სასწრაფოდ ათეთრებდნენ ამდენი

ხნის გაუღესავ ქოხებს. აივნიდან ფიწლებითა და ვედროებით გამოქონდათ გერმანელების მიერ დატოვებული ნაგავი. მუშაობა ისე დიდდა, თითქოს პურის ლეწვის დრო ყოფილიყო.

— კვალიც კი არ უნდა დარჩეს! — ამბობდნენ ქალები, ^{ნაჩვენებელი} ~~მუშაობდნენ~~ იატაკს, ჰგვიდნენ, ათუთობდნენ კედლებს.

— რომ კვალიც აღარ დარჩეს, კვალიც! — დედებთან ერთად იმეორებდნენ ბავშვებიც. ისინიც აგროვებდნენ რკინის ნატებებს, ცარიელ ვახნებს, გერმანელთა მუნდირების ნახევებს საკომენდანტოსა და ბატარიასთან.

წითელარმიელები თოვლით დაფარულ გზებზე დაბობტებდნენ, სწრაფად ჰშივდნენ სატელეფონო შავთულებს. ლეიტენანტი შალოვი ქაეშირს ამყარებდა. სკოლის შენობაში მიმდინარეობდა ტყვე გერმანელების დაკითხვა. ხალხს ძალიან უნდოდა მოესმინა დაკითხვისათვის, მაგრამ კარგად ესმოდა — ეს სამხედრო საქმე იყო და ჩარევა უადგილო იქნებოდა.

— ელოლიავებიანი! — ლელავდა ტერბილიხა, — შეკითხვები, დაკითხვები! ფარდულის უკან უნდა გაიყვანოს და ტყვია მიარტყა, ტყვია!

— ბევრი კი გესმით, აი! უნდა ათქმევინონ ყველაფერი, მაშ რაოგორ?

— გამოჰკითხოთ, რა მენადგლება, მერე კი აუცილებლად ტყვია უნდა მიარტყან შუბლში!

— ტყვეებს? ტყვეებს ვინ ხერტეს?

ტერბილიხას თითქოს დანა უჩხვლიტესო.

— გამოიგონე რალა! ტყვეები! ხომ ნახე, რასაც უშვრებთან ჩვენს ტყვეებს? ტყვეები! ჩემი ნება რომ იყოს, ფისში მოვხარშავდი, ტყავს გაეაძრობდი. ჩვენ კი არაფერი, ზრდილობიანად დაეამწყვდიეთ, ეს არის და ეს!

— ეს ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული! — მიუგო პელჩერიხამ, — ასეთია სამხედრო კანონი, — ტყვეები ცოცხლად უნდა დარჩნენ...

— სამხედრო კანონი, სამხედრო კანონი! რომელ სამხედრო კანონზე შეიძლება ახლა ლაპარაკი? ამაზე ლაპარაკი კიდევ შეიძლებოდა იმ ომში, მაგრამ ახლა? ის კი სამხედრო კანონია — ბავშვების მოკვლა, ხალხის წამება?

ქალმა ამოიოხრა.

— მე რაღას მფუნებენ, კარგად იცი, რაც მიქნეს!

— შიტომ მიკვირს, სამხედრო კანონს რომ ასე იცავს! სამხედრო კანონი მე მესმის მებრძოლებისათვის, ესენი ხომ მებრძოლები არიან, ტილიანი ფრიცები!?

პელჩერიხამ არ უპასუხა. ისიც ასევე ფიქრობდა, სხვებიც.

— ლეიტენანტის საქმეა, იგი თავით გასცემს განკარგულებას, როგორც საქირთა. — ქალების დაეაში ჩაერთა ალექსანდრე.


— მაშ, მე რაღას ვამბობ? ლეიტენანტის მაგივრად ნე კი არ ვამბობ განკარგულების...

— ეს-და გვაკლდა! — წაიდუღუნა ალექსანდრემ, კოქლობით გასწია შინისაკენ, რომ თავისი გაუმართავი ბელით დაეხუბნა კიდევ ერთი აბრაც: „სკოლა“. რა თქმა უნდა, ისე ლამაზად, როგორც წინათ იყო, ვერ გააყეთებდა, მაგრამ ამას არ დაეძებდა, ოღონდ კი ჩაეშალა გერმანელთა თათების კვალი, ოღონდ კი სოფელს მისცემოდა წინანდელი იერი.

სიმღერის საამური პანგებით აწკრიალებულ ჰაერში, სუფთა ლაქვარდში უცრად შეიჭრა გრუბნი.

სამღერა ისე შეწყდა, თითქოს ქვესკნელში ჩაიშარხაო. ქობებთან მდგომი ბავშვები შიშისაგან გაშეშდნენ.

— რა არის ეს?

გამაყრუებელი, ზარდამცემი გუგუნი ისევ განმეორდა.  ქობებთან მდგომი ბავშვები

— ქვეშეხები ისვრიან...

— ეს ოხაბში ისვრიახ, იმ მხრიდან...

— ზელენცაშიაღ...

— ჩვენები ისვრიან?

ყური მიუგდეს. საარტილერიო სროლა გუგუნებდა, შორს ხუილით წვდებოდა სროლის ხანგრძლივი გამოძახილი.

ყველანი სდუმდნენ.

— კიდე რა მოხდა?

— ჩვენი ქვეშეხები ურტყამენ, ჩვენი...

— შენ საიდან ერკვევი აქ საარტილერიო საქმეში?

— ხომ მესმის, საიდანაც მოდის ხმა, ჩვენებიდანაა, თქმა არ უნდა...

ისინი შესტყროდნენ წითელარმიელებს, მაგრამ მათ სრულიად დამშვიდებული სახე ჰქონდათ.

— ჩვენები ურტყამენ, ჩვენები, სოლი უნდა გადაართოვდეს.

— რა სოლია ასეთი?

— თქვენი სოფელი! აქ კი მოვედით, მაგრამ უკან, მარჯვნივ და მარცხნივ გერმანელები დარჩნენ.

— აგრეთა, მე ხომ მაშინვე ვთქვი — სოლია შეთქი? — გამოცოცხლდა ტერპილიხა.

— შენ არაფერიც არ გითქვამს, დეიდა!

— რას ამბობ, თუ იცი? თუ არ გაგიგონია, სიბრძნესაც ნუ კი იჩენ, მე მაშინვე ვთქვი — სოლია შეთქი... ყველასთვის ვასაგებია, ყველამ კარგად იცის, რომ ოხაბში ჯერ კიდევ გერმანელები არიან...

— ამა, ერთი ახლა შეხედე, როგორ გარბიან გერმანელები...

— აქეთ? — შეშინებით იკითხა ოლგა პალანჩუკა.

— თუნდაც აქეთ! — დონჯი შემოიხარა და მხედრულად დადგა ტერპილიხა. — იცოცხლეთ, ჩვენ მათ აქ საკადრისად დაეუხვდეთ.

— აქეთ რა უნდა? იქ მეორე გზაა — პირდაპირ, დასაველეთიკენ!

— თუ ვინმე ცოცხალი გადარჩა...

ისინი ყურს უგდებდნენ. სადღაც შორს სწარმოებდა ბრძოლა, გუგუნებდნენ ქვეშეხები, ფართოვდებოდა გერმანელების პოზიციის შეპრილი სოლი...

ლეიტენანტი შალოვი აწარმოებდა გერმანელების დაკითხვას. ისინი იღუნენ შალოვის წინ თბილ ოთახში და ნ ინც ძიეპიგებდნენ. ლეიტენანტი შესტყროდა მათ — ამ გამზღრებს, ჩამოხეულებს, დამპალი მუწყუკებით დაავადებულებს. ოთახში თბილოდა, ეტყობოდა ამის გამო მათ მოუსვენრად ჰკბენდნენ ტილები, ტყვეები ქურდულად იქეჭებოდნენ, წარამარა იფხანდნენ, თან თვალს არ ამორებდნენ მეთაურს. კაპიტან ვერნერის მთელი გარნიზონიდან მხოლოდ ხუთი კაცი გადარჩენილიყო.

— ზურგში უნდა გადავზავნოთ, აქ რაღა უნდა ვუყოთ! — გადასწყვიტა შალოვი.

— გადავგზავნოთ? — სახე შეიკუმუნა ჩაფსკვნილმა, ჯმუხა ვაღლოცემ. — აქვე, ადგილზე უნდა აეუგოთ წესი, ამხანაგო ლეიტენანტო...

— რას სულელობ?

— ცოდვია რომ მათ დარაჯები გავაყოლოთ, მებრძოლები შევარდნით. ერთიე ახლა ამათ გამო, თოვლში...

— სერჟანტი გამოგზავნეთ ჩემთან! — ვაცა განკარგულება შალოვმა.

შალოვი დერეფანზე გამოვიდა, სუფთა ჰაერზე დადგა. ტყვეებთან ოთახში გატარებულ ერთი საათის შემდეგ ეჩვენებოდა თითქოს ტილები შეაკოცდნენ, გაქუჭყიანდა, თითქოს მისი ფორმა გაიკლინთა დიდი ხნით დაუბანელი, მუწუცებით საგსე ტყვეებას ამყრალბული სუნით.

შალოვმა მთელი მკერდით შეისუნთქა ცივი, გაყინული ჰაერი. ლაქვარდი მზის შუქით ბრწყინავდა, ციმციმებდა, თითქოს ნაპერწყლებს ჰყრიდა შიდაფრი ყინვისაგან. ეკლესიის გადაღმა წამოღმებულ ქობიდან, სიმღერა მოისმა: შალოვმა ყური მიუგდო საამურ მელოდიას, რომელიც წარმოშობილი იყო შორეული მინდვრების ქარით, ზღვისკენ სწრაფად მიმავალ მქუხარე მდინარეთა ჩუხჩუხით, ცის ქვეშ გაშლილი უსაზღვრო სივრცეებით. სიმღერაში მოისმოდა დნებრის ქორომებზე კაზაკთა ყიყინის შორეული გამოძახილი, ოსმალთა ტყვეობაში მყოფი ქაბუცი რაინდების წუხილი, შორეულ ლაშქრობაში წასული ცხენების ფლოქვების თქარუნა.

გოგონები მღეროდნენ საამურად. თითქოს მთელი სოფელი მღეროდა ამ გაყინულ ცაზე დამაბრძაველად მოციმციმე მზის შეხედვით.

წითლარმიელებმა სახლიდან გამოიყვანეს ტყვეები. ირგვლივ დაუყოვნებლივ შეგროვდა ხალხი. ქალების დანახვაზე გერმანელები იშშუშნებოდნენ, თავს მხრებში რგავდნენ, ჰკანკალებდნენ სიცივის გამო.

— აგზავნით? — რაღაც შტრულად იკითხა ტერპილიხამ.

— შტაბში ვაგზავნით! — უთხრა შალოვმა და თვალი გადაავლო ჩამოხეულ ფარაჯებიან გერმანელთა ჯგუფს.

— ეს ის არის, რომელმაც ლევონიუკი ჩამოაბრჩო! — ანაზღად წამოიყვირა პელჩერისამ.

ქალები წინ გაეშურნენ.

— რომელი? რომელი?

— აი ის, წითურა, შეპხედე, თქვენ. ხომ ყველანი ნახეთ!

— ის მაღალი, — ყვიროდა იგი გულამომჯდარი ხმით.

— მართლაც ის არის, ის...

— შეხედე, იმალება! ამხანაგო ლეიტენანტო, ამან ჩამოჰკიდა სახრჩობელაზე ქაბუცი.

— რომელი ყმაწვილი? მიტკა სულ თექვსმეტი წლისა იყო! ბავშვი ჩამოკადა სახრჩობელაზე ამ ნაძირალამ...

— ჰეი, ქალებო, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი! თვითონ ესტაცოთ ხელი! — ენერგიულად იძლეოდა განკარგულებას ტერპილიხა.

წითლარმიელები გაუბედავად იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

— მოითმინეთ, მოქალაქე... მოითმინეთ, ქალო, — გაბრაზდა შალოვი, — დაიშაღენით, ჩქარა!

— ამხანაგო მეთაურო, იგი ცოცხალი ვერ წავა! აქვე უნდა ჩაიხადო და ყველაფერი რიგზე იქნება! — დაყინებით მოითხოვდა ტერპილისი ეტყობოდა გერმანელმა გაიგო, რაშიც იყო საქმე. აკანკალდა, კბილებს აკაწკაწებდა.

— აქ წესრიგს ვამყარებ მე და არა — თქვენი! — მრისხანედ წარმოისჩქვა შალოვმა.

ქალების ჯგუფიდან გამოვიდა ფეოდოსია კრავჩუკი.

— რა მოვივინდა, გორპინა, რათ იჭრები, სადაც შენი საქმე არ არის? რას ეჩრები, სადაც არა გთხოვენ? ფიქრობ, შენზე ჰკვიანი მოსამართლე არ არის თუ?

ტერპილისამ ნაბიჯით უკან დაიხია და ფეოდოსიას მიაჩერდა. არ იცოდა თუ რას მოითხოვდა მისგან.

— ჩავაძლოთ, გინდა? ადვილი სიკვდილით, ჰა? ორიოდ წუთი და მორჩა, არა? ლევონჩუკის, ჩვენი ბავშვების წაშების, ყველა დაღუპულთა სამაგიერო ორიოდ წუთით უნდა მიუზღოთ? არა, უმჯობესია — იცოცხლოს! დე, თავის ბედს ეწიოს! დე, ბოლომდე დასცალოს ის, უკანასკნელ წვეთამდე! დე, დაბრუნდეს თავის მიწა-წყალზე, ნახოს, თუ როგორ უნდა აგონ პასუხი ყველაფრისათვის, რაც აქ ჩაიდინეს... არა მარტო ლევონჩუკის გამო!

— მართალს ამბობს! — წარმოსთქვა პელჩერიხამ.

— სწორია, ფეოდოსია! — გაისმა ხმები.

— წით რამეს ვიტყვი, გორპინა: ყოველი მათგანი, ვინც ახლა მოკვდება, დიდად მოგებული იქნება! უმჯობესია, აყურებიან იმაზე, თუ როგორ დაიხევს უკან მათი ჯარი, როგორ ამოწყვდებიან შიმშილით! ნახე, თუ როგორ გამოხტებიან ადამიანები ყოველ ქობიდან, ყოველ ბუჩქიდან — ფიწლებითა და ცულებით შეიარაღებულნი! უნდა ნახო, თუ როგორ დახოცებიან ისინი თხრილებში, და არაეინ კი წვეთ წყალსაც არ მიაწვდის. აცალე, იცოცხლოს მანამდე, ვიდრე დასწყევლის სხვის სიცოცხლეს, ვიდრე მასზე უარს იტყვიან საკუთარი ბავშვები! შენ გინდა მათ ადვილი სიკვდილი აჩუქო? სულელი ხარ შენ, გორპინა, თუმცა მოხუცი ხარ, მაგრამ ჰქუა კი არა გაქვს. სიკვდილი ადვილი საქმეა! დე, ასი წელიწადი იცოცხლოს! დე, ნატრობდეს სიკვდილს, ის კი არ მოდიოდეს! დე, სიკვდილმაც კი ზურგი შეაქციოს ამ გერმანულ მძორს.

სიტყვა ყელში გაუწყდა და გაჩუმდა, ხელი მიიღო მგზნებარედ აძვრებულ გულზე.

— მართალს ამბობ, ფროსია, — მხარი დაუჭირა პელჩერიხამ. ქალებმა მიიწიეს.

ორმა წითელარმიელმა ტყვეები გზაზე გამოიყვანეს. ტერპილისა კი ერთ ადგილზე იდგა, შესცქეროდა მიმავალთ.

— ეხ! — სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი. — ერთი შეხედვით, შეიძლება კაცმა იფიქროს ღრძო გული აქვთ, მოსისხლენი არ არიანო... როგორ ჩქარა გაგივლით ხოლმე სიბრაზე...

— შენის აზრით გამოდის, რომ ფეოდოსია კრავჩუკი მოსისხლე არ არის?

— გაუგებარია ჩემთვის მისი ლაპარაკი. მე ჩემებურად ვფიქრობ, უბრალოდ, ასე უმჯობესად მიმაჩნია...

უცერად შეჩერდა და უფრო მიფვლო.

— მეჩვენება, თუ მართლა შესწყვიტეს ქვემეხების სროლა?

პელტერიხანაც ყური მიუგდო.

— მართლაც სიწყნარება... დიდა ხანია ყველაფერი მიწყნარდა... აქ ამ ტყვეების გამო ისეთი აღიაქოთი ასტეხეთ, რომ ვერც კი შეტყობენ...

— რისგან შეიძლება იყოს? ბრძოლა გათავდა, თუ უნდა ვიკითხოთ, მაგრამ ვის ეცოდინება?..

— ალბათ შეთაურმა იცის.

მაგრამ უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეს, შორს, იქ, სადაც შავად მოსჩანდა ტყე, მარტო ქალებმა როდი მიაქციეს ყურადღება. შალოვი ყოველ წუთას შემორბოდა ოთახში, სადაც ტელეფონს აღარ შორდებოდა ნორივე.

— დარეკე, დარეკე! არ პასუხობენ?

— არაფერი არ ისმის.

— ხაზზე გავზავნეთ ვინმე, ხომ არ გაფუქდა! შენ კი რეკე, რეკე! ბოლას ტელეფონმა დარეკა.

წითელარმიელმა ჩქარა იწყო ჩაწერა.

— რა ამბავია?

— ჩვენებმა ოხაბი და ზელენცი აიღეს.

შალოვი ქუჩაში გამოვიდა.

პირველი აღამიანი, რომელსაც მან თვალი შეასწრო, იყო ტერპილიხა.

— ჩვენებმა ოხაბი და ზელენცი აიღეს!

ტერპილიხამ ტაში შემოჰკრა.

— იმიტომ მიყუჩდა სროლა?

— იმიტომ!

ტერპილიხამ უმაღლეს ხელი იტაცა კაბაზე, კალთები მაღლა ასწია და პუზირიხას დაედევნა.

— ნატალკა, გუპის? ჩვენებმა ოხაბი და ზელენცი აიღეს. თვითონ ლეიტენანტმა სთქვა... როგორც კი ტელეფონმა დარეკა, მაშინვე გამოვიდა და მოთხრა: ჩვენებმა ოხაბი და ზელენცი აიღეს...

— აიღეს! — წარმოსთქვა პუზირიხამ ხმაშლილი...

— ხომ მაშინვე ვითხარი, როგორც კი მიწყნარდა, მაშინვე ვთქვი, ეტყობა, ბრძოლა გათავდა მეთქი.

— შენ ხომ არ იცოდი, როგორ გათავდა...

— რა ცოდნა უნდა, როგორ უნდა გათავებულყო? გერმანელები გარეკეს, სოლი ვააფართოვეს, მოჩია და გათავდა! გესმის?

— დიდად განსწავლული კი გასდი სამხედრო საქმეებში!

ტელეფონი კი სულ რეკდა და რეკდა.

შალოვი ხმაშლილი ჩასძახოდა მილში:

— სად? რომელი მიმართულებით?

სიუელში ყველაფერი ამოქრავდა. შრაფად მოიბრინეს და თავი მოიყარეს წითელარმიელებმა.

— საით? საით? — დელაგდნენ ქალები.

— საით?

— დასავლეთიკენ, დედა!

ქალები დაიბნენ. არ სჯეროდათ თუ ყველაფერი ეს სიმართლე იყო. ფეოდოსია კრავჭუკი მიუახლოვდა ლეიტენანტს.

— ასე როგორ იქნება? ბორში უკვე მზად არის, თქვენ კი არაფერი გიპყრით როგორც საჭიროა.

— არა უშავს რა, დედი, მშვიერი არა ვარ. ბრძანება მოვიდა — წინ უნდა წავიდეთ. ჩემს ბორშის ო სხვები შესჭამენ, აქ მოდის სხვა ნაწილები და აქ გარნიზონად დადგებიან: ისინი დაპატიოეთ... წინ უნდა წავიდეთ

მებრძოლები მათრათებზე სტოვებდნენ კოვზებს, დაუთავრებულ პურს და სასწრაფოდ გროვდებოდნენ.

— ოჰ, ყმაწვილებო, ორიოდე დღე კიდევ ყოფილიყავით ჩვენთან სტუმრად! — ნაღვლიანად ამბობდნენ ქალები.

— მადლობელი ვართ! არა გვცალიანი! თქვენთან სხვები მოდიან, ჩვენ კი უნდა წავიდეთ! გველოდებიან!

— რა თქმა უნდა გელოდებიან, — ისევ ნაღვლიანად ამბობდნენ ქალები და გამოდიოდნენ ქუჩებზე, სადაც დგებოდნენ რაზმები.

მოხუცები და ბავშვები გამოეფინენ გასაცოლებლად. ქალები სლუკუნებდნენ, ზოგიერთები უკვე სტიროდნენ. სონკა ლიმანი კისერზე შემოეხვია ახალგაზრდა წითელარმიელს. ცრემლმორეული გოგონა არ შორდებოდა ქაბუქს.

— სონკას შეხედეთ, მოუსწრიდა! — იცინოდნენ ქალები.

— არა უშავს-რა, კარგი ყმაწვილი ჩანს, შეძხედე რა წარბები აქვს! ლეიტენანტი შალოვი აჩქარებული ნაბიჯებით გამოვიდა სახლიდან. რაზმი უკვე დაწყობილი იყო.

— წინ, იარ!

— ჯანმრთელად იყავით! მშვიდობით დაბრუნდით!

— კარგად იბრძოლეთ! — იძახოდა ხალხი.

თოვლი ახრამუნდა დამარული რაზმის ფეხქვეშ. წითელარმიელებს ფეხდაფეხ აედევნენ ბავშვები, ისინი ცდილობდნენ ნაბიჯები შეეწყოთ მებრძოლებისათვის და მათ გვერდით ევლოთ მხედრული წესით. ქალებმაც გრძელი კაბები აიწიეს და აპყვნენ წითელარმიელებს...

მებრძოლები უჩქარებლად მივიდნენ გზის პირად, ფლატენდ.

შორს, შორს დასავლეთისკენ გადაშლილიყო თაილისმოპურელად მოკიადე თოვლიანი დაბლობი. შორს, მოწმენდილ ცაზე წვრილ ამართულიყო ბოლის სვეტი — იფერფლებოდა გაბარტახებული ლეივანეკა, სოფელი, რომელსაც ოთხივე მხრით ცეცხლი წაუქიდეს გერმანელებმა. ხანძარი ბევრჯერ ჩაქრა, მაგრამ ისევ ხელახლა დღევდებოდა... აი-სუფთა, კამკამა ლავჯარღზე ნათლად აისახა მუქი ბოლის სვეტი.

ლეიტენანტი შალოვი ფლატედან გადასცქეროდა დასავლეთს. მის წინ ეფინა თოვლიანი დაბლობი — გერმანელთა უღელ-ქვეშ მოქცეული უკრაინის სტებები... იქით, შორს გადაშლილიყო უკრაინა: სისხლში მცურავი, ცეცხლის ალში გახვეული, ტუჩებზე მიკვდარი სიმღერით, გერმანული ჩექმით გადაჯეცილი, გადათელილი.

და აი შალოვმა შენიშნა: ცის კიდზე ნათელ, ბრწყინვალე, მოციმიციმე გზად გადაჭიმულიყო ცისარტყელა. მოკიადე ზოლი, რომელსაც თითქმის შეფრქვევოდა ყვავილთა მტვრიანას ფერი. მკრთალი, ვარდისფერი ასკილის, წითელი ვარდის, ფერმკრთალი იასამნის და ია-იას ფერებით კრთოდა ის ცაზე. ცეცხლივით ეღვარებდნენ მზისუმზირას ოქროსფერი ფოთლები, თრთოდა არყის ხის ახლად ნაყარი რტოების სიმწვანე. ყველაფერი ეს აფრქვევდა თვალის-

მომპრულ შუქს. ცისარტყელა მიიწედა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ანთებული, მოგიზგიზე ლენტით აკავშირებდა ცასა და მიწას.

შალოვმა უბრძანა თავის რაზმს:

— მომყევით, ნაბიჯით — იარ!

სწორი, მწყობრი და გრძელი ნაბიჯებით წინ დაიძრნენ ისინი. სოფელღებში ფლატეზე დარჩნენ. ყველანი სდუმდნენ. ცისარტყელას ციმციმში რაზმი მიჰყვებოდა უსაზღვრო სივრცეზე ვადაჭიმულ გზას.

წითელარმიელები მიემართებოდნენ შორს, იქით, გადამწყვარ ლევანეცკაში, ბოლის მუქი სვეტის მიმართულებით, თოვლის ნამქერებში სულგანაბულად ჩაბუღრებულ სოფლებსაკენ. ზელში შაშხანა მომარჯვებულნი, სისხლსა და ცეცხლის ალში მიემართებოდნენ ისინი უკრაინის სტეპებისაკენ, გერმანელთა უღელქვეშ მოქცეული უკრაინის მიწისაკენ, ფეხქვეშ ჯათელილი, მაგრამ დაუძლეველი, ქედმოუხრელი და შეუპოვრად მებრძოლი უკრაინის მიწისაკენ.

ზალბი სდუმდა გელის უსაზღვრო ტკივილით, აცრემლებული თვალებით გამომზიარალი, რომ კიდევ დიდხანს, დიდხანს ეცქირა, ვიდრე ეს მებრძოლი რაზმი არ მიეფარებოდა შორეულ ლავეარდს, ამ თოვლის უსაზღვრო სივრცეზე, ცისარტყელას ასფეროვან, ყველაფრის დაშრდილავ ელვარებაში...

თარგმნა: ანდრეი აბრამოვი.

(უპასურელი)

უ რ მ უ ლ ი

ლულუნი იგი ჩამჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დანაგრულს,
უკუ-ქარის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი.
ილია ჭავეჭავაძე.

... შორიდან სიმღერა მოისმა. ეს სიმღერა ურმული იყო.

— ის არის, ის...—წამოიძახა არჩილმა. ამ წამოძახილში დიდი კმაყოფილება იგრძნობოდა, თითქმის ალტაცება.

მივხვდი, ვისაც გულისხმიობდა ჩემი მეგობარი, მაგრამ უნებურად შევეკითხე, ვინ ის-მეთქი.

— ვინ უნდა იყოს... სესიკაშვილი. — მიპასუხა არჩილმა იმავე კილოთი. — რა ბედზე შემოგვიღამდა აქ. რა კონცერტს მოვისმენთ. მერე, არავინა ჩანს მოსეირნეთაგანი, თორემ უმალვე გაჩუმდება, ვინიცობაა შეამჩნია, ყურს უგდება ვინმე. — ამბობდა არჩილი სიამოვნების ღიმილით. თანაც რაღაც მღელვარება ეტყობოდა, თითქო საანური რამის მოლოდინშიაო.

— ბუღბუღის თვისება ჰქონია მაგ შენს მომღერალს...—გუთხარი სიცილით არჩილს. — ისიც ხომ მაშინვე ინაბეზა, თუ სულიერი რამ იგრძნო ახლო. არა ჰგვანებია ბაგრატას... დღისით-მზისით შუაბაზარში ურემს რომ ჩაატარებს ხოლმე, — ზარივით არაკრავებს ურმულს. ისიც ძალიან კარგად მღერის...

— საქმეც ეკ არის, რომ თვით ბაგრატამ იცის, კარგად ვმღერიო, სიამოვნებით მიგდებენ ყურს და რატომ არ ვიმღეროო. ბაგრატა მსმენელისათვის მღერის, სესიკაშვილი კი — თავისთვის. ეს მისი საკუთარი ზრახვების გამოტეხაა. ურმული ხომ ფიქრის სიმღერაა. მხოლოდ ურემზე შეიძლებოდა დაბადებულყოფი ეს საკვირველი პანუი. რამდენი შესანიშნავი, ლამაზი სიმღერა შეუქმნია ჩვენს ხალხს... ყველა ეს სიმღერა ამათუბმ მღვდომარეობისა და ვითარების ამსახველია — შრომა იქნება იგი, ბრძოლა, ზეიმი თუ სხვა რამ... ყველგან ესათუის მოძრაობა; მტკმედება მოჩანს. ურმული კი, ვიმეორებ, ფიქრის სიმღერაა. მთელი ხალხის ფიქრის სიმღერა. განა სად და რა ვითარებაში შევიწლო ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხს ფიქრს მისცემოდა, თუ არა ურმის ყოფიზე... აქ ყველაფერი ხელს უწყობდა საამისოდ. მეტწილ უმოძრაოდ ყოფნა, მძიმე ბრუნვა ურმის თვლებსა; თანაც ჭრიალი, რომელსაც სმენას აწვევდა ყურადღებას აღარ აქცევდის გულგამაწვრილუბელ ჭიი-ჭის... დარბაისლური ტატიით და ფეხს ბაკა-ბუკით სვლა ხარ-კამეჩისა; სახრის თხლამუნი და შოლტის ტყლამუნი, — ერთის სიტყვით, ყოველივე ეს, ვით ბუნებრივი აკომპანიმენტია ურმულსა. ზედაც მყუდროება მთვარიანი ღამისა... მოდი დანუ

მიეცემა ფიქრს... და იცი... ნამდვილი მეურმე იშვიათად თუ ამოიღებს ხმას დღისით. აი, მხოლოდ ბაგრატიანთა მეურმე თუ ეტანება დღიურ ცხოვრებას და მღერის თავმოწონებით, როგორც ესტრადაზე გამოსული კრედიტორი და მომღერალი. ამიტომ იგი ცდილობს ხმა გამოიჩინოს, შეაღებოს თავისი კანგი ბეგრათა სხვადასხვა მინოხერით, რაც ხშირად სრულიად არ ეთვისება ამ მელოდიის ბუნებას და სხვა სიმღერების მონაბერია, მეტწილად ბაიათური ჩუქურთმებისა... ბაგრატი ქალაქმა გადაუჭა... მაგრამ ჩვენ ლაპარაკში გავერთენით და ურემი კი გვიახლოვდება. მოდი აი, ამ ხის ჩრდილში მივსნდეთ, თორემ სთვარე დაგვანათის და გამოგვაჩენს.

ჩემი მეგობარი მართალი იყო: სააშკაროზე ვიდრე, კახეთის ერთი პატარა ქალაქის განაპირა და მადლობს ადგილას, რომელიც ზაფხულში სასაიროდ იყო ამოჩემებული.

საკმაოდ ვრცელი ტაფობი სოფლებისაკენ მიმავალ, ვიწრო საურმე გზას გადაჰყურებდა. გზა თითქმის გარშემო უვლიდა ამ მადლობს და აღმართ-აღმართ მოდიოდა.

ზაფხულს მთავარიანი დამე იყო. მნათობის შუქს ცის ლაქვარდი განეკრთო და გაექათქათებინა. შორი-შორს გაფანტული ვარსკვლავები კლდემამოსილებით ციმციმებდნენ, თითქო სხივოან „ლამის გუშავს“ ეკრძალებიანო. ირგვლივ არავინ ჩანდა. ცხოვრების ყრიაშული მიყუჩებულიყო.

სამყაროს სჩვევია ხოლმე ხანდახან იღუპალი მღუმარება, თითქო ბუნების ყველა ნასახს ერთი ყური გამოჰბმოდეს, ერთი თვალი და გაერთიანებულის გრძნობით მთლად იგი წაზიდულიყოს ერთი რამისაკენ, რაც მას ხიბლავს და ეუფლება.

არ ვიცი, ახლაც ასე ხდებოდა, თუ მართო მე მეჩვენებოდა ასე. მაგრამ მთელი ის არე-მარე რომ სმენად იყო გადაქცეული, ამას აშკარად ვგრძნობდი. და ეს სმენა მეურმის ხმას დაეტყვევებინა, სესიკაშვილის ურმულს...


ურმული ბეგრჯერ მომესმინა. სოფლადაც, ესტრადაზედაც, განსაკუთრებით განთქმული იყო ვანო სარაჯიშვილის ურმული. რა კონცერტიც უნდა ყოფილიყო ვანოს მონაწილეობით და რამდენიც უნდა ემღერა, საზოგადოება ბოლოს მაინც ურმულს მოსთხოვდა ხოლმე.

ვანო ჩინებულად მღეროდა ამ მელოდიას, უაკომპანამენტოდ, რასაკვირველია. დიდ ალტაცებასაც იწვევდა. ჩემსასაც, რაღა თქმა უნდა. ერთი მხოლოდ არსილი შედგა კრიკაში. ის არ იზიარებდა საერთო ალტყინებას.

ტურფა ქალს რომ ფერუმარილი წასცხო, თუნდაც სულ ზომიერად, მის სილამაზეს თავისებურების იერს დაუკარგავსო — ამბობდა არჩილი. — ვანოს მღერაში ისეთი ნიჟანება, რაც ურმულის მელოდიას თითქო ალამაზებს, მაგრამ ბუნებრივ სახეს უცვლისო. ურმული კი თავისთავად იმდენად სრულყოფილი და მრავალმეტყველი ჰანგია, რომ არავითარ შელამაზებას არა საჭიროებსო.

საერთოდ, არჩილი დიდი ენთუზიასტი იყო ხალხური შემოქმედებისა და მისი თავანკარიანობის ოდნავადაც შებლაღვის ულმობელი მოწინააღმდეგე. რაც შეეხება ურმულს, იგი მხოლოდ სესიკაშვილს სთვლიდა ამ ჰანგის ნამ-

დვილ მესიდიუმედ. — სესიკაშვილი არ კი მღერის, არამედ უსიტყვოდ მეტყველებსო.

რას ნიშნავდა ეს „უსიტყვოდ მეტყველებს“ — ვერ გამეგებე.  იმას განემარტა.

სესიკაშვილის ურმული არ მომესმინა და არ ვიცოდი, რა შეადგენდა მისი სიმღერის მომხიბლავ ძალას. დღეს პირველად მეძლეოდა შემთხვევა შემემომწმებინა არჩილის მტკიცების სიმართლე.

სესიკაშვილი და ბაგრატი — ორივენი მეურმეები იყვნენ. საკუთარი ურმები ჰქონდათ და ბაგრატას უღელი კამეჩი ჰყავდა, ხოლო სესიკაშვილს — ყვევარი საქონელი. ტვირთზიდვას ეწეოდნენ. უმეტესწილ საშენი მასალა გადაჰქონ-გადმოჰქონდათ, ქვიშა, აგურა, ხე-ტყე და სხვა, შედარებით პატარა მანძილზე.

ბაგრატი ცალფეხა იყო და მხოლოდ დღისით მუშაობდა. ღამაში მოხუცი იყო. რგვალი ჰქონდა წვერი უმშვენიებდა ხორცსავე წითურ სახეს. მუდამ მომღიმიარი და მხიარული, ღამაზად არაკრავებდა თავის საკმაოდ მკაბე, მაგრამ მოქნილ ხმას.

არჩილი მართალს ამბობდა: იმის მღერას, ცოტა არ იყოს, ბაიათური კილო დაჰკრავდა. მაინც მშვენიერი იყო მისი ურმული, რაღაც უჩვეულო ხალისით საესე.

სესიკაშვილი დღისითაც მუშაობდა და ხან ღამითაც. არა ერთხელ მენახა იგი დღისით ურმის კოფოზე მდუმარედ მჯდომარე, ჭალაქში რომ ურემს გაატარებდა ხოლმე. ორმოც წლამდე იწებოდა მიღწეული. ოდნავ შეჰქალარავებული იყო საფეთქლებთან. შავგვრემანი იყო, კარგად მოყვანილი ვაყკაცი. სანდომიანი სახე ჰქონდა, თუმცა არამხიარული.

ურემი ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა. აღმართი იყო და თველები მძიმედ ბრუნვდნენ. თანაც ეტყობოდა, ურემი საკმაოდ იყო დატვირთული.

ხის ჩრდილში ვისხედით სულგანაბულნი. ურემი კი სააშკაროზე იყო. მთვარე უხვად დანათობდა.

სესიკაშვილი ჩვეულებრივი პოზით იჯდა კოფოზე. გეგონებოდათ, ფიქრშია წასულიო. არავითარი მოძრაობა. ხანდახან სახრეს თუ აიქნევდა. ისიც არა დასარტყელად, არამედ კამეჩების გასამხნეებლად. თანაც სიტყვიერად დაბოლოებდა ხოლმე „ხიმამ, შე დაღონებულო“.

აღბათ, ჩვეულებად ჰქონდა ამ სიტყვების თქმა სიმღერის შეწყვეტის დასტალულად, კუბლეტსა და კუბლეტს შუა.

არც გარეგანი აღტყინება და სასიმღეროდ ყელმოღერება, ბაგრატას რომ სჩვეოდა. არც თავიჩაქინდვრა და მწუხარება. ყველაფერი ეს მის ხმაში მეტყველებდა დიდის გზნებით.

მეურმის ხმა თავისუფლად ამობდა გამჟვირვალე ჰაერს, რადგანაც ირგვლივ მყუდროება იყო გაშეფებული და გზად მას არავითარი სხვა ხმაურობა არ ეღობებოდა.

ჰაერი თრთოდა, ირყეოდა ხმის ნაგარდზე. ასე გგონია, შიგ შუქი რამ შეიქრა და აქაურობა მთლად ააბზინაო. და თუ ეს თვალისთვის არა ჩანდა, თითქო იმითომ, რომ დალოცვილ მთვარეს ქვეყნად სხივების დიდი ნართი დაერთვა და ციდან გადმოფენილ ბრწყინვალე ქსელში მგზნებარე შუქად შენივთებული

ხმა მეურმისა შეუმჩნევლად იშლებოდა. სამაგიეროდ, ხმის შექმნარობა ალლოთი იგრძნობოდა.

ქართული
ბიბლიოთეკა

მეურმე მკახედ როდი მღეროდა. ურმულს სიმკახე, სიმძლავრე არ უხდებოდა. ურმული ნიავეით სათუთი ჰანგია, პატარა, მაგრამ მრავალგრეხილოვანი. ჰანგის სხვადასხვა ფარდა ზესკენელ-ქვესკენელსა ჰგავს და ამ ორ კიდეთა შორის ბევრი მიხვეულ-მოხვეული საფეხურია, რომლებზედაც ხმა გველურის კლაკებით ადის და ჩამოდის.

წინათ მეგონა, ურმულს მხოლოდ ლირიკული ტენორი თუ დასძლევდა, იმდენად სათუთ მელიოდიად მეჩვენებოდა იგი. მაგრამ ამ რიგობაზე ეს ჩემი აზრი უნდა შემეცვალა.

საქმე ის იყო, რომ სესიკაშვილის ხმას ნამდვილი დრამატიული ტენორის ტემბრი ჰქონდა. მაგრამ აქ ბუნებას თითქო სასწაული მოეხდინა. ისეთი ვაჟკაცური ლირიზმით ვანემსქვალა იგი, რომ თვით უნაზეს ბგერასაც კი სრულის ზედმიწევნითობით ვადმოგვცემდათ.

და რა შეედრება დრამატიულ ტენორს, როდესაც იგი მარაოსავით ხმის გამლით უმადლეს მწვერვალებამდე უჭირვებლად ადის, და ამავე დროს მასვე მომადლებულ აქვს ვილონჩელოსავით მგზნებარე ხმამიბნედილობის უნარი...

რასაკვირველია, იშვიათია ასეთ ერთი-მეორის საწინააღმდეგო მოვლენათა თანამთხვევა ერთ ადამიანში. მაგრამ ბუნებამ იცის ხანდახან თავისმოგიყიანება და თავისი უხვი კალთის ერთ ადამიანზე დაბერტყვა.

სესიკაშვილი სწორედ რჩეული შვილი იყო ბუნებისა. და ცხოვრების უკუღმართობაც სწორედ ის იყო, რომ ასეთი დიდი მადლით მოსილი, თვით განგებისაგან ადამიანთა სულიერად აღძვრისა და დატკობისათვის მოწოდებულ, იგი ეკრძალებოდა მათ, მუნჯდებოდა მათ წინაშე, რადგანაც არ იცოდა, რა თილისმა ედგა ყანყრატოში, რა გრძნობა უძგერდა გულში...

სხივნართად გაშლილ დასაწყის „პარალოს“ რომ გაძაბავდა ჰაერში და ბოლოს ხმამიბნედილად რომ დაუშვებდა ბგერათა ხლართს დაბლა ბილიკებით, გეგონებოდათ, კაცი ტრიალ-ტრიალით ციდან ჯურღმულში ჩაეშვაო. და აქ ხმა ხვეულ-ხვეულად ჩატბორდებოდა ქვესკენელის ფსკერზე. აი, სწორედ ამ დაბალ ფარდებში იყო უაღრესად მეტყველი მისი ტემბრი დრამატიული ტენორისა, რაც ლირიკული ტენორისათვის მიუწევდომელი იცნებოდა.

უსიტყვო სიმღერის აღწერა ძნელია.

სხეული მას არა აქვს და სიმკვრივე, ფერი და გემო. ვერ შეეხები, ვერ დაინახავ, ვერც იგემებ. ისმენ მხოლოდ რაღაც კილოიან ბგერებს, თილისმურად ერთმანეთთან შერწყმულს და ამავე დროს განცვიფრებით გრძნობ, რომ შენს წინაშე სხეულიც არის და ფერიც. იგი თითქო გეხება კიდეც, ვინაიდან გულში გვვდება, გაღელვებს და თითქმის ფიზიკურადაც აღგძრავს.

უსიტყვო სიმღერა-მეთქი — იმიტომ რომ — ურმული სწორედ უსიტყვო სიმღერაა. ყოველ შემთხვევაში, სესიკაშვილი არავითარ სიტყვას არ ამბობდა, „პარალო-პარი-პარალო“-ს გარდა.

სხვა მეურმე, თუ პროფესიონალი მომღერალი, პირველი „პარალოს“ შემ-

დგე, ჩვეულებრივ, სიტყვებზე გადადის და ურმულის მელოდიას სკანდასზეა ლექსით გადმოგვცემს. ეს სიტყვები შეტწილ ან ცნობილი ხოლმე ლექსია „აღზევანს წავალ მარილზე...“ ან სხვა რამ შიირი, ვისაც რა მოეპრინება.

ბაგრატა, მაგალითად, ვიდაც ლამაზ მცინარა გოგოზე მღერობდა: „შა-
ერი აღარ მახსოვს. ეს კია, რომ იგი, უწმაწური რომ არა ვთქვა, საკმაოდ „სა-
დერდელამშული“ იყო.

და არასოდეს არ შემხვედრია ისეთი სიტყვები, რომლებიც თავისი შინაარ-
სით ურმულის შესატყვისი ყოფილიყვნენ. სიტყვები სულ სხვა გრძნობას
მეტყველებდნენ, ჰანგი სულ სხვას.

ამრიგად, სიტყვა თუ ხშირად განმარტავს და აძლიერებს ჰანგის მუსიკა-
ლურ აზრს, არც ის არის იშვიათი, რომ იგი სრულიადაც არ ეკილოკავება მე-
ლოდიის ბუნებას.

ეს შეუსაბამობა განსაკუთრებით ურმულში მოჩანს.

წინათ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. თვით ჰანგი ისე მხიბლავდა
ხოლმე, რომ ჩემთვის თითქო სულერთი იყო, რა სიტყვებით იმღერებოდა იგი.

დღეს პირველად მენიშნა ეს შეუსაბამობა, სესიკაშვილს რომ ვუსმენდი.

ვიმეორებ, სესიკაშვილი არავითარ სიტყვას არ მიშართავდა „პარალო-პარი-
პარალოს“ ვარდა, — ამ, ალბათ, წარმართობის დროიდან დარჩენილ რაღაც
საკრამენტალური სიტყვის თუ სასელწოდებისა — და აგრეთვე ერთი-ორი
გახმოვანებული „შორისდებულისა, როგორცაა, მაგალითად, „ჰამ“, „ჰამ“,
„ო-ო-ო“.

და, რადგანაც სიტყვები არ იყო და მხოლოდ ბგერები გაისმოდნენ, ისეთი
შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქო ეს ბგერები სიტყვებად გადაქცეულიყვნენ
და მუსიკალური ფრაზის შინაარსს ისინი თარგმნიდნენ ადამიანთა ენაზე.



ხშირად თუ არა, ერთხელ მაინც, ალბათ, შეგხვედრიათ ცხოვრებაში სევ-
დით აღსაესე თვალები.

შეიძლება, ამ თვალების პატრონი განუმებელი იყოს, უმოძრაო, მაგრამ,
სამაგიეროდ, მისი თვალები მაინც მეტყველებენ... მეტყველებენ სევდას...

ან, იქნება, იგი იცინოდეს კიდეც, მხიარულობდეს, კეკლუცობდეს... თვა-
ლები მაინც მეტყველებენ... მეტყველებენ იმავე სევდას...

სევდა ამ თვალებისათვის განუშორებელი შინაარსია, ბუნებრივი, მუდ-
მივი...

მოხდება ხოლმე, ამ თვალების მეტყველება უცბად იერს იცვლის... მაგრამ,
რომ დააკვირდეთ, ადვილად შეატყობთ, იცვალა მეტყველების იერი კი არა,
არამედ — იერი სევდისა...

აქამდე სევდა თუ თხლად იყო მოდებული თვალეში, ახლა უფრო გახშირ-
და ღრუბელივით, ჩატბორდა მღორე მორევივით და აქა-იქ სიღრმეში
ცრემლმა იწყო ციალი.

თუ ერთიდაერთი ჩაუკვირდით ამ თვალების მეტყველებას, სამუდამოდ სა-
მასსოვროდ დაგრჩებათ იგი, თავისდღეში არ დაგავიწყდებათ, როგორადაც
რაიმე დიადი აზრი, იდეა...

შესაძლებელი რომ იყოს — ხმას, ჰანგს ხორცი შეახაბთ და იგი ხედვისა-
თვის საჩინარპყოთ, მაშინ ურმული სწორედ იმ სევდით აღსაესე თვალებად
განხორციელდებოდა. ზმაშეკიდებულ ამომახილში, თუ დაბლა დამდოვრებულ

ფარდებში განუწყვეტელი სევდა გაისმოდა, ხან მშფოთავი, ცნობილით მწვავი, ხან მინელბული, მიბნედილი, ვით ბინდ-ბუნდი მწუნხრისა.

როგორც ის სევდით მონისლული თვალეები არაეცა და არაფერს არ უჩიოლდნენ, სწორედ ამისდაკვალად ურმულიც არაეცა ჰყვედრებდა, არაფერს ამბებულა.

ისე, ვით თვალეებში, ურმულშიაც თანასწორის ძლიერებით გამოითქმოდა რაღაც საბედისწერო კეშანი, თითქო ეს კეშანი მხატვარი ყოფილიყოს და თავისი ხელით ეხატოს თავისივე სახება, ერთ შემთხვევაში — თვალეების მეტყველებით, ხოლო მეორე შემთხვევაში — ჰანგის ავზნებით.

ჩემი მეგობარი მართალს ამბობდა: ურმული ნამდვილად ფიქრის სიმღერაა. და... სამხიარულო არ უნდა ყოფილიყვნენ ის ფიქრნი, რომელთაც ეს სიმღერა წარმოეშვათ.

არც განყენებული, ცივი ბრძნული მსჯელობანი სიცოცხლის ამოთებაზე...

არც სიკვდილის გარდღევალობაზე წუხილის მეტყველნი...

არც ტრფიალებისაგან დამწვარი გულის ზრახვანი...

ძველას-ძველი იყვნენ ეს ფიქრნი. უამრავ საუკუნეთა მიღმეულიდან მომდინარეობდნენ, მაგრამ ზავსმოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ, ვით უკვდავნი და მუდამ ახალნი, ისეთი ცხოველი გრძნობა ფეთქავდა მათში.

ეს იყო ფიქრი ცხოვრების უკულმართობაზე, მარადიულ ვარამზე, რაც ადამიანთა დიდი უმრავლესობის ზედრს შეადგენდა...

ეს იყო ფიქრი ვაცულებულ შრომაზე, რომლის ნაყოფიც სხვას მიჰქონდა ძალადობით.

ეს იყო ფიქრი ცოლშვილის შიმშილზე, შიმვლობაზე, საერთოდ, მათ მწარე ბედზე...

ეს იყო ტკბილი ოცნება ალალმართალ ცხოვრებაზე და მქენჯნავი ფიქრი ამის საწინააღმდეგო დუხჭირ დღიურ სიცხადეზე...

ეს იყო ფიქრი ადამიანთა უთანასწორობაზე, მაძღარის მიერ მშვიერისათვის ლუკმის წართმევაზე, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრაზე...

ეს იყო ფიქრი იმაზე, რასაც გულთამხილავე პოეტი გუონის-დედას ათქმევინებდა:

მე ზემის ჰირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუდილის
სიტყვანი გულში მებადებანი,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰყვებებიან.¹⁾

გარნა თაობათა იდუმალი მემკვიდრეობის ძალით კვლავ ცოცხლდებოდნენ ეს სიტყვები უამრავ სევდიან ფიქრებად და გუბდებოდნენ გულში მქენჯნავ ბოლმად.

და დადგა ისეთი წამი, როდესაც ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს ერთმა შემოქმედმა მეურმემ ვეღარ დაიტია ტვინში ეს სევდიანი ფიქრები, ხოლო გულში მქენჯნავი ბოლმა და წამოღვარა იგი იმ საკვირველ მელოდიად, რომელსაც ხალხმა ურმული უწოდა.

¹⁾ ილია ჭავჭავაძე — „გუონის-დედა“.

ყურს ვუგდებდი უკვე სულ ახლო მოსული მეურმის სიძულწას და მისი მზიბლავი ძალით ჩემში აღძრული ოცნება თითქო გონების თვალწინ მჩლი-
და ცოცხალ სურათს ურმუღის შექმნისას.

თითქმის ცხადლივ წარმოვიდგინე თვით ის მომენტიც კი, როდესაც პირვე-
ლი შეძახილი გაისმა.

სანუეკარ ალალმართალ ცხოვრებაზე ფიქრით აღტყინებულმა პირველყო-
ფილმა მეურმემ უცაბედად თვალი შეავლო გაბადრულ მთვარეს და, მნათო-
ბის სიტურფით ტყვევნილმა, შესძახა მას ის მაგიური „პარალო“, რაც, შეიძ-
ლებმა, მეურმის სულიერ სამყაროში ჩასახული იყო როგორც საუკუნეთა წია-
ლიდან გადმოცემული სახელი რომელიმე წარმართული ღვთაებისა. და, ოცნე-
ბის ექსტაზში მყოფმა, მთვარე სწორედ ამ ღვთაებად წარმოიდგინა.

მნათობი ხომ ამ წამს ისეთი მშვენიერი, მოსზივციესკარე, წყნარი და უბიწო
იყო, რომ მეურმე შეიძლება მასში ხედავდა თავისი ოცნების განსახიერებას
და აგზნებული ღაღადით მოუწოდებდა მას მიენიჭებინა აღამიანისათვის სა-
ნატრელი ალალმართალი ცხოვრება.

ვატაცებით იმეორებდა იგი მრავალჯერ ამ გრძნეულ სიტყვას, ალბათ,
უკვე მეტის გზნებით და პირველში მოკლედ მოკვეთილი ბგერა თანდათან
განიერცო, გაიშალა უფრო მეტის მელოდიურობით.

და თვითუელ ახალ-ახალ შეძახილზე იგი იმოსეპოდა მეტის ხმოვანებით,
იძენდა მეტ მუსიკალურ ჭურადობას.

მაგრამ აი, მთვარე ღრუბლებმა დაფარეს. ცის ლაქვარდი ჩამავდა. სამყარო
სიბნელემ მოაცვა.

გათავდა მეურმის აღტყინებაც. იგი ციდან ქვეყნად დაეშვა.

და კვლავ აღიძრნენ მწარე ფიქრები. მოაწვენენ ტვისსა და გულს ზვირთე-
ბივით.

ხოლო ერთიდაერთი გაღვიძებული შემოქმედება ვერ დაწმარებულყო-
რაც უფრო მწვავენი იყვნენ ფიქრნი, მით უფრო ვერ ეტოლდნენ ტვისსა და
გულში და გადმოიხიხევას ლამობდნენ.

და პირველყოფილი მეურმეც კვლავ ახმაურდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაის-
მოდნენ ცალკეული ბგერები, ჯერ კინინი, თითქო უსახინი, ერთმანეთისა
გათიშულნი, ოდნავ მეტყველნი.

ეს იყო ჯერ კიდევ მხოლოდ ნაღვლიანი ღუღუნნი, უფრო ცალკეული მო-
რისღებულებისაგან შემდგარნი, ვიდრე გახმოვანებული ბგერებისაგან.

ხოლო მრავალგზის განმეორების პროცესში შემოქმედების ძალა თანდათან
აკოწიწებდა მათ, თანდათან აგლუვებდა ბგერათა შერწყმის უსწორმასწორო ნა-
წიბურებს, მრგვლად ათარაზობდა თვით ბგერათა მოხაზულობას, ასე რომ,
რაც ღრო გადიოდა, თითქო რაღაც მთლიანი რამ იბადებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, გაისმა მეურმის სევდიანი ღუღუნნი, აქა-იქ საფეხუ-
რებიანი, რომლებზედაც ხმა თითქო შეწყობილად ადიოდა და ჩამოდიოდა.

მაინც ეს არ იყო დასრულებული ჰანგი... მას აკლდა სინათლე, მაღალი
მისწრაფების იერი... იგი მოისმოდა თითქო ღრმა დილეგიდან, ვით ოხვრა-
გმინვის ანარეკლი.

მაგრამ აი, კვლავ გამოანათა მთვარემ, გაფანტა რა ღრუბლები.

და ანაზღუელად გაისმა მეურმის პირვანდელი „პარალო“.

და თითქო აქ ხელოვანმა იგრძნო, რომ სწორედ ეს აკლდა მის დუქუნს, — ინტუიტურად გადააბა ერთი-მეორეს „პარალო“ და „ლულუნა“ და მით... ერთმანეთი შეავსეს. „ლულუნა“ შეიძინა სისათუთე და გამკვირვალება, ხოლო „პარალომ“ — სევდიანობის იერი.

მაინც ეს იყო მხოლოდ ჩანასახი პანგი ყველა იმ შემადგენელი ნაწილის, რაც ახასიათებს ერთ მთლიან სიცოცხლეუნარიან ნაყოფს, რომელიც ზრდის პროცესში აივსება სისხლით და ხორციით, გაიფურჩქნება, ვით კოკორი, ფერით და სურნელებით მდიდარ ყვავილად.

გონების თვალწინ ვიდოდნენ თითქო საუკუნენი, რომელთა განმავლობაშიც იზრდებოდა ეს ნაყოფი, თანდათან იხვეწებოდა, იცლიდა თავისი სხეულიდან ყოველსავე იმას, რაც დროთა სელაში ყალბად მიეტმასნებინათ მისთვის და რაც უცხო იყო და აუგი მისი ბუნებისათვის. სამაგიეროდ, ითვისებდა იმას, რაც მის ბუნებას ესისხლზორცებოდა და აცისკროვნებდა.

და აი, ახლა გავსილი, გაშლილი, სრულყოფილი, მგზნებარედ შეტყველო მოქმონდა იგი სესიკაშვილის გრძნულ ხმას ლივლივა ნაკადად, ვით საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის გულში დაგუბებული ფიჭვი და გრძნობა, ვით მისი გაუნელებელი სევდა, მაგრამ თანაც, ვით გულის გამაქარვებელი მელოდია.

და როგორც შეშენის კემპარიტი შემოქმედების მხატვრულ გამოვლინებას, იგი თავის თანაზიარად ხდიდა მთლად შეტყველ და უტყვე სამყაროს.

სუბლიმინიკა. ფილტვთვია. ლიბმრატშრის ისტორიკი.

საქართველო
ბიბლიოთეკა

6. პიქსანოვი

სსრკ სამეცნიერო აკადემიის
წერილ-კორესპონდენტი

გორკი ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში¹⁾

1

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავენ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (ი. სტალინი).

ხალხთა მეგობრობისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის. მთელ მსოფლიოში არცერთ სხვა მწერალს არ გამოუჩენია ისეთი ენტუზიაზმი, ენერჯია, ღრმა აზრები, სიყვარული და შეუპოვრობა ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში, როგორც გამოიჩინა მაქსიმ გორკიმ.

გორკიმ ჯერ კიდევ ძველ დროს, მეფის რუსეთის ხალხთა საპყრობილის პირობებში აიმაღლა ხმა დაჩაგრულ ხალხთა დასაცავად. 1899 წელს მან სასტიკად გაილაშქრა ანტისემიტისმის, როგორც კაცთმოძულეობის წინააღმდეგ. 1903 წელს ის წერს პროკლამაციას „კომინიოვის დარბევის შესახებ“, სადაც აცხადებს, რომ დარბევები სამარცხვინო ჩირქს სცხებს ქვეყანას. 1906 წელს მან სიტყვა წარმოსთქვა ქ. ნიუ-იორკში „ებრაელთა საკითხის შესახებ“, რომელსაც იგი სთვლიდა ერთ-ერთ „სამწუბარო და სამარცხვინო ისტორიულ ტრაგედიად“. და ამ ხანიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გორკი მუდამ იბრძვის ებრაელთა თანასწორუფლებიანობისათვის. 1931 წელს იგი კვლავ გამოდის პრესაში, როგორც თანამედროვე ანტისემიტისმის, ისე ცარიზმის დროს არსებულ ებრაელთა დევნის შესახებ. ყველა ამ გამოთქმებს რომ თავი ერთად მოუყაროთ, მთელი წიგნი გამოვიდოდა, და ეს წიგნი უმაღლესი ჰუმანიზმის, ქეშმარიტი დემოკრატიზმის, მოქალაქეობრივი გამბედაობისა და სახელმწიფო-ნაციონალური პოლიტიკის ფართე გავების საუკეთესო ძეგლი იქნებოდა.

ბრწყინვალე რევოლუციურ პროკლამაციად ჩაითვლება გორკის მიერ 1905 წელს დაწერილი სტატია „კავკასიის ამბების შესახებ“, სადაც ავი სიყვარუ-

¹⁾ სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის. რ. ე. დ.

ლითა და პატივისცემით ლაპარაკობს კავკასიელ ხალხებზე, რომელთა შორისაც ის თვითონ მუშაობდა ახალგაზრდობაში. გორკი ამ სტატიის რევოლუციური გამბედაობით თავს ესხმის ადამიანთა იმ ზროვას, რაზეც სიგოქემდე შეუპყრია ქვეყნის მშართველობის დაკარგვის შიშს და რომელიც „ძალღებოვით უსუვენ ერთმანეთს რუსებს, ებრაელებს, პოლონელებს და ფინელებს, თათრებს, სომხებსა და ქართველებს“.

2

გორკი ადრევე მტკიცედ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თვითმპყრობელობა თავისუფლების და ხალხის მტერია. ამიტომაც ცარიზმთან ბრძოლაში მთავარი ადგილი დაიკავა გორკის პოლიტიკურ მრღვაწეობაში. მაგრამ გორკის გამჭრიახმა თვალმა რუს ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც შეამჩნია ველაგროსული შოვინიზმი, ზოოლოგიური ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელობის ნიშნები. ნაციონალიზმთან ბრძოლაში გორკის დიდ დახმარებას უწევდნენ ლენინი და სტალინი. 1913 წელს ლენინი გორკის სწერდა: „რაც შეეხება ნაციონალიზმს — ვეთანხმებით, რომ საჭიროა ამ საკითხს უფრო სერიოზულად მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და „Провсвещение“-სათვის დაიწყო დიდი წერილის წერა“. ლენინს მხედველობაში ჰყავდა ი. ბ. სტალინი, მისი სტატიით „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“. ამ სტატიამ სტალინის სხვა წერილებთან ერთად შემდეგ შეადგინა მთელი წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტად იქცა საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიტიკაში.

ნაციონალურ საკითხს გორკი ადრიაანვე უკავშირებდა სოციალიზმს, ინტერნაციონალიზმს, რევოლუციას. 1921 წელს იგი წერდა: „განა უნდა დავეშვათ ჩვენ, სოციალისტებმა, რომლებსაც გულწრფელად გვწამს, რომ მთელ ქვეყანას შეუძლია ძმურად იცხოვროს, განა უნდა დავეშვათ ჩვენ, რომ ძუნწბა და სულელბა ადამიანებმა ხელი შეუწყონ რასიული მტრობის გაღვივებას, რომელიც შეიძლება ბნელ და მაგარ კედლად აღიმართოს სოციალიზმისაკენ მიმავალ ვზაზე?“ იგი წერს ხალხთა უფლებების დაცვის ინტერნაციონალური ლიგის შესახებ; იგი პრესაში აცხადებს, რომ „რუსეთის მთავრობის მოქმედებანი სპარსეთში ნაციონალურად მავნებელია რუსეთის ხალხისათვის“. შესანიშნავია (თუმცა კი უცნობი, რადგან თავის დროზე არ იქნა გამოქვეყნებული პრესაში) გორკის სიტყვა, წარმოთქმული 1916 წელს მოსკოვში უკრაინის საზოგადოებრივ მოღვაწეთა წინაშე: „უკრაინის მშრომელი ხალხი ახლა დიდ დრამას განიცდის. მეფის ჯალათები ხელს უშლიან მისი ენის, ლიტერატურის, შემოქმედების განვითარებას. ის, რასაც მეფის მთავრობა ჩადის უკრაინელებისა და სხვა ჩაგრული ხალხების მიმართ, — ისეთი ბოროტმოქმედებაა, რომლისათვისაც ძნელია სახელის მოწახვა.“ „ამ ხალხს უდიდესი მომავალი ექნება მხოლოდ რევოლუციის შემდეგ“.

როცა მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია და ხალხთა საპყრობილე დაემხო, გორკი ენტუზიაზმით ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში. აქ გორკის მუშაობა დიდი და მრავალფეროვანი იყო. და ამ შრომაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მის მონაწილეობას განთავისუფლებულ მოძმე ხალხთა ახალი ცხოვრების შექმნაში. საზოგადო კრებებზე, პრესაში და პირად ურთიერთობაში გორკი გაორკეცებული ძალით ქადაგებს ხალხის თანასწორუფლები-



ՀԱՐՍԵՆԻ
ՆՈՇՈՐԱՐԱՆ



ნობას, ძმობასა და მთლიანობას, იბრძვის ნაციონალიზმის ნარჩენების წინააღმდეგ, ფაშისტური კაცობიების წინააღმდეგ, — იბრძვის ინტერნაციონალიზმისათვის. იგი წერს: „საპირობა ბელორუსმა იცოდეს, თუ ვინ არის ქართველი, თურქმა და ყველა სხვამ იცოდეს, თუ ვინ არის უკრაინელი, ბელორუსი, უზბეკი, თათარი“. გორკი არაერთხელ აღნიშნავდა: „სოციალისტურ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები კარგად უნდა იცნობდნენ სხვა ენებზე მოლაპარაკე თავის მეზობლებს. ამას მათ ავალდებულებს მიზნის ერთიანობა: სახელმწიფო ცხოვრების ახალი ფორმების შექმნა“. გორკი მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში — მურმანსკიდან ერევამდე — და შემდეგ პრესაში გადმოგვცემს თავის ღრმა აზრებს ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში წარსულის შესახებ, მათ მიღწევებზე სოციალისტური მშენებლობის დარგში. იგი აარსებს ეურნალებს „Наши достижения“, „СССР на стройке“ და მათში დიდ ადგილს უთმობს ბრწყინვალე მასალას მოკავშირე რესპუბლიკების სოციალისტურ მშენებლობაზე.

3

სახელოვანი მწერლისათვის ყველაზე უფრო ახლობელი იყო ლიტერატურის, ხელოვნების, სოციალისტური კულტურის მშენებლობა. გორკი დაუღალავად უწყობს ხელს იმ მოვლენის ზრდასა და იმ მცნების გაფორმებას, რომელიც უცნობი იყო ძველი რუსეთისათვის და რომელიც გამოხატულია ფორმულაში: საბჭოთა ლიტერატურა. „საბჭოთა ლიტერატურა, — წერს გორკი, — არის არა მარტო რუსული ენის ლიტერატურა. იგი — საკავშირო ლიტერატურაა. თუ ჩვენ წარსულში გვიყავდა გიგანტი პუშკინი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სომხებს, ქართველებს, თათრებს, უკრაინელებს და სხვა ტომებს არა აქვთ უნარი მოგვცენ ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, ხელოვნობების უდიდესი ოსტატები“. აქ გორკის მიერ გამოთქმული აზრი ისევე უშუალოდ ენათესავება ი. ბ. სტალინის შეხედულებებს, რომელიც წერს: განთავისუფლებულ „არავერობულ ხალხებს შესწევთ უნარი — წინ წაიყვანონ ნამდვილად მოწინავე კულტურა და ნამდვილად მოწინავე ცივილიზაცია ოდნავადაც არა ნაკლებ, ვიდრე ეს შეუძლიათ ევროპულ ხალხებს“ („ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“, 1927 წ.).

საბჭოთა ლიტერატურა მრავალეროვანი და მრავალენოვანია, მაგრამ იგი ერთიანია მატერიალისტური მსოფლმხედველობითა და სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდით. ეს მსოფლმხედველობა და მეთოდი ფართე გასაქმანს იძლევა ყოველი ცალკეული ლიტერატურის განვითარებისათვის — ნაციონალურისა ფორმით და სოციალისტურისა — შინაარსით. ასე ფიქრობდა და გვასწავლიდა გორკი.

გორკი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მოკავშირე რესპუბლიკებს ლიტერატურათა განვითარებას.

გორკიმ ყველა სხვა რუს მწერალზე უფრო უკეთესად იცოდა მოძმე ერების ხალხური პოეზია, — როგორც წიგნებიდან, ისე უშუალო ურთიერთობიდან პოელოლიეის, კასპისპირა ველების, კავკასიის, ყირიმის, უკრაინის, ბესარაბიის ხალხებთან. გორკი სიყვარულით ავროვებდა თავის მეზობლებში ნაციონალური ფოლკლორის მასალებს: სიმღერებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, და შემდეგ იყენებდა მათ თავის მხატვრულ შემოქმედებაში. ასე, მა-

გალითად, ახლა უკვე ნათელი ხდება, რომ შუაზიის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გარკვევა შექმნა სამარყანდის პოეტური ლეგენდების მიხედვით ციკლო; მათგან საუკეთესოა ლეგენდა დედის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს სძლეს ყოველგვარ წინააღმდეგობას ტყვედ ჩავარდნილ მკვლევარს შვილის ძებნაში. ნაციონალური ფოლკლორ-დან ისედაც გორკიმ მოტივეთი დასკვნის გმირული სახის შესაქმნელად, რომელიც სიყვარულით ანთებული გული ხალხს ბნელ გზას უნათებს. ხალხურმა ფოლკლორმა მას მისცა მოტივეები ორი საუცხოო ლექსისა და პოემა „ქალი და სიყვარული“ შესაქმნელად.

რუსი მწერლებიდან იშვიათად თუ ვინმე იცნობდა ხალხთა ნაციონალურ ლიტერატურას ისე კარგად, როგორც იცნობდა გორკი. იგი ახალგაზრდობიდანვე ახლო იდგა უკრაინულ ხალხის ცხოვრებასთან, უკრაინის ხალხურ პოეზიასთან, იცოდა უკრაინული ენა, სწავლობდა უკრაინულ ლიტერატურას, თავიანთ სცემდა შეფენჯვოს გენიის, დაუშვებობდა სახელოვან უკრაინულ მწერალს მ. მ. კოციუბინსკის და შექმნა მის როგორც მორალურ, ისე შემოქმედებით მძლავრ დასაყრდენად. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, როცა რუსი საზოგადოებიდან არაერთ იცოდა და არც ვინმეს სწავლდა სკოდნოდა ბელორუსული ლიტერატურა, გორკიმ შეინაშნა ბელორუსიელ პოეტების იანკა კუპალას და იაკუბ კოლასის ახალგაზრდა ნიჭი და მხარი დაუჭირა მათ. ჯერ კიდევ 1901 წელს გორკი გატაცებული იყო ებრაელ ბელეტრისტების მოთხრობათა კრებულის გამოცემით. იგი წერდა: „ეს საინტერესო რამ იქნება! რა საუცხოო ყმაწვილები არიან ებრაელ მწერალთა შორის!“ 1916 წელს გორკი მხურვალე სიტყვით გამოეხმაურა პრესაში ებრაელ პოეტ ნ. ნ. ბიალიკის იუბილეს.

4

დაუსრულებელ მწკრივად გადიოდნენ გორკის — საბჭოთა ლიტერატურის ამ საყოველთაოდ აღიარებულ ბელადისა და დამრიგებლის — წინაშე მოძმე ხალხთა მწერლები, რომელნიც მასთან ამყარებდნენ პირად ურთიერთობას. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ეს ურთიერთობა ძალიან ხანგრძლივ და თავისებურ ხასიათს ატარებდა. ასე, მაგალითად, ქართულ ლიტერატურასთან გორკის ჰქონდა მტკიცე და ძველი კავშირი. ჩვენ მას ვხვდებით 1903 წელსაც (საუბრები ი. პოლუბ-იარინოვთან), 1912 წელსაც (მიმოწერა ნ. კ. კანდელაკის ჯგუფიდან), 1933 წელსაც (ურთიერთობა შ. სოსლანთან). მაგრამ ჯერ კიდევ 1891 — 1892 წწ. ჰაბუკი გორკი თბილისში დაუახლოვდა ახალგაზრდა ქართველ მწერლებს, მათ შორის ისეთ ნიჭიერს, როგორიც იყო ე. ნინოშვილი. მანინ გორკი ჩიტაქსთან ერთად, რომელიც 1905 წლის რევოლუციაში დაიღუპა, გატაცებული იყო ცნობილ ქართველ მხანობ მესხიშვილის არტიკული ნიჭით. მას გამსაკუთრებით ბიბლავდა მესხიშვილის თამაში შილერის „ყაჩაღებში“. ამ საინტერესო ფაქტმა: თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მეშა, 23 ალექსი პეშკოვი ქართველ ლიტერატურულ ახალგაზრდობის წრეში მოხსენებას კიბულობს შილერის ესთეტიური ტრაქტატის შესახებ. „მშვენიერი ენით გადმოგვცა მსმენელებს ამ ტრაქტატის შინაარსი, სრულიად გასაგებად და პოპულარულად“, — მოწმობს დამსწრე, სერგო რომაქიძე.

პირად დამოკიდებულებაში, კერძო წერილში გორკი ხშირად აყენებდა ახალგაზრდა მწერლის წინაშე ვაბუღულ კა ახალ პრობლემებს. 1900 წელს

გორკის თავისი ლექსები გამოუგზავნა უკრაინელმა მუშამ, რომელმაც პოეტმა ანტონ შამლენკომ. გორკი დაუყოვნებლივ გამოეხატა მისი მადლიერება და აღნიშნა, რომ მუშა, მეფუნთი, თოქმანი და სხვა, — ალბად თქვენ ვაივებთ, თუ რამდენად სიამოვნებას ჩემთვის ჩემი ძმა მუშა, რომელიც ლექსების წერისაკენ მიდრეკილებას იჩენს. მეორე წერილში გორკი მას სწერს: „პროზაში თქვენ გამოიჩინეთ დავირებაც, გულმხურვალეობაც. გულმხურვალეობა — კარგა წერის საუკეთესო საშუალებაა! ძალიან მოხარული ვარ, რომ მე, მუშამ შემიძლია გითხრათ თქვენ, მუშას — წერეთ! წერეთ მოკლედ, უბრალოდ, რაც გინდათ, რაც განგიცდიათ. წერეთ თუ როგორ იტანება ჩვენი ძმა, თუ რამდენად ანელია მისთვის სინათლისაკენ მიმავალი გზის მიგნება“. და შემდეგ ბურჟუაზიული მეთხველების შესახებ: „ურტყით მათ სიფათში, გულში, გოგრა-თავში, ურტყით მაგარ-მაგარი სიტყვებით! დეე, ტყვილები იგრძნონ მათ, დეე შესწუბდნენ ისინი!“ „რა მოხარული ვიქნებოდი, თქვენ რომ მძლავრი ორიგინალური რამ დაგეწერათ მუშათა ყოფა-ცხოვრებაზე!“ პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის რჩევას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ა. შამლენკო ერთ-ერთ პირველ მუშა-მწერლად შეიქმნა უკრაინულ ლიტერატურაში.

როცა 1930 წელს გაზეთ „ტაჯიკეთის კომუნისტის“ რედაქციამ და მისმა მუშეებმა წარმ სტალინბაბადიდან გორკის გაზეთის ნაწერები გაუგზავნეს, მან ვრცელი წერილით უპასუხა, საიდანაც მხოლოდ ნაწყვეტს მოვიყვანთ: „დიდად საამაყო და სასიხარულოა, ამხანაგებო, კეკიანი, სოციალისტური ორგანოს მიღება შორეული, უცნობი მხრიდან, სადაც რამდენიმე წლის წინათ რუსი მხოლოდ ფიზიკური დამპყრობელი, უცხო ადამიანი იყო, ახლა იგი სოციალისტური კულტურის გამტარებელია ტაჯიკეთში, იაკუტიაში, კორეაში და ყველგან — საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე. და მისი ხმა უფრო ძლიერად, უფრო დამაჯერებლად გაისმის საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთაც. დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა კუნძულზე, და საბასუხო გამოძახილს პოულობს იგი. მე ვლამარაკობ „რუსი“ მეთქი მხოლოდ გრამატიკული ჩვევს გამო, მაგრამ უკვე დიდი ხანია ვგრძნობ და ვიცი, რომ ვლამარაკობ საბჭოთა ადამიანზე, ვინც გინდა არ იყოს იგი — უზბეკი, ტაჯიკი, დსი, იაკუტი, კარელი. გასაოცარია გიგანტური ნაბიჯები, რომლითაც საბჭოთა კავშირი მიიწევს სამრეწველო განვითარების გზით, და ამ ნაბიჯების რკინისებურ ხმაურში ჩვენ ველარ გვესმის თუ რა დიდძალად ღღერს ჩვენი მეორე მუშაობა — მუშაობა ახალი კულტურის შესახებ, ახალი კაცობრიობის აღსაზრდელად, — მუშაობა მთელ დედამიწის მშრომელთა ერთ მთლიანობაში გასაერთიანებლად. ვილოცავთ, ამხანაგებო, რევოლუციის მეთორმეტე წლისთავის მოახლოებას“...

5

გორკის მთელი ურთიერთობა მოძმე ხალხის მწერლებთან და მათ კოლექტივებთან სუნთქავს ინტერნაციონალიზმის იმ სულით, რომელიც გამომჟღავნებულია ამ ენტუზიაზმურ წერილში. როგორც ძველად, რევოლუციის წინაღობის დელ ლიტერატურაში, ისე ახლაც, საბჭოთა ეპოქაში გორკი იბრძვის ნაციონალიზმის ნარჩენების, ნაციონალური კარნაიკტილობის წინააღმდეგ, იბრძვის ყველგან, სადაც კი პოეზებს მათ, ან მათი გამოვლინების

საწიშროებას. ასე, მაგალითად, გორკი აძლევს ახალგაზრდა მწერლებს მხურვალე რჩევას „აგროვეთ თქვენი ფოლკლორი, ისწავლეთ მასზე, დაამუშავეთ იგი“ — ამავე დროს იგი ასწავლის: „საქიროა ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ფოლკლორის მასალის კონტრავოლუცურ და კვიწრო ნაციონალისტური მიზნებით გამოყენების მრავალრიცხოვანი სახეების წინააღმდეგ, ისინი ფიტავენ და აფუჭებენ ფოლკლორის საკაცობრიო-ინტერნაციონალურ თემებს“.

მაგრამ გორკი მომხმ რესპუბლიკათა მწერლობაზე გავლენას ახდენდა არა მარტო თეორიული ქადაგებით, არამედ თავისი მხატვრული შემოქმედებითაც. საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდა ლიტერატურისათვის ყველაზე უფრო ახლომდგომი და ღვიძლი მწერალი არის გორკი, მისი მძლავრი რეალიზმით, რომლის ბრწყინვალე მიღწევებშიაც მოცემულია სოციალისტური რეალიზმის ნიმუშები, მისი გმირული რომანტიზმით, რომელიც აღადგინოვანებს მკითხველებს, მისი ენის, სახეების, მოტივებისა და ფარების მთელი სიმდიდრით. გასაოცარია გორკის ნაწარმოებთა თარგმნების სიმრავლე. ისინი გადათარგმნილია საბჭოთა ხალხების 65 ენაზე და 1917—1941 წლების განმავლობაში გამოცემულია რამდენიმე მილიონ ეგზემპლარად. მომხმ ხალხთა მწერლები თავიანთ გამოსვლებში გორკის საიუბილეო დღეებში, 1934 წელს მიმდინარე მწერალთა კავშირის ყრილობაზე და აგრეთვე შემდგომში გორკის დაღუპვის სამკვლევარო სხდომებზე — ყოველთვის ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რა ძლიერ და კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათზე გორკის ნაწარმოებები. მაშინ გორკის ავტობიოგრაფიული ტრილოგია, რევოლუციონური რომანი „ღედა“ და სოციალური დრამატურგია ჩვენს მწერლებს ყოველთვის მისცემს მხატვრული წერის დიად გამოცდილებას. გორკიმ ადრიდანვე დაისახა კეთილშობილი ამოცანა: ხელი შეუწყოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას, და იგი ამ ამოცანას მრავალნაირი საშუალებით ანხორციელებდა. გორკი ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბეჭდავდა მისგან რედაქტირებულ ჟურნალებში მომხმ ხალხთა მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანებს, კრიტიკულ წერილებსა და მიმოხილვებს მათ შესახებ. 1916—1917 წლებში იგი ბეჭდავს სამ სანიმუშო ანთოლოგიას: სომხური, ლატვიური და ფინური ლიტერატურისას. ეს კრებულები სამავალითონი შეიქმნენ შემდგომ, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მრავალრიცხოვან ანთოლოგიებისათვის. 1933 წელს, როცა გორკი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მწერლების საკავშირო ორგანიზაციას და დაიწყო მწერალთა პირველი ყრილობის მომზადება, მან ადგილობრივ ლიტერატურულ ორგანიზაციების დასახმარებლად ცენტრიდან რესპუბლიკებში მიაგვლინა მწერალთა ბრიგადები. 1934 წელს გორკის თაოსნობით მოწვეულ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხებიდან თავი მოიყარა დღეღვატთა უზარმაზარმა რიცხვმა. წარმოდგენილი იყო 52 ეროვნება; მონსენებებში და სიტყვებში დახასიათებულ იქნა 23 ეროვნების ლიტერატურა; სიტყვით გამოვიდა 60-დგ ორატორი. ყრილობაზე მთელი ქვეყნის წინაშე შესამოწმებლად წარსდგა მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურა და მთელმა ქვეყანამ დაინახა მომხმ ხალხთა მხატვრული ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე სურათი, — და მან უფრო ნათლად შეიგნო გორკის, როგორც „ინაციონალურ ლიტერატურათა მამის“, მნიშვნელობა.



საქართველოს

საკავშირო ყრილობა და მის მომდევნო მწერალთა კავშირის განმარტების პლენუმში 1935 წელს უმდოდრეს მასალას იძლეოდნენ გორკის დაუშრეტელ ორგანიზაციულ წამოწყებისათვის.

იგი სახავდა ღონისძიებათა მთელ სისტემას მოძმე ხალხთა მწერლობის ურთიერთკავშირის ხაზით.

მაგრამ დიდი მწერლის მსოფლიო ავტორიტეტმა საბჭოთა კავშირის მტრების შხეცური ზიზლი გამოიწვია. გამცემლების, ჯაშუშებისა და მკვლელების ბანდამ სიცოცხლე მოუსპო გორკის, „მხატვრული სიტყვის გენიალურ ოსტატს, მშრომელთა ერთგულ მეომარს, კომუნისმის გამარჯვებისათვის მებრძოლს“ (ე. მ. მოლოტოვი).

თუ რამდენად ძვირფასი იყო საბჭოთა მწერლებისათვის მათი მასწავლებელი და ბელადი, — ეს ნათლად გამოჩვენდა იმ პოეტურ დამუშრებულ გამომხატურებებში, რომლებითაც მოძმე რესპუბლიკათა პრესის ფურცლები აივსო 1936 წელს. გორკის დაღუპვა დაიტირეს კაზახეთის დიდმა სახალხო მომღერალმა ჯამბულმა და დალესტანის სახალხო პოეტმა სულეიმან სტალსკიმ, ტაჯიკეთის სახელოვანმა პოეტმა ვასემ ლახუტიმ და აზერბაიჯანელმა პოეტმა სამედ ვურღუნმა, უზბეკელმა პოეტებმა ზამიდ ალიმჯანმა და შეიხ ზადემ და სხვ. მხატვარმა პროფესორმა მოსე თოიძემ თავის სამგლოვიარო მოვონებებში განაცხადა, რომ გორკისთან მას აკავშირებდა „ძველი მეგობრობა, რომელიც ჯერ კიდევ იმ წლებში დაიწყო, როცა აღექაი მაქსიმს-ძე თბილისში ცხოვრობდა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა“. „მე მთლიანად გორკის უნდა ვუმაღლოდე, რომ მხატვარი შევიქნეი. მან და, კიდევ მეორემ, აწ განსვენებულმა რევოლუციონერმა გოლა ჩიტაძემ მომამზადეს მე, მაშინდელი ზეინკალი, ყოფილ პეტერბურგის აკადემიაში შესასვლელად“. საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სახალხო არტისტი ორდენოსანი ხალიმ ნასიროვა სწერს: „როცა მე ოპერა „ერ-ტარგინში“ აყ-ჯუხუს როლზე ვმუშაობდი, სულ ზელახლად ვკითხულობდი გორკის პიესებს. ყირიმის ხანის ქალიშვილის ცბიერებას მაყურებელთათვის უკეთესად გადმოსაცემად მე ვკითხულობდი გორკის... ამ მწერლის ძვირფასმა ნაწარმოებებმა ხელი შეუწყეს ჩემს სწრაფ ზრდას ხელოვნებაში“. გორკის სახელგანთქმულ პიესის „ბსკერზე“ 1924 — 1925 წლებში ბაქოს სცენაზე დადგმის მონაწილენა იგონებენ: „ბსკერზე“ დადგმა „ჩვენი თეატრის ეტაპური დადგმა იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ახალი კადრების მხატვრულ განვითარებაში. იშვიათი იყო მსახიობებისაგან აეთი დიდი მღელვარებითა და ენტუზიაზმით მუშაობა წარმოდგენაზე. გორკის პიესის საუკეთესო მასალა არა მარტო კემმარიტ შემოქმედებითი სიამოვნებას ჰგვრიდა მსახიობებს, არამედ ზრდიდა კიდევ მათ“.

სომხურ ენაზე (თბილისში) გორკის პიესა „ბსკერზე“ ჯერ კიდევ 1908 წელს დაიდგა. შემდეგ გორკის პიესები ბშირად იდგმებოდა სომხურ თეატრში. 1941 წელს, როცა მოსკოვში სომხური ლიტერატურის დეკადა მიმდინარეობდა, რომელიც სომეხი ხალხის კულტურის ჩვენებად გადაიქცა, — სუნდუკიანის სახელობის სომხურმა სახელმწიფო თეატრმა დადგა „ვეორ

ბუღიჩოვი“, თარგმნილი ტ. ახუმიანის მიერ, რომელთანაც გორაკი შემოწერას აწარმოებდა.

შეიძლებოდა მრავალი დაგვესახელებინა ასეთი ფაქტები, მაგრამ მათი მთლიანი ამოწურვა მაინც შეუძლებელი გახდებოდა.

გორაკი საბჭოთა მწერლებისაგან მათი მშობლიური ფოლკლორის ათვისების ცხოველ პროპაგანდასაც ეწეოდა. მეტად ღრმა აზრი იყო: ახლადშობილ ლიტერატურის პირველ წყაროსთან — ხალხურ შემოქმედებასთან დაბრუნება: დიდი ადგილი იჭნებოდა საჭირო იმისათვის, რომ მოეყოლოდით, თუ როგორ აწყობდნენ გორაკის გავლენით ექსპერიციებს მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურული გაერთიანებანი თავის ფოლკლორის შესაგროვებლად, თუ როგორ იბეჭდებოდა ათეულ და ასეულ ტომებად ფოლკლორის ტექსტები — ხალხური ეპოსის დიდი განძეული, ხალხთა მასებში საუკუნეობით შენახული: თუ როგორ ხდებოდა „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავით სასუნცის“, „მანესის“, „ჯანგარიადისა“ და „ალაამისის“ აღდგენა ჩანაწერებში და გამოკვლევებში, თუ როგორ შეიქმნენ ისინი მსოფლიო კულტურის საკუთარებად, თუ როგორ ხატავდნენ ასალგაზრდა საბჭოთა მწერლები ფოლკლორის და ამით ძლიერდებოდნენ, ვით ანთოსი, ღედამიწის რომ შეეხებოდა.

აი, მაგალითად, გორაკი მოითხოვდა, რომ არა მარტო მოძმე ხალხთა ლიტერატორებმა უნდა ათვისონ დიდი რუსული ლიტერატურის სიმდიდრე, არამედ რუსი მწერლებიც დაეუფლონ მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურის მიღწევას, რომ მათაც ჩანერგონ თავის შემოქმედებაში არა მარტო ამ ლიტერატურის ელემენტები, არამედ თვით ამ ალორძინებული და აყვავებული ნაციონალური ცხოვრების სახეები და მოვლენებიც. მაგრამ ამ წერილში შეუძლებელია ვვქა იმ კრებულების, აღმანახების, კორნალეების, წიგნების ჩამოთვლა, სადაც ერთმანეთს ძმურად ხვდებიან რუსი და მოძმე ხალხთა მწერლები, სადაც იბეჭდება ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნილი მასალები.

ლაპარაკია რაღაც უზარმაზარ, არაჩვეულებრივ, შეუდარებელ ამბებზე, რის მსგავსსაც ძველი ლიტერატურის მატინეში ვერსად შეგხვდებით. გორაკის საქმე ჩვენს წინაშე საგმირო საქმედ წარმოსდგება. ხოლო ამ გოლიათურ საქმეს წინ ეგებება მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურის ამდენივე ბუმბერაზული, ძველად არნახული და არგაგონილი მოძრაობა, რომელსაც ვერაფერი დატოვება ვერც დასავლეთში და ვერც აღმოსავლეთში.

საკვირია მხოლოდ ერთი არსებითი შენიშვნის ვაკეთება. საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმე მთლიანად მარტო გორაკის დამახორებად არ უნდა ჩაითვალოს. მონაც ხალხთა მწერლები ეწაფებოდნენ მშობლიურ წყაროებს — ფოლკლორს, დიდ წინაბრებს, რომელთა შორის ბრწყინავენ რუსთაველი, ნიჟამი, ნავოი და სხვ. ისინი სწავლობდნენ პუშკინსაგან, ტოლსტოისაგან, მსოფლიო კლასიკოსებისაგანაც. გორაკი თვითონ მოითხოვდა მოძმე ხალხთა ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთაგან მთელი მსოფლიო და ნაციონალური ტრადიციების ათვისებას და ცხადია, ბედნიერი იყო, როცა მის შესრულებას ხედავდა. გორაკი დაწამუნებული იყო, რომ ტრადიციის წარმატებით ათვისება და ნაციონალურ ორიგინალურ შემოქმედებაში დამუშავება მხოლოდ შინაგან მძლავრ, თვითმყოფ ლიტერატურას შეუძლია.



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

საბჭოთა ლიტერატურის დიდი ბელადი ამასთანავე ფიქრობდა და გვასწავლიდა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ნაკიონალური კულტურის მებრძოლი ფრონტის მხოლოდ ცალკეული უბნებია, უკანასკნელი კი მთლიანად — ძმურ ხალხთა დიდი არმიის მხოლოდ ერთი იარაღთაგანია. საბჭოთა სოციალისტური კულტურის დიდი მებრძოლი და მშენებელი არცერთი წუთით არ ივიწყებდა, რომ ეს კულტურა იქნება ბოროტ მტერთა გარემოცვაში, რომელთა წინააღმდეგაც აუცილებელია თავდაცვის მზადება, და აი, გორკი თავის ბრძოლას სოციალისტურ ლიტერატურისათვის უშუალოდ უკავშირებდა მთელ საბჭოთა კავშირისათვის ბრძოლას.

და როცა ვერაგმა და დაუნდობელმა მტერმა მშვიდობიან საბჭოთა კავშირს თავზე მოახვია ომი და, როცა საბჭოთა მწერლებმა შემოქმედებითი ყურადღება თავდაცვის თემატიკაზე გადაიტანეს, — ისინი გორკის მიერ უკვე აღზრდილნი იყვნენ პატრიოტულ იდეებზე და გრძობებზე და შეეძლოთ აზრები და სახეებო ამოედოთ მისივე პატრიოტული მოწოდებებიდან, მოხსენებებიდან, პუბლიცისტურ წერილებიდან და მხატვრულ ნაწარმოებებიდან.

გორკის გაირული საქმის დრმა აზრი, მისი ისტორიული მოდგაწეობის მთელი სიდიადე ჩვენთვის უფრო ნათელი ხდება დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის ძმურ ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა ცეცხლის გამოცდის ქვეშ მოექცა. ახლა ჩვენ ყოველდღიურად ურწმუნდებით, რომ ჰიტლერული ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებმა — ჩვენი დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ბრძნული სიტყვით — „სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან, ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ებმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს“ — (მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1941 წლის ნოემბერს).

ღევ ზოღსჯოი¹⁾

ეს წიგნი შესდგა ნაწყვეტი შენიშვნებისაგან, რომლებსაც მე ვწერდი ოლეიზში ცხოვრების დროს, როცა ლევ ნიკოლოზის-ძე ცხოვრობდა გასპრში, ჯერ — შიშვე ავადმყოფი, შემდეგ — ავადმყოფობა გამოვლილი. ამ შენიშვნებს, ქალაქის ნახევებზე დაუდევრად ჩაწერილებს, დაკარგულად ვთვლიდი, მაგრამ ამასწინად ვიპოვე მათი ნაწილი. შემდეგ აქ შედის წერილი, რომელსაც მე ვწერდი იასნაია პოლიანადან ლევ ნიკოლოზის-ძის „წასვლისა“ და მისი სიკვდილის შთაბეჭდილების ქვეშ. წერილს ვებქდავ უცვლელად, ისე, როგორც მაშინ იყო დაწერილი. და არ ვამთავრებ, — რატომღაც ეს არ შეიძლება გაგაყეთო.

შენიშვნები

ფიქრი, რომელიც ეტყობა, სხვებზე ზშირად ღრუნის მის გულს, არის — ფიქრი ღმერთზე. ზოგჯერ გგონია, რომ ეს ფიქრიც როდია, არამედ დამაბული წინააღმდეგობა რილაცისადმი, რასაც იგი თავის ზემოდ გრძობს. ამიტომ იგი ამაზე ლაპარაკობს ნაკლებ, ვიდრე სწადა, მაგრამ ფიქრობს კი — მუდამ. ეს როდია ნიშანი მოხუცებულობისა, სიკვდილის წინაგრძობისა, არა, მე ვფიქრობ ეს მას შესანიშნავი ადამიანური სიამაყით მოსდის. და ოდნავად შეურაცხყოფის გამოც, რადგან მისთვის, ლევ ტოლსტოისათვის, დამამცი-

¹⁾ მიმდინარე წელს შესრულდა 5 წელი მაქიმ გორაკის გარდაცვალებიდან. ქართული შკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს დიდი რევოლუციონერი მწერლის ცხოვრებას, მის რომანებსა და პუბლიცისტურ წერილებს, ბევრი მისი ბელეტრისტული ნაწარმოები დიდხანია ქართულადაც არის თარგმნილი; დღემდე არ უთარგმნიათ მხოლოდ მემუარული ნაწერები — მოგონებანი მწერლებზე, პოეტებზე და გამოჩენილ სხელმწიფო მოღვაწეებზე. ამ მემუარებში მ. გორაკი გმველინება იშვიათ ფსიქოლოგად და შეუღარებელ პორტრეტისტად. განსაკუთრებით სანიშნოა ამ შხრივ მოგონებანი ლევ ტოლსტოიზე; მ. გორაკიმ მოგვცა რუსული პროზის გენიოსის დღემდე მიუბაძველი პორტრეტი.

მოგონებანი ფრაგმენტური ხასიათისაა. რუსულ ლიტერატურაში მ. გორაკი ქმნის ახალ ენის — თავს უყრის ფიქსირებულ წამიერ შთაბეჭდილებებს, გადმოგვცემს მოკლე ხაუნრებსა და შეხვედრებს, ზოგჯერ თვითონვე აგრძელებს თავისი გმირის ფიქრებს (ე. წ. შინაგანი მონოლოგი); ამიტომ „ლევ ტოლსტოი“ ნაწილობრივ დღიურის ფორმას უახლოვდება. ინტიმურ განცდათა და შთაბეჭდილებათა ჩაწერის ტრადიცია ლიტერატურაში საერთოდ დღიხანია არსებობს (მარკ აკეულის „თავისთავიან მარტოობისა“, მონტენის „Essais“, ლაროშფელკის „მაქსიმები“, პასკალის „აზრები“ და მრ. სხვ.). მ. გორაკი ამ ტრადიციის მემუარული განხრით იყენებს.

მ. გორაკის ნიჭისა და დამკვირვებელი თვალის შესაფასებლად ტოლსტოიზე მოგონებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამჟამად ქართულ შკითხველებს ვაწვდით „ლევ ტოლსტოის“ რჩეული ადგილების თარგმანს. ა. გ.

რებელია თავისი ნება დაუშორჩილოს რომელიღაც სტრეპტოკოკს ის რომ ბუნებისმეტყველი იყოს, რასაკვირველია, შეჰქმნიდა გენიალურ კითხვებს, მიაკვლევდა დიდს აღმოჩენებს.

უკრაინული
განმარტების

მას საკვირველი ხელები აქვს, — უღამაზონი, ძარღვებიანი, ვეწებისაგან გაფართოებულნი და მაინც აღსავსენი განსაკუთრებულის გამომსახელობითა და შემოქმედებითი ძალით. ასეთი ხელები ჰქონდა, ალბათ, ლეონარდო და ვინჩს. ამ ხელებით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ზოგჯერ, საუბრის დროს, ის არხვეს თითებს, თანდათან ჰკუმშავს მათ მუშტში, შემდეგ წაიშოსთქვამს კარგს, ბარაქიან სიტყვას. იგი მიაგავს ღმერთს, არა საბაოფს ან ოლიმპიელს, არამედ ისეთს რუს ღმერთს, რომელიც „ზის მოჭრილი ხის შორზე ოქროს ცაცხვის ქვეშ“ და თუმცა არც ძალიან დიადია, მაგრამ, შეიძლება, ყველა სხვა ღმერთებზე ეშმაკია.

მიჩრევედა წამეკითხა ბუდდისტური კათეხიზმო. ბუდდისმისა და ქრისტეს შესახებ იგი ლაპარაკობს ყოველივის სანტიმეტრალურად. ქრისტეზე განსაკუთრებით ცუდად — არაა მის სიტყვებში არც ერთუზიანში, არც პათოსი და ოდნავი ნაპერწყალიც კი გულში მოგიზვიზე ცეცხლისა. ვფიქრობ, რომ ქრისტეს იგი სივლის გულუბრყვილო ადამიანად, ღირსად შებრალბისა და თუმცა — ხანდისხან — ეტრფის მას, მაგრამ საეჭვოა უყვარდეს. და თითქოს შიშობს: თუ გამოჩნდა ქრისტე რუსულ სოფელში — გოგონები მას ქირდვას დაუწყებენ.

იგი მიაგავს იმ ყარობთ კომბლებითურთ, რომელნიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჰშომაიენ მიწას, გაივლიან რა ათას ვერსტს მონასტრიდან მონასტრისაკენ, ერთი წმინდანის ნაწილებიდან მეორისაკენ, ყველასთან და ყველასადმი საშინლად უთვისტომობებს. ქვეყანა მათთვის არ არსებობს, აგრეთვე — ღმერთიც. ისინი მის სახელს ლოცულობენ ჩვეულების მიხედვით, გულის სიღრმეში კი ეჯავრებათ იგი: რატომ მიერეკება იგი მათ ერთი კუთხიდან მეორე კუთხისაკენ, რატომ? ადამიანები გზაზე მდებარე კუნძებია, ფესვებია, ქვებია, — მათ ფეხს წამოსდებ ზოლმე და ზოგჯერ ტკივილს გრძნობ. შეიძლება გვერდი აუარო მათ, მაგრამ ზოგჯერ სასიამოვნოა გააკვირვო ადამიანი იმით, რომ არ ჰგეხარ მას, რომ არ ეთანხმები მას.

ავადმყოფობამ უფრო შეამრო იგი, ამოსწვა მასში რაღაც, იგი შინაგანადაც თითქოს უფრო მსუბუქი, გამჭვირვალე და ცხოვრების მიმღები გახდა. თვალები — უფრო გამახვილებული, მზერა — გამხერტი. ისმენს ყურადღებით და თითქოს იგონებს დავიწყებულს და დაჯერებულს ელოდება ახალს, ჯერ კიდევ შეუცნობს. იასნაიაში მე იგი მეჩვენა ადამიანად, რომლისთვისაც ყველაფერი ცნობილია და მეტი არაფრის ცოდნა არაა საჭირო, — ადამიანად გადაჭრილი საკითხებით.

ის რომ თევზი ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, იცურავებდა მხოლოდ ოკეანეში, არასოდეს არ გადაცურდებოდა ზღვის შუაგულში, განსაკუთრებით კი — მიწის მდინარეების მტკნარ წყლებში. აქ მის მახლობლად ბინადრობს, ჩალიჩობს რომელიღაც ნაფოტა თევზი. რასაც იგი ლაპარაკობს,

არაა საინტერესო თევზისათვის, საჭირო არაა მისთვის, და მისი ~~ფუნქცი~~ არ აწინებს, არ ებება მას. იგი კი სდუმს შთამავგონებლად და მოხერხებულად, ვითარცა ნამდვილი განდევნილი ამა ქვეყნისა. თუმცა-ღა ბევრს ლაპარაკობს თავის აუცილებელ თემებზე, მაგრამ გამოსკვივის, რომ ~~სიტყვით~~ ^{სიტყვით} სდუმს. ამ რაღაცის გამხელა არაფრისთვის არ შეიძლება. მას, აღნაირად, აქვს აზრები, რომლებსაც თვითონვე ეშინია.

რადღაცამ გამოუგზავნა მას შესანიშნავი ვარიანტი ზღაპრისა ქრისტეს ნათლულზე. ის გატაცებით უკითხავდა ზღაპრს სულლერს¹⁾, ჩეხოვს, — კითხულობდა გასაგიებლად! განსაკუთრებით ართობდა ის, თუ როგორ აწამებენ ეშმაკები მემამულეებს, და ამაში მე რაღაც არ მომეწონა. მას არ შეუძლია გულწრფელი არ იყოს, მაგრამ თუ ეს გულწრფელად მოდის, მით უფრო უკლი.

შემდეგ მან სთქვა:

— აი როგორ კარგად თხზავენ მუცელები. ყველაფერი მარტივადია, სიტყვები მცირეა, ვრძნობა კი — ბევრი. ნამდვილი სიბრძნე მცირე სიტყვიანია, როგორც — „უფალო შემიწყალე!“

ზღაპარი კი — უხამსია.

ჩემდამი მისი ინტერესი — ეთნოგრაფიული ინტერესია. მის თვალში მე ვარ წარმომადგენელი ტომისა, რომელსაც იგი ნაკლებად იცნობს.

დღეურის რვეულში, რომელიც მან მომცა წასაკითხავად, მე გამაყვირვა უცნაურმა აფორიზმმა: „ღმერთი ჩემი სურვილია“.

დღეს, რვეულის დაბრუნებისას, მე ვკითხე მას — რას ნიშნავს ეს?

— დაუმთავრებელი აზრი, — სთქვა მან და დაატერდა რვეულის გვერდს მიწურული თვალებით. — შეიძლება მინდოდა მე თქვა: ღმერთი არის — ჩემი სურვილი მისი შეცნობისა... არა, ასე არაა... — გაიციან, რვეული მილისუბურად დაახვიდა ჩაიღო თავისი ხალათის ფართო ჯიბეში. ღმერთთან მას გაუგებარა ურთიერთობა აქვს, მაგრამ ხანდისხან მე ეს მაგონებს „ერთს ბუნაგში ორი დათვის“ ურთიერთობას.

ქალზე იგი ლაბარაკობს სიამოვნებითა და ბევრს, როგორც ფრანგი რომანისტი, მაგრამ მუდამ რუსი მუჟიკის იმ სიტლანქით, რომელიც წინად არასიამოვნოდ მამძიმებდა. დღეს ნუშის ხეივანში მან ჰკითხა ჩეხოვს:

— ძალიან მრუშობდით თქვენ ქაბუკობისას?

შეძრწუნებული ა. პ. შეიშმეშნა, წვერი შეაქანავა და რაღაც წაიდუღუნა, ხოლო ზღვისაკენ მატყერალი ი. ნ. გამოტყდა:

— მე ვიყავი დაუღალავი...

მან ეს წარმოსთქვა შემუსკრელად, ფრახის ბოლოს იხმარა მარილიანი მუჟიკური სიტყვა. მაშინ პირველად შევნიშნე, რომ მან ეს სიტყვა წარმოსთქვა ისე უბრალოდ, თითქოს ვერ უბოვია უფრო შესაფერი, რითაც უნდა შესცვალოს ის. ყველა ამგვარი სიტყვა, რომელიც მისი ფაჩვნიერი ბაგეებიდან გამოდის, ისმის სადად, ჩვეულებრივად, ისინი სადაც ჰკარგავენ

¹⁾ ლ. სულლერჟიკი, რევისორი. (მთ. კრ. გ. მ.).

თავიანთ სალდათურ სიტლანქესა და ნაგავს. მაგონდება მასთან ჩერ პირველი შეხვედრა,—მისი საუბარი „ვარენკა ოლესოვიასა“ და „26 და ერთის“) შესახებ. ჩვეულებრივის თვალსაზრისით მისი საუბარი „არა თავაზიანი“ სიტყვების ჯაქს წარმოადგენდა. მე ვიყავი შემკრთალი და შეუწყნარებელი კი. მ. მომტყვნა, რომ ის არ მთვლიდა სხვაგვარი ენის გაგების უნარმოქმედებლა მესმის, რომ სისულელე იყო შეურაცხყოფილად მეგობრო თავი.

კვიპაროსებთან, ქვის სკამზე იჯდა იგი, ნაცრისფერი და მაინც მსგავსი საბაოფისა, რომელიც ოდნავ დალილა და ერთობა, თანაც ცდილობს ნიბლის გამოჯავრებას სტვენით. ფრინველი მღერადა მწვენეთა სიბნელეში, იგი იტყირებოდა იქით, გამახვილებული თვალები მოეწურა და ბავშვურად, მილისებურად დაემრგვალებინა ტუჩები და მოუქნელად უსტვენდა.

— როგორ გულფიცხელად ეღურტულებს ჩიტუნია!.. ეს რომელია?

მე მოვეუყვები ნიბლიაზე და იქვის გრძნობაზე, რომელიც ამ ფრინველს ახასიათებდა.

— მთელს სიცოცხლეში ერთი სიმღერა და — იქვიანი კია. აღამიანს ათა: სიმღერა აქვს სულში, მაგრამ შას ჰკიცხავენ იქვიანობისათვის — სამართლიანია ეს? — დაფიქრებითა და თითქოს თავისთავს შეეკითხა ის. — არის ისეთი წუთები, როცა მამაკაცი ქალს ეუბნება იმაზე მეტს, რაც ქალმა უნდა იცოდეს. მან სიტყვა — და დაიფიყა, ქალს კი ახსოვს. შეიძლება იქვს იწვევს შიში სულის დამცირებისა, იმის შიში, რომ გაქირდული და ყბადასალები გახდება? ის დიაცი კი არაა საშაში, რომელიც ... ერთგულია, არამედ რომელიც სულს აფასებს.

როცა მე ვუთხარი, რომ ამაში იგრძნობა წინააღმდეგობა „კრეციერის სონატის“ მიმართ, მას მთელს წვერზე ღიმილი გადაეფინა და მიპასუხა:

— მე ნიბლია არა ვარ!

სალამოს სეირნობისას მან მოულოდნელად წარმოსთქვა:

— აღამიანი იტანს მიწის ძვრებს, ებადემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველს ხანაში მისთვის ყველაზე უმწვევესი ტრაგედია იყო, არის და იქნება — საწოლი ოთახის ტრაგედია!

ამის თქმის დროს მან ამაყად გაიღიმა, — მას ეწვევა ზოგჯერ ისეთი ფართო, მშვიდი ღიმილი აღამიანისა, რომელმაც დასძლია რაღაც უმძიმესი და რომელსაც დიდიხანია ღრღნიდა მწვევე ტყვილი და უცბად კი — იგი აღარაა. თვითეული აზრი სოლიდით იჭრება მის სულში; იგი ან მყისვე მოიშორებს მას, ან სისხლს აწოვებინებს მანამ, სანამ ის, გამოხილი, თვითონვე არ მოსწყდება შეუმჩნეველად...

სულღერსა და მე გვიკითხავდა „მამა სერგის“ ცდუნების სცენას, — უმოწყლო სცენაა. სულღერმა დაწვები გაპებრა და აღელვებით აწრიალდა.

— შენ რა, არ მოგწონს? — ჰკითხა ლ. ნ.

— ძალიან მკაცრადაა, დოსტოვეცკისებურად. დამპალი ქალწული, ბლინე-

*) მ. ვორკის მოთხრობები.

ბევით ძუძუები აქვს, ესაა და ეს. რატომ არ აცდუნა იგი ლამაზმა ჯანმრთელმა ქალმა?

— ეს იქნებოდა გაუმართლებელი ცოდა, ასე კი გამართლება შეიძლება — სიბრაღით გაუთხოვარისადმი, — ვინ ისურვებდა მას, ისეთს?

— მე ეს არ მესმის...

— შენ ბევრი რამ არ გესმის, ლევუშკა, შენ ეშმაკი არა ხარ...

მოვიდა ანდრეი ლევის-ძის ცოლი, საუბარი შეწყდა, და როცა ის და სულლერი გაემართნენ ფლიგელისაკენ, ლ. ნ. მიიბრა მე:

— ლეობოლდი წმინდა კაცია, როგორც კი მინახავს. იგიც ასე იქცევა: თუ ვისმეს ცუდს უზამს — სიბრაღის გამო.

„სხეულის მხრივ ქალი მამაკაცზე გულწრფელია, ფიქრში კი — სტრუთოს. მაგრამ როცა ქალი სტყუის, — მას არ სჯერა თავისთავისა, რუსსო კი სტრუობდა და სჯეროდა“.

მას უყვარს ძნელი და ვერაგული კითხვების დასმა:

— რას ფიქრობთ თქვენს თავზე?

— გიყვართ თქვენი მეუღლე?

— როგორ ფიქრობთ, ჩემი ვაჟი ლევ — ნიჭიერია?

— მოგწონთ თქვენ სოფიო ანდრეის ასული?

მის წინაშე ტყუილის თქმა არ შეიძლება.

ერთხელ მან მკითხა:

— გიყვარვართ, ა. მ.?

ეს ბოგატირის კადნიერებაა: ასეთი თამაშობებით ერთობოდა ჭაბუკობისა ვასკა ბუსლაევი, ნიყეგოროდელი მოჩხუბარა. „გამოგცილით“ იგი, რატომღაც ყველაფერს სინჯავს, თითქოს საჩხუბრად ეშაღებდა. ეს საინტერესოა, მაგრამ არც თუ სახალისოა ჩემთვის. იგი — სატანაა, მე კი ჯერ კიდევ ყრმა ვარ და არ უნდა მაჯაერებდეს.

კითხვები:

— თქვენ ეთანხმებით პოზნიშევს, როცა ის ამბობს, რომ ექიმები ათასობით პლუბავენ ადამიანებს?

— თქვენ კი ძალიან გაინტერესებთ ეს?

— ძალიან.

— მაშინ არ ვიტყვი!

ჩაიცინა და თავისი დიდრონი თითები აათამაშა.

რა უცნაურია, რომ მას უყვარს კარტის თამაში. თამაშობს სერიოზულად, აგზნებით. და მისი ხელები კარტის ალბისას ისეთი ნერვიულნი ხდებიან, თითქოს ცოცხალი ფრინველები ეჭიროს თითებში და არა კარდონის თეთრი ნაჭრები.

„მე არ მიყვარს მთვრალი ხალხი, მაგრამ ვიცნობ ადამიანებს, რომელნიც როცა დალევენ, უფრო საინტერესონი ხდებიან, იძენენ მათთვის, ფხიზლები-

სათვის, უჩვეულო გონებამახვილობას, აზრის სიღამაზეს, მოქნილობას და სიტყვათა სიმდიდრეს. მაშინ მზადა ვარ დავლოცო ღვინო¹.”

სულელი ჰყვებოდა: ის მადიოდა ლევ ნიკოლოზის-ძესთან ერთად ტვერსკანაზე, ტოლსტოიმ შორიდან შენიშნა ორი ბევთაროსანი. მსხვერპი კერძის ლაპლაპით, დეზების წკრიალით მოდიოდენ ისინი ფეხმეწყობილად, თითქოს ერთმანეთს შეზრდოდენ, სახეებიც უბრწყინავდათ თვითკმაყოფილებისა და სიახალგაზრდავისაგან.

ტოლსტოი მოჰყვა მათს კიცხვას:

— როგორი დიდი სისულელეა! ნამდვილი პირუტყვები, რომელთაც გობით წვრთნიდენ...

მაგრამ როცა ბევთაროსნები გაუსწორდენ, იგი შეჩერდა, გააცილა ისინი აღერსიანი მზერით და აღტაცებით წარმოსთქვა:

— როგორი ლამაზები არიან! ძველი რომაელები, ლევუშკა, ხომ? ძალოვნება, სიღამაზე, — ო, ღმერთო ჩემო! რა კარგია, როცა ადამიანი ლამაზია, რა კარგი!

გოლიან დღეს დამეწია მე ქვემო თემშარაზე. ის მიდიოდა ცხენით ლევიდის მიმართულებით; გვერდით მიუყვებოდა პატარა თათრული, თვინიერი ფლავი. ნაცრისფერი ფლავი ეცვა, მსუბუქი თეთრი ნაბდის ქული სოკოსებურად ეხურა, — ოგი მიავადდა გნოშს.¹)

ცხენი შეაჩერა და გამომესაუბრა. მე მივეყვი უხანგის გვერდით და, სხვათა შორის, ვუთხარი, რომ მივიღე წერილი ვ. გ. კოროლენკოსაგან. ტოლსტოიმ გაჯავრებით შეაჩხია წვერი:

— მას ღმერთი სწამს?

— არ ვიცი.

— მთავარი არ იცით. მას სწამს, მხოლოდ ათეისტების წინაშე ერცხვინება გამოტყდეს ამაში.

ლაპარაკობდა ბურტყუნით, ახირებით, გაჯავრებულს თვალები მოეწურა. ამკარა იყო, რომ ხელს ვუშლიდი, მაგრამ როცა წასვლა დავაპირე, მან შემაჩერა:

— თქვენ საით? შე ნელა მოვდივარ!

და ისევ აბურტყუნდა:

— თქვენს ანდრეევსაც ათეისტებისა რცხვენია, ღმერთი კი მასაც სწამს და ღმერთი მას აშინებს.

დიდი მთავრის ა. მ. რომანოვის მამულის საზღვართან საუბრობდენ ერთმანეთთან მჭიდროდ მდგარი ორი რომანოვი: აი-ტოდორას პატრონი, გიორგი და კიდეც ერთი, — მგონი პეტრე ნიკოლოზის-ძე, დიულბერიდან. — ყველანი მამაკო, ახოვანი ადამიანები. გზა გადაეღობა საბარგულს, რომელშიაც ერთი ცხენი ება, მის გარდი-გარდმო იდგა შეკაშმული ცხენი; ლევ ნიკოლოზის-ძეს არ შეეძლო გავლა. მან მიაპყრო მკაცრი, გამომწვევი მზერა რომანოვებს. მაგრამ მათ აღრევე დაიხიეს, შეკაშმულმა ცხენმა ადგილი დაბეკნა, გვერდზე გადაგა და გაატარა ტოლსტოის ცხენი.

რამდენიმე წუთს დუმილით განაგრძა გზა, შემდეგ სთქვა:

¹) გნოშები — ფანტასტიური სულელები ქვესკნელისა, გრძელწვერა კაცუნები, რომელნიც განძულს იცავენ. (მთარგმნ.).

— სულელები... მიცნეს!

და კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ:

— ცხენი მიხვდა, რომ საჭირო იყო გზა დაეთმო ტოლსტოინათვის!



გინგლიჩისა

„თავდაპირველად ვაუფროთხილდით თქვენს თავს, თქვენთვისვე, — მაშინ ადამიანებსაც შეტი დარჩებათ“.

— რას ნიშნავს — ცოდნა... აი მე ვიცი, რომ მე ვარ — ტოლსტოი, მწერალი, მყვანან — ცოლი, ბავშვები, მაქვს ჭაღარა თმა, ულამაზო სახე, წვერი, — ყველაფერ ამას სწერენ პასპორტებში. სულის შესახებ კი პასპორტებში არა სწერენ, სულის შესახებ მე ერთი ვიცი: სულს სწავლია ღმერთთან სიახლოვე. ხოლო ღმერთი კი რაჟმ ის, რის ნაწილაკიც ჩემი სულია. აი ყველაფერი. ვინც აზროვნებას შესრევეია, მას რწმუნება გასძნელებია, ცხოვრება კი შეიძლება მხოლოდ რწმენით. ტერტულიანმა სთქვა: „აზრი ბოროტებაა“.

მიუხედავად თავისი მოძღვრების ერთფეროვნებისა, — უსაზღვროდ მრავალფეროვანია ეს ზღაპრული ადამიანი.

დღეს პარკში, როცა გასპრის მოლასთან საუბრობდა, მას თავი ისე ეკვია, როგორც დანდობილ ჩანჩურა-გლეხს, რომელსაც დასდგომია უბი თავის აღსასრულზე დაფიქრებისა. მაგარი სოლიდური თათრის გვერდით ბატარა და თითქოს განზრახ უფრო დაჩივებული, იგი მოსჩანდა მოხუცად, რომლის სული პირველად დაფიქრებულა არსებობის აზრზე და შეუძრწუნებია კითხვებს, რომელნიც მას დაჰბადებია. გაკვირვებით სწევდა მალა ბანჯგვილიან წარბებს და შეშინებული ახამხამებდა მახვილ თვალებს, რომელთა მოუთმენელი, გამსჭვალა ცეცხლი ჩაქრო. მისი გულთამხილავი მზერა უმოძრაოდ ჩასკდობოდა მოლას ფართო სახეში, და გუგებს „მოკლებოდათ ხიწნავე, ადამიანებს რომ აკრთობდა. მოლას ის აძლევდა „ბავშვურ“ კითხვებს ცხოვრების აზრისა, სულისა და ღმერთის შესახებ, არაჩვეულებრივი ოსტატობით აპარებდა ყურანის სურებში ახარებისა და მოციქულთა ლექსებს. არსებითად — ის თამაშობდა და აკეთებდა ანას გასაფიქრებელი ხელოვნებით, რაიც მხოლოდ დიდს არტისტსა და ბრძენს შეეძლო.

რამდენიმე დღის წინად კი, როცა ტანევესა და სულღერს ესაუბრებოდა მუსიკაზე, მას ალტაცებას ჰგვრიდა მუსიკის სილამაზე, მსგავსად ბალღისა, და სჩანდა, რომ მოსწონდა თავისივე ალტაცება, — უკეთ: თავისი უნარი ალტაცებისა. ამბობდა, რომ მუსიკაზე ყველაზე უკეთ და ღრმად სწერდა შოპენ-ჰაუერი, გზადაგზა მოჰყვა სასაცილო ანეკდოტს ფეტზე და მუსიკას „სულის მუნჯი ლიცვა“ უწოდა.

— როგორ თუ მუნჯი? — ჰკითხა სულღერმა.

— იმიტომ რომ — უსიტყვოა. ბგერაში სულა შეტია, ვიდრე აზრი. აზრი ეს — ჭისაა, მასში შეურიანებია, ბგერა კი არაფრითაა გათხუპვნილი, შინაგანად სუფთაა.

აშკარა სიამოვნებით, კეთილი, ყმაწვილური სიტყვებით საუბრობდა იგი, უტბად გაჰსენებოდა საუკეთესო, უნაზესი მათვანი. და მოულოდნელად ჩაიცინა წვერში, სთქვა რბილად, ალერხის მსგავსად:

— ყველა მუსიკოსები — სულელები არიან, და რამდენადაც ნიჭიერია

მუსიკოსი, მით უფრო გონებაზეზღუდულია იგი. უცნაურია, რომ თითქმის ყველა ისინი მორწმუნენი არიან.



ფოსტის გარეჯვის დროს:

— ხმაურობენ, სწერენ, მაგრამ — მოკვდები და — ერთს სწავსს შექმნევ იკითხავენ: „ტოლსტოი? ა, ის გრაფი, რომელიც ცდილობდა წაღები ეკერა და არაღაც მოუვიდა, — დიად, ის“...

სულერი, ჩეხოვი, სერგეი ლევის-ძე და კიდევ ვიღაც, პარკში მსხდარნი, ლაპარაკობდნენ ჭალებზე. ის დიდხანს ისმენდა ხმაიოულეზლად და ანაზ-დად სთქვა:

— მე კი დიაციბზე სიმართლეს ვიტყვი, როცა ცალი ფეხით სამარეში ვიდ-გომები, — ვიტყვი, ჩავტები კუბოში და სარქველს მიეხურავ — წაიღეთ მაშინს — და მისმა გამომეტყულებამ ისე კადნიერად და შენაძრწუნებლად იფეთა, რომ წუთით ყველანი დადუმდნენ.

რამდენჯერმე მინახავს მის სახეზე, მის გამომეტყულებაში, ეშმაკური და კმაყოფილი, დამცინავი ღიმილი აღამიანისა, რომელმაც თავისდა მოულოდ-ნელად, მიავნო რაღაცას, მის მიერვე გადამალულს. მან გადამალა რაღაც და დაეიწყა, სად დამალა. მრავალი დღე ცნობრობდა იღუმალად შეშფო-თებული და სულ იმას ფიქრობდა: სად ჩავდევი მე ის, ჩემთვის ეგზომ სა-ჭირო საგანი? და — ეშინოდა, რომ აღამიანები შეამჩნევენ მის შეშფოთე-ბას, მის დანაკარგს, შეამჩნევენ და შეახვედრებდნენ რაიმე ჭსიამოვნებას, ცუდს. უცბად — გაახსენდა, იპოვა. მთლიანად აღივსო სიხარულით და აღარ ზრუნავს დაფაროს იგი, ყველას ეშმაკურად უცქერის, თითქო ამბობს: ვეღარაფერს დამაყლებთ მე თქვენ. — მაგრამ იმაზე თუ რა იპოვა და სად — სდუმს.

მისგან გაკვირვებული არ დაიჭანცები, მაგრამ მაინც არ შემეძლო მეცხოვ-რა მასთან ერთს სახლში — მეტი რომ არა ვსთქვა — ერთს ოთახში-მეთქი. ეს იქნებოდა უღაბნო, სადაც ყველაფერი გადამწვარია მზისგან და თვითონ მზეც არ ერფლება და იმუქრება უსაზღვრო ბნელი ღამით.

წერილი

ეს-ესაა გამოვიგზავნეთ წერილი, — მოვიდა ტელეგრამები „ტოლსტოის გაქცევის“ შესახებ. და აი, — ჯერ კიდევ ფიქრით თქვენთან განსწორებუ-ლი, — ხელახლა ვწერ.

ალბად, ყველაფერი, რაც მინდა ვსთქვა ამ აალი ცნობის გამო, გამოვა აბნეული, შეიძლება მკვახე და ბოროტიც კი, — გთხოვთ მომიტევთ, — თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ყელში შწედნ და მალწობდნ.

მრავალჯერ და დიდი ხნობით უსაუბრნია მას ჩემთან; როცა ცხოვრობდა ყირიმში, გასპარში, მე ხშირად ვყოფილვარ მასთან, ისიც სიამოვნებით მეწ-ვეოდა, ყურადღებითა და სიყვარულით მიკითხავს მისი წიგნები, — მგონია, მაქვს უფლება ვილაპარაკო შასზე ის, რასაც ვფიქრობ, თუნდაც ეს იყოს კადნიერება და განსხვავებული მისღამი საერთო დამოკიდებულებიანგან. სხეებზე ნაკლებ როდია ცნობილი ჩემთვის, რომ არაა აღამიანი უფრო მეტად

ღირსი გენიის სახელწოდებისა, უფრო რთული, წინააღმდეგობებით იტყვის და ყოველმხრივ მომხიბლავი, დიად, დიად, ყოველმხრივ. რაღაც განსაკუთრებულად მომხიბლავი, ამ სიტყვის ფართო, გადაუცემი მნიშვნელობით. მასში არის რაღაც, ყოველთვის რომ იწვევდა ჩემში სურვილს მგვერდნაწევლასათვის და თვითუელისათვის: შეხედეთ, როგორი საკვირველი სიტყვაა — ტსკვრობს დედამიწაზე-თქო. რადგან ის, ასე ვსთქვათ, ყოვლის შემცველია და უწინარეს ყოვლისა კაცია — კაცი კაცობრიობისა.

ლევ ნიკოლოზის-ძის პიროვნებაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ზოგჯერ იწვევდა გრძნობას, მისიღამი სიძულელი მახლობელს და აწეებოდა ჩემს სულს აუტანელ სიმძიმედ. მისი განუზომელად გავრდილი პიროვნება სასწაულებრივი მოვლენაა, სიმამინჯეა. არის მასში რაღაც სვიატოგორ-ბოგატორის, რომელიც მიწას ვერ უზიდავს დიად, იგი ვებერთელაა! მე ღრმად მწამს, რომ, გარდა ყველაფერი იმისა, რაზედაც იგი ლაპარაკობს, არის მრავალი რამ, რაზედაც მუდამ სდუმს. — თავის დღიურშიაც კი, — სდუმს და, ალბათ, არასოდეს არავის გაუშხელს. ეს „რაღაც“ მხოლოდ ხანდისხან და შეფარვით გამოსჰქვივოდა მის საუბრებში, შეფარვითვე გვხვდება ის დღიურის ორ რვეულში, რომელიც მე და სულეგრეციცის მოგვეცა წასაყითხავად. მე ეს „რაღაც“ მეჩვენება ყველა შეხედულების უარყოფად, — უღრმეს და უბოროტეს ნიპილიზმად, რომელიც აღმოცენდა უნაპირო, გაუფანტავი სასოწარკვეთილებისა და მარტოობის ნიადავზე, ალბათ, არავის რომ არ ვანუცდია აქ ადამიანამდე ასეთის საშინელის სიტხადით. მე ხშირად მეჩვენებოდა იგი გულის სიღრმეში ყველა ადამიანისადმი გულგრილ ადამიანად; იგი იმდენად მაღლაა, იმდენად ძლიერია მათზე, რომ ყველა ისინი ეჩვენებიან მას შწერებად, ზოლო მათი ფუსფუსი — სასაცილოდ და შესაბრალისად. იგი ძალიან შორს წავიდა მათგან, რომელიდაც უდაბნოში და იქ, თავისი სულის ყველა ძალების უდიდესი დაჭიმვით, მარტოდ მყოფი ჩასცქერის უმთავრესს — სიკვდილს. სულ მუდამ ეშინოდა და ეჯავრებოდა იგი, სულ მუდამ მისი სულის მახლობლად თრთოდა „არზამასის საშინელება“ — იგი, ტოლსტოი, უნდა მოკვდეს?, მთელი მსოფლიო, მთელი დედამიწა შესცქერის მას; ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ამერიკიდან — ყოველი მხრით არის გამოწვედილი ცოცხალი, მორთოლვარე ძაფები, მისი სული ყველასათვისაა და სამარადეთამოდ! რატომ არ უნდა დაუშვას ბუნებამ გამოჩაკლისი თავისი კანონიდან და ფიზიკური უკვდავება არგუნოს ადამიანთაგან ერთს, — რატომ? იგი, რასაკვირველია, საკმაოდ გონიერი და ქვეიანია იმისათვის, რომ სასწაულისა სჯეროდეს, მაგრამ, მეორეს მხრით — პოჩნუბარია, გამომცდელია და როგორც ახალგაზრდა რეკრუტი, შ-შისაგან გაცოფებული მძვინვარებს უტნობი ყაზარმის წინ.

ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ ეს ბებერი ჯადოქარი ეთამაშება სიკვდილს, კობტაობს მასთან და ცდილობს როგორმე მოატყუოს იგი: „მე შენში არ მეშინია, მე შენ მიყვარხარ, მე შენ მოგელი“. თვითონ კი ნაცრისფერი თვალებით ჩასცქერის მას: „როგორი ხარ? რაა შენს უკან, იქეთ? სრულიად მომსპობ, თუ კიდევ რაიმე იცოცხლებს ჩემი?“

უცნაურს შთაბეჭდილებას ახდენდენ მისი სიტყვები: „მე ჩინებულად ვარ,

მე უზომოდ კარგად ვარ, მე ძალიან კარგად ვარ“. თან კიდევ: „მეწამებინეთ კი“. წამება — ესეც მისი სიმართლეა. არც ერთი წამით არ შეეძებნა, რომ ის, ჯერ კიდევ ნახევრად ავადმყოფი, გულწრფელად კმაყოფილი იქნებოდა მოხვედრილიყო საპატიმროში, გადასახლებაში, საერთოდ ურჩვეულო-მეგობრივი გვირგვინი. წამებას უთუოდ შეუძლია რამდენადმე „განსახიფტოს“ სიკვდილი, აქციოს იგი უფრო გასაგებად, მისაღებად, — გარეგნული, ფორმალური მხრით. მაგრამ, მე მწამს, არასოდეს არ ყოფილა იგი ჩინებულად, არასოდეს და არსად: არც „ბრძნულ წიგნებში“, არც „ცხენის ზურგზე“, არც „ქალთა მკვლელებზე“ არ განუცდია მას საცხებით „მიწიერი სამოთხის“ სიტყობება. ის ძალზე გონიერია ამისათვის და ძალიან კარგად იცნობს ცხოვრებას, ადამიანებს.

მოკვდა ლევ ტოლსტოი!

მიღებულია ტელეგრამა და მასში ჩვეულებრივი სიტყვებით ნათქვამია — „გარდაიცვალა“.

ამან დამკრა გულში, ადრიალდი მე შეურაცხყოფისა და სევდისაგან, და იი ეხლა, გაოგნებული, წარმოვიდგენ მას, როგორაც ვიცნობდი, მინახავს, — საშინლად მწყურია ვილაპარაკო მასზე. წარმოვიდგენ მას კუბოში, — წევს, როგორაც გლუვი ქვა წყაროს დსკერზე, და, უთუოდ, ქალარა წვერში მიმალულა მისი, ყველასთვის უცხო, მოჩვენებითი ღიმილი. და ხელები, დასასრულ, წყნარად დაუკრეფია გულზე, — მათ მოიხადეს კატორღული ხარკი თვისი...

ვიგონებ მის თვალებს, — ისინი ყველაფერს სკვრეტდენ, — და მოძრაობას თითებისას, ჰაერში რომ სძერწავდენ თითქოს რაღაცას, მის საუბრებს, ხუმრობებს, მუცუქრ სასიყვარულო სიტყვებს და რაღაცნაირად განუმეორებელს ხმას მისას. და ვხედავ, რაოდენ ბევრი ცხოვრების შემცველია ეს ადამიანი, როგორია ის, არა ადამიანური, კეკიანი და — შემზარავი.

მინახავს იგი ერთხელ ისე, როგორაც, შეიძლება არავის ენახოს: მივიდიოდი მასთან გასპრში ზღვის სანაპიროზე და, იუსუბოვების მამულის ქვემოდ, სწორედ სანაპიროსთან, ქეებს შორის შევიძინე მისი პატარა, მოუხეშავი ფიგურა, გაცვეთილი და დაკმულქვნილი ქუდიო. ზის, ხელი ყვრიმალთან მიუბჯენია, — თითებს შორის წვერის ვერცხლისფერი თმები უფრიალებს, — და იცქირება შორს, ზღვაში, — ხოლო მის ფეხებთან თვინიერად მოეშურებიან და ელაციცებიან მომწვანო პატარა ტალღები, თითქოს თავგადასავალს მოუთხრობდენ ბებერ გულთმისანს. დღე იყო ფერადოვანი, ლოდებზე მიცოცავდენ ღრუბლების ლანდები, და ლოდებთან ერთად მოხუცი ხან ნათლებოდა, ხან ბნელდებოდა. ნაპირლებში მდებარე ლოდები წყლის მცენარეებს დაებურათ, — წინა დღით იყო ზღვის მოქცევა. და მომეჩვენა იგი ძველ, გაცოცხლებულ ლოდად, რომელმაც იცის დასაწყისი და მიზნები, ფიქრობს იმაზე — როდის და როგორი იქნება აღსასრული ქვათა და მიწის ბალახთა, ზღვის წყლისა და ადამიანისა, და მთელი ქვეყნიერებისა, ქვიდან ღმერთამდე. ზღია კი — მისი სულის ნაწილია, და გარეშე მო ყველაფერი — მის მიერი, მისგან. მოხუცის მდუმარე უძრაობაში მომეჩვენა რაღაც წინასწარ-მეტყველური, ჯადოქრული; ღრმად წასული სიღრმეში, ხოლო გამომცდელი თვალთ აზიდული დედამიწის ზევით, ლევაარდოვან სიცალიერეში,

იგი — მისი ძალმოკრეფილი ნებისყოფა — თითქოს მოუხმობს და უკუგაღებს ტ. ლეებს, მართავენ ღრუბლებსა და ჩრდილებს მოძრაობას, რამდენიც გონიათ ქვებს არხევენ; აღვიძებენ მათ. და უცხად, რაღაც წმინდა სიგიჟეში, მე ვიგრძენი რომ — შესაძლებელია — წამოდგეს იგი, გაქვრწყლებული და ზღვა გაქვავდება, იქცევა მინად, ხოლო ქვები შეირხევიან და დაიფარებენ, და ყველაფერი გამოცოცხდება ირგვლივ, ახმაურდება, სხვადასხვა ენაზე აღაპარაკდება თავისთავზე, მასზე, მის წინააღმდეგ. არ შეიძლება, სიტყვით გამოიხატოს, რაც მე მაშინ ვიგრძენი. ჩემს სულს მოეფინა აღტაცება, შეძრწუნებაც კი და შენდევ ყველაფერი შეერთდა ბედნიერ ფიქრში:

— ობლად არა ვარ დღეამიწაზე, სანამ ეს ადამიანი იმყოფება მასზე!

მე მაშინ ფრთხილად, კენჭები რომ არ გასმაურებელიყო ფეხ ქვეშ, უკანვე გაებრუნდი, არ მინდოდა შეშეშალა ხელი მისი ფიქრებისათვის. ეხლა კი — როცა ობლად ვგრძნობ თავს, ვწერ და ვტირი, — არასოდეს არ მიტირია ასე დაუშოშმინებლად, სასოწარკვეთილებითა და მწვავედ. არ ვციც — მიყვარდა თუ არა იგი, და განა ყურადსაღებია — მის მიმართ სიყვარული თუ სიძულვილი? იგი ყოველთვის აღაგზნებდა ჩემს სულში ვებერთელა ფანტასტიურ შეგრძნობებსა და მღელურებათ; თვით არა სასიამოვნო და მტრული რამ, მის მიერ გამოწვეული, იღებდა ფორმებს, რომელნიც კი არ გსრესდენ, არამედ თითქოს აფეთქებდნენ სულს, აფართოვებდნენ მას, აქცევდნენ უფრო მოქნილად და გულისხმიერად. კარგი იყო იგი მაშინ, როცა წაღების ლანჩების ფრატუნით, რომელნიც თითქოს ბატონკაცურად მიბეჭნიდნენ გზას, საიდლანაც, რომელიმე კუთხიდან გამოჩნდებოდა უცხად, მოემატებოდა თქვენსკენ მცირე, მსუბუქი და ჩქარი ნაბიჯებით ადამიანისა, რომელიც მიწაზე ბევრ საარულს იყუ ჩვეული, და, გაეჩარა რა თავისი დიდრონი თითები სარტყელში, წამიერად ჩერდებოდა, სწრაფად მოავლებდა თვალს იმ მზერით, რომელიც მყისვე ამჩნევდა ყველაფერ ახალს და უმაღვე გამოაწოვდა ყველაფრის აზრს.

— გამარჯობათ!

მე ყოველთვის ვთარგმნიდი ამ სიტყვას ასე: გამარჯობათ, — ჩემთვის და თქვენთვისაც ამათ არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ მაინც — გამარჯობათ!

შემოვა იგი — პატარა. და უმაღვე ყველანთ გაცილებით მასზე პატარებად იქცევიან. მუყეკური წვერი, ტლანჭი, მაგრამ არაჩვეულებრივი ხელები, უბრალო ჩაცმულობა და მთლიანად ეს გარეგნული, გამოსაღეგი დემოკრატიზმი ატყუებდა ბევრს, და ხშირად მიცქერნია რუსებისათვის, რომელნიც შეჩვეულნი იყვნენ ადამიანთან „მხრებზე მოთათუნებით“ შეხვედრას, — ძველის-ძველი, მონური ჩვეულება, — და პღერიდნენ იმ სურნელოვან „გულწრფელობას“, რომელიც უფრო უკეთ ფამილიარობად იწოდება:

— ო, მოყვასო ჩვენი! აი როგორი ყოფილხარ! ბოლოს-და-ბოლოს ღირს ვიქმენ გიხილო შეილი ჩემის მშობლიურის მიწისა! იღდეგრძელე და მიიღე თაყვანისცემა ჩემი!

ეს — სადა მოსკოვეურ-რუსული, გულდია, მაგრამ აი კიდევ „თავისუფალი აზროვნების“ რუსული:

— ლეე ნიკოლოზის-ძეე! არ ვიზიარებ რა თქვენს რელიგიურ-ფილოსოფიურს შეხედულებებს, მაგრამ უღრმეს პატივსა გცემთ, როგორც მხატვარს....

და უცხად მუყეკურ წვერს ქვემოდ, დემოკრატიულ დაკმუქენილ ხალაით-

დან წამოიმაართება ძველი რუსი ბატონი, შესანიშნავი არისტოკრატია — და მაშინ გულლია ადამიანებს, განათლებულთ და სხვებს, უმაღლეს ულტრა-ღმრთეობათ ცხვირები ამზრუნენ სიცივისაგან... საამურია ყურება ამ წმინდა-სიხისლის არსებისა, საამურია ადევნებდე თვალს კეთილშობილებიდან — ვერცხვად დასაყვას ეესტისას, ზვიად თავდაპირილობას სიტყვაში, უსმენდე ფაქიზ სიზუსტეს მომავდინებელი სიტყვისას. მასში სწორედ იმოდენი ბატონი იყო, რამდენიც საჭირო გახლდათ ყურმოჭრილ მონებისათვის. და როცა ისინი გამოიწვევდნენ ბატონს ტოლსტოიში, ეს ბატონი გველინებოდათ მსუბუქად, თავისუფლად, და ანადგურებდა მათ ისე, რომ ისინი მარტოოდენ იკუნტებოდნენ და მიწრიპინებდნენ.

მომიხდა ერთხელ იასნაია პოლიანადან მოსკოვში დაბრუნება ერთ-ერთ ასეთს „გულლია“ რუს ადამიანთან, მოსკოველთან ერთად. მას დიდხანს ვერ მოეთქვა სული, გამუდმებით იღიმებოდა შესაბრაღისად და დაბნეულად იმეორებდა:

— აბანოა, რაღა!.. დახეთ, რა მკაცრია!.. ფუქს — და სხვათა შორის, აშკარა მგრანობიარობით წამოიყვირა: — აჟი ვფიქრობდი, — და იგი მართლაც ანარქისტია. ყველა ამბობს — ანარქისტი, ანარქისტიო და, მეც დავიჯერე...

ეს კაცი მდიდარი, მსხვილი ფაბრიკანტი იყო, დიდი ღიბი ჰქონდა და მსუქანი ხორცისფერი პირისაზე, — რად დასჭირდა მას, რომ ტოლსტოი ანარქისტი ყოფილიყო? ეს რუსული სულის ერთ-ერთი „ღრმა საიდუმლოებათაგანია“.

თუ ლ. ნ. სურდა მოეწონებინა თავი, ამას იგი ახერხებდა კვეიან და ლამაზ ქალზე უკეთ. სხედან მასთან სხვადასხვა პირნი: დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილისძე, მღებავი ილია, სოციალ-დემოკრატი იალოტიდან, შტუნდისტი ჰაცუკი, რომელიდაც მუსიკოსი, გერმანელი, გრაფინია კლემენტიხელის საქმეთა მმართველი, პოეტი ბულგოვოვი, და ყველანი შესცქერიან მას ერთნაირი სიყვარულით აღსავსე თვალებით. მე კი მგონია, რომ იგი რომელიდაც არაჩვეულებრივი ადამიანია, — ორკესტრი, რომელსაც გააჩნია უნარი ერთბაშად დაუჭრას რამდენიმე საკრავით — სპილენძის საყვირით, დაფადფით, გარმონითა და ფლეიტით. მე შევცქეროდი მას ისევე, როგორც ყველა. და აი მინდოდა კიდევ ერთხელ შემეხედნა და — ვეღარ ვიბოღავ ამიერიდან.

სთარგმნა პ. ზაქარიაშვილი.

მსოფდიოს ანგვიზაშისგური მნეკადი ქაღები

უარესმა ზიზმა ფაშისტ ოკუპანტებისადმი, სურვილმა — საქვეყნოდ ითქვას სიმართლე მათ გაუგონარ მხეცობაზე, საქვეყნოდ ითქვას სიმართლე მათ წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა ქვეშარით გმირულ-სულზე, შექმნა შესანიშნავი ანტიფაშისტური თავდაცვითი ლიტერატურა როგორც ჩვენს დიდ სამშობლოში, ისე იმ უცხო ქვეყნებში, რომელთაც განიცადეს ფაშისტური ინტერვენცია. ამ თავდაცვით ლიტერატურაში საპატიო ადგილი უჭირავთ მწერალ-ქალებს. უცხოეთის მთელ რიგ ცნობილ მწერალ-ქალებმაც შესძლეს უბრალო, მაგრამ მრავლის მოქმელ სიტყვებში, მძლავრ მხატვრულ სახეებში აესახათ თავისუფლების მოყვარულ ხალხთა ბრძოლა, მიმართული ფაშისტური ბნელეთის მოსაპოვისაკენ.

ძლიერი ანტიფაშისტური თავდაცვითი ლიტერატურა შეიქმნა ესპანეთში. ესპანეთის ხალხმა ბირჯლმა განიცადა ევროპაში ფრანკისტულ-გერმანულ-იტალიური ფაშისტური ინტერვენცია, ესპანეთის მიწა-წყალზე გაიმართა აჯანჯარული შეტაკებანი კაცობრიობის ნათელსა და ბნელ ძალებს შორის.

იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც აღწერენ ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას ფრანკისტების, გერმანულ და იტალიელ ფაშისტ ინტერვენტების წინააღმდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კონსტანსია დელა მორას წიგნი „ფუფუნების მაგიერ“.

კონსტანსია დელა მორა უშუალო მოწმე იყო რესპუბლიკანური არმიის გმირული ბრძოლებისა. 1937 — 1939 წწ. სახელოვანი, ყველასათვის დაუფიწყარი ბრძოლები მადრიდის დასაცავად, ტერუელი, გედალახარა, შშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა ბარსელონაში და მთელ რიგ სხვა ესპანურ ქალაქებში, — ყოველივე ეს დიდი გულწრფელობით, ღრმა პატრიოტული გრძნობით და გულმსტკივილით აქვს აღწერილი ავტორს.

ესპანელ მებრძოლთა იმედი ჰქონდათ, რომ მეზობელი სახელმწიფო, საფრანგეთი მიჰყიდდა მათ იარაღს ფაშისტური აჯანყების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს იმედი მათ გაუმტყუნდათ. ამოდ მოუწოდებდა ესპანელი ხალხი „ყველა რევოლუციების დედას“ — საფრანგეთს, გაეწია მისთვის ეს სამართლიანი დახმარება, ამოდ მიუთითებდა დოლორეს იბარური პარიზის ხალხმრავალ მიტინგზე, რომ ესპანეთის დამარცხებას საფრანგეთის დამონებაც მოჰყვება: „დღეს ჩვენ... ზვალ კი თქვენი ჯერი დადგება, ჩვენ გვჭირია შაშხანები, თვითმფრინავები, ქვემეხები, რათა შევემუსროთ ფაშისტები, რომლე-

ბიც თქვენს საზღვართან დგანან“. პასიონარიას სიტყვის შემდეგ უკვე მხოლოდ აუდიტორია ფეხზე წამოდგა და ერთბაშად მოითხოვა: „თვითმფრინველები და ქვემეხები ესპანეთისათვის“. საფრანგეთის ხალხს არ უღალატებია ესპანელ ხალხისათვის, მაგრამ საფრანგეთის მაშინდელმა მმართველმა, ვინც იმ დროს სარდლობამ გაჰყიდა და გასცა მტერს, ბნელ ფაშიზმს არა მარტო ესპანეთი, არამედ თვით საფრანგეთის ხალხი. ახლა, საფრანგეთის კაბიტულაციის შემდეგ ვერბანულ ფაშიზმის წინაშე, ეს ყველასათვის ცხადი და უტყუარი გახდა, მაგრამ „მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ გულუბრყვილონი ვიყავით“-ო, სწერს კონსტანსია დე ლა მორა: „მხოლოდ ერთი ქვეყანა მთელს მსოფლიოში სახსებობით თანაუგრძნობდა ესპანეთს—ეს იყო საბჭოთა კავშირი... რუსეთის დიდმა ხალხმა არ მიგვატოვა, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით დემოკრატიისათვის“. ამხანაგმა სტალინმა განმარტა ესპანეთის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, როგორც „მთელი პროგრესული კაცობრიობის“ საქმე. და მართლაც დღემდე მიწის სხვადასხვა კუთხიდან ესპანეთისაკენ გაემურნენ მოხალისენი. ჩამოყალიბდა „ინტერნაციონალური ბრიგადები“. „მათ დასტოვეს საშობლოში სამუშაო, ოჯახი და... ჩამოვიდნენ ჩვენთან, რათა შეეწირათ სიცოცხლე ესპანეთის თავისუფლებისათვის. ეს გემატებდა ჩვენ იმდეს, ძალას და საიმამყეს“.

ესპანელი შრომურები და ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლები გვირობის სასწაულებს ახდენდნენ. ისინი, თითქმის უიარაღნი, ივრებიდნენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ და შეჯავშნულ ურიცხვ მტერს და ხშირად იმარჯვებდნენ. პიტლერი და მუსოლინი, გაბორტებულნი და შეშინებულნი დამარცხებით, გზავნიდნენ ესპანეთში დიდი რაოდენობით ჯარებს, თვითმფრინავებს, ტანკებს, იარაღს, მათ აღმართეს ებროზე ესპანელ მებრძოლთა წინააღმდეგ ცეცხლის და ფოლადის კედელი; „უკანასკნელ დღეებში ჩვენი მებრძოლნი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მუშტებით იბრძოდნენ ფაშისტების მძიმე არტილერიის წინააღმდეგ“-ო, ამბობს აეტორი. „მაგრამ ჩვენ მაინც იმდეს არ ვკარგავდით. უმჯობესია დავიღუპოთ ბრძოლაში, ვიდრე ვიცოცხლოთ მტრის წინაშე დაიჩივილი... ომი ესპანეთში, — ეს სამოქალაქო ომი არ იყო, ეს იყო მშვიდობიანი დემოკრატიულ ქვეყნის დაპყრობა პიტლერის და მუსოლინის არმიებით“.

„გავიდა წლები, მაგრამ მე ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მჯერა, რომ ესპანელი დემოკრატია არ მომკვდარა. — სწერს კონსტანსია დე ლა მორა თავის წიგნის ეპილოგში. — იგი ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს. ფრანკომ ათასობით დახვრიტა ხალხი... მაგრამ თორმეტი მილიონი ესპანელი ორწლიანხვედრის განმავლობაში ცხოვრობდა დემოკრატიულ ესპანეთში. და ფრანკოს არ შეუძლია დახვრიტოს თორმეტი მილიონი... ესპანეთი ესპანელთათვის! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ — აი ლოზუნგები, რომლებსთვისაც იბრძვიან ჩემი თანამოძმენი ფრანკისტულ ესპანეთში. იქ გამოდის რამოდენიმე ათეული არალეგალური გაზეთი, ციხეებში, ქუჩებში, სახლებში, ქალები და კაცები სწერენ, მღერაინ და ჩურჩულებენ ამ ლოზუნგებს. ფაშისტები ვერ გახდიან ესპანეთს ფაშისტურად. ჩვენ — დემოკრატიული ხალხი ვართ. ესპანეთი თავისი სისხლით და მხნეობით შეჭმნის დემოკრატიულ ქვეყანას, „Viva la Republica“. — ამ სიტყვებით ამთავრებს თავის წიგნს კონსტანსია დე ლა მორა.

ესპანელ მწერალ-ქალებმა მართა ტერესია ლეონმა და მარგარიტა ნელკენმა, რომლებიც ამავე დროს გამოჩენილი საზოგადო მო-

ღვაწენი და ესპანეთის დემოკრატიისათვის აქტიური მებრძოლნი არიან. მთელ რიგ მოთხოვნებში აღწერეს ესპანელ მებრძოლთა გმირობა, ესპანელთა გულგნობის, ასტურების მთიელთა, მადრიდის დამცველთა ლეგენდარული ქაბა-ცობა გამხეცებულ მტერთან არათანაბარი ბრძოლის დროს, დროის დროის დასრულების დარბევა, ქალების და ბავშვების წამება, მასიური დახვერტა, — ასეთია გულ-შეშვარავე თემები ამ ავტორების მოთხოვნებისა.

ასეთივე სისხლით განბანილი, ღრმად ტრაგიული სახე ესპანეთისა იხატება ესპანელ მწერალ-ქალის სეიდუ დე ნეგრის მოთხოვნათა კრებულში ფაშისტურ ინტერვენციის შესახებ ესპანეთში. უზადო გულწრფელობით და უბრალოებით მოგვეთხოვენ ეს მწერალი-ქალები საშინელ სიბართლეს მათი განაწამები სამშობლოს შესახებ. და ჩვენ მით უფრო გვჯერა ეს სიბართლე, რომ ესპანეთში მომხდარი სისხლიანი დრამა მხოლოდ პირველი გა-ვარჯიშება იყო იმ ამაზრზენი, ცხოველური აღვირახსნილებისა, იმ ენით გა-მოუთქმელი ბარბაროსობის, დამცირების და ტანჯვისა, რაც მიიყენა საბჭო-თა კავშირის დროებით ოკუპირებულ მოსახლეობას გამხეცებულმა ფაშისტ-ჯალათების არმიამ.

არა მარტო ესპანელები, არამედ სხვა ქვეყნების მწერალი-ქალებიც გამო-ეხმაურნენ ესპანეთის რევოლუციას, ჩამოვიდნენ ესპანეთში მის გმირულ თავდაცვაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად. მათ გაიზიარეს ესპანელ ხალხის ადტაციების, იმედის, ტანჯვის, განსაცდელის და დიდების ღრეები. მათაც შეთხზეს წიგნები ესპანელ ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ. ფრანგი მწერალი-ქალის სიმონა ტერის წიგნი რისხვით და ნათელითაა აღსაე-სე: მადრიდის გარეუბნების ცხოვრება, მადრიდის გმირული დაცვის სურათე-ბი, რესპუბლიკანულ მეომართა და მოღვაწეთა მკვეთრად დაწერილი ლიტე-რატურული პორტრეტები, — ასეთია ამ წიგნის შინაარსი. სიმონა ტერის წიგ-ნი რევოლუციური ოპტიმიზმითაა გაღუნული: მას სჯერა, რომ მსოფ-ლიოს დემოკრატია საბოლოოდ დათრგუნავს ფაშისტურ ბარბაროსობას.

ძენწ, მაგრამ შთამბეჭდავ სიტყვებით ვეამცნობს ინგლისელი მწერალი-ქალი სილვია უორკერი თავის მოთხოვნაში „გვალვის ბოლო“, თუ როგორ უსწორდებოდნენ მუშებს ფაშისტები დაპყრობილ ქალაქებში. მუშის ცოლი სდგას ქუჩაში. დამდება, წვიმა. მან არ იცის, სად წავიდეს ან და-რო-გორ და ვისთვის იცხოვროს ამიერიდან. მას არ ძალუძს დაბრუნდეს გამო-ცარიელებულ სახლში: „ქალაქის აღების ორი დღის შემდეგ მათ დახვრიტეს მისი ქმარი. არც კი დაიწყეს ლუმელის მიღში დამალულ შაშხანის და ლეიბ-ში ჩატენილ ტყვიების ძებნა. მისი პროფკავშირული წიგნაკიც კმაროდა. ერ-თი დახვდეს წიგნაკს და მაშინვე გაათრიეს იგი ეკლესიისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაზე... იქით მზაკყვდათ სხვებიც. იქ, ეკლესიისათან, მათ მსროლელთა ოცე-ული ელოდებოდათ. შემდეგ ისინი გაამწკრივეს კედელთან და გაისმა ბრძა-ნება: „ცეცხლი“. ეკლესიის კედელზე ახლაც მოსჩანს სისხლის ლაქები და იქ უამრავი ბუნები დაბუიან... ვისაც ქმარი დაუხვრიტეს, მათ ბავშვებიც წაართვეს და წაიყვანეს მონაზონებთან“. — ასე გახმა, დიგვალვა ამ მუშა-ქალის სასიცოცხლო ფესვები.

ესპანელთა გმირობამ აამეტყველა არა მარტო მხატვრული ბროზა, არამედ პოეზიაც. გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი-ქალი კლარა ბლიუმი თავის ლექსში: „ბედრო — მემანქანე ტოლედოდან“ აღწერს ესპანელ ქაბუ-კის გმირულ თავგანწირვას.

ჩინელი ხალხის თავგამოდებულმა, ხანგრძლივმა ბრძოლამ იაპონელ ინტერვენტების წინააღმდეგ შექმნა საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ავად-
ცვითი ლიტერატურა, რომლის სანიმუშო წარმომადგენლები არიან ჩინელი
და უცხოელი მწერალი ქალები.

ჩინელი ხალხის მეგობართა შორის საპატიო სახელი მოიხვეჭეს ამერიკელ
მწერალ-ქალებმა აგნესა სმედლიმ და ანა-ლუიზა სტრონგმა.

აგნესა სმედლის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე შესანიშნავი წიგნი, სადაც
აღწერილია ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლა იაპონელ აგრესორების წინა-
აღმდეგ. ამერიკულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა
„სმედლის ისეთ წიგნებს, როგორცაა „ჩინეთის ბედი“, „ჩინეთის წითელი
არმია შეტევაზე გადადის“ და სხვ.

ა. სმედლის წიგნებმა ისეთი ცოცხალი გამოხმაურება მოიპოვეს, რომ ია-
პონურმა გაზეთებმა სიკრუით და ცილისწამებით აღსავსე კომპანია ასტე-
ხეს მწერალ-ქალის წინააღმდეგ. იაპონური გაზეთები აშკარად მოითხოვდნენ
ა. სმედლის სიკვდილს და ბრალს სდებდნენ მას. ჯამუშობაში. ამერიკელ მწე-
რალთა დელეგაცია და ჩინელ ხალხის მეგობართა საზოგადოება აფრიკაში
იძულებული იყო მოეთხოვა გარანტიები იმისა, რომ ა. სმედლი დატული იქ-
ნება დაქირავებული მკვლელის ხელიდან.

ა. ლ. სტრონგი მოგვითხრობს თავის წიგნებში, როგორ გაერთიანდა ჩინე-
ლი ხალხი, როგორ განმტკიცდა იგი ეროვნულად ომის დროს. გლეხობა აქ-
ტიურად ებრძობა არმიას გზების შეკეთება-გაყვანაში, სოფლის ახალ-
გაზრდობა მეზობლთა რიგებში სდგას, ხალხში და ჯარში მტკიცდება დის-
ციპლინა, ღრმადდება საშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობა.

მრავალი ჩინელი ქალიც, მამების, ძმებისა და ქმრების გვერდით იბრძვის
დამოუკიდებლობისათვის. ისინი თავისი მაგალითით მატებენ ჯარს სამტკი-
ცეს და ბრძოლის სურვილს. ა. ლ. სტრონგს მოჰყავს ერთი ჩინელი მეზობ-
ლი-ქალის სიტყვები: „თუ სულით დაეცემი, ყველაფერი დაღუპულია: ჩინე-
ლებს ომი მატებს, იაპონელებს კი ართმევს სულის სიმტკიცეს. ეს იმიტომ,
რომ სიმაართე ჩვენს მხარეზეა... მტერი თავს დაგვესხა და ჩვენ ვიცავთ
ჩვენს მშობლიურ კერას“...

ჩინელი მწერლებიც მთელს თავის ნიქს და უნარს ჩინელი ხალხის გმი-
რულ ბრძოლას სწირავენ. მთელ რიგ ჩინელ მწერალ-ქალებს ჩამოყალიბე-
ბული აქვთ თავისი ხელმძღვანელობით მოძრაი თეატრები, რომლებიც მომ-
სახურეობას უწევენ ჯარის ნაწილებს და ფრონტის ხაზთან მდებარე სოფ-
ლებს. განსაკუთრებით ამ მხრივ სახელი გაითქვა ჩინელმა მწერალ-ქალმა
ტინ-ლინმა და მისმა დასმა, რომელიც შესდგება გამოჩენილ მსახიობთა,
მემუსიკეთა და მომღერალთაგან და მომსახურეობას უწევს 4-ე სახალხო რე-
ვოლუციურ არმიას. ტინ-ლინმა შემდგენიარად განმარტა ჩინურ მწერლობის
ამოცანა განმათავისუფლებელი ომის დროს: „ჩვენს დროში მწერლის წინ
მხოლოდ ერთი ამოცანა ისახება; ეს საშობლოს განთავისუფლებაა. მწერალ-
მა ისე უნდა გამოიყენოს თავისი ლიტერატურული ნიჭი, რომ ხელი შეუწყოს
გამარჯვებას იაპონელებზე. ჩვენ უნდა ვწეროთ ისე, რომ მოვაზღინოთ მასე-
ბის მობილიზაცია გამარჯვებისათვის“. მთელს ჩინეთში დიდი წარმატებით
იდგმება ტინ-ლინის პიესები: „შეტევა“, „კავადო იშირა“ და განსაკუთრე-
ბით „უბედური შემთხვევა“, სადაც აღწერილია ჩინელ პატრიოტ ქალის მძი-
მე იღბალი, რომელიც ჩინელი ხალხის დაუძინებელ მტრებს ჩაუვარდა. ეს

პიესები აღაფრთოვანებენ ხალხს და ასწავლის ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესები დააყენონ. 4-ე სახალხო რევოლუციური არმიასთან მუშაობის აგრეთვე მხატვრული კოლექტივი მწერალ-ქალის სე-ბინ-ინის ხელმძღვანელობით.

ასეთსავე აქტიურ მუშაობას ეწევა ჩინელი პროლეტარულ მწერალ-ქალი ხუ-ლან-ჩი. მან ჩამოაყალიბა კოლექტივი საფეიქრო და თამბაქოს ქარხნების მუშა-ქალებისაგან. ხუ-ლან-ჩის დასის წევრები სდგამენ პატარა პიესებს, ასრულებენ პატრიოტულ სიმღერებს, ეწევიან საავიტაციო-სამპროპაგანდო მუშაობას ჯარის ნაწილებში.

ცნობილი ჩინელი კინო-მსახიობი ქალი ჩენ-ე-პორი, ახლა ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმის პოლიტბელმძღვანელი, მოგვითხრობს ომში მონაწილე ჩინელ-ქალებს: „ჩინელი ქალები ქმრებთან და ძმებთან ერთად იბრძვიან ანტიიპაზონურ ომში. მრავალი მათგანი რიგითი მებრძოლია, არიან მზვერავები, სანიტრები. ისინი აწოდებენ ჯარებს სურსათს და იარაღს. ჩრდილოეთ რაიონების პარტიზანულ რაზმებში განსაკუთრებით დიდია მებრძოლ-ქალების პროცენტი“, აღნიშნავს ჩენ-ე-პორი.

ასე, სამშობლოს ზღუდეებში შემოჭრილმა ვათაგებდებულმა მტერმა, ააღებინა ხელში იარაღი ესპანელ და ჩინელ ქალებს, ააღებინა ხელში კალამი ესპანელ და ჩინელ მწერალ-ქალებს, რათა სამართლიანი რისხვით და ნაღველით აღსავსე სტრიქონები დაეწერათ მათი მშობლიური ხალხის ბრძოლის, გამირობისა და თავგანწირვის შესახებ.

შუა ევროპის სლავურ სახელმწიფოთა ოკუპაციამ გერმანელ ფაშისტურ ჯარების მიერ კიდევ უფრო გააძვავა ამ ქვეყნების მშრომელთა გულში ზიზღი ფაშისტ ოკუპანტებისადმი. გერმანელ ბარბაროსებმა მოინდომეს უმკაცროდ ტერორის გზით მოედუნებინათ ჩებთა, სლოვაკთა და იუგოსლავთა საბრძოლო ნებისყოფა, ენერგია. მათ მოინდომეს მოეცვათ ამ ხალხთა შეგნება პანიკური შიშით, გაეთელათ მათი ეროვნული და ადამიანური ღირსება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, ვერ შეარყიეს სლავიან ხალხთა სიმხნევე. ფაშისტების უმკაცრეს რეპრესიებზე ჩეხებმა, სლოვაკებმა და იუგოსლავებმა უპასუხეს საბოტაჟის ურიცხვი აქტებით, მზარდი პარტიზანული მოძრაობით, რომელმაც განსაკუთრებით იუგოსლავიაში მრისხანე ხასიათი მიიღო.

ჩეხეთის გაერთიანებას, ერთიან ფრონტით ბრძოლას უტიფარი მტრის წინააღმდეგ გვიხატავს მწერალ-ქალი ელისაბედ კაილი მოთხრობაში „ეიყვას ქალაქი“. მოქმედება ხდება ქალაქ ტაბორში, ჩეხელთა ისტორიულ ბელადის იან ეიყვას მშობლიურ ქალაქში. გესტაპოს აგენტი დაიქმნება ერთ ჩეხელ პატრიოტს. იგი გასჩხრევს მის სახლს, კვალდაკვალ დასდევს და უთვალთვალებს მის ძმას, დედას, რათა მათი შემწეობით მიაგნოს მას, მაგრამ ამაოდ. ტაბორის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, დაკლავსულ შესახვევებში და ჩიხებში მას გზა ვერ გაუგნია. თითქმის განგებ არისო ეიყვას ქალაქი, ტაბორი ისეა აშენებული, რომ დაფაროს თავის წიაღში და იხსნას გესტაპოს ბრწყალებიდან სამშობლოს ერთგული შვილი. მაგრამ არა მარტო ქალაქი, არამედ მისი მცხოვრებლებიც ისე არიან გაერთსულოვნებულნი მტრის ზიზღით, რომ ისინიც ერთი შეხედვით ხედებიან ერთმანეთის გულისთქმას, მალავენ დევნალ თანამომქმეს და ცოცხალ კედელს ჰქმნიან მის გარშემო, რითაც საბოლოოდ გზა-კვალს აუბნევენ გესტაპოს აგენტს.

თუმცა ბულგარეთის მთავრობა მლიქვნელობს პიტლერის და მისი ურდო-

ების წინაშე, მაგრამ ბულგარელი ხალხი საღი გონებით განსჯის და ხედავს, რომ ფაშისტს მოაქვს მისთვის დამონება და სამარცხვინო არსებობა.

ბულგარელი მწერალი ქალი ელიზავეტა ბაგრიანა თვლის, ლექსში „შვილაშვილი“, შესტრფის ბულგარეთის ამეამად დათრგმუნებული ლექს-ღებბას:

„ჩემს ძარღვებში სტეფს მამა-პაპათა
 „სისხლი მშობლიურ, მოუსვენარო
 „და მომიწოდებს: აღსდგე, აჯანყდი,
 „უღესკრულის პირას სდგას შენი ერი.

„თუნდაც დღეები დათვლილი მქონდეს,
 „თუნდაც მომცელს შე ხელმა მტრისამ,
 „შინც შენ გიმღერ, ტკბილ-მშობლიურო
 „ქველთ-ქველო მიწავ ბულგარეთისა!“

საფრანგეთის კაპიტულაცია და სამარცხვინო ზავი გერმანელებთან შედეგია იმისა, რომ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა და სარდლობის დიდმა ნაწილმა ურცხვად ვაყადა თავისი სამშობლო და მასცა იგი ხელში ფაშისტ-ჯალათებს. ახლა ყოველივე ეს დამტყიცებული ფაქტია, მაგრამ სანამ დაუნ-დობელი ისტორია გამოაშვარავებდა, საფრანგეთის გამცემლობის ნამდვილ სახეს, საფრანგეთის და მთელი კაცობრიობის დემოკრატია ხედავდა უტყუარ ნიშნებს საფრანგეთის მთავრობის ორჭოფობისა და მოუწოდებდა გადაიწყვეტ ზომების მიღებისაკენ.

საფრანგეთის მთავრობის პოზიციამ ესპანეთის საქმეებში და შემდეგ მისმა უსულგულო დამოკიდებულებამ საფრანგეთში ლტოლვილ ესპანელ რესპუბ-ლიკანელთა მიმართ გამოიწვია მგზნებარე პროტესტი მთელი დემოკრატული კაცობრიობისა. ცნობილმა ესპანელმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ქალ-მა მარგარიტა ნელკენმა გამოაქვეყნა ამერიკულ ჟურნალის „დეილი უორკერის“ ფურცლებზე წერილი, სადაც იგი ამხელდა საფრანგეთის მთავ-რობის შავ რეაქციურობას: „მთელს საფრანგეთში გაიხლართა საკონცენტრა-ციო ბანაკების ქსელი, — სწერდა მ. ნელკენი, — იქ ათავსებენ რევოლუციო-ნერ-ემიგრანტებს, ესპანელ რესპუბლიკანელებს, რომლებიც საფრანგოში ხსნას მოელოდნენ. საფრანგეთის ხელისუფლება მათ უკან გზავნის ფრანკოს-თან, იქ კი მათ დახვრეტა მოელის. ფრანგი კომუნისტები იტანჯებიან საპყრო-ბილებებში, კონცებანაკებში. საფრანგეთის რეაქციამ ისარგებლა საერთაშორისო მღვდომარეობით, როგორც საბაბით, რათა მოესპო თავის ქვეყანაში დემო-კრატის თავისუფლების ყოველი ნიშან-წყალი“.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ ფაშისტური გერმანია თავიდან ფეხებამდე იარაღდებოდა, ემზადებოდა მომავალ ომისათვის. მაგრამ ფრანგი მმართველი წრეები არავითარ ზომებს არ იღებდნენ ფაშისტ აგრესიო-რთათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ომის წინა თვეებში ცნობილმა ფრანგ ჟურნალისტ-ქალმა ენევიევეტა ტაბუიიმ გამოაქვეყნა წიგნი, სახელწოდებ-ბით: „შინტაქტი ომით“. ავტორი ხაზს უსვამდა მთელ რივ ფაქტებს, რომლებიც ომის მოახლოებას მოასწავებდნენ და მოუწოდებდა ფაშისტურ აგრესიის-თვის წინააღმდეგობის გასაწევად. საფრანგეთის მთავრობის და სარდლობის დანაშაულებრივი უღარდებლობა, მაშინ ყველასათვის გაუგებარი, გასაგები გახდა პარიზის კაპიტულაციის შემდეგ.

„პარიზი დანებდა მტერს!“ — ამ ცნობამ გამოიწვია სამართლიანი აღშფოთება ყოველი დემოკრატის, ფრანგი ხალხის ყოველი უმჯობესი მეგობრის გულში. ამერიკელ მწერალ-ქალმა რუტ-მაკენამ თავის წერილში სათაურით: „პარიზი არაოდეს არ მოკვდება“, ამადრედად წერს: „სიტყვებში გამოსთქვა ეს აღშფოთება და გულისწყრომა: „პარიზი როგორ შეიძლება ახლა წარმოსთქვა ეს სიტყვა და გული არ გეტკინოს? ჩვენ ყველანი ვიცნობთ ამ ქალაქს, ისინიც კი, ვინც იქ არასოდეს არ ყოფილან... რეაქციურ ჟურნალისტებს უნდათ დაგვაჯერონ, რომ პარიზი მოკვდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ სიტყვას იტყვის საფრანგეთის ხალხი, რომელსაც უყვარს პარიზი. პარიზი არაოდეს არ მოკვდება, ისევე, როგორც არ მოკვდება საფრანგეთის ხალხი. 1789 წლის ქალაქი, კომუნარების ქალაქი, ჟორესის და ტორეზის ქალაქი მარად იცოცხლებს. გაუმარჯოს პარიზს!“.

მით უფრო ღრმა გულისტკივილი, მით უფრო მძაფრი აღშფოთება და ზიზღი მშობლიურ ქვეყნის გამყიდველებისადმი გამოიწვია პარიზის კაბიტულაციამ ყოველ პატიოსან ფრანგ-პატრიოტის გულში.

ფრანგი ჟურნალისტი-ქალი მარგარიტა ექვი მოგვითხრობს, თუ როგორ გაიგო მან საფრანგეთის სამარცხენო ზავის შესახებ შექსიკაში ყოფნის დროს:

„მე არასოდეს არ დაევიწყებ ამ იენისის დღეს. მხურვალე შექსიკანური მზიდან ქუჩებს აღმური ასდიოდა. მე მივდიოდი ავტობუსით. უკვე რამოდენიმე დღეა, რაც ცნობები ევროპიდან სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებდა. მგზავრებით გაქვდილი ავტობუსი მოდიოდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე... და უცებ უზარმაზარი მოედანი აივსო გაზეთის გამყიდველებით და ყოველი მხრიდან მოისმა ყვირალი „საფრანგეთი დანებდა მტერს... საფრანგეთი დანებდა“...“

• მე არასოდეს არ დამავიწყდება ეს იენისის დღე... ასე მეგონა, ყველა მე მიყურებს-მეთქი. მე დაბლა დავხარე თავი და პირველად ჩემს სიცოცხლეში ვიგრძენი, რა არის სირცხვილი... მარტო მე კი არ ვიყავი დამცირებული, დამცირებული იყო ყველა თავისუფლების მოყვარული ფრანგი; ყველა, ვისაც უყვარს სამართლიანობა; ყველა, ვისი გულიც აჩქარებით ტოკავს „მარსელიეზის“ და „ინტერნაციონალის“ ჰანგების გაგონებაზე; ყველა, ვისთვისაც 1789 წლის, 1830 წლის ივლისის დღეების და 1848 წლის ხსოვნა წააბდათა-წმინდა იყო; ყველა, ვისაც სჯეროდა, რომ ხალხი, რომელმაც შესძლო თავი მსხვერპლად შეეწირა ამდენ ბაიკადებზე, ვერ შესძლებდა ელაღტნა თავის თავისთვის და ბრძოლის დროს გაქცეულიყო საგუშავოდან. იმ იენისის დღეს ჩემთან ერთად სილა გააწნეს არა მარტო ცოცხლებს, არამედ შეკვრებსაც, კომუნის დღეების პარიზელებს, პრუსიასთან ბრძოლებში დაღუპულთ—იმათ, ვინც საკუთარ ქვეყნის რეაქციასთან ბრძოლაში დაღიეს სული...“

„დიახ, ვიშის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მან აიძულა პატიოსანი და ჩვენთვის კეთილისმსურველი ადამიანები ეჭვი შეეტანათ ფრანგ ხალხში... დაე, ჩვენმა პოლიტიკანებმა ივაჭრონ თავისი სახელით, დაე ჩაიციან „ახალ წესრიგის“ ლაქიების ყავისფერი ლივრეა, ისინი ყველანი არარაობანი არიან; ისინი ყოველთვის მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ ვაჭრობდნენ სხვებით და საკუთარი თავითაც. და როდესაც ეს საზიზღარი კაცუნები საკუთარ ტალახში ფორთხავდნენ, მათ შეაშხეფეს ეს

ტალახი საფრანგეთის ხალხსაც... საფრანგეთი გაყიდული და გატყვევებული, მაგრამ დადგება დღე და ჩვენი ხალხი, ახლა უფიარალო და ხუნდებ-გაგორლი, ასწევს თავის მუშტს, რომლითაც მან ბასტილია შემუსრა და დაამხო. და მაშინ მთელი მსოფლიო დარწმუნდება, რომ საფრანგეთი კვლავ უნდა იყოს საფრანგეთია".

ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი, ლონდონის მწერალთა კლუბის თავმჯდომარე სტორმ ჯეიმსონი სამართლიანად ხაზს უსვამს ერთ-ერთ თავის წერაში იმ გარემოებას, რომ ყველა ინგლისელი მწერლები, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ფაშიზმის დაუძინებელი და ურყევი მტრები არიან, „მწერლებს თავისი მიზეზები აქვთ განსაკუთრებით სძულდეთ ფაშისტური ბარბაროსობა და ებრაძოლონ მას. შემთხვევითი არ არის ის, რომ გერმანიის ყველა დიდი მწერლები ან განდევნილი არიან, ან დაიღუპნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. მწერალს შეუძლია შეჰქმნას დიდი ნაწარმოები საშინო და არეულ დროში, სიღარიბეში და უსაპირში. მაგრამ იგი ვერაფერს შეჰქმნის, როდესაც მას წართმეული აქვს სიტყვის და აზრის თავისუფლება აწმყუში და მომავალშიაც. და რა მომავალს უქადის ნაციზმი ჩვენს ხალხს... უსაზღვრო სასოწარკვეთილებას; აი რას გექადის ფაშიზმი. ვერც ერთი მწერალი ვერ იცხოვრებს ასეთ ატმოსფეროში. უფრო მეტად, ვიდრე თავისუფლება, მას სჭირია მომავლის რწმენა და ამ რწმენის მას ართმევს ფაშიზმი“.

ამიტომ არის, რომ ინგლისელი მწერლები ალტაცებით შეხვდნენ სამეგობრო ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა ქვეყნისადმი მიძღვნილ ლონდონის მწერალთა კლუბის სხდომას ოც ეროვნების წარმომადგენელი დაესწრო; ლონდონში აღდგენილი ჩეხეთის, ნორვეგიის, კატალონიის, პოლონეთის და ებრაელ მწერალთა კავშირები და ანტიფაშისტური მწერალთა გერმანული და ავსტრიული სექციების გაერთიანებულმა კრებამ ალტაცებით მიიღო ჰერბერტ უელსის წინადადება საბჭოთა კავშირის მწერლებისადმი მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ.

მწერალი ქალი სტორმ ჯეიმსონი ერთ-ერთ ნარკვევში მოგვითხრობს, თუ როგორ მუშაობენ ინგლისელი ქალები ბრიტანულ არმიის ზურგში. მთელს ინგლისში ქალების არმია დადგა დაზვებთან და ომში წასულთა მაგიერ ემსახურება ინდუსტრიას, განსაკუთრებით კი სამხედრო ინდუსტრიას. მსხვილ მანქანათმშენებლობის დარგში მუშაობენ სხვადასხვა ჰასაყის ქალები თვრამეტეტიდან ორმოც წლამდე. მათ დაიკავეს ადგილები დაზვებთან მამაკაცების მაგიერ.

ლონდონზე საჰაერო თავდასხმების დროს დაუზოგველი ენერგიით და სიმტკიცით მუშაობდნენ საჰაერო თავდაცვის რაზმები, პირველ დანმარების წერტები, მოხალისე სანიტარული რაზმები, სახანძრო რაზმები. ისინი მეტწილად ქალებისაგან შეისდგებოდნენ. „ეს დახმარება რომ არა, — ის, რაც თავის თავად ტრაგედია იყო და არის, შეიძლებოდა ენით გამოეთქმეღ, უსაზღვრო საშინელებად გადაქცეულიყო“. — სწერს სტორმ ჯეიმსონი.

გერმანიის დიდ ანტიფაშისტურ მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მწერალ-ქალს ანა ზეგერსს. თავისებურია ანა ზეგერსის შემოქმედება, როგორც თავისი ფორმით, ისე შინაარსით.

ანა ზეგერსის რომანებში იმაოდ დავიწყებთ მწყობრი, თანმიმდევრულად განვითარებული ფაბულის ძიებას, ფაბულის, რომელიც გაერთიანებულია რომანის ცენტრალური პერსონაჟის, მისი გმირის ცხოვრების და განცდების ის-

ტორიით. ასეთი გმირი ა. ზეგერსის რომანებს არ გააჩნია. მასი რომანების მთავარი გმირია არა ინდივიდი, არამედ ხალხი, მასა. თუმცა ერთი რომელიმე პიროვნების ბედი მთელი რომანის გასწვრივაა მოცემული და ამიტომ იგი პირობით რომანის გმირად შეიძლება ჩაითვალოს, — მაგრამ ეს გმირი არა გამოცალკავებული, არამედ ორგანიული, განუთიშველი ნაწილი მასისა, ტიპური წარმომადგენელი კოლექტივისა. რომანის კემპარიტ გმირად მაინც ეს კოლექტივი და მასა რჩება. მხოლოდ იგი მოცემულია არა როგორც გაუპიროვნებული კრებული ერთეულებისა, არამედ დახატულია რომანში მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მემადაროეთა ან ქარხნის მუშების ცხოვრებას აღწერს ზეგერსი, თუ გლეხებისა, — იგი ყოველთვის გამოცდილი ოსტატის ხელით ძერწავს მხატვრულ სახეთა მთელ გაღერვას. ათი-თხუთმეტი ოჯახის ცხოვრების ისტორია იშლება მკითხველის წინ ყოველ რომანში. და ყოველი წევრი ამ ოჯახისა, თითქოს ზორცხესხეული, ცოცხალი, მოძრაობს, იტანჯება და იბრძვის.

ამავე დროს ა. ზეგერსი აღწერს არა საყოველთაო ყოფაცხოვრებას მასებისა, არამედ გვიჩვენებს მათ გარდამწყვეტ სოციალურ ბრძოლებს, პოლიტიკურ გადატრიალებათა მწვავე კრიზისის დროს. მასების შეგნების გარდატეხა, მიძიმე ბრძოლათა და ხშირად სასტიკ დამარცხებათა ფასით მოპოებული ახალი რწმენა, ახალი შეგნება, — აი ასეთია ა. ზეგერსის რომანების მთავარი თემატიკა.

ა. ზეგერსის წიგნში „გზა თებერვლის გასწვრივ“, რომანის ფორმით აღწერილია ავსტრიელ მუშათა გმირული ბრძოლა 1933 წელს ფაშისტების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე მომქმედი პირი, რამდენიმე ეპიზოდური ავტორის მიერაა შეთხზული, სახელები და გვარები შეცვლილია, ამ ნაწარმოებს მაინც დოკუმენტალური ხასიათი აქვს. მუშათა გარეუბნები ვენის მახლობლად, ეისლინგენი და ფლორის დორფი, მუშათა სახლი კარლ მარქსის სახელობისა და მისი მცხოვრებნი, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბელადები და მათი გაუბედავი, შემარიგებლობითი პოლიტიკა, რომელიც დამარცხებამდე მიიყვანს მუშათა გმირულ ბრძოლებს, კომუნისტ-მუშათა ორგანიზაცია, ნაციონალ-გაღალათები, ეპიზოდები ბარკაიდული ბრძოლებისა, — ყოველივე ეს ძუნწად და მკაცრად, მაგრამ ამასთან მტკიცედ და გამოკვეთილადაა ნაჩვენები რომანში.

მუშა ახალგაზრდების ერთ-ერთი წარმომადგენელია ვილაშეკი. თუ რომანის დასაწყისში იგი მერყეობს, ყოყმანობს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ორგანიზაციათა შორის, — ავსტრიელ მუშათა გმირული ბრძოლის დამარცხება, რის მიზეზი უმთავრესად სოციალ-შემთანხმებელთა გაუბედაობა და პასიურობა იყო, აუხელს მას თვალებს და კომუნისტურ პარტიის რიგებში მიიყვანს. ვილაშეკს სხვებთან ერთად დააპატიმრებენ და სასამართლო მას თორმეტი წლის ციხეს მიუსჯის. მაგრამ ვილაშეკი გრძნობს, რომ მარტო არ არის. ათასი მოსიყვარულე, მეგობრული თვალი შეჰყურებს მას სასამართლოს დარბაზში, უსჯენების დროს მას მოხერხებულად გადასცემენ ბარათს, სადაც რევოლუციური ლოზუნგები სწერია. ვილაშეკმა იცის, რომ მისი ამხანაგები მასთან არიან და გარდამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის.

ნაწიცი მსაჯულები გავიდნენ სათათბირო ოთახში. მაგრამ მას ახლა აღარ შეეშინდება. კიდევ რომ თორმეტი წლის ციხე მიუსაჯონ. ის ახალგაზრდაა,

და რომ გამოვა, მაშინაც ახალგაზრდა იქნება... კიდევ გაიფიქრებენ მის შესახებ... კიდევ ეღიროება იგი ბედნიერებას... მოისმის განაჩენის „ვილაშეკი — თორმეტი წელი“. ყველანი ისევ ზეზე იდგნენ, თითქოს რაღაცას ქრავდნენ. ვილაშეკს გული უცემდა და მან ხმამაღლა შეყვირა: „გინჯავი ჩვენ ვიქნებით მსაჯულები“. საზოგადოებაში ჩოჩქოლი ატყდა. ყველა კითხულობდა, — რა წამოიძახაო? — ვილაშეკი უანდარაშობის თანხლებით მტკიცედ და მშვიდად ჩამოვიდა სასამართლოს კიბეზე, — „რადგან იგი იცნობს თავისიანებს და თავისიანებიც იცნობენ მას“.

ახალგაზრდა, ნიჭიერ გერმანულ ანტიფაშისტო მწერალ-ქალის ი რ მ გ ა რ დ კ ო ი ნ ი ს რომანმა „ნაშუალამეკს“ დიდი წარმატება იქონია და ფართე გამომხატურება მოიპოვა მკითხველთა მასაში. რომანში აღწერილია ახალგაზრდა ქალის აუტანელი ცხოვრება ფაშისტურ რეჟიმის სინამდვილეში; და რაც უფრო სადა, დამშვიდებული კილოთი მოგვითხრობს ავტორი ფაშისტური ყოფაცხოვრების წვრილმანების შესახებ, მით უფრო ამაზრუნენ შთაბეჭდილებას სტოვეებს ეს სინამდვილე მკითხველზე.

რომანის გამირი ქალი ამბობს: „მე მიჩრუვანია არ ვუსმინო რადიოში ჰერინგის გამოსვლას, რადგან ყოველთვის, როდესაც ვუსმენ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საშინლად მლანძღავენ... რადიო-მიმღებიდან ისმის გაქანებული ლანძღვა-გინება: უნდა გაისრისოს ყველა, ვისაც ეჭვი შეაქვს მესამე იმპერიის ამალორქინებელ ნებისყოფაში; საჭიროა მიწის ზედაპირიდან აღევაფოთ ყველა, — როგორც ამბობენ, — ბოროტი ენები... გული მეკუმშება შიშისგან, როდესაც ასეთი სიტყვები მესმის. შესაძლოა, მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც უნდა გაისრისოს... მინისტრი ჰერინგი და სხვა მინისტრები ძლიერ ხმამაღლა და წყრომით ლაპარაკობენ რადიოში და ყოველ სიტყვას ხაზს უსვამენ: „ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ ესმით, რისთვის ვიბრძვით ჩვენ, მაგრამ ჩვენ შევძლებთ ამ ადამიანთა მოსპობას“. მე შიშს მგერის ასეთი სიტყვები, რადგან დღემდე არ ვიცი, რისთვის ვიბრძვით და რა გვინდა. და ვერავის ვკითხავ ამის შესახებ, თორემ დავიღუპებო“.

ომის წინა თვეებში გამოქვეყნდა ახალგაზრდა ამერიკელი ქალის მ ა რ ტ ა დ ო დ ი ს წიგნი: „საელჩოს ფანჯრიდან“, რომელმაც ფართე გამომხატურება მოიპოვა ამერიკაში, ევროპაში და ჩვენთან, — საბჭოთა კავშირში. ეს წიგნი მით უფრო საინტერესო დოკუმენტია ფაშისტურ რეჟიმის საშინელებათა წინააღმდეგ, რომ იგი არ არის დაწერილი პროფესიონალ მწერლის მიერ. მარტა დოდმა ოთხ წელზე მეტი დაჰყო ჰიტლერულ გერმანიაში, რადგან მისი მამა, ცნობილი ლიბერალი მოღვაწე და მეცნიერი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ დოდი რუხველტის წინადადებით დაინიშნა შ. შ. ელჩად გერმანიაში. რუხველტმა შეაჩერა თავისი არჩევანი უილიამ დოდზე სწორედ იმიტომ, რომ მას უწინ დამთავრებული ჰქონდა ლიბეციცის უნივერსიტეტი და იქვე მიიღო მეცნიერული ხარისხი. დოდი კარგად იცნობდა გერმანიას, იგი გულწრფელი პატივისმცემელი იყო „შილერის და გოეთეს ქვეყნისა“.

როგორც მარტა დოდი სწერს, მას არავითარი წინასწარი განწყობილება არ ჰქონია ფაშისტურ გერმანიაში წინააღმდეგ. პირიქით, ის უფრო ფიქრობდა, რომ ცნობები ფაშისტების ბარბაროსობათა და მხეცობის შესახებ, მოთავსებული ამერიკულ პრესაში, შეთხულებია ჟურნალისტების მიერ. შესაძლოა, — ფიქრობდა იგი, ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა „ექსცესებს“, რაც ხშირად ხდება ახალ წესწყობილების დამყარების დროს. ბერლინში ჩანოსე-

ლის შემდეგაც კი, პირველ ხანებში, მარტა დოდი ცდილობდა გაქრისტიანობა-
 ნა ნაციისტების ყოფა-ქცევა, არ უჯეროდა ბერლინში მცხოვრებ ამერიკელთა
 მონათხრობს გესტაპოს მხეცობათა შესახებ, მაგრამ საყუთუთუთად ნა-
 სულმა უღმობელმა სინამდვილემ დააწმუნა იგი, რომ „ქრისტიანობის წყვილი
 არის „ჯერ ისტორიაში არნახული სისტემა შიშის და ტერორისა, რომლის
 წინაშე ინკვიზიციის საშინელი წამებანიც კი ფერმკრთალად გვეჩვენება“.

მარტა დოდი ესწრებოდა რეინსტაგის დაწვის „სახელგანთქმულ“ პროცესს.
 მასზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა დიმიტროვმა, „რომლის სახე აღსავეს
 იყო განსაკვიფრებელი ენერგიით და სიმბნევით... მე არასდროს არ დამაი-
 წყლებს დიმიტროვის მკერმეტყველი დუმილი, როდესაც იგი იდგა ჰერინგის
 სიტყვის დროს და უცქეროდა ჰერინგს მძინვარე ზიზღის გამომეტყველე-
 ბით“. მით უფრო უმწეო და საძულველი იყო ჯალათი ჰერინგი, როდესაც ის
 ნერვიულად ამოიყვირებდა ხოლმე წინასწარ შეთითხნილ ყალბ ბრალდებებს.
 და როდესაც დიმიტროვმა თავის დასაცავ სიტყვის დროს ქვა ქვაზე არ დასტო-
 ვა ამ ბრალდებებისაგან, ფაშისტთა რიგები არაჩვეულებრივმა პანიკამ მოიცვა
 და ჰერინგმა დაიწყო ყვირილი, რომ დიმიტროვისათვის სიტყვის ნება ჩამო-
 ურთავთ: „ის ყვიროდა ხრინწიანი ხმით, შეშინებული, სულ უგუბდებოდა,
 იხრჩობოდა, უნდოდა, რაღაც არ უნდა დაძღარიყო, შეეწყვიტა მოწინააღმ-
 დევის გაუბათილებელი საბრალდებულო სიტყვა“.

უილიამ დოდი და მისი ოჯახი ძველ გერმანულ კულტურის, გერმანულ
 მწერლობის, ხელოვნების და მეცნიერების მხურვალე მოტრფილენი იყვნენ.
 მით უფრო საზარლად იმოქმედა მათზე ხელოვნების და მეცნიერების სრული
 გაპარტახების სურათმა ჰიტლერულ დიქტატურის ქუსლქვეშ. მარტა დოდი იმ-
 დენად მინდობილი და გულუბრყვილო იყო, რომ ოცნებობდა, როგორ გაიც-
 ნობდა ბერლინში გამოჩენილ გერმანულ მწერლებს: ჰენრიხ და ტომას მანს,
 სტეფან ცვიგს, რემარკს, ფეხტვანგერს, დებლინს და მრავალ სხვათა. მაგ-
 რამ აღმოჩნდა, რომ ისინი განდევნილი არიან ფაშისტურ გერმანიიდან, ან და
 თვითონ დასტოვეს ის. ზოგი მწერალი კი, როგორც, მაგალითად, ერის მუზა-
 მი სააიკედილოდ აწამეს გესტაპოს ჯურღმულეებში, სხვებს საკონცენტრაციო
 ბანაკებში ამოახდევინეს სული. სამაგიეროდ, ერთ-ერთ წვეულზე, სადაც
 დიდი ქეიფი და მხიარულება იყო, მარტა დოდი შეხვდა მწერალ ევერსს, რო-
 მელიც უწინ სწერდა პორნოგრაფიულ მოთხრობებს, „მაგრამ როგორც კი
 ჰიტლერმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, ევერსი მიხვდა, საითკენაც ქრის ქა-
 რი, გადაწყვიტა მიტმსანებულიყო და დასწერა ზორსტ ვესელის ბიოგრაფია“.
 წრფელი ზიზღით აგვიწერს მ. დოდი ევერსის გარეგნობას: „იგი ერთ-ერთი
 უსაზიზღრეს ტიპთაგანია, რომელიც კი მე ოდესმე შემხვედრია“. პორნოგრა-
 ფი-მწერალი ევერსი, რომელიც დიფირამბებს უვალობს ფაშისტის სისხლი-
 ან რეჟიმს, — აი სიმბოლო და სახე გერმანულ ფაშისტურ „ლიტერატურისა“.

თანამედროვე თეატრი გერმანიაში, რომელმაც უნდა დაკმაყოფილოს ნა-
 ცისტების გემოვნება და შესდგებოდეს „ქეშმარიტ არიელთაგან“, იმდენად
 უბადრუკი და ლატაკია თავისი რეპერტუარით და მხატვრული ძალუბითაც,
 რომ მას არ შერჩენია იმ სიახლის და ელვარების ოდნავი კვალიც კი, რაც მაქს
 რეინჰარტის დღეებში ჰქონდა. „კინოს მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია,
 თუ კი შესაძლებელია ასე ითქვას, — სწერს მ. დოდი. გერმანული კინო-კომე-
 დია, უკეთეს შემთხვევაში, მძიმე, სანტიმენტალური, ძნელად მოსაწონებელი
 დომხალია. საერთოდ კინო-ფილმი კი... ისე აღსავეს ნაციზმის და გერმანულ

ფაშისტურმა ხოტბის შესხმით, რომ ერთი მათგანის ნახვით უკვე აგრძელები მოწყენილობა და ზიზღი შეიპყრობს ადამიანს. ეს ქვეშაირად ტრაგიკულია, თუ კი გავიხსენებთ, რომ ჰიტლერამდე გერმანული კინო განმეორებულყო მთელს მსოფლიოში თავისი თამამი ძიებებით და მხატვრულმა შესრულებით“.

„დიდი გერმანელი დირიჟორები და კომპოზიტორები, მეტ წილად განდევნილნი არიან გერმანიიდან... ფერწერის, ქანდაკების და ხეროთონომღვრების დარგშიაც იგივე მოსაწყენი უნაყოფობა სუფევს. — სწორს ავტორი. — მიუნხენის სამხატვრო გამოფენაზე 1937 წელს ჰიტლერმა და მისმა მეგობრებმა შეკრიბეს ყველაფერი, რაც კი, მათი აზრით, შეიძლებოდა ჩათვლილიყო გერმანულ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად. და საერთო შთაბეჭდილება ამ გამოფენიდან ისეთია, თითქოს გაფერადებულ ფოტო-სურათებს უყურებო“.

ფაშისტი ჯალათები ვმობენ და უმწიფარ ხელოვნებად ნათლავენ არა მარტო ახალი ფორმების მაძიებელ მხატვრებს, არამედ რეალისტ შემოქმედთაც, თუ კი ისინი თავის სურათებში ხატავენ ხალხის დუხჭირ ცხოვრებას. სწორედ იმიტომ არის, რომ გერმანიაში სდევნიან და უდიერად კილავენ დიდი შემოქმედის, მთელ მსოფლიოში განთქმულ მხატვარ ქალის კეტე კოლვიცის რეალისტურ შინაარსის გრაფიურებს.

ასეთსავე საეალალო მდგომარეობაშია გერმანიის უნივერსიტეტები. საუკეთესო მეცნიერულმა ძალებმა დასტოვეს გერმანია. „გერმანიაში ამჟამად არ დარჩენილა არც ერთი უნივერსიტეტი, რომელსაც ღირსეულად შეეძლოს ამ სახელის ტარება. ყველა ისინი გადაიქცნენ ნაციზმის პროპაგანდის დაწესებულებებად. სტუდენტთა რიცხვი შემცირდა, განსაკუთრებით სტუდენტ-ქალებისა, რომლებიც საერთო მოსწავლეთა რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენენ. გამოჩენილი მეცნიერნი, რომელთაც ვერ დასთმეს აზროვნების თავისუფლება, გარდახვეწილი არიან უცხო ქვეყნებში, ზოგი გადაყენებულია, ბევრს კათვრა ჩამოერთვა, მრავალნი გესტაპოს მსხვერპლნი გახდნენ. საერთოდ გერმანელი ხელისუფალნი ცდილობენ, რომ ახალგაზრდობა ნაყლებად ეტანებოდეს უმაღლეს ცოდნას. ფაშისტები უფრო არმიაში და წარმოებაში ერეკებიან ახალგაზრდობას, და თუ მათ თავისი არ დაიშალეს და მაინც და მაინც უნივერსიტეტში შესვლა ირჩიეს, მაშინ წინასწარ ერთი წელი უნდა დაჰყოთ ე. წ. „შრომით ბანაკებში“. აქ მათ სოფლის მეურნეობაში ამუშავენ, თან გამოუტენენ თავს ნაციისტური პროპაგანდით, ისე, რომ საბოლოოდ დაიხშოს მათში საღი აზროვნების უნარი“. „მამა ჩემი იყო შეძრწუნებული და გულმოკლული იყო გერმანული კულტურის ასეთი დაკნინებით, რომელსაც იგი ეგზომ კარგად იცნობდა ლეიპციგში სწავლის დროს, რომ მას სასოწარკვეთილება მოიკავდა ხოლმე რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში გავლის დროს... კუნთები და არა ტვინი, — აი რა არის საუნივერსიტეტო სწავლების საბოლოო მიზანი როგორც ვაეთა, ისე ქალთათვის“.

დოდის მთელ ოჯახზე ამაზრუნენ შთაბეჭდილებას სტოკებდა მუდმივი ჯან-შუშობის, ზვერვისა და ურთიერთზე დასმენის ატმოსფერო გერმანიაში. ცხადია, ამერიკელ ელჩის ოჯახს ჯამუშთა მთელი ზროვა უთვალთვალებდა. გამოიჩევა ისიც, რომ ბინის კედლებში დიქტოფონებია დაყენებული და მათი გამტარები კედლებშია გავლებული ან ტელეფონთანაა შეერთებული. „მე და-ერწმუნდი, რომ გერმანია არის შპიონაჟის, ტერორის, საღიზმის და სიძულენილის უზარმაზარი რთული ქსელი, რომელშიაც ებმება ყველა: მოსამსახურენიც და კერძო პირებიც“. „სოფლები, ქალაქი და განსაკუთრებით მუშათა უბ-

ნები დიდ ქარხნებში საესეა გესტაპოს დაქორავებული აგენტებით დაქორავებული კატორებით. ძნელია ქალაღდზე გაღმოცემა იმისი, თუ რა ზოგადღე შეიღლე-ბა მიიყვანოს ადამიანი შპიონაჟის ამ სისტემაში.

ფაშისტურ გერმანიაში მძვინვარე შეემა რეაქციამ წარუღმდღეობა დანტოვა დოდის ოჯახზე. მ. დოდი დაწვრიღებით აღწერს იმ მხეცურ წამე-ბას, ფიზიკურსა და მორალურს, რაც განიცადეს გესტაპოში და საკონცენ-ტრაციო ბანაჟებში მისმა პირადმა ნაცნობ-მეგობრებმა. „ყოველი ეროვნე-ბის, ყოველი შეხედულების და სარწმუნოების ადამიანს აწამებენ იქამღე, რომ იგი ადამიანურ სახეს კარგავს. ქაღებზე და კაცებს სასიკვდილოდ სცე-მენ, ხერეტენ „გაქცივის ცღის“ გამო, თვითმკვლელობამღე მიიყვანენ... აწ-ამებენ ისეთი გაუგონარი წამებით, რომ კაცის გონებას ვერ დაუღკერებია. ყოველნარი შესახარი სექსუალური ბოროტმოქმედებანი ჩვეუღებრივი ამბავია საკონცენტრაციო ბანაჟებში. ყველაზე მღაბალი, მხეცური ინსტინ-ქტები განდიღებულია იმ ქვეყანაზე, რომელმაც იმის შემღეგ, რაც მას ჰიტ-ლერი ჩაუღდა სათავეში, დაკარგა უფღება ცივიღიზირებულ ერთა რიგში დგომისა. მე მგონია, რომ ჰიტლერული რეჟიმის საშინეღებანი შეიღლება შევადაროთ მხოლოდ უველურეს ტომთა ბრმა, ზნელ პირველყოფიღ ხანას-თან და ტორკვემადის დროის ინკვიზიციის უსაშინეღეს წღებთან“.

მარტა დოდი თავის წიგნში გვიხატავს ფაშისტ მმართვეღთა სურათებს. ეს სურათები ნაკარნახეღია იმ შთაბეჭდიღებებით, რომღებშიც ავტორმა მიიღო მათთან უშუალო შეხედარების დროს და ყოვეღივე იმ ფაქტებით, რაც მან იცოღა მათი ცხოვრების და მხეცობათა შესახებ.

ავტორი იწყებს ჰიტლერიღან. იგი ახასიათებს მას, როგორც „ფანატიკურ, თითქმის შეშღიღობის ზღურბლზე მღგარს... მანიაკს, რომელმაც დაიმორჩი-ღა გერმანელი ხალხი იმით, რომ მიიღო ფინანსიური და მორალური დანშა-რება... იუნკრებიღან, მემამულეთაგან, მსხვიღ მრეწვეღებისა და ბანკირები-ღან... ის დაიწყებს ომს ფაშისტური ევრობის შექმნის მიზნით, თუ გინღ მუხ-ღამღე სისხლში და ტღაღში იაროს და გადააქციოს მთელი განადგურებული ევრობა საზარელ ჯოჯოხეთად“. როგორც ვხეღავთ, შორსმკვერეტელმა ავ-ტორმა მაშინვე ამოიკითხა ჰიტლერის „მქნარ, დეგენერატიულ სახეზე“ ის საშინელი მომავალი, რომელსაც უქაღდა თავისუფალ კაცობრიობას ეს კაცთ-მძღლვარე გადაგვარებული ადამიანი.

„ნაცი ჰე 2“, პერინგიც ნარკომანია, საგოეთში ნამყოფი, „იგი მუღამ ცხოვ-რობღა მკვლეღობათა, სისხლის და საზარელ სახანაობათა ატმოსფეროში. იგი სტებებოღა თავის მომაკვღინებელი საქმით. ყოვეღივე ამან იქონია უდიღესი გავღუნა მის ინსტინქტებზე, დაასახინრა მისი ინტელექტი, პერინგი, — ყვეღ-ზე მძვინვარე, ყვეღაზე უბასუხისმკებლო და ყვეღაზე საშიში ადამიანია ნა-ცისტურ გერმანიაში... ამ უღღრესად პატივმოყვარე, მკაცრ, ცივ შურისმღე-ბელ, ყოვეღგვარ სინდისიღან გარეციღლ ადამიანს შეუღღია გადააგღოს გერმანია სისხლის და მწუხარების კიღევე უფრო ღრმა უფსკრულში“.

მესამე წვერი, საზიზღარი ნაცისტური ტრიუმფირატორი არის ჰებელსი— მაზინჯი გარეგნობის და მღაბალი გონების ადამიანი, ფაშისტურ გერმანიის პრესის პროპაგანდის და სახალხო განათღების მეთაური, თავისუფალი აზ-რის ცნობიღი ჯაღათი.

მარტა დოდმ ორჯერ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და ამ მოგზაუღობამ გახაღა იგი ჩვენი ქვეყნის მეგობრად. უზარმაზარი მშენებლობა, მუშათა

კულტომასასურება, კლუბები, ამბულატორიები, ბავშვთა კერები, ~~კრედი-~~ ~~ტი~~ ამან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ამერიკელ ქალებზე. იგი ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ საბჭოთა მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება საღ, მეგობრულ დემოკრატიულ პრინციპებზეა დაყრდნობა, უმთავრესად, აღამიანურ ღირსების გონობას და შრომის პატივისცემას. სხვათა შორის, მარტა დოდმა საქართველოშიც იმოგზაურა. თბილისში მოხიზლა იგი თავისი სილამაზით. განსაკუთრებით განაცვიფრა იგი კონტრასტმა ავჭალის მძლავრი პიდროელსადგურისა და იქვე მახლობლად მთაზე აღმართულ ძველის-ძველ ტაძარს შორის.

მარტა დოდი დაბრუნდა თავის სამშობლოში, შეერთებულ შტატებში, როგორც პოლიტიკურად მომწიფებული პიროვნება, ფაშინშის შეურიგებელი მტერი, ფაშისტურ მხეცობათა წინააღმდეგ მებრძოლი და ამავე დროს, როგორც საბჭოთა კავშირის ერთგული და მტკიცე მეგობარი.

ფაშისტურ გერმანიის ავაზაკურმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე გამოიწვია აღმფოთება და პროტესტი მთელი მოწინავე კაცობრიობისა.

ანტიფაშისტ მწერალ-ქალებმაც საჯაროდ დაჰკმეს პიტლერული გერმანიის მხაკერობა და თანაგრძნობით, სიყვარულით აღსავსე დეპეშებით და წერილებით შესალმნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს, ჩვენს გმირულ წითელ არმიას, ჩვენს დიდ მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

მარია ტერესია ლეონმა, მარგარიტა ნელკენმა, სუსანა პრიჩარდმა, ანა ზეგერსმა და სხვა მთელ რიგ ესპანელმა, ჩინელმა, სლავმა, ფრანგმა, ინგლისელმა და ამერიკელ მწერალ-ქალებმა ზიზლით დაგმეს ფაშისტ ბარბაროსთა გაუგონარი ვერავობა.

მსოფლიოს ანტიფაშისტ მწერალ-ქალთა სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი გულწრფელად გამოსთქვამს თავის წერილში ფრანგი მწერალი-ქალი სიმონა ტერი: „ფაშისტურმა მხეცმა შეღება თავისი ტორები იმ ქვეყნის მოქალაქეთა სისხლით, სადაც აღამიანი თავისუფალია, სადაც ქალი ბედნიერია, სადაც ბავშვი იცინის, სადაც შრომა სასიხარულოა და ცხოვრებას აქვს აზრი... მტარველები ფიქრობდნენ წაერთმიათ თქვენთვის თქვენი სასიხარულო, ძმური შრომის ნაყოფი, დაემონებინათ ისე, როგორც მათ დამონეს სხვა ერები. ახლა მათ იციან, რა შეუპოვარი და ძლიერია წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი, მათ იციან, რომ თქვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებით თავისი სამარე ვაითხარეს“.

ალტაცებით აღსავსე სიტყვებით დაპარაკობს ს. ტერი წერილის ბოლო სტრიქონებში ამხანაგ სტალინის შესახებ: „უდიდესი სიყვარულით, უდიდესი ნდობით იხსენიებს ჩვენი ხალხი ამხანაგ სტალინს, — მათთვის ამხანაგი სტალინი არა მარტო გენიალური, ლეგენდარული ბელადია, ყოველ პატიოსან ფრანგისათვის ის უახლოესი მეგობარია, უჭრთისი ძმა და საუკეთესო ამხანაგი“.

შეხვედრის მარქსისტული თეორიის ზოგადი საკითხი

მარქსმა და ენგელსმა, დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა საზოგადოებრივ მოვლენებზე გავრცელებისა და მათ მიმართ გამოყენების საშუალებით, კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნეს მატერიალიზმის თანმიმდევრული სისტემა, რომელიც ისტორიის მატერიალისტურ ახსნასაც შეიცავს. ისტორიის მატერიალისტური გაგების დასაბუთებას განსაკუთრებული ფილოსოფიურ-მეცნიერული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით იდეალიზმი განდევნილ იქნა თავის უკანასკნელ თავშესაფრიდან — ისტორიიდან, ხოლო კომუნიზმი უტოპიისგან მეცნიერებად იქცა. ამას უნდა დაეურთოთ ისიც, რომ ისტორიის მატერიალისტური ახსნით თვით მატერიალისტურმა ფილოსოფიამ ახალი ხასიათი შეიძინა და თავისი შემდგომი განვითარების უდიდესი პერსპექტივა, მიიღო. „...ხოლო მას შემდეგ, რაც ისტორიაც მატერიალისტურ განხილვას დაექვემდებარა, — აღნიშნავდა ენგელსი, — აქაც მატერიალიზმის განვითარების ახალი გზები გაიხსნა.“¹⁾

ქვემოთ შევეცდებით, ავხსნათ მარქსის მიერ დასაბუთებული ისტორიის მატერიალისტური გაგების გავლენა მის შემეცნების თეორიაზე და ამ მიზნით განვიხილავთ ამ თეორიის რამდენიმე ძირითად საკითხს. აქ კი საერთო მოსაზრებებს გამოვსთქვამთ.

შემეცნება უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი მოვლენაა და ამიტომ, აშკარაა, რომ მისი სწორად გაგება არ შეიძლება ისე, თუ საზოგადოებრივი პროცესის კანონები სწორად არ გვესმის. ისტორიის განვითარების მატერიალური საფუძვლების გამოუმჯობესებლად არ შეიძლება გამოვამყლანოთ ადამიანის შემეცნების პროცესის დიალექტიკის მატერიალური საფუძველი, რადგან თვით შემეცნება ამ ისტორიის მხოლოდ ერთი მხარეა. ამიტომ მარქსმა და ენგელსმა, პირველად შექმნეს რა თანმიმდევრობითი მატერიალისტური ფილოსოფია, რომელიც ისტორიის მატერიალისტურ ახსნასაც შეიცავს, აგრეთვე პირველად დაასაბუთეს შემეცნების ნამდვილი თეორია, რაც მათ დიალექტიკაში შეაქვთ.

დაეწყოთ იმ საკითხის განხილვიდან, თუ როგორ და რა პირობებში ხდება შემეცნება.

¹⁾ ე. ენგელსი — „ლიუდვიგ ფიურბახი“, გვ. 22, 1940 წ.

I. საზოგადოებრივ-საწარმოო პრაქტიკა, როგორც შეხვედრის საშუალებელი. ადამიანის, შეხვედრის თეორიისა და ლოგიკის ერთანობა

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლებმა ადამიანის შემეცნების საწყისებისა და მიზეზების საკითხს საიდუმლო-საბუნებრივად მოხსნეს და ეს პრობლემა რეალურ მატერიალისტურ-ნიადგზე დააყენეს. ისტორიულად ადამიანს იმიტომ კი არ დაუწყია შემეცნება, რომ ის, როგორც კი მან თვალი გაახილა და გარემოს შეხედა, შეიპყრო დაუცხრომელმა ცნობისმოყვარეობამ — რაღაც უნდა დასჯდომოდა, შეეცნო ის, რაც მას გარს ერტყა, ან რომ მას გაჩენის პირველი დღეებიდანვე აღუვებდა სკეპტიკური კიბვები: ვინა ვარ მე და როგორ და რატომ გაჩენდი ამ ჩემთვის გაუგებარ ქვეყანაში? ეს და ამგვარი კითხვები მისთვის უცნობი იყო. მას არ ეცალა გამაღიზიანებელი ცნობისმოყვარეობისა და გულგამგმირავი სკეპტიციზმისათვის. მას უწინარეს ყოვლისა თავისი არსებობა უნდა დიეცვა გარემოს შკაცრ პირობებში. ხოლო ამისათვის მას უწინარეს ყოვლისა ენაჭიროებოდა ამა თუ იმ ფორმით ეწარმოებინა საარსებო საშუალებები. უამისოდ იგი საზოგადოდ დაილუპებოდა. ამიტომ წარმოება ისტორიული ადამიანის პირველი საქმე იყო.

„...ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცხოვრების შესაძლებლობა, — სწერენ მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“, სადაც მათ მთელ ჰეგელის შემდგომდროინდელი გერმანული ფილოსოფიის კრიტიკის საფუძველზე პირველად ჩამოაყალიბეს სისტემატური, სახით თავიანთი ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, — რათა მათ შეეძლოთ „ისტორიის გაკეთება“. მაგრამ ცხოვრებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საქმელი, სასმელი, ბინა, ტანსაცმელი და კიდევ ზოგი რამ სხვა. მაშასადამე, პირველი ისტორიული საქმე არის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ საშუალებათა წარმოება, წარმოება თვით მატერიალური ცხოვრებისა; ამასთან ეს არის ისეთი ისტორიული საქმე, ისეთი ძირითადი პირობა ყოველი ისტორიისა, რომელიც დღესაც, ისე, როგორც ათასი წლების წინადაც, ყოველდღიურად და ყოველ საათს უნდა იქნას შესრულებული, რათა ადამიანი ცოცხალი დარჩეს... მაშასადამე, ისტორიის ყოველი გაგების დროს პირველია ის, რომ ეს ძირითადი ფაქტი განვიხილოთ მთელი მისი მნიშვნელობით და მოცულობით და მივანიჭოთ მას თავისი უფლებები.“¹⁾

რაც ასევე, ვასაგებია, რომ ისტორიული ადამიანი არის არა მჭკრეტელობითი, არამედ აქტიური არსება. ის თავის გარემომცველ ბუნებას უცქერის არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. ბუნება არის არა დიფიკების, ვაკვირების, ცნობისმოყვარეობის, განცხრომის ან სევედის საგანი, არამედ პრაქტიკული შემოქმედების — წარმოების ობიექტი. აქ ადამიანი გამოდის არა როგორც ფილოსოფოსი, პოეტი ან მეცნიერი, არამედ როგორც ისეთი არსება, რომელიც თავის საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს წარმოების საშუალებით იკმაყოფილებს. „პროფესორ-დოქტრინიორის წარმოდგენაში, — შენიშნავს მარქსი ა. ვაგნერის წიგნზე, — ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან იმთავითვე არის არა პრაქტიკული, ე. ი. მოქმედებაზე დამყარებული ურთიერთობა, არამედ თეორიული... მაგრამ ადამი-

¹⁾ K. Marx und F. Engels, Die Deutsche Ideologie, გვ. 17, მოსკოვი, 1933 წ.

ნები არავითარ შემთხვევაში არ იწყებენ იმით, რომ „ამ თეორიის“ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ გარე სამყაროს საგნებში¹⁾. როგორც ყოველი ცხოველი, ისინიც იწყებენ იმით, რომ სუბიექტურად და სხვ., ესე იგი რაიმე ურთიერთობაში კი არ იმყოფებოდნენ, არამედ ურთოდ ურად მოქმედებდნენ, მოქმედების საშუალებით ეუფლებოდნენ გარე სამყაროს საგნებს და ამგვარად ეკმაყოფილებდნენ თავიანთ მოთხოვნილებებს (მაშასადამე, ისინი იწყებენ წარმოებით)“²⁾.

ამრიგად, ადამიანი იწყებს წარმოებით, წარმოება მისი თავდაპირველი საქმეა. მაგრამ ადამიანებს არ შეუძლიანთ ცალ-ცალკე და იზოლირებულად აწარმოონ. მატერიალური წარმოების პროცესში ისინი მუდამ შედიან გარკვეულ საწარმოო ურთიერთობაში, რომლის ბასიათიც საწარმოო ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება. ამიტომ წარმოება ყოველთვის საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. „ადამიანები აწარმოებენ ბრძოლას ბუნებასთან, — სწერს ამხანაგი სტალინი, — და იყენებენ ბუნებას მატერიალური დოვლათის დასამზადებლად არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, არა ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით, არამედ ერთად, ჯგუფურად, საზოგადოებრივად. ამიტომ წარმოება ყოველთვის და ყველა პირობებში არის საზოგადოებრივი წარმოება“³⁾.

წარმოების პროცესში ადამიანი შემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, სცვლის მას და იმავე დროს სცვლის თავის თავსაც. შრომამ შექმნა თვით ადამიანი, — ამბობს ენგელსი. ხოლო ადამიანის შრომა იწყება წარმოების იარაღების დამზადებითა და გამოყენებით. აქედან გამომდინარე, შარქსი, ფრანკლინის შემდეგ, ადამიანს განსაზღვრავს, როგორც ცხოველს, რომელიც შრომის იარაღს აყენებს⁴⁾.

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ყალიბდებოდა ისტორიული ადამიანი თავისი ცნობიერებითა და შემეცნებით. ადამიანის შემეცნება გაუშუალებულდა საზოგადოებრივი წარმოებით და მასთან ერთად და მის გველდაკვალ განვითარდა. ამიტომ ცნობიერებასა და შემეცნებას არა აქვთ, როგორც ეს იდეალისტებს წარმოუდგენიათ, თავიანთი დამოუკიდებელი, განცალკევებული ისტორია, ისე როგორც მათ არა აქვთ თავიანთი დამოუკიდე-

1) კ. მარქსი — შერიშენები ა. ვაგნერის წიგნზე, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 461, 1935 წ., რუსულად.

2) ი. სტალინი — „ლენინის მისი სკიოტები“, მე-11 გამოცემა, გვ. 684, 1939 წ.

3) კ. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 140.

აქ მარქსი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სახის ცხოველს უნარი აქვს ჩანასახოვანი ფორმით მოხმაროს და შექმნას შრომის იარაღები. მაგრამ ამასთანავე ის სთვლის, რომ ეს შროლოდ და მხოლოდ ადამიანის სპეციფიკური ნიშანია. თანამედროვე ექსპერიმენტული მონაცემები სავსებით ადასტურებენ მარქსის ამ დებულებას.

ე. კელერმა თავის შრომაში „ადამიანის შთავის მიმდინარე ინტელექტის გამოვლენა“, წინააღმდეგ იმ შედეგებზე, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ ცხოველებში აზროვნების ყოველგვარ არსებობას, ექსპერიმენტულად გვიჩვენა, რომ უმაღლესი სახის მიმდინარე უნარი აქვთ განსაზღვრულ სიტუაციებში იხმარონ და გააკეთონ იარაღები და, მაშასადამე, მთი შეუძლიანთ შესრულონ გონიერული ტექვის აქტი.

მაგრამ კელერის ცდების საღუსტველზე არ შეიძლება მიმდინარე მოქმედება გავიგვივით ადამიანის შრომასთან, მათ შორე იარაღების მოხმარება და ვაკეთება — ადამიანის მიერ იარაღების მოხმარებასა და ვაკეთებასთან, მათი ცნობიერების ნაერწყალი — ადამიანის ცნობიერებასთან. თუ თანამედროვე მეცნიერული ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით გენეტიკურად არ შეიძლება ადამიანი დიფერირებათ ცხოველს, სამეცნიეროდ არც ის შეიძლება,

ბელი ყოფიერება. „...იდეათა, წარმოდგენათა, ცნობიერების წარმოება, — სწერდნენ მარქსი და ენგელსი, — უწინარეს ყოვლისა უშუალოდ შექმნილია ადამიანთა მატერიალურ მოღვაწეობაში და მატერიალურ ურთიერთობებში, რეალური ცხოვრების ენაში. ადამიანთა წარმოდგენა, აზროვნება, ურთიერთ ურთიერთობა გვეჩვენება აქ ჯერ კიდევ მათი მატერიალური მოქმედების პირდაპირ ნაყოფად... მათ არა აქვთ ისტორია, არა აქვთ განვითარება, არამედ ადამიანები, რომელნიც ავითარებენ თავიანთ მატერიალურ წარმოებას და თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად სცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებას და ამ აზროვნების პროდუქტებს. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას.“¹⁾

წარმოების განვითარების კანონების, წარმოების წესის, როგორც საზოგადოების განვითარების მთავარი ძალის, კანონების გამომგლევენბამ მარქსს საშუალება მისცა დაედგინა ადამიანის შემეცნების პროცესის დიალექტიკის მატერიალური საფუძველი და ამით დაეძლია როგორც მთელი მისი წინამორბედი მჭვრეტელობითი მატერიალიზმის, ისე დიალექტიკური იდეალიზმის ცალმხრივობა და შეცდომები. „მატერიალიზმის მთავარი ნაკლი დღემდე, ფეიერბახის ჩათვლით, ისაა, — სწერდა მარქსი თავის პირველ თეზისში ფეიერბახის შესახებ, — რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განკვეთრების ფორმაში იხილავს და არა როგორც ადამიანის გარდასახულ მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარე, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანვითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასურს, არ იცნობს.“²⁾

არც ერთი მარქსამდელი მატერიალისტი არ მისულა იქამდე, რომ აღეარებინა წარმოების ვადამწვევტი როლი ადამიანებისა და ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. ყველა ისინი ძალიან შორს იყვნენ იმ აზრიდან, რომ ადამიანის ყოველი სახის მოქმედება, მათ შორის შემეცნებაც, დამოკიდებულია მატერიალურ წარმოებისაგან და მით არის გაუშუალოებული. ისინი გამოდიოდნენ ძირითადი ზოვადფილოსოფიური საკითხის — აზროვნების ყოფიერებისადმი, ცნობიერების ბუნებისადმი დამოკიდებულებას საკითხის მატერიალისტურად გადაჭრიდან და დაკმაყოფილდნენ იმის ზანჯასმით, რომ

რომ ამავე საფუძველზე ადამიანი გავაიგიეთ თუნდაც უმაღლესი სახის ცხოველთან და მათ შორის პრინციპული სხვაობა არ დავინახოთ. ცხოველებს, ამ შემთხვევაში უმაღლესი სახის მაიმუნებს, როგორც კვლავბა ვაკიცენა, თუმცა შეუძლიანთ განსაზღვრულ სიტუაციებში დაამზადონ და მოიხმარონ იარაღები, მაგრამ ეს თვისება არ არის მათი ცხოვრების მდამვი და აუცილებელი თანამგზავი და მათ არსებობაში ის არა თუ ვადამწვევტი, არამედ რამე არსებითი როლსაც კი არ ასრულებს. მათი არსებობის საფუძველია პასიური შეუძლება ბუნებასთან და არა ან უკანასკნელის. აბტიური შეცვლა შრომის იარაღების საშუალებით, როგორც ამას ადგილი აქვს ადამიანის მოქმედებაში.

ამიტომ მათი „აზროვნებაც“, რაც განსაზღვრულ სიტუაციებში შედგენდება, არ განმტკიცდება და არ ვითარდება. და ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი არ ეწევიან საზოგადოებრივ, საწარმოო-შრომითი მოქმედებას, რაც აზროვნების კვების მდამვი წყარო და მისი განვითარების პირობაა.

¹⁾ K. Marx und F. Engels, Die Deutsche Ideologie, გვ. 15.

²⁾ კ. მარქსი, თეზისები ფეიერბახის შესახებ. იხ. ფ. ენგელსი — „ლიბდვო ფეიერბახი“, გვ. 68, 1940 წ.

ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი, მთელი თავისი ცნობიერებით თავისი გარემომცველი გარემოს ნაყოფი და გამოხატულებაა. მაგრამ შათავანოვი არ იცოდა, რომ ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი, სრულებითაც არ არის პასიური არსება. ის აქტიური მწარმოებელი არსებაა და ამიტომ განსაზღვრება სწვა ხახის ცხოველებისაგან. წარმოების პროცესში ის შემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, სცვლის მას და არსებობის ახალ პირობებს ქმნის თავისთვის. ამით გამოიხატებოდა მათი შეხედულებების ცალმხრივობა და ამ აზრით უწოდებს მარქსი მათ მქვერცელობით მატერიალისტებს. „...ისტორიის ნატურალისტური გაგება, — სწერს ენგელსი, — როგორც ის გვხვდება... დრეპერთან და სხვა ბუნებისმეტყველებთან, რომლებიც იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ მხოლოდ ბუნება მოქმედებს ადამიანზე და რომ მხოლოდ ბუნების პირობები განსაზღვრავს ყველაფერს მის ისტორიულ განვითარებას, — ცალმხრივია და ივიწყებს, რომ ადამიანიც პირველ შემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, სცვლის მას, არსებობის ახალ პირობებს ქმნის თავისთვის.“¹⁾

ეს ნატურალიზმი იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ შეემცნება ნამდვილად მეცნიერული სახით დაესაბუთებინათ. იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მარქსამდელი მატერიალისტები ადვილად შეემცნებინებდნენ შესაძლებლობას აფუძნებდნენ იმ სწორ ბუნებრივ ფაქტზე, რომ ადამიანი თავისი აზროვნებითურთ ბუნების ნაწარმოები და ნაწილია, ან, როგორც ფიერბახი სპინოზასებურად ამბობდა, „სინამდვილის კანონები არსებითად აგრეთვე აზროვნების კანონებიც არიან.“²⁾ ეს უმნიშვნელოვანესი დებულება საშუალებას იძლეოდა გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცათ აგნოსტიციზმისათვის და დაეცათ ასახვის თეორია, რომელიც პრინციპულად დამახასიათებელია ყოველი მატერიალიზმისა. მაგრამ მქვერცელობა და მეტაფიზიკურობა მარქსამდელ მატერიალიზმს იმის გზას უღობავდა, რომ გამოჩვეული ყოფილიყო აზროვნების ქმედითი, აქტიური ხასიათი.

ამის შედეგად იდეალიზმი არა თუ დაძლეული არ იყო, არამედ მას, როგორც მარქსი აღნიშნავს, კვლავ დამსახურებად ეთვლებოდა „მომქმედი მხარის“ განვითარება, უწინარეს ყოვლისა კი აზროვნების განვითარება. მაგრამ იდეალიზმს თავისი უმაღლესი ფორმითაც კი — ჰეგელის დიალექტიკური იდეალიზმის ფორმით, ჰეგელისა, რომელიც უწინარეს ყოვლისა მხედველობაში ჰყავს მარქსს, — ქმედით გრძნობადს მოქმედებად“ ესმოდა არა ადამიანის საზოგადოებრივი საწარმოო მოქმედება, არამედ წმინდა სულიერი მოქმედება, და ამიტომ ამ „ქმედითს მხარეს“ არასწორად, აბსტრაქტულად ანვითარებდა. ამიტომ იყო, რომ შეემცნებინებდა „ქმედითს მხარესაც“ ის ანვითარებდა არასწორად, აბსტრაქტულად, წარმოების მატერიალური პროცესისაგან მოწყვეტილად.

საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების აღიარება ადამიანის შეემცნების წარმოშობისა და განვითარების საფუძვლად წარმოადგენს დიალექტიკის, შეემცნების თეორიისა და ლოგიკის დამთხვევის მატერიალურ ბაზას დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფიაში. „...ხოლო დიალექტიკა, მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, — სწერდა ლენინი 1913 წელს თავის ცნობილ შრომაში „კ. მარქსი“, — შეიცავს იმას,

¹⁾ ე. ენგელსი — „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 165, 1941 წ., რუს. გამო.

²⁾ ლ. ფიერბახი — „მოხვედის ფილოსოფიის საფუძვლები“, § 45, გვ. 91, 1936 წ., რუს. გამო.

რასაც დღეს უწოდებენ შემეცნების თეორიას, ვნოსეოლოგიას, რომელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად. შეისწავლის და განაზოგადებს რა შემეცნების წარმოშობას და განვითარებას უკოლინარობიდან შემეცნებაზე გადასვლას.¹⁾

როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის დამთხვევიკ პრინციპია შემეცნების ისტორიული განხილვა. შემეცნების თეორიამ თავისი საგანი უნდა განიხილოს „თანაბრად ისტორიულად, შეისწავლის და განაზოგადებს რა შემეცნების წარმოშობას და განვითარებას, გადასვლას უკოლინარობიდან შემეცნებაზე“. ასეთ შემთხვევაში შემეცნების თეორია შედის დიალექტიკაში, რომელიც ყველა საგანსა და მოვლენას განიხილავს მათს განვითარებაში და რომლის საგანია ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის აზროვნების განვითარების ზოგადი კანონები. ეს შეეხება ლოგიკასაც, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს განზოგადებას შემეცნების ისტორიისას, რაც განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით. დიალექტიკური ლოგიკა, წინააღმდეგ ფორმალური ლოგიკისა, ლენინის აზრით, არის „მოძღვრება არა აზროვნების გარეგანი ფორმების შესახებ, არამედ ყველა მატერიალური, ბუნებრივი და სულიერი საგნების განვითარების კანონების შესახებ“, ე. ი. სამყაროს მთელი კონკრეტული შინაარსისა და მისი შემეცნების განვითარების შესახებ, ე. ი. ის არის შედეგი, ჯამი, დასკვნა სამყაროს შემეცნების ისტორიისა.“²⁾

დიალექტიკა, როგორც შემეცნების თეორია, იძლევა შემეცნების ისტორიული პროცესის თეორიულ (ლოგიკურ) ასახვას და განზოგადებას. ის გამოხატავს შემეცნების ისტორიის, ლოგიკის კვინტ-ესენციას, შედეგსა და დასკვნას. ამავე დროს ლოგიკური ასახვა სრულებით არ გულისხმობს შემეცნების ყველა პერიპეტივისა და ისტორიული პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღდგენას. ლოგიკური ერთიანია ისტორიულთან, მაგრამ მის იგვეობას არ წარმოადგენს. ლოგიკურისა და ისტორიულის გაიგვეება იდეალიზმია, როგორც ეს პეგელთან მტლავნდება. როგორც მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამო დაწერილ თავის რეცენზიაში ენგელსი აღნიშნავს,³⁾ ლოგიკურია ისტორიულის შესწორებული ასახვა. მაგრამ ეს „შესწორებული ასახვა“—და ამაშია მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა დედაარსი და განსხვავება იდეალისტ ჰეგელისაგან—კანონების შესაბამისად ხდება თვით ნამდვილი ისტორიული პროცესის მიერ. ლოგიკური მეთოდი იგვე ისტორიული მეთოდი, მაგრამ ისტორიის ზიგზაგებისა და შემთხვევითობათაგან განთავისუფლებული. ამის მეოხებით ლოგიკური მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნას საზოგადოებრივი მოვლენების კანონზომიერება თავისა წმინდა კლასიკური ფორმით. სწორედ ამაშია მისი უპირატესობა ისტორიული მეთოდის წინაშე.

შემეცნების ისტორიული განხილვა, რაც იმის საფუძველია, რომ შემეცნების თეორიაც და ლოგიკაც დიალექტიკაში შევიდნუ, მარქსთან და ენგელსთან მატერიალურ ზაიათს ატარებს. ის არის გამოხატულება მატერიალური პროცესის განვითარებისა, რომლის დროსაც ხდება შემეცნების განვითარე-

¹⁾ ლენინი: „მარქსი — ენგელსი — მარქსიზმი“, გვ. 16.

²⁾ ლენინი — ფილოსოფიური რეველუცი, გვ. 94, 1936 წ., რუს. ვამ.

³⁾ ე. მარქსი — რუსული ნაწერები, ტ. I, გვ. 338, 1940 წ.

ბა. ამიტომ, როგორც უკვე ითქვა, მატერიალური წარმოების ატარება შეადგენს დიალექტიკის, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის თანამართლებების მატერიალურ ბაზას. და ეს გარემოება მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას დიალექტიკას, შემეცნების თეორიისა და ლოგიკის ერთობლივს შენახვებ ანიჭებს პრინციპულად სხვა ხასიათს, ვიდრე ეს იყო ჰეგელის ფილოსოფიის, სადაც დიალექტიკა აგრეთვე შეიცავს შემეცნების თეორიას და ლოგიკას.

ჰეგელმა, პირველად მარქსამდე, მთელი სისრულითა და მოცულობით წარმოიდგინა შემეცნება, როგორც ისტორიული პროცესი. შემეცნების ამგვარი განხილვა, მიუხედავად მისი დამახინჯებული, იდეალისტური საფუძვლისა, ისეთ უდიდეს მეთოდურ უპირატესობას შეიცავდა, რომ ის, როგორც ენგელს ალნიშნავს, ჰეგელს შესაძლებლობას აძლევდა იოლად ვაეწყვიტა კავშირი შემეცნებისა და ლოგიკის ყველა ძველ მეტაფიზიკურ თეორიასთან, პირველ რიგში კანტთან, რომელმაც მეტაფიზიკის (როგორც ღმერთის, ადამიანის სულის უკვდავებისა და თავისუფლების და სხვათა შესახები მეცნიერების) გადარჩენისა და ახალი დასაბუთების მიზნით მოგვცა როგორც ადამიანის ცნობიერების, ასე მისი შემეცნების წყაროს, შემადგენლობის, ძალისა და საზღვრების ფართო კრიტიკა.

აქ დაწვრილებით არ შეგჩერდებით კანტის მეტაფიზიკის დახასიათებაზე, ოღონდ შევნიშნავთ, რომ მისა ახალი დასაბუთება კანტთან ეყრდნობა მის შემეცნების ანტი-დიალექტიკურ თეორიას. კანტი შემეცნებას იკვლევს ერთობ მეტაფიზიკურად (ანტი-დიალექტიკას აზრით) და დოგმატურად. მისი კრიტიციზმი, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, მიზნად ისახავს — შემეცნების მროცესის გარეთ დადგინოს ადამიანის შემეცნების უნარი და საზღვრები. ამის შესაბამისად კანტი თავის მთავარ ყურადღებას აქცევს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ცნობიერების აპრიორული ფორმების დადგენას. „აქ, — სწერს კანტი „წმინდა გონების კრიტიკაში“, — გამოკვლევის საგანია არა ნივთთა ბუნება, რომელიც დაუშრეტელია, არამედ განსჯა, რომელიც მსჯელობს ნივთთა ბუნებაზე და ისიც მხოლოდ მისი აპრიორული ცოდნის მზივით.“¹⁾ ეს აპრიორული ფორმები, რომლებმაც ეპოქალობთ გრძობადობაში დროისა და სივრცის სახით, განსჯაში — კატეგორიების სახით, გონებაში — იდეების სახით, შესაძლებელს ხდიან შემეცნებას, ცდას. აპრიორული ფორმები გრძობადობისა (დრო და სივრცე) და განსჯისა (კატეგორიები) შესაძლებელს ხდიან შემეცნების იმის მეოხებით, რომ ისანი გამოსაყენებლნი არიან არა მიმართ საგნებისა თავისთავად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ შეგონებების მიმართ, რომლებიც თუმცა წარმოშობილი არიან ობიექტურად არსებული თავისთავადი საგნების შემოქმედებით, მაგრამ არა-ეითარ შემთხვევაში და არაეითარი ზომით არ წარმოადგენენ მათი წარმომშობი ობიექტური საგნების ასახვას. შეგონებანი, როგორც ნაყოფი ობიექტურად არსებული თავისთავადი საგნების შემოქმედებისა, მოკლებულნი არიან ყოველგვარ გარკვეულობას და კავშირს; ისინი ქაოსურ მასას წარმოადგენენ. ისინი შემეცნების ხასიათს იძენენ მხოლოდ შემეცნების აპრიორული ფორმების მიერ მათი დამუშავების მეოხებათ.

გასაგებია, რომ ამგვარი გზით მიღებული შემეცნება არაფრით არ შეიძლება გარეგანი ობიექტური სამყაროს შემეცნება იყოს. ის გამოდის მხო-

¹⁾ კანტი — „წმინდა გონების კრიტიკა“, გვ. 37, რუს. გამ.

ლოდ, როგორც მოვლენათა სამყაროს შემეცნება. თუმცა სამყარო შეცნებისათვის თავისთავად წარმოშობს შეგრძნებებს და ამით მასალას აძლევს შემეცნებას, მაგრამ თავისთავად ის შეუცნობელი რჩება.

ამრიგად, ასახვის თეორიისაგან გადაპირით გამოიჯენა კანტის ფენომენოლოგიის შემცველ დუალიზმისა და აგნოსტიციზმის ზონიციებზე. ეს განსაზღვრავს აგრეთვე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის ერთმანეთისაგან მოწყვეტას და მათ ანიჭებს უაღრესად ანტი-ისტორიულ და ფორმალურ ხასიათს.

ჰეგელმა, წინააღმდეგ კანტისა, შემეცნება წარმოადგინა როგორც დიალექტიკური პროცესი, რომელიც ვითარდება. შემეცნება მისთვის არის არა რაღაც წინასწარ მოცემული და ამ თავისი მოცემულობით უცვლელი რამ, არამედ პროცესი, რომელიც ისტორიულად ვითარდება და დაბალი საფეხურიდან მაღალზე აღის. ამიტომ ჰეგელთან შემეცნების თეორია და ლოგიკა გამოდინან როგორც ამ პროცესის თეორიული განზოგადება. შემეცნების ისტორიას ხელახლა აღდგენა მისი აუცილებელი ფორმით, ჰეგელს აზრით, შემეცნების ქეშმარიტების საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. „საქმე მისი მიზნით არ ამოიწურება, — სწერს ჰეგელი „სულის ფენომენოლოგიაში“, — არამედ მის განზორციელებაშია. შედეგი არ არის უამდვილი მთელი, არამედ ასეთს იგი წარმოადგენს თავის ქმნადობასთან ერთად; მიზანი თავისთვის არის მკედარი საყოველთაო, ისე როგორც ტენდენცია არის უბრალო მისწრაფება, რომელიც ჯერ კიდევ მოკლებულია თავის სინამდვილეს და შიშველი შედეგი არის გვაში, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ტენდენცია“.¹⁾

ისტორიული განვითარების პრინციპი — აბსოლუტური იდეა, ჰეგელთან გამოდის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მოქმედების ერთიანობის სახით. „აბსოლუტური იდეა, — სწერს ის, — უწინარეს ყოვლისა არის ერთიანობა პრაქტიკული და თეორიული იდეებისა და, მაშასადამე, ამასთან ერთად, ერთიანობა სიცოცხლის იდეისა და შემეცნების იდეისა“.²⁾

აქედან გამომდინარე ჰეგელი მოითხოვს თეორიისა და პრაქტიკის შეერთებას და პრაქტიკა — მართალია, მის მიერ იდეალისტურად გაგებული — შეაქვს შემეცნების თეორიაში. „... უფკველია, პრაქტიკა, — აღნიშნავს ლენინი, — ჰეგელთან, როგორც რგოლი, შესულია შემეცნების პროცესის ანალიზში და სახელდობრ როგორც გადასვლა თბიექტურ („აბსოლუტურ“, ჰეგელის მიზნდევით) ქეშმარიტებაზე. მარქსი, მაშასადამე, უშუალოდ ჰეგელს ემხრობა, რაკი შემეცნების ისტორიაში შეაქვს პრაქტიკის კრიტერიუმი“.³⁾

ისტორიზმი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის აღიარება შემეცნების თეორიისათვის, ჰეგელთან განაპირობებს შემეცნებას თეორიის, ლოგიკისა და დიალექტიკის თანადამთხვევას. მაგრამ ეს ისტორიზმი დასაბუთებულ იქნა იდეალისტურად და ჰეგელის მთელ ფილოსოფიის ეს „პირველშობილ ცოდვა“ ძალიან ამცირებდა როგორც მის პრინციპს, ისე იქედან გამომდინარე დასკვნების ღირებულებას.

¹⁾ Hegel — *Phänomenologie des Geistes* Sämtliche Werke, Zweiter Band, S. 13. Stuttgart, 1932.

²⁾ ჰეგელი — „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია“, ნაწილი I, ლოგიკა. თბზ., ტ. I, გვ. 340, 1929 წ., რუს. გამ.

³⁾ ლენინი — ფილოსოფიური რეველუცი, გვ. 203, 1936 წ., რუს. გამ.

ჰეგელმა, როგორც აბსოლუტმა იდეალისტმა, მოახდინა ყოფიერებისა და აზროვნების გაიგივება აბსოლუტური, მისტიკური აზროვნების საფუძველზე. მისტიკური აბსოლუტური იდეა ჰეგელთან ერთდროულად გეგუდებს ყოფიერების პრინციპსაც და შემეცნების პრინციპსაც. ობიექტს და სუბიექტს აბსოლუტური იდეის შემოქმედება და მათ შორის ურთიერთობა არის აბსოლუტური იდეის, თავისი საკუთარი არსის, როგორც მთელი სინამდვილის შემოქმედის, თვითშემეცნების პროცესი. ამით განისაზღვრება ჰეგელთან ვარეგანი სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა.

თუ კანტთან აგნოსტიციზმი ემყარება შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთისაგან აბსოლუტურ მოწყვეტილობას და მათ მეტაფიზიკურ დაპირისპირებას, ჰეგელი, კანტის საწინააღმდეგოდ, ადეკვატური შემეცნების შესაძლებლობას ასაბუთებს აბსოლუტური იდეალიზმის ბაზაზე — აბსოლუტური აზროვნების საფუძველზე ყოფიერების აზროვნებასთან გაიგივების პრინციპით. ამიტომ გასაგებია, რომ რაც უნდა ძლიერი და ისტორიულად ნაყოფიერიც არ ყოფილიყო ჰეგელის მიერ კანტის აგნოსტიციზმის კრიტიკა, ეს უკანასკნელი მაინც ვერ იქნებოდა მთლიანად თანმიმდევრული და საბოლოო.

ჰეგელი, რომელმაც აბსოლუტური აზროვნების ნიადაგზე მოახდინა ყოფიერების გაიგივება აზროვნებასთან, აიგივებს ისტორიულსა და ლოგიკურს და ამას სწადის ისევე და ისევე ლოგიკურის საფუძველზე ნამდვილად კი ლოგიკური, როგორც უკვე ითქვა, ერთი ანთა ისტორიულთან, მაგრამ იგივეობითი არ არის. როგორც ამის შედეგს, ჰეგელი ბუნებრივ და ისტორიულ მოვლენებს აგებს მისტიკური აბსოლუტური იდეის მსგავსად, ზოლო ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოვლენები პირდაპირ წინააღმდეგობაში არიან მის მიერ წინასწარ ამოჩემებულ სქემის მიმართ, ის არც მათ ძალდატანებით „მოშინაფრებას“ ერიდება და ამ მიზნით სხვადასხვა ბუნდოვან სოფიზმებს მიმართავს. „სწორედ აქედან გამომდინარეობს, მთელი ნაჯახირევი და სწორად საშინელი კონსტრუქცია: სამყარო — სურდა თუ არა მას — უნდა შეეფარდოს ლოგიკურ სისტემას, რომელიც თვითონ არის მხოლოდ ადამიანის აზროვნების განვითარების განსაზღვრული საფეხურის პროლუტა“.)

ამასთან ერთად ყოფიერებისა და აზროვნების იდეალისტურ გაიგივებას არ შეიძლება არ გამოეწვია შემეცნების, როგორც პროცესის, მოხსნა, რადგან ყოფიერების გათქვეფით აბსოლუტურ აზროვნებაში, ხდებოდა მათ შორის არსებულ რეალურ წინააღმდეგობათა არა გადაჭრა, არამედ უბრალო მოხსნა. ეს შემეცნებას აერთვედა თავის შინაგან წინააღმდეგობას და ზღვარს ეღებდა მის განვითარებას. როგორც ცნობილია, ჰეგელის სისტემაში ეს ასევე მოხდა: ამ სისტემაში, მას შემდეგ, რაც აბსოლუტურმა იდეამ, რომლის შინაგან რიტმსაც დიალექტიკა წარმოადგენს, მის მიერ განვლილი გზის მეოთხებით შეიცნო და შეგნებულად განამტკიცა თავისი თავი, როგორც მთელი სინამდვილის შემოქმედმა, დიალექტიკა, განვითარება უკვე ჰკარგავდენ მიზანს და საფუძველს და საკრთოდ მათი აღსასრული ღება. ჰეგელთან დიალექტიკა ვრცელდება თვითშემეცნებამდე და თვითგანმტკიცებამდე აბსოლუტური იდეისა, როგორც სინამდვილის არსისა და დემიურგისა.

*) ფ. ინგელი — „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 40, რუს. ვამ.

ამიტომ ჰეგელის აბსოლუტური სულის სისტემაში დიალექტიკა მიმართულია წარსულისაკენ. ის მომავლისაკენ არ განივრცობა, რადგან მისი მატარებელი—აბსოლუტური იდეა—ვითარდება არა უსასრულოდ, არამედ მანამდე, სანამ ის თვით შეიცნობდეს თავის თავს, როგორც მთელი ყოველფერადობის, ხოლო ეს ხდება არა სადმე შორეულ მომავალში, არამედ ახლავე სისტემაში. ამრიგად, ჰეგელის იდეალისტური სისტემა ახდენს დიალექტიკის ძიხსნას მისი იდეალისტური ფორმიდან. ჰეგელმა, რომელმაც კატეგორიულად გამოაცხადა, რომ დიალექტიკა „არის საერთოდ ყოველგვარი შიშობის, ყოველგვარი სიცოცხლისა და სინამდვილეში მიმდინარე ყოველგვარი საქმიანობის პრინციპი“¹⁾ და ის „ვლინდება ბუნებისა და სულის სამყაროს ყველა კერძო სფეროში და წარმონაქმნში“²⁾ არანაკლები კატეგორიული ფორმით გამოაცხადა ყოველგვარი განვითარების, ყოველგვარი დიალექტიკის დასასრული და, როგორც ამის პირდაპირი შედეგი, ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ის პოლიციურ-ბიუროკრატიული პრუსიული მონარქია სახელმწიფოებრიობის უკანასკნელ და ყველაზე გონივრულ ფორმად აღიარა. მაგრამ ეს იყო ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიულ სისტემასა და რევოლუციურ მეთოდს შორის არსებული შეუთავსებელი წინააღმდეგობის მკაფიო მაჩვენებელი.

დიდი რუსი მოაზროვნე და მატერიალისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ გონებაშეზღუდული და აპათური ადამიანები გერმანიაში მუდამ ებღაუჭებოდნენ ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციულ, მკვდარ მხარეებს და უკუაგდებდნენ მის ცოცხალ სულს—დიალექტიკას, რომელსაც ჩერნიშევსკის დიდმა წინამორბედმა გერცენმა „რევოლუციის ალგებრა“ უწოდა.

მაგრამ თანამედროვე ფილოსოფიის ფარგის შიტლერელებმა თავიანთი გონებაჩლუნგობითა და აპათიურობით ბევრად გაუსწრეს თავიანთ შეზღუდულ და აპათურ წინაპრებს. ამ გონებაჩლუნგი და ბინძური „ყოჩაღი ბიჭების“ უდიდესი უმრავლესობა დიდ ფილოსოფოსს კრიმინალურ ბრალდებებს უყენებს მარქსიზმთან მისი ისტორიული კავშირისათვის და მას ანათემას უთვლის. ასე, მაგალითად, ფაშინშის ერთ-ერთი ფილოსოფიური მარბევალი კ. შმიდტი ჯერ კიდევ 1933 წელს სთათხავედა ჰეგელს იმის გამო, რომ „ჰეგელი კარლ მარქსის საშუალებით შემკვიდრებლად გადაეცა ლენინს და მოსკოვს გადაბარდა“³⁾ იმ დღე, როდესაც შიტლერისა და გერინგის ხელით რეისტრაცს ცეცხლი წაუქიდეს, ამ „სულიერმა“ მოიერიშემ შესძახა: „დღეს საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ: ჰეგელი მოკვდა! შმიდტს ბანს აძლევს მეორე ფრიცი ფილოსოფიიდან—ფრიცი ჰაზე. „პოლიტიკოსმა ის (ჰეგელი) უნდა უარაყოს მარტო იმ ფაქტის გამო, რომ ის გამოყენებულია მარქსიზმში“, — ქუჟას არიგებს ის თავის შრომაში ფ. ნიცშეს შესახებ.

ეს ფრიცი სახელითაც და ფრიცი ფილოსოფიიდანაც იბრძვის ჰეგელზე შეშლილი ფ. ნიცშეს ფილოსოფიის „აღორძინებისათვის“, „სწორედ ჰეგელის საპირდაპიროდ“⁴⁾

¹⁾ ჰეგელი — ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, ნაწილი I, ლოგიკა, თხზ., ტ. I, გვ. 135, 1929 წ., რუს. გამო.

²⁾ იქვე, გვ. 138.

³⁾ მოგვიყავს კრებულიდან: „ფაშისტური ბნელეთისმოციქულობისა და დემაგოგიის წინააღმდეგ“, გვ. 257, მოსკოვი, 1936 წ.

მაგრამ ამ ურა ზეპრეების გარდა, გონებრივიდაც კოკლი „ინტელექტორის“ გებელსის უწყებაში კიდევ სხედან, ასე ვთქვათ, უფრო „თავაზობით“ შეყენები. ისინი უფრო გაქნილნი არიან, თუმცა არანაკლები სიტლისებით ხასიათდებიან. ისინი უღიღესი ფალსიფიკატორები არიან. მათსავე უკველის საქვეყნო სახელს ექსპლოატაცია გაუწიონ, გამოიყენონ „სისტემაში“ შევბენელი და სისხლიანი საქმეებისათვის, და ამიტომ გაუგონრად აზვიადებენ ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციულ მხარეებს და მთელი მისი ფალსოფიის ყველაზე თავხედური ფალსიფიკაციის გზით აქცევენ მას თავის წინააღმდეგობად.

პიტლერელებისათვის, ამ თანამედროვე კაცობრივებისათვის, ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარეებიც კი, რომლებიც, როგორც მარქსმა და ენგელსმა მთელი სიცხადით გამოამჟღავნეს, მაშინდელი ფეოდალური გერმანიის მოღუნებულობისა და ჩამორჩენილობის გამოსატულებას წარმოადგენდნენ, მეტად რაციონალური, პროგრესული, დემოკრატიული და ლიბერალური და ამიტომ თავისი უშუალო ფორმით მიუღებელი აღმოჩნდნენ. ხოლო ჰეგელის პროგრესულ იდეებზე, რომლებიც მაშინდელი ევროპის, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის რევოლუციის მოწინავე იდეების გამოსატულებას წარმოადგენდნენ, ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.¹⁾

რასაკვირველია, პიტლერელები, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ ჰეგელის ფილოსოფია რამენაირად დაუკავშირონ თავიანთ რასიულ თეორიას, რაც მთელი მათი კაცობრიობის იდეოლოგიის თავი და ბოლოა. ამ მიზნით ისინი

¹⁾ მოგვყავს ან. ბიხოვსკის წერილიდან: „ნიცშე და ფაშისმი“, ჟურნ. „პოდ ზნემენი მარკსიზმა“, № 8—9, გვ. 113, 1942 წ.

²⁾ რამდენიც არ უნდა დამიღონ ფაშისტებმა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დემოკრატიული იდეების გავლენა ჰეგელზე, ეს გავლენა მინც საყოველთაოდ ცნობილია, ისევე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია რუსოს გავლენა კანტზე. ჰეგელი, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში განიცადა საფრანგეთის რევოლუციის განმთავისუფლებელი იდეების ძლიერი გავლენა, მუდამ უღიღესი შთაგონებითა და ენტუზიაზმით ლაპარაკობდა ამ რევოლუციის შესახებ. „მის შემდეგ, რაც მზე ცაზე და პლანეტები მის გარშემო ბრუნდნენ, — სწორდა ჰეგელი თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“, — არ ნახულია, რომ აღმავანი თავდაყირა დამღვარიყოს, ე. ი. თავის პირებს დაყრდნობოდეს და სინამდვილე მის შესაბამისად იეგოს. ანაჟაგორემ პირველმა სთქვა, რომ ჯონება მართავს სამყაროს, მაგრამ მხოლოდ იხლა აღიარა აუმიანიში, რომ იხრა უნდა მართავდეს სულიერ სინამდვილეს. ამ რიგად, ეს იყო საუცხოო მზის ამოსვლა. ყველა მოაზროვნე არსება დღესასწაულადა ამ ეპოქის“ (იხ. ტ. VIII, გვ. 413—414). ცოტა ზემოთ, სადაც ხაზს უსვამს ფილოსოფიის კავშირს რევოლუციისთან, ჰეგელი სწერს: „ამასაღამე, არ უნდა ვთავაზოთ იმის წინააღმდეგ, რომ რევოლუციამ პირველი იმპულსი ფილოსოფიისგან მიიღო“ (იქვე, გვ. 413).

საინტერესოა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ ჰეგელის მიერ გამოთქმულ ამ იხრს შეედაროთ თვით ფაშისტური ბანდის მეთაურების „იხრები“. ეს შედარება გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავდებიან გერმანიის ამ თანამედროვე ავან-გადანების შეხედულებანი ჰეგელის შეხედულებათაგან და რა უსუსური ბიროტებით უტყვრიან ისინი საფრანგეთის რევოლუციას, კაცობრიობას ისტორიის ამ ერთ-ერთ უღიღეს პროგრესულ მოკლენას.

დავიწყოთ თვით პიტლერისაგან. „არ შეიძლება ვიფიქროთ, — სწერს ის თავის „ჩემს ბრძოლაში“, — რომ საფრანგეთის რევოლუცია ოდესმე განხორციელდებოდა ფილოსოფიური თეორიების მეშვეობით. მას რომ არ ეპოვნა დიდი სტილის დენაგოების ხელშეწყობილობით მომჭირე წამქეზებელთა არმიები, რომლებიც გატარებული ხალხის ენებებს მანამდე აღვიგებდნენ, სანამ სახარლად არ ამოხეტია ვულკანში, რომელმაც მთელი ევროპა შიშისგან გააშტერა“ („ჩემი ბრძოლა“, გვ. 532. მოგვყავს ა. ზილბერფარბის წერილიდან, ჟურნ. „ისტორიკ-მარკსისტ“, № 3, გვ. 86, 1939 წ.).

ცდილობენ ჰეგელის კონცეპცია მსოფლიო ისტორიის გერმანულ სამეფოს განსაკუთრებული მისიას შესახებ წარმოადგინონ როგორც რასაწარმოებელი თეორია, როგორც ჩრდილოეთის არაული სისხლის უპირატესობის და მისი განსაკუთრებული როლის დამამტკიცებელი საბუთი.

ჰეგელის კონცეპცია გერმანული სამეფოს განსაკუთრებული მისიის შესახებ შემცდარი და რეაქციულია, მაგრამ მინც ყოველ შემთხვევაში მისი გაიგივება ჰიტლერის მისი კაცთმოძღვრობის რასიულ თეორიასთან.

უწინარეს ყოვლისა, აბსოლუტურ იდეას, რომელსაც ჰეგელი მთელი სინამდვილას დემიურგად აღიარებს, არაერთი ბიოლოგიური და ანთროპოლოგიური ნიშნები არ გააჩნია. მას, ჰეგელის მიხედვით, ახასიათებს ზეადამიანური ზეკვეყნიური ყოფიერება და ის არაფრით არ არის დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმის პირადულ ნიშნებთან და თვისებებთან. ხოლო ჰიტლერული რასიზმი, როგორც ცნობილია, მთლიანად ბიოლოგიასა და ანთროპოლოგიას ეყრდნობა.

შემდეგ, ეს აბსოლუტური იდეა ჰეგელთან ჰქმნის მსოფლიო ისტორიას, როგორც კანონზომიერ და პროგრესიულ პროცესს. „მსოფლიო ისტორია, — სწერს ჰეგელი, — პროგრესია თავისუფლების შეგნებაში, პროგრესი, რომელიც ჩვენ უნდა შევიცნოთ მის აუცილებლობაში.“) ჰქმნის რა ამ ისტორიას, ის რიგრიგობით განსხეულებდა სხვადასხვა ისტორიულ ხალხებში, რომელთაგან თითოეული გამოხატავს განსაზღვრულ საფეხურს თავისუფლების ცნების განვითარებაში, და თავისი ამ მისიის შესრულების შემდეგ ადგილს უთმობს მეორე, შემდგომ ხალხს. ამიტომ თითოეული ისტორიული ხალხი მსოფლიო სულის ორგანოა და მის საერთო მიზანს ემსახურება.

მართალია ის, რომ ასეთ მსოფლიო-ისტორიულ სამეფოებად ჰეგელს მთელ მსოფლიო ისტორიაში მიაჩნია მხოლოდ ბერძნული, რომაული და გერმანული სამეფოები და აქ ის ამქდაუნებს მსოფლიო ისტორიის თავისი სქემისა შეზღუდულ, ხელოვნურ და რეაქციულ ხასიათს. ეს რეაქციულობა უფრო ძლიერ გეცემათ თვალში მაშინ, როდესაც ჰეგელი განსაკუთრებით აზვიადებს გერმანული სამეფოს მისიას, სამეფოსი, რომელიც თითქოს მოწოდებულია განახორციელოს თავისუფლება დედამიწაზე. თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად გერმანული ხალხის მიერ ეს „თავისუფლების განხორციელება დედამიწაზე“ თვით ჰეგელთან, ეს ჩვენ ვნახეთ ზემოთ, როდესაც აღვნიშნეთ, რომ ჰეგელმა ფრიდრიხ-ვილჰელმ მესამას პოლიტიურ-ბიუროკრატიული მონარქია სახელმწიფოებრიობის უკანასკნელ და გონიერულ ფორმად გამოაცხადა. მაგრამ როდესაც ჰიტლერულეზე ვლადარაკობთ, უნდა ეთქვას, რომ მათ მხოლოდ და განსაკუთრებით ჩრდილოეთ-აღმოსავლური სისხლი მიაჩნიათ

„დიდროის“ აზრებს ლეკავს „თეორეტიკოსი“ როზენბერგი, რომელიც თავის წიგნში „XX საუკუნის მითი“ საფრანგეთის რევოლუციის უწოდებს „შინაგანად უნაყოფის“ და „ხასიათის უქონლობას“. ამ გაიდერას აზრით, საფრანგეთის რევოლუციამ ალაფრთოვანა არა გენიოსები, არამედ მხოლოდ „გაცოფებული მეშინებე, შელიდური დემაგოგები და პოლიტიკური ბრძოლის ველების ის აფორები, რომლებიც დაცემულია ქონებას სძარცვივენ“ („XX საუკუნის მითი“, გვ. 100. მოგვეყვას ზემოაღნიშნულ წერილიდან, გვ. 83).

განა ცხადი არ არის, რომ როზენბერგის ამ მტკიცების მისიედიო, „გაცოფებული მეშინების და შელიდური დემაგოგების“ წყებაში ექცევიან არა ჰიტლერები და როზენბერგები, არამედ... ჰეგელი და მასთან ერთად კანტი და ბეთხოფენი. კემსარბტად აქ შელიდური დემაგოგია და გაცოფებული მეშინობა მართლაც აღწევს თავის მწვერვალს.

) ჰეგელი — „ისტორიის ფილოსოფია“, თბზ., ტ. VIII, გვ. 19, 1935 წ., რუს. გამ.

მთელი კულტურისა და ისტორიის, როგორც დაწერილის, ისე დაუწერელი ისტორიის ერთადერთ შემომქმედად. ისინი არ აღიარებენ ურცხვობას/სხვა ხალხის არაერთარ ღირებულებას და ისტორიულ მნიშვნელობას, თუნდაც საკმე შეეხებოდეს ერთობ მცირეოდენ ზალხებსაც კი. საერთოდ უფროის ისტორიის სუბიექტს წარმოადგენენ არა ხალხი, არა ის ხალხებიც კი, რომელთა ძარღვებში „საუცხოო“ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი სისხლი სჩქეფა, არამედ „დიდი პროვინციანი“, „ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი“ მხოლოდ ამ უკანასკნელთა აქეთ ღირებულება და ისინი ჰქმნიან ისტორიასო. ამას უნდა დავუერთოთ, რომ ჰიტლერელებს, წინააღმდეგ ჰეგელისა, ისტორიული პროცესი სრულდება არ მიაჩნიათ გონივრულად კანონზომიერ და პროგრესიულ პროცესად. მათ ის მიაჩნიათ ირაციონალურ პროცესად, რომელსაც განსაზღვრავს არა გონივრული კანონები, არამედ „სისხლის ინსტინქტი“. ამასთან, ჰეგელის მიერ ირაციონალზმისა და ინტუიტიზმის მეტად მკაცრი და ღრმა კრიტიკის დავიწყებასთან ერთად, ჰიტლერელები ივიწყებენ მის შენიშვნებს „სულის ფენომენოლოგიაში“ იმის შესახებ, რომ ის, ვინც თავის ქალითა და ძვლით არგუმენტაციას მიმართავს, მხოლოდ იმის ღირსია, რომ მას თავში ჩაარტყან.

როგორც ცნობილია, თავის მხეცურ რასთულ თეორიის ჰიტლერელები იყენებენ სხვა ეროვნებების ზალხთა უმრავლესობის აშკარა ფიზიკური განდგურების გასამართლებლად, პირველ რიგში კი სლავებისა და მათი ყველაზე უფრო მძლავრი წარმომადგენლების — რუსების განდგურების გასამართლებლად და გერმანელი კაპიტალისტებისა და ბარონების სავრთაშორისო ბატონობის დასამყარებლად. ჰეგელი, მიუხედავად გერმანიის სახელმწიფოს განსაკუთრებულ ისტორიულ მისიხე თავისი შემცდარი და რეაქციული შეხედულებისა, ამ მხეცური და გიჟური გეგმებზდან ძალიან შორს იდგა. ის სრულბიდაც არ უარყოფდა სხვა ხალხთა მნიშვნელობას, ხოლო რუსების მიმართ არა თუ მათ ფიზიკურ განდგურებას მოითხოვდა, არამედ მათ უდიდეს მომავალს წინასწარმეტყველებდა. აი რას სწერდა ჰეგელი 1821 წლის 28 ნოემბერს რუს მემამულეს და რუსეთის გეარდიის როტმისტრს ბორის ისეულს: „თქვენ ბედნიერი ხართ იმით, რომ გაქვთ სამშობლო, რომელსაც ესოდენ უდიდესი ადგილი უჭირავს მსოფლიო ისტორიაში, სამშობლო, რომელსაც, უმკველია, გაცილებით უფრო მაღალი დანიშნულება მოელის (eine noch viel höhere Bestimmung). სხვა თანამედროვე სახელმწიფოებმა თითქოს უკვე ცოტად თუ ბევრად მიადწიეს თავისი განვითარების მიზანს; შესაძლოა ზოგი მათგანის კულმინაციური პუნქტი უკვე უკან იყოს, და მათმა ფორმამ უკვე მუდმივი ხასიათი შეიძინა, მაშინ, როდესაც რუსეთი, რომელიც უკვე თითქმის ყველაზე მძლავრი ძალაა დანარჩენ სახელმწიფოთა შორის, თავის წიაღში შეიცავს თავისი ინტენსიური ბუნების განვითარების განუსაზღვრულ შესაძლებლობას (eine ungeheuere Möglichkeit von Entwicklung seiner intensiven Natur)“.¹⁾

(დასასრული იქნება)

¹⁾ K. Rosenkranz, Hegels Leben, Berlin, 1844, გვ. 302. ციტ. გ. ასპულის ბროშ. „Фальшивая фальсификация классической немецкой философии“, გვ. 45, 1942 წ.

პროფ. ალ. ბარამიძე — პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივ-ის ბაზმობაში, 1942 წ.

პროფ. ალ. ბარამიძის წიგნი „პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში“ ეხება ქართული ლიტერატურის ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს, კერძოდ XVI — XVIII საუკუნეებს. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ამ პერიოდში მსატკრულ ლიტერატურას თავისებური გეზი მისცა, განსაკუთრებით გააღრმავა მან პატრიოტული სულისკვეთება. წიგნის ავტორის მიზანია გააცნოს ჩვენს თანამედროვე საბჭოთა მკითხველს ძველი ქართული პოეზიის წმინდა ტრადიცია მამულის მხურვალე სიყვარულით.

ნარკვევის ავტორს პირველ რიგში გაურჩევია „როსტომიანი“. მიუხედავად მისი ფაბულის უცხოური წარმოშობისა, ეს ძეგლი კარგად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ სოციალურ-აღმშრდებლობის ფუნქციას: აღრმავებდა პატრიოტულ გრძნობას და თავისი საგმირო მორალით ხელს უწყობდა ჩვენში „სიმშინისა და ახოვანისა სულის განღვივებას“.

„როსტომიანი“ ქართული რედაქციის პირველ ავტორს, XV — XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეს სერაპიონ კარდელაურს განსაკუთრებული ევგაყური თვისებებით დაუსტატეს გმირი როსტომი, რომელმაც თავისი გამჭირიხი გონება, საარაკო ფიზიკური და მორალური ძალა მსხვერპლად მიუტანა ქვეყნის სამსახურს.

წიგნის ავტორი ფართოდ გვიხატავს XVII საუკუნის სურათს საქართველოში. ისტორიკოს ვახუშტის თქმით, შაჰ-აბაზი ისე „განძვინდა, ვითარცა ვეშაპი“, მან მთელი ჩვენი ქვეყანა „მოსრნა, მოსტყვევნა, აძვარნა და მოაოხრნა“. შაჰ-აბაზის დროის უცუღმართობა თავითაც განიცადა და შესწინაშავი ლექსით გადმოვეცა პოეტმა მეფემ თეიმურაზმა (1589 — 1663). თუმცა მან დიდი მსხვერპლი გაიღო, მაინც ვერაფრითაზმა განსაყდელმა ვერ ვასტება, მტერს არ დანებდა, დაეცა. მაგრამ ბრძოლა მაინც განაგრძო. თეიმურაზმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შეინარჩუნა მებრძოლი სული და თავის ხალხს მტრისადმი შეურიგებელ სსტიკ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ნარკვევში ფართოდაა დახასიათებული არჩილის (1647 — 1713) დრმა და ძლიერი პატრიოტიზმი. არჩილმა განამტკიცა ჩვენი რეალიზმი და უცხოური ზეგავლენით „ნაზღაპარს“ დაუპირისპირა ქართული, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა. არჩილი საქართველოს სინამდვილეში ეძებდა გმირებს. პოეტმა პოვა ასეთი გმირი: გამოჩენილი მხედართმთავარი, ევგაყი და გაუტყნები დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. გიორგიმ დასაძო საყვარელი შვილი პაატა. ევგაყური ფიციტ გასწირა იგი, რომ სამშობლოსათვის ელავ დიდება მოეპოვებინა. გმირულმა სულმა სძლია ყველაფერს. მაგრამ შენავანმა უთანხმოებამ გამოუღლია შალა სამშობლოს, ხოლო მტერს კადნიერება შემატა.

ბოლოს სამშობლოსა და პირადი უბედურებით ვანაწამები პოეტი გულმოკლულად იშობდა:

„თუ კაცა მიხვედეს გრძლად ყოფნა უცხოთ თქმა და მიწენსა,
შარბათიკ ჰჭონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწებნა“.

სარკვევში წიგნში დახასიათებულია აგრეთვე „დიდმოურავიანი“. მისი ავტორი იოსებ სააკაძე — ტფილელი „ნათესავ-მოღვმა-გვარ-ტომი“ იყო სააკაძიანთ გვარისა, ამიტომ დიდი პოეტური უშუალობით გვიხატავს იგი გმირის სახეს. ნარკვევში მშვენიერად არის წარმოდგენილი სააკაძე, როგორც ერთნული გმირი, ბრძოლის გენია, კედმოუხბრელი, მტრების რისხვა და მოყვარის მასწალო.

ნარკვევის ამ ნაწილში ავტორი ეხება საქართველოს იმ დროინდელ პოლიტიკურ ვითარებას და ფართოდ იხასიათებს ფეოდალიზმის შინაგან წინაღმდეგობათა დაუსრულებელ რკალს, რაც ზღუდავდა სააკაძის მხედართმთავრულ ნიჭსა და უნარს. ავტორის აზრით, „საკაძე უღრმოოდ ვაწნდა, XVII საუკუნე ვიწრო აღმოჩნდა მოურავისთვის, მეს ვერ ვაუგეს, ის არ იწამეს“. ი. ტელიელმა დაგვიხატა დიდი სახე თავგანწირული პატრიოტიკისა. ეს სახე ხიბლავს შთამომავლობას და უფრო მეტად გვაყვარებს მამულს, სამშობლოს.

წიგნში განხილულია აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანი (1656 — 1725), როგორც პატრიოტ მწერალი. მისი იდეალი იყო სამშობლოს კეთილდღეობა. „ჩემს უკან ღმერთმა ქნას, — სწერდა ის, — ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“—ო.

ეგორი იხილავს „ქილილა და დამანას“ ლექსებს. იგი აღმოსავლეთის მწამლს წარმოადგენს, მაგრამ დრო და დრო მას ემატებოდნენ სხვადასხვა ხაზებს. სულხან-საბა ორბელიანმა ქართულად სრულყო უკვედგი წიგნის ბრწყინვალე ტექსტს. შეკლევარი ამბებიებს ყრბალებს ამ ნაწარმოებში იმ ადგილზე, სადაც პატრიოტული მოტივები მსაფრად არიან მოცემული.

ნარკვევი ნაწევრებია XVIII საუკუნის ვითარება. ქვეყანამ ვერ დაიბა წყლულები. გაიხდნენ სწორი ორიენტაციის მომხრენი, — ეს იყო ჩრდილოეთის ძლევამოსილი და ერთ-მორწმუნე როსეთის ხალხისკენ მიმავალი გზა. ქართველობა იმედით შეჰყურებდა დიდი მოსკოვის შესასრულე წინსვლას. მაგრამ სანამ რუსი ხალხი დახმარებას აღმოაჩენდა ქართველობას, აღმოსავლეთიდან მტრები მუსრს ავლებენ ჩვენს ქვეყანას.

ამ დროს საქართველო გამოასახა თავის შესანიშნავ ლექსებში დ. გურამიშვილმა. წიგნში დახასიათებულია პოეტის გულწრფელი პატრიოტული ლირიკა. ვერავმა მტერმა გაანადგურა კულტურის კერები. გამოკეტა ეკლესიები და მონასტრები, სკოლები და წიგნთსაცავები:

„ჩემსა ყრობაში

სულ გარს მტრად გეადგა თურქ-ყიზილბაში,

მით იკლო სწავლამს. ჩვენში ღღერა დაღვამა

წიგნი წარსტყვევნისა!

დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,

ჩემის დროს ყრმანი უზერთელ-უცები“.

წიგნში მოთხრობილია გურამიშვილის დეტყვეება, რუსეთს გადასვლა, სამხედრო ნაწილში ჩარიცხვა, შორეული ევროპული ფრონტები, მაგდერბურგის ციხეში ტყვეობა და სხვა.

ნარკვევი წარმოდგენილია აგრეთვე ენატანგ მეიქვეს — ქვეყნის ტირისფალი, განსწავლული, პირდაპირი, მტკიცე ადამიანი. ეგორი მას ახასიათებს დ. გურამიშვილის ლექსებით. იქვე იხილავს იგი იმ ემიგრანტულ წრეს, რომელიც ენატანგმა შექმნა რუსეთში. ემიგრანტი პოეტების ძირითად სამოტივო კილოს პატრიოტული კოლო შეადგენდა. აქვე განხილული არიან ემიგრანტ პოეტების ტიპური წარმომადგენლები: მამუკა ბარათაშვილი და ლიპიტრი სააკაძე. პოეტი და პოეტიკის ფუძემდებელი საქართველოში მამუკა ბარათაშვილი თავის „ქაშიკ“—ში მწერლებს განუახლებრავდა მხატვრული ნაწარმოების პრაქტიკულ ამოცანებს: „ან ვაი იგაებთ მოიყვანე და იმაზე თქვი, ან ვაი სწავლის ამბებით კი ამბები გაღებ; ან ომებსა და ფალანგებს ამბავზედ თქვი, იმისთვის, რომ კაცს გააგულაოენებს, ომს შიანდომებს და იარაღის ხმარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტრზე გაოსაყენებელია“. ცხადია, ძველად „რჯულისა“ და „მეფისთვის“ ერთგული სამსახური იმავე დროს ქვეყნის სამსახურს ნიშნავდა.

წიგნის ბოლოში განხილულია ბესარიონ გაბაშვილის (1751 — 1791) შემოქმედების პატრიოტული მოტივი: ბესიკი ფრიად დიდი პატივისცემელია ორი მამულისშვილის — დავით სარდლის (ორბელიანის) და ლევან პატრიონიშვილისა. პირველმა უწვეულო ვეჯაკობა გამოიჩინა ასპინძის ომში, ხოლო მეორე, დიდი სამხედრო ნიჭის პატრონი, მამაკი და გულადი მეომარი, სახელგანთი მამის ღირსეული თანამებრძოლი იყო.

საერთოდ ამ ნარკვევის მიზანია აგრძნობინოს ჩვენს თანამედროვე მკითხველს ქართული პოეზიის ტრადიციის მამულისადმი უმწიკველი სიყვარულისა. ამ შრიც წიგნი მეტად მნიშვნელოვანია.

ალავალავ აეტორე, როგორც სტილის, ისე ენის მხრივ მოიკოკლებს. უბერული გამოთქმები, მაგალითად: „ღედანის პრიონიკული ნაჭუქიდან“, „მხატვრული სიტყვის მუჭა-ტრანდიან დანათის მკითხველს“ და სხვა.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, წიგნი სიყვარულია არის დაწერილი. იგი სათანადო სამსახურს გაუწევს ჩვენს მკითხველს. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი კ. კეკელიძე.

დავ. შამათია.

ალ. ჰეიზვილი — „მშობლიური ხმა“.

„ფედერაცია“, 1942 წ.

გერმანული
ბიბლიოთეკა

მოთხრობების ის ციკლი, რომელიც ალ. ჰეიზვილის თავის პატარა კრებულში — „მშობლიური ხმაში“ — შეუტანია, უმოთხრესად ეხება პიტერის ბარბაროსული არმიის ოფიცრებისა და სალდათების ცხოვრებას. მწერალი ცდილობს გვიჩვენოს ამ არმიის ცალკე წარმომადგენლებს მხეცური სახეები, გვიჩვენოს მათი სულიერი საღატაკე და უსასტიკესი სიმკაცრე, რომლითაც ისინი ეპურობიან ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას. ამასთან ერთად ავტორს უტყვია გადმოცემა იმ არაგერმანული სალდათების ჩაგვრა და უმწუკრადგომარეობა, რომელნიც იძულებით გაურტყიან თავიანთ ჯარში გერმანულ ფანატებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა ვერ შეძლო ამ თემატიკის სრულყოფილად დადგენა ამ პატარა მოთხრობებში, რომელთა მოცულობა ჩვეულებისამებრ ერთ საგანეთო ფელეტონს, არ ღვებატება, ვერ შეხედვებით ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, ვერც ფაქტისა თუ მოკლების სრულყოფილ განმარტებას და ყოველმხრივ ამოხსნას. მოთხრობის თქმად უმოთხრესად ხდება შემთხვევა, ხოლო ნაწარმოების პირობად — ლიტერატურული ზეგბი. მხატვრული თვალსაზრისით ალ. ჰეიზვილის ეს მოთხრობები, რომელნიც დაწერილი არიან ამავე ავტორის ვრცელი რომანის „ლელოს“ შემდეგ, წინსვლას არ წარმოადგენენ. უფრო მეტი შეიძლება ითქვას, რომ ეს მოთხრობები არა დგანან ხსენებული რომანის მხატვრულ დონეზე. შეიძლება ეს იმას ბრალიც იყოს, რომ ავტორი სარეცენზიო კრებულში ეხება უცხო ქვეყნის, უცხო ადამიანების ყოფას, ფსიქოლოგიას, ამიტომაც წიგნში სტემატიზმის კვალიც მოსხანს.

იმ ნაკლთავან, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ (სტემატიზმი, ამის შემთხვევითი ხასიათი), ნაწილობრივ თავისუფალია „სიკედილი ბაღში“. აქ ავტორი ცდილობს იმ ტანჯვას და წამების მხატვრულ გადმოცემას, რომელსაც ფაშისტურ გერმანიაში მშრომელი ებრაელები განიცდიან. მოთხრობას არ აკლია ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა. აქ მოთხრობილია სიკედილი მოხუცი მუსიკოსი ბენიამინისა, რომელიც ფაშისტურ გააძევეს თუბრიდან, მოუხმეს არსებობის ყოველგვარ სახსარი, აქცეს ტურის მაწარმალად და შემდეგ დატყვევოს ის კონკრეტული, რომელსაც მან თავი შეაფარა. მშრომელი ინტელიგენტის ეს საშინელი ტრაგედია არის გადმოცემული მოთხრობაში. საყურადღებოა განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც მოხუცი თავის ცხოვრებას ბიბლიური ითის ცხოვრებას ადარებს. იგი მართლაც ითის ტანჯვას განიცდის. კარგადაა გადმოცემული სიკედილის წინა წუთების და თეთი სიკედილის სცენის აღწერაც.

მოთხრობაში „მშობლიური ხმა“, რომლითაც იხსნება ეს წიგნი, ავტორი აცხადებს გერმანული არმიის ეფრეიტარის, ტომით სლოვაკელი მფრინავის, ხალუკას გადასვლას წითელი არმიის მხარეზე. მეტად უცერად ხდება იდეური გარდაქმნა ფაშისტი ეფრეიტარისა და ამიტომ ამბავიც არ არის დამაჯერებელი. ბრძოლის დროს ხალუკა ჩამსაკუთრებს მტრის თეთმფრინავს და საბჭოთა აეროდრომზე დაეშვება.

„უკანასკნელ გასროლაში“ თითქმის იგივე ეპიზოდია, იგივე თემა, აქაც სლოვაკელის გადასვლა წითელი არმიის მხარეზე, მხოლოდ მთავარ გმირად აქ მფრინავის მთავარ ტყვიამფრქვეველი გამოდის, რომელიც გერმანელებს ტყვიამფრქვევე მთუტყვევით იმის შიშით, რომ იარღს თავი არ დაანებოს არ იაქცეს. ხალუკას მთავარად აქ მოთხრობის გმირი ელალის ტყველ ნაბეკი გადამწყვეტ მომენტში, წითელ არმიელების იერიშის დროს, შეაბრუნებს ტყვიამფრქვევს და უაშისტებს დაუწყებს სროლას. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი იმერებს არა მარტო დაბლტერ მომენტებს, არამედ ცალკე მხატვრულ შედარებებსაც კი. მაგალითად, „უკანასკნელ გასროლაში“ ეკითხვლობთ:

„ოფიცრის კენია ცხენით დაკლირსულ, დაჯორჯილ სახეზე... სიბრალულის ნატამალიც კი არ გამოსახულა“.

იმავ შედარებას იმერებს ავტორი მოთხრობაში „სიკედილი ბაღში“: „მოხუცი კი კვლავ თვალწინ ედგა ბრინინგის კენია ცხენით დაკლირსული, ხენდრო სახე“...

ასეთი განმეორებანი ნაწარმოების და ზერელების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

მოთხრობა „ჰანსი იცინის“ აცხადებს გერმანელი ჯარის ნაწილის უწესრიგო უკანდახევას. ავტორი ამ მოთხრობაში ხანდახან ვერ იმარჯუნებს ზომიერების ზრძობას. ავილოთ, მაგალითად, ასეთი ეპიზოდი: გერმანელმა ჯარისკაცებმა იპოვეს თოვლში გაყინული ჯარის-

კაცის გეგმა, ავტორი ვერაწმუნებს, რომ გაყინული კაცის „წამწამებზე ჩამოსვლურ წერილი ლოლუები შერბევისას ქორკანდელის შუშებივით ჩხრიალებენ. ეს ლოლუები სიშწინის ცრემლებია, სულის ამოსვლის უამს დაღვრილი. სიკვდილის ხარხარივით ჩაესმით რეკრუტებს მათი ჩხრიალი“.

შემდეგ განაგრძობს:

„... ხმა გაკმენდილნი დაიძრნენ, თითქოს ისევ ჩაესმით გაყინული ჯარისკაცის თვალებზე ჩამოკიდებული ცრემლის ლოლუების ჩხრიალი“.

ეს სულ რაღაც უცნაური დანტაზიბა ავტორისა. რა ისეთი გოლიათური წამწამები უნდა ჰქონოდა იმ გაყინულ ჯარისკაცს, ან რა ჩანჩქერივით უნდა ედინათ ცრემლებს, რომ ლოლუებს კანდელის შუშებივით ეჩხრიალათ და ჯარისკაცებს კიდევ ეს სიკვდილის ხარხარისათვის მიემსგავსებინათ?

სუსტია მოთხრობა „ბარიერი“, განსაკუთრებით ყალბია მასში ტრადიციული ხევსური, რომელსაც კაცი შემოჰკდომია, გამოტყველდა და წითელ არმიას შერუდარებია თავი. ეს დიდი ხანია უკვე მახლონად იქცა ჩვენს ლიტერატურაში. ამავე მოთხრობაში ავტორი ისეთ შეუსაბამობას გადმოგვეცემს: „გამახელა (მოთხრობის გმირია) ბავშვობიდანვე დაჩვეული იყო როშკის შვეულ კლდეებზე უბელო ცხენივით თავქვე დაშვებას“.

შეიძლება ავტორმა გვითხრას, რომ ეს მხატვრული შედარებააო, მაგრამ შედარებასაც აზრი უნდა ჰქონდეს. სად ვაგონილა შვეულ კლდეზე უბელო ცხენივით თავქვე დაშვება?

საერთოდ „მშობლიური ხმა“ მწერალ ალ. ჭეიშვილისთვის მხატვრული თვალსაზრისით წინვლას არ წარმოადგენს.

გიორგი მკვირვალი.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	33-
ირაკლი აბაშიძე — ქართული ბალადა (ლექსი)	3
გიორგი ლეონიძე — ოთხი ლექსი	5
ა. ხაჯაია — ჩემი სოფელი (ლექსი)	8
არჩილ ჩაჩიბაია — მხედარი (მოთხრობა)	10
დომენტი თომაშვილი — გუჯარეთი (ლექსი)	21
შიო მღვიმელი — ჩემ შვილ ნინოს (ლექსი)	23
ოსთარ ჩხეიძე — გამჭრალი ნათელი (მოთხრობა)	24
ი. ლიხაშვილი — სიცოცხლისათვის (რომანი)	44
ვ. ვასილევსკაია — ცისარტყელა (დასასრული)	57
ილ. ზურაბიშვილი — ურმული (ნარკვევი)	99

კუზლიციხისტიკა, ფილოსოფია, ლიტერატურის ისტორია

ნ. პიქანაშვილი — გორკი ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში	107
მაქსიმ გორკი — ლევ ტოლსტოი	118
ფ. გოკიელი — მსოფლიოს ანტიფაშისტური მწერალი ქალები	130
ალ. ქუთელი — შემეცნების მარქსისტული თეორიის ზოგიერთი საკითხი	144

ბიბლიოგრაფია

დავ. შამათავა — პროფ. ალ. ბარამიძე — პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში	157
მკითხველი — ალ. ჭეიშვილი — მშობლიური ხმა	159

2

3360 4 836.

43-66



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ